


1948

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
А К А Д Е М И Я Н А У К Г Р У З И Н С К О Й С С Р



საქართველოს
მეცნიერებათა

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მ ო ე მ ბ ე

В Е С Т Н И К

Государственного Музея Грузии

им. акад. С. Н. ДЖАНАШИА

XV-B

თბილისი

1948



საქართველოს
მეცნიერებათა

F 191
1948

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

მ თ ე მ ბ ე

В Е С Т Н И К

Государственного Музея Грузии

им. акад. С. Н. ДЖАНАШИА

F 1086

XV-B

თბილისი
1948



აკად. სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშიას
ხსოვნას

უძღვნის ამ კრებულს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივი



ქართული
ენციკლოპედია



აკად. სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშია
(1900—1947)



შ ი ნ ა ა რ ს ი

1. გ. ნიორაძე. ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები	ზგ-1
2. თ. ჯაფარიძე და ტ. ჩუბინაშვილი. ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა	23
3. ალ. ბარამიძე. ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსანი“	33
4. ელ. მეტრეველი. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი	37
5. შ. ბურჯანაძე. სოლომონ I-ის ურთიერთობა რუსეთთან	49
6. ვ. ჯაფარიძე. „კარას“-ის სახელწოდებისათვის ქართულში	59
7. თ. ლომოური. დავით VII-ის და ვახტანგ III-ის ფულები	65
8. დ. კაპანაძე. შენიშენები ძველი კოლხეთის ნუმიზმატიკის შესახებ	83
9. ნ. რეხვიაშვილი. ქართული ცული	91
10. Г. Н. Чубинашвили. Золотых дел мастера Асата работа для Таосского владельца Давида	116
11. ვახტანგ ბერიძე. მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში	135
12. ექ. თაყაიშვილი. ჩხარის ეკლესიის სიძველენი	165
13. ა. აფაქიძე. შენიშენები Scythica et Caucásica-ს ახალი გამოცემის გამო	181

ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები

(მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXIV სამეცნიერო სესიაზე 1947 წ. 12 აპრილს)

სოფელ ქვიშარში¹ (რაჭა, ამბროლაურის რაიონი), ფრიად საყურადღებო არქეოლოგიურ აღმოჩენას ჰქონდა ადგილი. ამ სოფელში, მიწის სამუშაოების დროს, კოლმეურნეებს შემთხვევით უპოვიათ ერთ ადგილას დაგროვილი სხვადასხვა სახის ბრინჯაოს ნივთები და სპილენძის ზოდები².

უმეტესი ნაწილი ამ ნივთებისა დიდ ღერგში ყოფილა ჩაწყობილი და ძველსავე დროიდან მიწაში დამალული.

ნივთებიდან ყურადღებას იპყრობენ სხვადასხვა სახის, ზომისა და წონის ეგრეთწოდებული ყობანის ტიპის ცულები, არაჩვეულებრივი ფორმის ბრინჯაოს ბრტყელი „ცულები“, სატყეხე, ხელეჩოები, ნამგალი, ღარჩო, სამაჯურები, ერთი ცალი მეტად დიდი ზომისა და წონის თავებგახსნილი „რგოლი“, ზოდები და სხვა.

აღმოჩენის ადგილის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ძველ დროში მიწაში დამალულ განძთან, რაც იშვიათ მოვლენად არ ჩაითვლება არქეოლოგიაში.

ამ აღმოჩენის ადგილიდან, დაახლოებით, ერთი კილომეტრის დაცილებით, იმავე სოფელ ქვიშარში, მდინარე ოზინელას ნაპირზე, წისქვილისათვის არხის გათხრის დროს, უზარმაზარ ლოდის ძირთან, 1939 წელს, უპოვიათ მეორე ფრიად საყურადღებო „განძი“. ამ განძიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ სრულებით უცნობი სპილენძის ცულები, რიცხვით 16 ცალი. ეს ცულები ყველა ერთი და იმავე ტიპისანი არიან. 12 ცალი ამ ცულებისა თავის დროზე იქნა ჩამოტანილი გ. გობეჯიშვილის მიერ, დანარჩენი 4 ცალი (სურ. 1 და 2) მე პირადად გადმომცეს კოლმეურნეებმა, როდესაც ქვიშარში ვიყავი 1946 წელს აღმოჩენის ადგილების შესასწავლად და არქეოლოგიური დაზვერვების ჩასატარებლად.

ეს სპილენძის ცულები საინტერესონი არიან არა მარტო თავისი ფორმითა და მასალით, არამედ—დანაშნულებითაც. ამიტომ ჯერ ჩვენ ამ უფრო ადრინდელ აღმოჩენილ ცულებზე შევჩერდებით და შემდეგ კი ახლად მოპოვებულ განძის ნივთებს დავუბრუნდებით.


მდინარე ოზინელას ნაპირზე აღმოჩენილი სპილენძის ცულების პირი იმდენად თხელია, რომ ადამიანს შეუძლია ხელით მისი მოღუნვა. ტარის დასაგები ნახვრეტის (სატარის) კედლებიც თხელია, თუმიცა ნორმალური ზომისაა.

¹ სოფელი ქვიშარი დაცილებულია ჭრებალს 4 კილომეტრით.

² ნივთები აღმოჩენილ იქნა 1946 წ. გაზაფხულზე.



ცულის გამსხვილებული ნაწილი (შუბლი) ფუყეა და თხელი კედლები აქვს. ცულის ზედაპირი გაულამაზებელია. არავითარი ორნამენტი ან რაიმე გამოსახულება მას არ აქვს. ცულის წონაც, მის ზომასთან შეფარდებით, მეტად ცოტაა (400 გრამი) და, თუ ყველა მის ნიშანს მხედველობაში მივიღებთ, დავრწმუნდებით, რომ ამ ცულს რაღაც სხვა განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე ეს აქვს ხოლმე ჩვეულებრივ ცულს.



სურ. 1. მდინარე ობინელას ნაპირზე აღმოჩენილი ცულები.

ამიტომაც არის, რომ მდინარე ობინელას სანაპიროზე აღმოჩენილი ცულები გაკვირვებასა და განცვიფრებას იწვევენ თითოეულ ჩვენგანში.

ჩვენ ვიცი, რომ ცულეს საერთოდ ხმარობდნენ სამუშაო და საბრძოლო იარაღად. ლამაზად გაკეთებულსა და თანაც ორნამენტებითა და სხვადასხვა გამოსახულებით შემკულ ცულეს იყენებდნენ, როგორც ხელოვნების ნიმუშებს.

ასეთ ცულებს საცხოვრებელ ბინის კედლებზე ჰკიდებდნენ სილამაზისათვის იცოდნენ აგრეთვე მეთაურებმა ასეთი ლამაზი ცულის ხელში დაკავება, როდესაც განსაკუთრებულ შემთხვევაში (მაგალითად, სადღესასწაულო ცერემონიები)



სურ. 2. მდინარე ობინელას ნაპირზე აღმოჩენილი ცულები.

მონაწილეობას ღებდნენ. ვიცით აგრეთვე, რომ ცულებს იყენებდნენ ნადრობის პროცესში, რაზედაც მიგვითითებენ წინააზიში აღმოჩენილი ქვებზე ამოკვეთილი სურათები¹. ცულებს იყენებდნენ ფულადაც. ასეთ ცულებს, ჩვეულებრივად, მეტად ვიწრო სატარე ჰქონდათ, რომ შესაძლო ყოფილიყო მხოლოდ მათი ასხმა თოკზე. ცნობილია აგრეთვე «ცულების» გამოყენება ამულეტად,

¹ მაგალითად, ლომზე მონადირეს ხელში ცული უკავია. B. Meissner, Vorderasien, RLV B. I, S. 297. Taf. 61 c, Berlin 1924.



რისთვისაც უმთავრესად იხმარებოდნენ ქარვისა და ნახევრად ძვირფასი ქვევების საგან გაკეთებული მინიატურული „ცულები“ და სხვა. არც ერთ ამ მინიატურულ მდინარე ობიექტს ნაპირზე აღმოჩენილი ცულები გამოყენებული არ ყოფილა; მათ სულ სხვა დანიშნულება ჰქონდათ. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი განკუთვნილი იყვნენ ქექა-ქუხილის ღვთაების შესაწირავად და წარმოადგენდნენ ერთ დროს არსებულ ნამდვილ ცულების იმიტაციას. შეწირვის მიზანი კი იყო, რათა შემწირველს დაემსახურებია ღვთაების მფარველობა და ჰეხი არ დაცემოდა ქექა-ქუხილის დროს. ცნობილია, რომ ძველის დროიდან ცულმა ფართოდ მოიპოვა განსაკუთრებული რელიგიური მნიშვნელობა და დიდ როლსაც თამაშობდა კულტში.

ხეტების მეხისმტყორცნელი ღვთაების ტეშუბის სიმბოლო ცულის სახითაა მოცემული იასილიკაიას (ბოლახკეი) ერთ-ერთი კლდის კედელზე რელიეფურად გამოყვანილ სურათზე.

არამეული ქექა-ქუხილის ღვთაების ჰადადის ემბლემად ცულიც ითვლებოდა¹.

ცულის შეწირვა ღვთაებისადმი დადასტურებულია წინააზიის სხვადასხვა ადგილში. მესოპოტამიაში, მაგალითად, აღმოჩენილია ქვის ცულ-ჩაქუჩი სოლისებური წარწერით, საიდანაც ირკვევა, რომ ეს ცულ-ჩაქუჩი შესწირეს ჰადადის, ამ ცულ-ჩაქუჩს შემდეგი წარწერა აქვს: „ჰადადო, ჩემო ღმერთო, დაგვიცავი...“. წარწერიანი ცულები ცნობილია სხვა ადგილებიდანაც. წარწერები მაგიური მნიშვნელობისანი არიან. ძველი ელამის მეფეც, თუ ერთ-ერთ სურათს მხედველობაში ვიქონიებთ, მიდის ტაძარში და ცულს სწირავს თავის ღვთაებას².

ცულებს საკულტო დანიშნულებას აძლევდნენ არა მარტო ძველ ქვეყნებში, არამედ ეგროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც და ქვის ცულები ქექა-ქუხილის ღვთაების, თორას, სასროლ იარაღად მიაჩნდათ. ამიტომ ქვისაგან ნაკეთები ნეოლითური დროის გახეხილი, გალამაზებული და თანაც გახვრეტილი ცულ-ჩაქუჩები საკულტო დანიშნულების ნივთებად იყო აღიარებული.

მაგრამ ღვთაებას სწირავდნენ არა მარტო ქვისა და ლითონისაგან (სპილენძი, ბრინჯაო, რკინა) გაკეთებულ ცულებს, არამედ—თიხის ცულებსაც, რომლებიც ნამდვილ ცულების იმიტაციას წარმოადგენდნენ და რომლებსაც ხანდახან წარწერებიც კი აქვთ შერჩენილი.

1081 წელს ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენი უგზავნის იმპერატორ ჰენრიხ IV უძვირფასეს საჩუქრებს, რომელთა შორის ოქროში ჩასმული „ცის ცული“ იყო.

ჩრდილო ეგროპაში ქვის ცულებს „თორას ჩაქუჩებს“ უწოდებდნენ, რადგან თორა ასეთ ცულებს „ისროდა“ ხოლმე და ქექა-ქუხილს „აჩენდა“³.

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ცულები გამოყენებული უნდა ყოფილიყო მიცვალებულთათვის საფლავში ჩასატანებლად ნამდვილი ცულების ნაცვლად

¹ B. Meissner, S. 297.

² B. Meissner, S. 297.

³ Обермайер, Человек в его прошлом и настоящем, стр. 11, Москва 1913.

და ამ მიზნით სპეციალურად გაკეთებულნი; მაგრამ ამინორ ცულებს საფლავებში ვერ ვხვდებით. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სოფელ ქვიშარის, მდინარე ობინელას ნაპირზე, დიდი ლოდის ძირთან აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი სპინდის ცულები საკულტო დანიშნულების უნდა იყოს და თვით აღმოჩენის ადგილიც სამსხვერპლო „წმინდა“ ადგილად უნდა დაისახოს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ცულების აღმოჩენის ადგილი უხვადაა ბუნებისაგან დაჯილდოვებული და განსაკუთრებით ლამაზი მდებარეობა აქვს. იქვე მთის ანკარა მდინარე ობინელას თავის კალაპოტი თეთრ კირქვებში გაუქრია და ჩვენთვის უკვე ცნობილ უზარმაზარ ლოდს კასკასა ნაკადებით გვერდს უვლის და სწრაფად ეშვება დაბლობისაკენ.

ამ ცულების ფორმა, მასალა, დამუშავების ტექნიკა და სხვა საშუალებას გვაძლევს ისინი, ე. წ. ყობანის ანუ, როგორც მათ ახლა უწოდებენ, კოლხური ტიპის ცულების პროტოტიპებად დავსახოთ და მათი ხნოვანება ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასეულის პირველ ნახევარში გადავიტანოთ. ამრიგად, მდინარე ობინელას ნაპირზე, დიდი ქვის ლოდის ძირთან საკულტო დანიშნულების ცულების აღმოჩენის ადგილი უნდა მივიჩნიოთ უძველესი დროის სამსხვერპლოდ, ე. ი. ყველაზე ძველ საკულტო ადგილად, რომელიც ჯერჯერობით ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ—კავკასიაში. ამიტომ, თუ დღემდე ყველაზე უძველეს სამსხვერპლო-საკულტო ადგილად კავკასიაში მიაჩნდათ ის ადგილი სოფელ ყაზბეგთან (სტეფანწმინდა), სადაც აღმოჩენილ იქნა ადრინდელი სკვითური დროის (VII საუკუნის ბოლო და VI საუკუნის დასაწყისი) ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ნივთები, ახლა უძველეს სამსხვერპლო-საკულტო ადგილად კავკასიაში უნდა მივიჩნიოთ სოფელ ქვიშარის, მდინარე ობინელას სანაპირო და იქ აღმოჩენილი ცულები ჩვეულებრივ განძად კი არ უნდა დავსახოთ, არამედ ღვთაებისადმი შეწირულ ნივთებად ჩავთვალოთ.

ახლა განვიხილოთ სოფელ ქვიშარის არქეოლოგიური მეორე აღმოჩენა 1946 წლისა.


დავიწყეთ ე. წ. ყობანის ტიპის ცულებით. ამ ტიპის ცულები ქვიშარის კოლექციაში ორი სხვადასხვა სახისაა. პირველი სახის სულ სამი ცალია (სურ. 3ა, ბ და სურ. 4ა) და ტლიანქად არის დამუშავებული. მართალია, ისინი ერთი მეორისაგან განირჩევიან როგორც ზომითა და წონით, აგრეთვე ზოგიერთი დეტალით, მაგრამ ძირითადად მაინც ერთსა და იმავე სახეობას წარმოადგენენ.

გარეგნული შეხედულებით ისინი მოგროძო ფორმისაა (სიგრძე 20—16 სმ). მათი წინა მხარე (შუბლი) თითქმის სწორი მოყვანილობისაა, იმ დროს, როდესაც უკანა მხარე მკვეთრადაა კაჩასკენ ამოღუნული. პირის ფორმა რკალის მოხაზულობის მსგავსადაა გამოყვანილი; ლოყები სატარის ნახვრეტის ქვემოთ უფრო სქელია და პირის ფხის მიმართულებით თანდათან თხელდება. მათი სისქე კლებულობს აგრეთვე შუბლიდან კაჩას მიმართულებით.

ტარის დასაგები ნახვრეტი ოვალურია და მისი ვერტიკალური პრილის მოხაზულობა თავსა და ბოლოში თითქმის მახვილი კუთხის ფორმის უახლოვდება. ნახვრეტის სიმაღლე მთელი სიგრძის გასწვრივ ერთნაირი არ არის. მისი სიმაღლე წინიდან უფრო მეტია და ბოლოსაკენ თანდათან კლებულობს,



რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტარის უფრო საიმედოდ დაგებებს. მზნაძის ნახერცის გარეთა მხარეს სამი „ქელი“ მიუყვება და შუა მდებარე ადგილები ამოღარულ ფორმას ღებულობს და ერთგვარ სილამაზეს იძლევა.




სურ. 3. ყობანის ტიპის ცულები.

ცულების ყუა ერთნაირი მოყვანილობის არ არის. ორ მათგანს (სურ. 3b და სურ. 4a) ერთნაირი ფორმის ყუა აქვს და უფრო ორწახნაგოვანი მოყვანილობისაა. წახნაგები კი ერთი-მეორეს უერთდება ვიწრო ბრტყელი გვერდით („წახნაგით“).

მესამე ცულის (სურ. 3a) ყუა ამობურცულ-მომრგვალებულია და ზემოთკენ არის მიმართული. ყუის ზედაპირის წახნაგები და მათი მიმართულება აქაც გასარჩევი ხდება.

მეორე სახის ცული მხოლოდ ერთი მოგვეპოვება და ისიც ნაკლები (მას აკლია ზემო ნაწილი, სურ. 4b). ამ ცულის ფორმა უფრო სწორი მოყვანი-

ლობისაა, ვიდრე პირველი სახის ამავე ტიპის ცულებისა და სატარე ნახევრების მიმართულებაც უფრო პერპენდიკულარულად ხვდება ცულის „მთავარ ღერძს“. ეს ცული საუცხოოდ გალამაზებულია სპირალებით, კონცენტრული წრეებით, კუბოკრული ზოლებით, სტილიზაცია-ქმნილი ირმის რქების გამოსახულებით (სურ. 5), წრეებით, რომელთა შიგნით ამოკრილია წინწყლები. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ცული წარმოადგენს ძველი ხელოვნების იშვიათ ნიმუშს.



სურ. 4. ყობანის ტიპის ცულები.

ჩვენ ცულს უმეტეს წილად სპირალები ამკობენ; რამდენიმე წრე ამოკრილი წინწყლებით და ირმის რქის გამოსახულებანი სატარეს ნახევრეტის გარშემო არიან განლაგებულნი.

სხვადასხვა სახის ორნამენტალურ მოტივებს შორის სპირალ-ორნამენტი ყველაზე საყვარელ ორნამენტად ითვლებოდა უძველეს დროიდან და ფართოდაც იყო გავრცელებული დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. ეჭვს გარეშეა, რომ სპირალი უმეტეს შემთხვევაში გამოყენებული იყო, როგორც დეკორატიული მოტივი. ზოგიერთ შემთხვევაში სპირალს ეძლეოდა რელიგიური მნიშვნელობა. ის დაკავშირებული იყო მზის კულტთან¹. მას ეძლეოდა აგრეთვე სიმბოლური

¹ S. A. v. Scheltema, Spiraalmuster, RLV, B. XII, S. 352, Berlin 1928.



a



b



c



d

სურ. 5. ზობანის ტიპის ცული და მასზე გამოყვანილი სხვადასხვა გამოსახულები. c—ხედა
გვერდი, b—წინა მხარე, a—ქვედა გვერდი, d—უკანა მხარე.

მნიშვნელობაც. ჩვენს ცულზე მოცემულ სპირალებს სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ქონოდა. ეს მით უფრო დასაშვებია, თუ მხედველობაში გვექნება ტიპის ცულებზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი გამოსახულებანი სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობისა (მაგალითად, გველები სამკუთხედა თავებით, თევზები, სტილიზებული ცხენის გამოსახულებანი და სხვა). ცულებზე გვხვდება ხალხური გადმოცემების სიუჟეტის ასახვაც, მაგალითად, ყობანის ტიპის ერთ-ერთ ცულის ცალმხარეზე გამოსახულია მამაკაცი მშვილდისრით ხელში. ამავე ცულის მეორე მხარეზე და მის წახნაგებზე გამოსახულია შვიდი გველი. მამაკაცი ებრძვის ამ გველებს მშვილდისრით ხელში. ეს სურათი, როგორც ამას თავის დროზე აღნიშნავდა პ. უვაროვა, მეტად გვაგონებს იმ ადამიანებს, რომლებიც ხალხური გადმოცემების თანახმად გველებს ეომებოდნენ¹.

შესაძლოა აგრეთვე, რომ ჩვენს ცულზე მოცემული სპირალები წარმოადგენდნენ სტილიზებული დახვეული გველების გამოსახულებას და ირმის რქები (ესენიც სტილიზებული) კი თვითონ ირმის სურათს. ამით ჩვენ არ გვინდა ვთქვათ და არც ვფიქრობთ, რომ სპირალები საერთოდ ყოველთვის გველებს ასახავდნენ. მაგალითად, ზოგიერთის აზრით, ეგვიპტურ თიხის ქურქულზე მოცემული ცალკეული სპირალები ნუმულიტების (ნიჟარების) მიმბაძველობას წარმოადგენდნენ².

თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქვიშარში აღმოჩენილ ცულზე მოცემული სპირალები გველის ასახვა უნდა იყოს, ამის საფუძველს იძლევა იმავე ტიპის ცულებზე ძალიან ხშირად გამოყვანილი გველის გამოსახულებანი. ეტყობა, რომ იმ დროში გველებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და მათ გამოსახულებებს როგორც რეალისტურს, აგრეთვე სტილიზებულს მნიშვნელობის გარეშე არ სტოვებდნენ.

ჩვენ ვიცით, რომ გველებს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ ძველ დროში და დღესაც ეპყრობიან მას ბევრ სხვადასხვა ადგილას: ეს ადვილი გასაგებიც არის, ვინაიდან გველის განსაკუთრებული თვისებები (შხამი, ჩქარი და თანაც უხმაურო მოძრაობა, თვალის უტეხი გამოხედვა და სხვა) აფიქრებინებდა ადამიანს გველის რაღაც განყენებულ, არა ბუნებრივ თვისებებზე. ამიტომ ზოგიერთები მას თავის ტოტემად ისახავდნენ, ზოგიერთებს კიდევ ეგონათ, რომ გველი მიცვალებულის სულია, ზოგი კიდევ მას აღმერთებდა. წინააზიაში ერთ-ერთი ღვთაების სახელი გველის სახელწოდებით d Muš-ით იყო ცნობილი (d Muš = გველი). გველი მდებრობითი ღვთაებად იყო ცნობილი. მაგალითად, ქალი-ღვთაება Ka-di ანუ Esir-ი იგივე Gusilim-ი ითვლებოდა გველ-ღმერთის დედად³.

ერმან-რანკეს გამოკვლევით ძველი ეგვიპტელების ღმერთი „უტო“ გველის სახით იხატებოდა და ადამიანის მფარველ ქალ-ღმერთად მიაჩნდათ (სურ. 6)⁴.

¹ П. Уварова, Могильники Северного Кавказа, Материалы по археологии Кавказа, вып. VIII, стр. 22, Москва 1900.

² F. A. v. Scheletema, Spiralmuster, S. 351.

³ Ebeling, Schlange, RLV, B. XI, S. 266, Berlin 1927/1928.

⁴ G. Karo, Religion, RLV, B. XI, Taf. 11a.



პალესტინა-სირიაში მცხოვრებ ზოგიერთ ხალხს სწამდა, რომ „ადამიანთა მოდგმის წინაპარია“¹ და თაყვანსა სცემდა მას.

ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ მოსემ დაადასტურა გველის პატივისცემა, რომელიც აპოტროპიული მიზნით უნდა იყოს განხილული.



სურ. 6. ძველი იფეის-ტელემის ღმერთი „შტა“.

ზოგიერთ თანამედროვე ხალხს დღესაც მიაჩნია გველი ძვირფასი თვალ-მარგალიტებისა და საკულტო დანიშნულების ნივთების მცველ-შემნახველად.

ზოგმა იცოდა სახლის კედლებზე გველის სურათის გაკეთება და დარწმუნებული იყო, რომ ასეთ სახლში მცხოვრები ადამიანები დაზღვეული იქნებოდნენ ყოველგვარი უბედურებისაგან. გველის გამოსახულებას მიაწერდნენ ჯადოსნურ ძალასა და სხვა².

გველის ფრიად საყურადღებო გამოსახულებანი მოცემულია, ე. წ. ყობანის ტიპის ერთ-ერთ ცულზე, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია³. ამ ცულის სატარეს ნახვრეტის გარეთა გვერდზე ამოჭრილია სპირალები, რომლები, ტეხილი ხაზი და რაღაც ფანტასტიკური ცხოველი (სურ. 7a), აკადს. ჯანაშისას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში მოიპოვება ისეთი ცულიც⁴, რომლის სატარე ნახვრეტის გარეთა გვერდზე სპირალები და ფანტასტიკური ცხოველი ერთად არიან შეერთებულნი (სურ. 7b), ე. ი. ერთ კომპოზიციასაშია მოცემული, ერთად გააზრებული და არა ერთი მეორისაგან განყენებული.

ამიტომ, ვიმეორებთ, საფიქრებელია, რომ ჩვენს ცულზე მოცემული სპირალები შესაძლოა იყოს გველების გამოსახულებათა სიმბოლური გადმოცემა და მიზნად ისახედნენ, რათა ცულის პატრონისათვის გველებს დახმარებაც გაეწიათ და თანაც არაერთგვაროვანი ზიანი თავის მხრივ მისთვის არ მიეყენებიათ.

დანარჩენი სხვა გამოსახულებანი, რომლებიც მოცემულია ჩვენს ცულზე: ირმის რქები, წრეები, კონცენტრული წრეები წინწყლებით და კუმოკრული ხაზები (სურ. 5) ერთი მეორესთან არიან დაკავშირებულნი და წარმოადგენდნენ რელიგიურ-სიმბოლურ წარმოდგენათა კომპლექსის ასახვას, თუმც ისინი სხვადასხვა სახის ორნამენტებად გვევლინებიან.


¹ Gressmann, Religion, RL. V. B. XI, S. 107.

² Dr. S. Seligmann, Der böse Blick und Verwandtes, B. II, S. 130—131, Berlin 1910.

³ ეს ცული ინახება აკად. ჯანაშისას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში, ინვ. $\frac{11-32}{27}$

⁴ ეს ცული აღმოჩენილია სვანეთში, ინვ. $\frac{11-32}{30}$

შესაძლოა, რომ წრეები დაკავშირებული იყოს შხის კულტთან, ირმისულის რქები სწრაფ მოქმედებასთან და სხვა. მაგალითად, სწრაფი მოქმედების აღნიშვნის მიზნით ენისხეილების შამანი თავის „გვირგვინზე“ რკინისაგან გამოკედილ ირმის რქებს იკეთებდა. ამ ირმის რქების სიმბოლური დანიშნულება ის იყო, რომ შამანს შესძლებოდა შამანობის დროს ერთი ადგილიდან მეორეზე სწრაფად „გადასვლა“.



სურ. 7. ყობანის ტიპის ცულის სატარაზე მოცემული გამოსახულებანი.


ბრტყელი „ცულები“. ჩვენი კოლექციების ერთ-ერთ ბრტყელ „ცულს“ პირი აქვს „მრგვალ-მოგრძო“, ე. ი. ნახევრად ოვალური ფორმისა (სურ. 8b). მკრეფი პირის უდიდესი სიგანაა 6,5 სმ, ხოლო სიმაღლე 4—4,5 სმ-ს უდრის. პირის სისქე შუა ადგილას 0,8 სმ-ს აღწევს. პირის ორივე გვერდი ერთნაირადაა გამოყვანილი, ე. ი. მისი პირის გვერდები ისეთნაირადაა გამოყვანილი და ფორმაც ისეთივე აქვს, როგორც ყობანის ტიპის ცულის ჩვენთვის ცნობილ ერთ-ერთ სახეს (სურ. 4b).

პირის ორივე კუთხიდან დაწყებული ცულის ტანი მკვეთრად იწყებს ორივე გვერდზე დავიწროვებას და ბოლოსთან კი ოდნავ განიერდება. ცულის



ტანის შუა წელის ზემოთ ორივე ვერდზე პატარა ზომის „ცულები“ გამოყვანილი.

ცულის მთლიანი სიგრძე 16 სმ; მისი უდიდესი სისქე 1,2 სმ-ს არ აღემატება. არავითარი ორნამენტი და ან სხვა რაიმე გამოსახულება ცულს არ ემჩნევა. ნათლად ეტყობა, რომ ცული დიდხანს ყოფილა ხმარებაში, რაზედაც



სურ. 8. ბრტყელი „ცულები“ და სატყე.

აშკარად მიგვიჩივებს მისი საკრელი პირი, რომელიც მთლიანად დაბლა-გვებულია და ალაგ-ალაგ კიდევაც ჩამტვრეულა მუშაობის პროცესში.

ცულის ყუას ზემოდან დარტყმის ნიშნები სრულებით არ ემჩნევა.

ჩვენი კოლექციების მეორე ბრტყელი „ცული“ (სურ. 8ა) წააგავს ზემოთ ნახსენებ პირველ ბრტყელ ცულს, მაგრამ მისგანაც განსხვავდება. ეს განსხვავება უმთავრესად პირის მოყვანილობაშია.

ამ მეორე ბრტყელი ცულის პირის მოყვანილობა რკალისებურია, მისი სიგრძე 8 სმ უდრის. ამ ცულის ტანიც ბოლოსაკენ ვიწროვდება და სულ ბოლოში კი ოდნავ ფართოვდება. ტანის შუა წელის ზემოთ „ცულზე“ ორი პატარა ზომის „კოტა“ არის გამოყვანილი. პირის ორივე მხარე ამასაც ერთნაირად აქვს მოყვანილი.


ცულის მთლიანი სიგრძე 19,3 სმ-ია, მისი უდიდესი სისქე 0,9 სმ. ეს ცულიც დიდხანს ყოფილა ხმარებაში, რადგან მჭრელი პირი ძალზედ დაბლაგვებულია და ბევრგანაა ჩამტვრეული მუშაობის პროცესში.

ამ ცულზეთან ნაპოვნი გოძელი, ვიწრო ფორმის იარაღი უდავოდ სატეხეა (სურ. 8ც), რომლის სიგრძეა 17 სმ, სიგანე (ტანის) 1,2 სმ, სისქე 1 სმ. სატეხეს პირი ტანის სიგანესთან შედარებით ოდნავ ფართოა და ძალზედ დაბლაგვებული მუშაობის პროცესში. სატეხის ყუასაც ეტყობა, რომ ის დიდხანს ყოფილა ხმარებაში, რადგან მისი (ყუის) ზედაპირი ძალზედ გადაშლილა და გადიდებულია ზემოდან დარტყმის შედეგად. სატეხეს ორივე გვერდზე ორი „კოტა“ აქვს. ცხადია, რომ სატეხეს ტარი არ ეგებოდა. მას ხმარობდნენ ტარდაუგებელს. მისი ტანის კონსტრუქცია გვაგონებს ზემოთაღწერილ ბრტყელი „ცულებს“ ტანის მოყვანილობას. ამიტომ ჩვენს წინაშე ფრიალ საინტერესო საკითხი ისმის, სახელდობრ, საკითხი ბრტყელი „ცულებისათვის“ ტარის დაგების შესახებ.

ვინაიდან სატეხისა და ბრტყელი „ცულების“ ტანის მოყვანილობა და მათზე გამოყვანილი კოტები ერთი მეორეს ძალიან ემსგავსებიან, ხოლო სატეხე კი უტაროთ იხმარებოდა, ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჩვენი ბრტყელი „ცულებიც“ უტაროთ იხმარებოდნენ. მაგრამ, თუ ჩვენი ცულები უტაროთ იხმარებოდნენ, ხომ არ ეტყობათ ზემოდან დარტყმის ნიშნები, როგორც ეს ამჟამად ემჩნევა სატეხის ყუას? ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ბრტყელ „ცულებს“ ხმარობდნენ ისეთნაირად, როგორც ხმარობენ ამნაირ მოყვანილობის იარაღს (სურ. 9) ხარაზები ტყავიდან ფეხსაცმლის გამოჭრის დროს. ამ იარაღს ხარაზები უწოდებენ „კარანიჩს“. კარანიჩი ახლაც ხმარებაშია ხარაზებთან. მაშასადამე, ჩვენი ბრტყელი „ცულებიც“ უნდა მივიჩინოთ ტყავის საჭრელ იარაღად, რომლებსაც არც ტარი ეგებოდათ და არც საჭიროებდნენ სატეხესავით ზემოდან დარტყმას. ამიტომ, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, რომ ჩვენ მათ ვუწოდოთ არა ბრტყელი „ცული“, არამედ ტყავის საჭრელი დანა. ქვიშარის კოლექციებში ჩვენ მოგვეპოვება ოთხი ცალი ბრინჯაოს ხელეჩო (სურ. 10), რომლის მავგარი იარაღის აღმოჩენის ადგილები საქართველოს ტერიტორიის გარეშეც ბევრგანაა ცნობილი.


ამ ხელეჩოს ზოგი თოხს უწოდებს და კიდევაც მიაწერს მას თოხის დანიშნულებას, რაც ჩვენის აზრით, არ უნდა იყოს სწორი.

ჩვენ ხელეჩოებს ტარის დასაგები ნახვრეტი საკმაოდ დიდი ზომის აქვს, ვინაიდან მხედველობაში ჰქონდათ მსხვილი, მაგარი ტარის დაგება. ტარის დასაგები ნახვრეტის მილის ზომა ორივე თავზე ერთნაირი არ არის. გარეთა ნახვრეტის დიამეტრი უფრო დიდია შიგნითა (მეორე) ნახვრეტის დიამეტრზე.



ხელჩოებს არავითარი გამოსახულებანი არ აქვთ. ხელჩოების სიმაღლე საშუალოდ აღებული 10 სმ უდრის, ხოლო ყველაზე დიდი სიგანე პირისა 7 სმ აღწევს¹.

ფრიად საინტერესო იარაღს წარმოადგენს „ტყავის დასამუშავებელი იარაღიც (სურ. 11 ა), რომელსაც ზოგიერთნი შეცდომით ნიჩაბს უწოდებენ“ (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXIV სამეცნიერო სესიის (12. IV. 1947) მოხსენებათა თეზისები: „ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები“, გვ. 11, თბილისი 1947 წ.). ამ იარაღის მხრების ზემო ნაპირები ტარის კუნწის ნაპირებთან რკალის მოხაზულობას იღებს. იარაღის ცალი მხარე ბრტყელია და სრულებით სადათ არის გამოყვანილი, ხოლო მეორე მხარე კი უფრო ლამაზად ნაკეთებია, თუმც არც ამ მხარეზე აქვს რაიმე გამოსახულებანი. იარაღის მკრელი პირი ამ მხარეზე იღესებოდა.




სურ. 9. ბრტყელი „ცული“ (ა, c) და კარანიჩი (ბ).

იარაღის სიმაღლეა 9 სმ, სიგანე მხრების გასწვრივ 10,5 სმ².

აქვე მოვიხსენიოთ პატარა ზომის ბრინჯაოს ნამგალი (სურ. 11 c), რომელსაც წვერი მოტეხილი აქვს. ნამგლის სიგრძე 14 სმ უნდა ყოფილიყო, უდიდესი სიგანე კი 3,5 სმ. ტარის მიგრად და თანაც უფრო აივილად დაგების


¹ ასეთ იარაღის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები იხილეთ ჩვენს შრომაში „არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში“, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, გვ. 192—194, თბილისი 1944.

² სპილენძის ამგვარი იარაღი რომ გამოყენებული ყოფილა „მედაბახის ერთ-ერთ ხელსაწყო იარაღად, რომელიც ტყავის დასამუშავებლად იხმარებოდა“, ამის შესახებ ჩვენ გვქონდა აღნიშნული ზემოთ მითითებულ შრომაში, გვ. 190.



მიზნით ნამგალს ჰქონია ნახვრეტი. ნამგალი მარჯვენა ხელის სახმარათ ყოფილ
განკუთვნილი. მისი ზედაპირი უფრო ლამაზადაა გაკეთებული.

საინტერესოა ბრინჯაოს ჭურჭლის სახელურის აღმოჩენაც (სურ. 11 ბ).
სახელურის ზედა ნაწილზე გამოყვანილია პატარა ზომის რაღაც ცხოველის
(შესაძლოა ფანტასტიკური ცხოველის) ყურები და, როდესაც ადამიანი ამ სა-
ხელურს ხელს კიდებს, ცერი ყურებს შუა ეყრდნობა.




სურ. 10. ბრინჯაოს ხელჩაოვები.

კარგად შემონახული ბრინჯაოს ორი ჭურჭელი ამგვარი სახელურით არ-
ქეოლოგიურ განყოფილებას მოეპოვება ლაჯობის ძირთან (ლეჩხუმი) აღმოჩენილი
(სურ. 12 ა, ინვ. $\frac{1-36}{179}$ და $\frac{1-36}{180}$). თუ ჩვენ ამ ორი ბრინჯაოს ჭურჭლის



მიხედვით ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ ქვიშარში აღმოჩენილი სახელური უნდა ჰქონოდა დიდპირა ბრინჯაოს „ქოთანს“, რომლის სიმაღლე დასალოცობით 16—17 სმ უნდა ყოფილიყო და რომელსაც საკმაოდ დიდი პირი ($D=12$ სმ) ჰქონდა, ხოლო ფსკერი კი შედარებით უფრო პატარა ($D=8$ სმ, სურ. 12 ბ).


სახელურთან ერთად ნაპოვნია ოთხი ცალი ბრინჯაოს ფრაგმენტი ბრტყელი ფორმისა და შესაძლოა, რომ ეს ფრაგმენტები იყოს ბრინჯაოს ქურტლის კედლების ნატეხები. ამ ფრაგმენტებთან ერთად იყო ბრინჯაოსაგან გაკეთებული, მოგრძო ფორმის, ძალზე დაზიანებული ნივთი (სურ. 11 დ).





სურ. 11. ტყავის დასამუშავებელი იარაღი (ა), ნამგალი (ც), ქურტლის სახელური (ბ).

ამ ნივთს თავივ აკლია და ბოლოც. მისი დანიშნულება გაურკვეველია, თუმცა ადვილი დასაშვებია, რომ ის „ქინძისთავი“ ყოფილიყო.

დასასრულ, ქვიშარის კოლექციებიდან მოვიხსენიოთ ხუთი ცალი ბრინჯაოს რგოლი და ექვსი ცალი ბრინჯაოს ზოდის ნაწილი.



ბრინჯაოს რგოლები ყველანი თავებგახსნილია, ოთხი მათგანი სამაჯურად ყოფილა გამოყენებული (სურ. 13), ხოლო მეხუთე (სურ. 14) მონეტის დანიშნულებას თუ ასრულებდა. სამაჯურებად გამოყენებული ორი რგოლი ერთი მეორეს მეტად ყმსგავსება (სურ. 13 a, b).




სურ. 12. დაჯობის ძირთან აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭურჭელი (ა) და რესტავრაცია-ქმნილი ქვიშარის „ქოთანა“ (ბ).

F1086


ამ რგოლების გარეთა მხარე შემკულია ამოღარული მოკლე ზოლებით, რომელთა ჰორიზონტალური და საგიტალური მიმართულება ერთი მეორეს ენაცვლება. დანარჩენი ორი სამაჯური (სურ. 13 c, d) სადათ არის ნაკეთები.

² საქართველოს მუზეუმის მოამბე ტომი, XV B.





მათი გარეთა მხარე ამობურცულია, შიგნითა კი—ბრტყელი. ბრტყელი აგრეთვე „უკანა“ მხარეც. ასე რომ სამაჯურების კრილი წრის ფორმას, ვა; იქვეა მეხუთე რგოლი თავისი სიდიდითა და წონით, აგრეთვე თავისი არაჩვეულებრივი ორნამენტებით მეტად საყურადღებოა (სურ. 15). რგოლის წონა




სურ. 13. ბრინჯაოს სამაჯურები.

2728 გრამია. თუ რომ რგოლის გარეთა მხარეს საზომ ლენტს შემოვავლებთ და ერთი თავიდან მეორემდის მივყვებით, მაშინ რგოლის სიგრძე 52 სმ-ით განისაზღვრება.

რგოლის გარეთა მხარეს პარალელურად მიუყვება ექვსი ამობურცული ვიწრო ზოლი, რომლებიც ერთი-მეორეს დაცილებულია 0,4—0,5 სმ. ამობურცულ ვიწრო ზოლებს შუა ხუთი ფართო ზოლი მიუყვება. ამ ზოლებზე გამოყვანილია სხვადასხვა სახის ორნამენტები. თუ ამ ზოლებზე გამოყვანილ ორნამენტებს განვიხილავთ ერთი თავიდან მეორეს მიმართულებით, დავინახავთ, რომ პირველ ზოლზე ჯერ გამოყვანილია რომბები და რომბების შიგნით წინწყლები (სურ. 15 ა). შემდეგ მოცემულია სპირალები წინწყლებით და ბოლოს ისევ

რომბები წინწყლებით. მეორე ზოლი უკვე რომბებით კი არ იწყება, არამედ უწინწყლებო სპირალებით (სურ. 15 b). შემდეგ მიუყვება რომბები წინწყლებით და ბოლის ისევ სპირალები.




სურ. 14. ბრინჯაოს რგოლი-მონეტა.

მესამე ზოლი (სურ. 15 c), რომელიც რგოლის შუა წელს მიუყვება, იწყება წინწყლებიანი რომბებით. ამათ ენაცვლება ერთი-მეორეზე გადაბმული სპირალები, ხოლო მათ შემდეგ ისევ წინწყლებიანი რომბები.

მეოთხე ზოლზე ორნამენტების განლაგება იგივეა, როგორც მეორე ზოლზე (სურ. 15 b), ხოლო მეხუთე ზოლზე ორნამენტების განლაგება იმეორებს მესამე ზოლზე (სურ. 15 c) მოცემულ ორნამენტებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ რგოლს მონეტის დანიშნულება ჰქონდა. მონეტად გამოყენებული ლითონისაგან (უმავერესად სპილენძი, ბრინჯაო) ნაკეთები რგოლები ცნობილია ძველი დროიდან.

ასეთ რგოლებს მონეტის დანიშნულებით დღესაც იყენებს ზოგიერთი პრიმიტიული ხალხი. მაგალითად, აფრიკის დასავლეთით და მის შუა ადგილებში რგოლი-მონეტა დღესაც ხმარებაშია. ასეთ მონეტას დასავლეთ აფრიკაში manilla-ს უწოდებენ. რგოლი-მონეტა იხმარება სუდანში, დარფურში, არაბეთში და სხვა. ის იხმარება როგორც მთლიანი რგოლების, აგრეთვე ნამტვრევების სახითაც.



სურ. 15. ბრინჯაოს რგოლ-მონეტაზე გამოყენილი სახეები.

ძველსა და ახალ ეგვიპტეშიც (მატ. II შუა პერიოდამდე, ე. ი. დაახლოებით 1150 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) რგოლ-მონეტა ხმარებაში ყოფილა. ასეთი რგოლი-მონეტების სურათმა ტუტმოს III დროის (1501—1447 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მხატვრების მიერ შესრულებულმა, ჩვენს დრომდე მოაღწია (სურ. 16).

ჩინეთში წესად ყოფილა შემოღებული, რომ ძველ დროში (947 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ჯარიმას ახდევინებდნენ სპილენძიდან გაკეთებული რგოლების სახით.


რგოლ-მონეტების ხმარება დასტურდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშიც (ირლანდია, სკანდინავია, გერმანია და სხვა). რგოლი-მონეტა ისე ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ ზოგ მეცნიერს აფიქრებინა სამაჯურებისა და ზოგიერთი მრგვალი ფორმის სამკაულების განვითარება რგოლ-მონეტიდან¹.

ჩვენში არავითარ ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ქვიშარში აღმოჩენილი დიდი ზომისა და წონის სამაჯური, რომლის მავგარი სხვა ადგილებშიაც მოიპოვება (სტალინირი, კეხვი და სხვა), მონეტად იყო გამოყენებული. შესაძლოა აგრეთვე, რომ ჩვენს რგოლზე მოცემული გამოსახულებანი ორნამენტების სახით იყოს მონეტის ღირებულების ამსახველი ნიშნები.

რაც შეეხება სოფ. ქვიშარში ახლად აღმოჩენილი განძის დათარიღებას, ეს საკითხი დღეს, შედარებით, უფრო კარგადაა გარკვეული.

სოფ. ქვიშარის განძი (ე. წ. ყობანის ტიპის ცულები და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ნივთები) არ უნდა მივაკუთვნოთ მე-XII ს. უფრო აღრინდელ დროს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

¹ K. R:ging, Geld, RLV, Bd. IV, erste Hälfte, S. 214—216, Berlin 1926.



სურ. 16. რგოლი-მონეტა. ეგვიპტე.

Г. НИОРАДЗЕ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В СЕЛЕ КВИШАРИ

«Доклад на научной XXIV сессии отделения общественных наук Академии Наук Грузинской ССР, 12-IV.1947 г.»

(Резюме)

В Западной части Грузинской ССР, в селе Квишари (Рача, Амбролаурский район) в 1946 г. случайно был найден клад бронзовых предметов (топоры т. н. кобанского типа, плоские „топоры“, долото, лопатка, серп, браслеты, слитки и др.).

В этом же селе Квишари в 1939 г. на берегу горной речки Обинела, протекающей по каменистой местности, у подножия громадного валуна был найден другой „клад“ медных топоров. Число этих топоров 16 (рис. 1 и 2). Все они однотипные. Лезвия топоров настолько тоненькие, что легко можно их согнуть рукой.

Нет сомнения, что топоры эти представляют имитацию настоящих топоров и были специально приготовлены для принесения в жертву богу грома и молнии. Место, где эти топоры были найдены, нужно считать святилищем. Известно, что топоры с древнейших времен приобрели религиозное значение и большую роль играли в культе.

Символическое изображение хеттского бога-громовержца, Тешупа, это топор, высеченный на скале Ясиликая (Богазкёй). Эмблемой для ара-



мейского бога грома и молнии, Алади, служил топор. Принесение топора в жертву божеству подтверждено в разных местах Передней Азии.

В Месопотамии, например, найден топор-молот с клинописной надписью, из которой узнаем, что этот топор-молот был принесен в жертву богу Алади. Надпись на этом топоре гласит: „Алади, мое божество, защити...“

В разных частях Европы каменные топоры признавались оружием бога Тора.

Мы склонны думать, что топоры, найденные на берегу реки Оби-нела не только имели культовое назначение, но они являлись прототипами для кобанских топоров. Место находки нужно считать наиболее древним святилищем из всех известных в настоящее время святилищ на Кавказе.

Топоры эти относятся к первой половине второго тысячелетия до нашей эры.

Бронзовые предметы, относящиеся ко второму кладу, довольно разнообразны. Из этого клада следует отметить топоры т. н. кобанского типа (рис. 3 и 4). На одном из этих топоров (рис. 4b) выведены спирали, концентрические круги с точками, клетчатый орнамент, стилизованные рога оленя и круги с точками (рис. 5). Спирали, выведенные на нашем топоре, по всей вероятности, являются символическими изображениями, свернувшихся в клубок змеи, а стилизованные олени рога — изображениями самих оленей.

Плоские „топоры“ (рис. 8 a, b) из села Квишари вовсе не имели назначения топоров и в процессе работы они употреблялись без рукоятки (рис. 9 c). Они были предназначены для резания толстой кожи. Такого рода ножи и теперь употребляются чувачниками (рис. 9b).

В коллекциях из Квишари имеется четыре маленьких инструмента для обработки дерева, хотя внешний вид их напоминает мотыгу (рис. 10).

Среди других находок из села Квишари обращает на себя внимание „лопатка“ (рис. 11 a), служившая для обработки кожи, (см. тезисы доклада на научной XXIV сессии отделения общественных наук Академии Наук Грузинской ССР 12, IV. 1947 года, стр. 12)¹ и бронзовые кольца (рис. 13 и 14). Особенно интересным является тяжелое „кольцо“ (2728 гр.) необыкновенной толщины и длины (52,5 см, рис. 14). На наружной поверхности этого кольца рельефные параллельные линии и разного рода украшения (рис. 15). Кольцо это, по всей вероятности, применялось вместо денег.

Относительно датировки этого клада можем сказать, что большинство предметов (топоры т. н. кобанского типа, плоские „топоры“, долото и др.) характерны для древнейших (грунтовых) самтавских могил, относящихся ко второй половине второго тысячелетия до нашей эры.

¹ В одной из работ „Археологические разведки в ущелье реки Курь“ нами было уже отмечено, что подобного рода медное орудие служило и для обработки кожи. Вестник Государственного Музея Грузии, т. XIII-B, стр. 190, Тбилиси 1944.

ო. ჯავახიძე და ბ. ჩუბინიშვილი

ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული ძეგლები ქარა ქართლში

უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე, საქართველოს არქეოლოგთა ნაყოფიერმა მუშაობამ და, სერთოდ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაშლამ ხელი შეუწყო ამიერკავკასიის მატერიალური კულტურის ისტორიის მთელი რიგი ახალი პრობლემების დასმასა და გადაჭრას. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამიერკავკასიაში კულტურის ისტორია უშუალოდ გვიანი ბრინჯაოს ინდუსტრიით კი არ იწყება, როგორც XIX საუკუნის ევროპელი არქეოლოგები ფიქრობდნენ, არამედ მისი დასაწყისი უძველესი ქვის ხანიდან უნდა ვივარაუდოთ.

1936—1940 წლებში თრიალეთში ჩატარებული გათხრების შედეგად, გამოვლინებულ იქნა მატერიალური კულტურის განვითარების თითქმის ყველა საფეხური და მათ შორის ენეოლითური ხანის ძეგლებიც. ამ გარემოებამ ბ. კუფტინს საშუალება მისცა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მუზეუმებში დაცული ზოგიერთი არქეოლოგიური მასალის სტრატოგრაფიულად დადგენილ ძეგლებთან შედარების გზით გამოეყო ადრეული ხანის მასალები.

ჩატარებული მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ ენეოლითურ ხანაში, მტკვრისა და არეზის აუზებში არსებობდა სრულიად ერთგვაროვანი კულტურა, რომელსაც ბ. კუფტინი მტკვარ-არაქსის ენეოლითის უწოდებს (1, გვ. 124).

საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითური ხანის კერამიკა პირველად აღმოაჩინა ე. პჩელინამ 1923 წელს, კიკეთის მახლობლად. დამახასიათებელია, რომ იგი, მართალია, ამჩნევს ამ კერამიკის თავისებურებას და აღნიშნავს, რომ კავკასიაში მისი მსგავსი არსად ეგულება, მაგრამ სრულიად არაფერს ამბობს ასაკის შესახებ და მხოლოდ მასალის გარეგნულ აღწერას სჯერდება (2 გვ. 159).

1930 წელს, დიდუბეში მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ძველი დროის ნამოსახლარი. აღმოჩენის ადგილი შეაპოწმა პროფ. გ. ნიორაძემ, რომელმაც იმავეითვე მართებულად გაიგო ძეგლის ხასიათი და ენეოლითურ ხანას მიაკუთვნა იგი (3).

ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ კიკეთისა და დიდუბის ტიპის კერამიკა აღმოჩენილ იქნა დმანისშიაც ლ. მუსხელიშვილის მიერ, ფეოდალური ხანის ნაქალაქარის გათხრების დროს (4, გვ. 108; 1, გვ. 124).

ენეოლითური ხანის ძეგლი გამოვლინებული იყო აგრეთვე სოფ. ტყვიავში ს. მაკალათიას მიერ 1938—1940 წ. ყორღანული სამარხების გათხრების



დროს (5, გვ. 48). მხოლოდ ახლახან გაირკვა, რომ ზემოაქვალში 1924 წელს აღმოჩენილი კერამიკაც ენეოლითურ ხანას მიეკუთვნება (6, გვ. 69). საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის სხვა ენეოლითურ ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1937 წელს თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ ენეოლითურ კერამიკას, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკვარ-არაქსის ენეოლითის საკითხის გადაჭრაში.

რამდენიმე ხნის წინ ქართლის ერთ-ერთ კუთხეში, სხვა არქეოლოგიურ ძეგლთა შორის, გამოვლინებულ იქნა კიდევ ერთი ენეოლითური ფენა.

1946 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრმა აშხ. გ. ანანიაშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქარელის რაიონში, სოფ. დიდ ახალსოფლის მახლობლად, სკრა-ქარელის სარწყავი არხის გათხრის დროს, ხშირად ჩნდებოდა თიხის კურკლის ნატეხები და აქა-იქ ბრინჯაოს ნივთებიც. ამის შესახებ მან აცნობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტს. ინსტიტუტის დირექტორის აკად. ს. ჯანაშიას წინადადებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა მიაღწინა წინამდებარე წერილის ავტორები აღმოჩენის ადგილების დასათვალისწინებლად და სათანადო მეთვალყურეობის გასაწევად².

დიდი ახალსოფელი (ყოფილი მანწლეთი) მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სადგურ ქარელიდან დასავლეთის მიმართულებით და მისგან 12 კმ დაცილებით. სოფელს სამხრეთ-აღმოსავლეთით მიუყვება სუქითის მთა. სუქითის მთასა და სოფელს შუა მდებარე სახნავ მიწებზე, გაჰყავთ სკრა-ქარელის სარწყავი არხი.

მოწოდებული ცნობების მიხედვით, არხის გაკრის დროს კულტურული ფენები ხშირად იჩენდნენ თავს, რისთვისაც დროულად მიუქცევია ყურადღება აშხ. ანანიაშვილს და კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ნივთები დაუგროვებია.

ადგილობრივ დათვალიერებისა და შემოწმების დროს გაირკვა, რომ გადმოცემული მასალა აღმოჩენილი ყოფილა ძირითადად ორ ადგილას, რომელთაც ცალ-ცალკე განვიხილავთ.

1. არხის სათავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და მისგან 3500—3700 მეტრის დაცილებით (არხის 35—37 პიკეტებს შორის). მიწის საშუალოების დროს გამოვლინებული ყოფილა კულტურული ნაშთების შემცველი ცალკეული „ბუდეები“, რომელნიც ერთმანეთისაგან დაშორებული ყოფილან 5—12 მეტრით და მდებარეობდნენ მიწის ზედაპირიდან 0,4—1,5 მ სიღრმეზე³. არხის ორივე

¹ ინახება საქართველოს მუზეუმში, ინვ. $\frac{12-24}{1}$, $\frac{15-24}{14}$

² ჩვენ სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა მოვახსენოთ საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრს აშხ. გ. ანანიაშვილს იმ ყურადღებისა და დახმარებისათვის, რომელიც მან ამ საქმეში აღმოგვიჩინა.

³ სახელწოდება „ბუდეები“ ეგებ იმითაც გამართლდეს, რომ მათ შორის ინტერვალებში მიწა არავითარ კულტურულ ნაშთებს არ შეიცავს. სახელწოდება პირობითია.

კედელში, დაზიანებულ „ბუდეებს“ კრილში გუმბათისებრი ან ოვალური მოყვანილობა აქვთ და მათი სიგრძე 1—1,5 მ, ხოლო სიმაღლე 0,5—0,7 მ უდრის.


თითოეული „ბუდე“ დამწვარი თიხის, ნახშირისა და ნაცრის გარდა, ზშირად შეიცავს შავი ფერის თიხის ქურქლის ფრაგმენტებს ნახევარსფერული ფორმის ყურით, ობსიდიანის დაუმუშავებელ ნატეხებს, ცხოველთა ძვლებსა და კბილებს.

ზემოთ ნახსენებ „ბუდეთა“ რაოდენობა 12-ს უდრის. არხის კედლების დათვალიერების დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია მე-35 პიკეტთან მდებარე „ბუდე“, რომელიც მიწის ზედაპირიდან 0,4 მ სიღრმეზე მდებარეობდა. მისი დიამეტრი 1,5 მეტრს უდრიდა ხოლო სიმაღლე კი 0,7 მეტრს. „ბუდე“ ძლიერ დაზიანებული იყო და მისმა პრეპარაციამ მხოლოდ ერთი ქურქლის ფრაგმენ-




სურ. 1.ა

ტები მოგვცა. რესტავრაციის შემდეგ გაირკვა, რომ ეს ქურქელი წარმოადგენდა ორყურა დერგს (სურ. 1), რომელიც საერთო მოყვანილობით, მიუხე-



დავად მისი დიდი ზომისა (სიმაღლე 48 სმ), სილამაზეს არ არის მოკლებული. ამას ხელს უწყობს აგრეთვე ქურჭლის გაკრიალებული ზედაპირი და მცირე ზომის ნახევარსფერული ფორმის ყურიც.

დერგის განიერი პირი (დიამეტრი 36 სმ) ოდნავ გარეთაა გადმოწეული; პირს ქვემოთ ყელი ჯერ თანდათან ვიწროვდება, ხოლო შემდეგ კვლავ განივრდება, ყურის ძირის გასწვრივ მკვეთრად ფართოვდება და ქმნის ქურჭლის მხარს, მხარის ქვემოთ იწყება ქურჭლის მუცელი, რომელიც ზემოთ უფრო განიერია, ხოლო ქვევით, ძირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. შევიწროვება იმდენად შეუმჩნეველია, რომ მუცელს არსებითად ცილინდრული მოყვანილობა აქვს (სურ. 2). ამ ქურჭლის ძირი ბრტყელია (დიამეტრი—30 სმ). დერგს



სურ. 2. თყურა დერგი

უნდა ჰქონოდა ნახევარსფერული ფორმის განიერი და პატარა ზომის ორი ყური (ყურის „ხვრელის“ დიამეტრი—3,2 სმ), ყელსა და მხარს შუა გაკეთებული. ქურჭლის თიხა მოყვითალო ღია აგურის ფერისაა, ხოლო ძირთან გაშავებულია, შავი ლაქები აქა-იქ დერგის ზედა ნახევარსაც ეტყობა.

ჩვენ მიერ მე-35 პიკეფთან აღმოჩენილ კერამიკას უკვე არა ერთი და ორი პარალელი მოცემენება ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს შორის. იგი განსაკუთრებით ახლო დგას, ერთი მხრით, ბეშთაშენის ციკლოპურ ნაგებობათა ნანგრევების ქვეშ აღმოჩენილ ენეოლითურ

კერამიკასთან, ხოლო მეორე მხრით კი—დიდუბეში აღმოჩენილ ქურჭელთან. აღნიშნულ მასალას ისინი ემსგავსებიან ყურის მოყვანილობით, ძერწვის პრიმიტიული ტექნიკით, გამოწვეით და თიხის დამუშავებით. ფორმით კი ჩვენი ქურჭელი განსხვავდება ზემოთ აღნიშნული ქურჭლისაგან. დიდუბისა და ბეშთაშენის ქურჭელს მუცელი საკმაოდ გამოზებრილი აქვს, ხოლო დიდი ახალსოფლის ქურჭელი კი უფრო ცილინდრული მოყვანილობისაა. ფორმით მას უფრო უდგება კიკეთში აღმოჩენილი ქურჭელი, რომელზედაც მოცემულია სირაქლემის რელიეფური გამოსახულება (2, გვ. 158), მაგრამ ამავე დროს მათ შორის საკმაო განსხვავებაცაა: კიკეთის ქურჭელი უფრო მოხდენილია, გაცილებით უფრო თხელკედლიანი და უკეთ გამომწვარი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მასალისა, ჩვენი კერამიკა შედარებით შორეულ ანალოგიას პოულობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ პეტროვის მიერ 1913 წელს მალაქლუს მახლობლად დაგროვილ კერამიკულ ფრაგმენტ-



ტებთან (არქ. განყ. კოლექ. № 30—14), რომელნიც ენეოლითურ ხანას მიეკუთვნებიან. ყურის მოყვანილობითა და მდებარეობით, ძერწვის არქაულ წესის გამოყენებით, დიდ ახალსოფელში აღმოჩენილი კერამიკა ძლიერ უახლოვდება აღნიშნული მასალას (1, გვ. 73).

ჩვენი მასალა საინტერესო პარალელს პოულობს სომხეთშიც. არქეოლოგმა ე. ლალიანცმა 1913 წ. შრეშ-ბლურში, ხოლო 1927 წ. ეილარში აღმოაჩინა კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც უახლოვდებიან დიდი ახალსოფლის მასალას (7,8).

ამრიგად, ზემომოყვანილ ანალოგიების საფუძველზე შეიძლება დიდი ახალსოფლის კერამიკაც ენეოლითურ ხანას მიეკუთვნოს.

2. არხის სათაეიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2400 მ მანძილზე (არხის მე-24 პიკეტთან) მიწის სამუშაოების დროს, ზედაპირიდან 1,3 მ-ის სიღრმეზე, გამოვლინებულ იქნა კულტურული ფენა, რომლის სისქე 0,5 მეტრს, ხოლო სიგრძე 2,5 მეტრს უდრიდა.

1946 წ. სექტემბრის შუა რიცხვებში დიდი ახალსოფლის კოლმეურნე გლეხებს ამ ფენაში, 1,5 მ სიღრმეზე, აღმოუჩინიათ ბრინჯაოს სატევრის პირი. იგი სამად გაუტეხიათ და ჩვენ მხოლოდ მისი ორი ნატეხი ვადმოგვცეს. სატევარი ძლიერ დაზიანებულია, განსაკუთრებით მისი ფხები. კუნწის შერჩენილი ნაწილი გახვრეტილია. სატევრის პირს მთელ სიგრძეზე მიუყვება მკვეთრად გამოსახული ქელი; წვერი მოტეხილი აქვს (სურ. 3).

რამდენიმე ხნის შემდეგ ამავე ადგილას უპოვნიათ შავპრიალა გეომეტრიული ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც (სურ. 4).

ჩვენ მიერ ამ ფენაში ჩატარებულმა მცირე გათხრამ დამწვარი თიხის ქვეშ კიდევ სამი ჭურჭლის ფრაგმენტები გამოავლინა.

ერთი მათგანი აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,5 მ სიღრმეზე. ამოღებულ იქნა 62 ნატეხი. აღდგენის შემდეგ ვამოირკვეა, რომ ჭურჭელი წარმოადგენს დაბალსა და პირგანიერ ცალყურა ქოთანს, რომლის სიმაღლე 12,7 სმ უდრის.



სურ. 3. სატევრის პირები.



(სურ. 5) ქურქელს პირი ოდნავ შეწეული აქვს, რის გამოც მისი მხარი მკვეთრადა გამოხატული; მხარი უშუალოდ გადადის მუცელში, რომელიც კონუსისებრი მოყვანილობისა და მკვეთრად არის დაქანებული; ქურქელს ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ მას ვიწრო, ბრტყელი ძირი ჰქონია; ქურქელი ჩარხზე არის




ნაკეთები; ყური, რომელიც პირსა და მუცლის ზედა ნაწილს აერთებს, მასიური და ბრტყელია და, ქურქელის მოხდენილ ფორმასთან შედარებით, ტლანქი ნაკეთობის შთაბეჭდილებას სტოვებს. აგრეთვე ჩარ-

ხის შემწეობით უნდა იყოს გამოყვანილი პირსა და მხარს შორის მდებარე ამოღარული ზოლი, რომელიც ქურქელს გარშემო უვლის და მას ერთგვარ სილამაზეს აძლევს (სურ. 5).

დანარჩენი ორი თიხის ქურქელის ფრაგმენტები აღმოჩნდა ამავე ფენაში მიწის ზედაპირიდან 1,74 მ სიღრმეზე. მათ ხუთის მაგვარად გადაფარებული ჰქონდათ უფრო სქელკედლიანი თიხის ქურქელის დიდი ნატეხი. ქურქელის ფრაგმენტების მთლიანად ამოღება ვერ მოხერხდა, რადგან ისინი ცუდად გამოიმწვარი იყო და ამოღების დროს თითოეული ფრაგმენტი იშლებოდა.

არხის გაჭრის დროს მოპოვებული შევბრიალა კერამიკული ფრაგმენტები, რომელთაც გეომეტრიული სახეები ამკობენ. სამწუხაროდ, ქურქელის ფორმის აღდგენის საშუალებას არ იძლევა (სურ. 4). მიუხედავად ამისა, ამ მასალისათვის პარალელურად გამოიხატა შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, ისე თრიალეთურ კერამიკაში. ორივე შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს გეომეტრიული ორნამენტაციის „ამოკაწვრითი“, თუ „ქდეული“ ტექნიკის ადრეულ საფეხურებთან. გარდა ამისა, ჩვენი კერამიკა ახლო ანალოგიებს პოულობს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომ-




სურ. 4.

ლის გ. გობეჯიშვილის მიერ „ნაცარგორაზე“ (სტალინირის მახლობლად) აღმოჩენილ შავპრიალა თიხის ქურქლებთან (9).

ბ. კუფტინი აღნიშნულ კერამიკას მიაკუთვნებს შუა ბრინჯაოს ხანას, ე. ი. II ათასწლეულის პირველ ნახევრის პოლოს; დაახლოებით იმავე ეპოქითათარიღებს თავის მასალას გ. გობეჯიშვილიც; ვფიქრობთ, რომ არ შეეცდებით, თუ ამავე ხანას მივაკუთვნებთ დიდი ახალსოფლის მახლობლად აღმოჩენილ შავპრიალა ორნამენტირებულ თიხის ქურქლის ფრაგმენტებს.

არხის გაპრის დროს მოპოვებულ სხვა ნივთთა შორის გადმოგვცეს აგრეთვე სპილენძისა თუ ბრინჯაოს სატევრის პირი, რომელიც თითქოს მე-35 პიკეტთან აღმოჩენილა, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ჩვენ შემდეგ ვიპოვეთ ზემოთ აღწერილი ენეოლითური ხანის ქურქელი. იგი ბრტყელია, ფოთლისებრი მოყვანილობისა, ორფხიანი, მხრებდაქანებული; ფართო და მოკლე, გახერცული კუნწი აქვს; ცალ მხარეზე ოდნავ გამოსახული ფართო ქედი მიუყვება; მას წვერი მოსტეხია. (სიგრძე სატევრისპირისა 10,6 სმ, ხოლო სიგანე—3,8 სმ



სურ. 5.

უღრის სურ. 3, a). ძნელი სათქმელია, თუ რომდენად სწორია ცნობა ჯამ სანის აღმოჩენის ადგილის შესახებ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით სატევრის პირს ვერ მივაკუთვნებთ იმავე ხანას, რომელიც ქურქლისათვის დავადგინეთ. ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით, მის ასაკს შუა ბრინჯაოს ხანაზე ადრე ვერ გადავტანათ. ასეთ დათარიღებას ისიც უწყობს ხელს, რომ დღეს ამიერკავკასიაში ჩვენ სატევრის პირს ახლო ანალოგიები მოეპოვება. იგი განსაკუთრებით უახლოვდება თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილ სატევრისპირს (4, ტაბულა CV); მათ შორის არა მარტო გარეგნული მსგავსებაა, არამედ ისინი

დაახლოებით ერთი ზომისაც არიან. სამწუხაროდ, ბ. კუფტინი სრულიად არ განიხილავს სატევრისპირს და მხოლოდ მის ფოტო-სურათს იძლევა, მაგრამ მის თანმხლებ ინვენტარს კი შუა ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს.

საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცული მასალებიდან ჩვენი სატევრისპირი მოგვაგონებს ე. ლალიანიცის მიერ 1905 წელს სევიანის ტბის მახლობლად აღმოჩენილ სპილენძის თუ ბრინჯაოს ბრტყელ სამკუთხა, ორფხიან სატევრისპირს $\left(\text{კოლექ. } \frac{20-05}{V-4} \right)$. ამ შემთხვევაში ჩვენ

გვკაყოფილდებით ამ სატევრისპირის ხსენებით, რადგან, სამწუხაროდ ე. ლალიანიცის კოლექციებში არეულია სხვადასხვა დროის მასალები და აღნიშნული სატევრისპირის აღმოჩენის ვითარების დადგენა შეუძლებელი ხდება.

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს რაზმმა, 1940 წელს, სამხრეთ უბანზე ყორღანული ტიპის სამარხში (№ 243), სხვა უნიკალურ ნივთთა შორის აღმოაჩინა ბრინჯაოს სატევრისპირი; იგი უფრო პატარა ზომისაა და ფორმითაც განსხვავებულია, ვიდრე ჩვენი. დიდ ახალსოფელსა და თრიალეთში მოპოვებულ სატევრისპირებს მხრები დაქანებული აქვთ, სამთავროულს კი სწორკუთხოვანი. უკანასკნელი გამოირჩევა თავისი მოხდენილობით, თორემ სხვა მხრივ ბევრი საერთო აქვთ და უდაოდ სამივე ერთ ტიპს მიეკუთვნება. სამთავროს სატევრისპირთან ერთად აღმოჩენილი იყო ოთხწახნაგოვანი ვიწრო და გრძელი ბრინჯაოს მახვილი, რომელსაც მის შემცველ სამარხთან ერთად ბ. კუფტინი შუა ბრინჯაოს ხანით ათარიღებს. ზემოთ აღნიშნულის გამო დიდ ახალსოფელში აღმოჩენილი სპილენძის თუ ბრინჯაოს სატევრისპირიც ამავე ხანას უნდა მიეკუთვნოს.

არხის მე-24 პიკეტთან აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრის პირი, რომლის მხოლოდ ორი ფრაგმენტი-და გვაქვს ხელთ, (სურ. 4 ბ) და დაბალი ცალკურა ქოთან (სურ. 5) უფრო მოგვიანო ხანას უნდა მივაკუთვნოთ. ეს სატევრისპირი მოყვანილობით უახლოვდება ყობანში და ამიერკავკასიაში გავრცელებულ გვიანი ბრინჯაოს ხანის ზოგიერთ სატევრისპირს; ქურქელი კი ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს ზემოთ აღწერილ სატევრის პირს და ანალოგიებს პოულობს ჩრდ. ქართლის ამავე ხანის მასალებში.

მოწოდებული ცნობების თანახმად და შემთხვევით მოპოვებული მასალების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მიდამოს სხვა ადგილებში აღმოჩნდება ენეოლითური ხანის ძეგლები. არა ნაკლებ საინტერესო უნდა იყოს „ნაცარ-გორაც“, რომელიც სოფლიდან I კმ არის დაცილებული; თვით მისი სახელწოდებაც თავისთავად იმედს გვაძლევს, თუნდაც იმიტომ, რომ გ. გობეჯიშვილის მიერ სტალინირის მახლობლად აღმოჩენილმა და გათხრილმა „ნაცარგორამ“ ესეოდენ შესანიშნავი არქეოლოგიური მასალა მოგვცა (9).

ჩვენ საკმაოდ საფუძვლიანად დაუკავშირეთ დიდი ახალსოფლის ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის ძეგლები ამიერკავკასიის სინქრონულ მასალებს. ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითური კულტურის შესწავლისათვის კიდევ ერთი ახალი წყარო გაჩნდა; მისი მნიშვნელობა იზრდება იმითაც

რომ ზემოთ მითითებული კერა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, სადაც მხოლოდ უკანასკნელ წლებში იშლება ფართო არქეოლოგიური სამუშაოები.

დიდი ახალსოფლის ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა იმდენად მნიშვნელოვანი ჩანს, რომ იქ სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაშლამ შეიძლება პირველხარისხოვანი ძეგლები მოგვეცეს ქართული კულტურის უძველესი ფესვების შესასწავლად.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Б. А. Куфтин.—Урартский „колумбарий“ у полошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. Вестник Гос. Музея Грузии XIII-V 1944.
2. Е. Пчелина.—Археологическая разведка в районе Тriaлетского хребта близ гор. Тифлиса. Вестник Гос. Музея Грузии т. V 1930.
3. გ. ნიორაძე.—დიდუბის ენეოლითური ხანის ძეგლები, (ხელნაწერი).
4. Б. А. Куфтин.—Археологические раскопки в Тriaлети. I Опыт периодизации памятников, Тбилиси, 1941.
5. ს. შაკალაძე.—ტყვიანის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები. თბილისი, 1943.
6. Б. А. Куфтин.—К проблеме энеолита внутренней Картли и Юго-Осетии. Вестник Гос. Музея Грузии, XIV-V. 1947.
7. Е. Байбуртия.—Псевдонеолитические поселения Армении. Проблемы истории материальной культуры, № 1—2 Ленинград 1933.
8. Е. Байбуртия.—По поводу древней керамики Армении из Шреш-Блура. Советская Археология т. III. м. 1937.
9. გ. გობეჯიშვილი.—არქეოლოგიური გათხრები ჩრდილო ქართლში (1945 წლის კამპანიის წინასწარი შედეგები, ხელნაწერი).

ალ. ბარამიძე

ნაჩუქარი „მეფის-ტაოხანის“

(მოკლე აღწერილობა)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავჯდომარემ ამხ. პაპიანმა საქართველოს მთავრობას გადმოსცა, როგორც სომხეთის ხალხის საჩუქარი, „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერი. ეს ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხელნაწერთა ახალი კოლექცია (Q) № 859 სიფში.

„ვეფხისტყაოსანის“ ეს ხელნაწერი ძალზე დეფექტურია. გადარჩენილი ტექსტი ხელნაწერის მხოლოდ ნაშთს შეიცავს. ხელნაწერის ზომაა 17×18 სანტიმეტრი. ხელნაწერი დაშლილია ცალკე ფურცლებად, გადარჩენილია სულ 60 ფურცელი. ნაწილი ფურცელთა დასტაა. ამჟამად ხელნაწერი საუცხოოდ არის რესტავირებული სომხეთის სახელმწიფო მუზეუმის „მატენადარანის“ სპეციალისტების მიერ და ჩასმულია ძვირფას ბორდიურში. ოღონდ ხელნაწერის ცალკეული გაქვავებული ნაწილები, რომელთა ტექსტი, ალბათ არ იკითხებოდა, ხოლო მათი ფურცლებად დაშლა სახიფათო ჩანდა, შეკრულია დასტებად და ჩასმულია ცელულოიდისგან შემზადებულ კონვერტებში. ასეთი 5 დასტაა, მეტ-ნაკლები სისქისა. ჯერ-ჯერობით ჩვენც თავი შევიკავეთ დასტების დაშლისაგან ხელნაწერის საშიშ მდგომარეობის გამო. მაშასადამე, არსებითად ხელნაწერში გაცილებით მეტი ფურცელია და მეტი ტექსტი, ვიდრე ზევით აღნიშნული ციფრი (60) მიუთითებს, მაგრამ ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილით სარგებლობა ახლა შეუძლებელია.

„ვეფხისტყაოსანის“ ამ ხელნაწერს თარიღები არ შერჩენია, მაგრამ ხელნაწერის პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლა არავითარ ექვემს არ ტოვებს, რომ ის გადაწერილია XVII საუკუნეში, უფრო მიახლოებულად—XVII საუკუნის მეორე ნახევარში. პოემა გადაწერილია ლამაზი და ტიპიური მდივანმწიგნობრული ხელით. მელანი შავია. პოემის სათაურები, სტროფის დასაწყისი სიტყვები და აქ-იქ საკუთარი სახელები შესრულებულია სინგურით. ყოველი სიტყვის შემდეგ დასმულია ორი წერტილი. ტექსტი ამეტობით ხასიათდება, მაგალითად: „ვარდი: მისი: მზისა: გაყარლი: უფრო: და: უფრო: ჭკანებოდა“ (164). აშიებზე ბლომათ მოიპოვება სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა პირის უმნიშვნელო მინაწერები (რამდენიმე მინაწერი ნუსხურია), ზოგიერთი მინაწერის ტექსტი ნაიანია და კარგად აღარც იჩნევა. დასახელებულ მინაწერთაგან საინტერესოა შემდეგი ორი მინაწერი:

3. საქართველოს მუზეუმის მოამბე ტომი XV B.



1. „მონა: ლუთის:• შეწული:• გაურგენას:• დაუწერია:“¹ „მონას:• ლუთის:• გაურგინასია:“ მინაწერები საკმაოდ გამართული ხელნაწერული, ძველია, გადაწერის დროს დიდად არ უნდა იყოს დაშორებული. ოღონდ გადაწერის ხელი სხვაა და გურგენასი სხვა. ამიტომაც „გაურგენას დაუწერია“ (ჩანაწერებს ა-მეტობა ახასიათებს) უნდა მიუთითებდეს არა ხელნაწერის ტექსტის გადაწერზე, არამედ მინაწერის ავტორზე. ამასვე უნდა ადასტურებდეს მეორე მინაწერიც— „ზონას ლუთის გურგინასია“ ეს ხელნაწერი წიგნო-ერთი სიტყვით, ვგონებ საცილობელი არ უნდა იყოს, რომ ქართული მწიგნობრობის მოყვარული უცნობი გურგენა (ან გურგინა) ხელნაწერის პატრონი ყოფილა და არა გადაწერი. საერთოდ კი ვეფხისტყაოსანის ხელნაწერი ქართული მწიგნობრობის მიმდევარ სომხურ წრეში ყოფილა გავრცელებული. ორჯერ ხელნაწერის აშიაზე მოხსენებულა ვილაც სარქისა: 1. „(მო)ნებითა და შეწვენითა სარქისა შ... (აქ მინაწერი ჩამოუჭირათ წიგნის აკინძვის დროს) ნენიასა“. 2. „რას მიზამ სარქისას...“ ამიტომ იქნებ შემთხვევითი არ იყოს, რომ გურგენასეული „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ სომხეთში აღმოჩნდა კერძო პირების ხელში, ვიდრე მას სომხეთის მთავრობა შეიძენდა.

წაკითხვების მხრით აღნიშნული „ვეფხისტყაოსანი“ ვერაა მაღალი ღირსებისა. აქ ხშირია სხვადასხვა რიგის დამახინჯებანი. სტროფული შემადგენლობით ტექსტი ვრცელი რედაქციისაა, ოღონდ ვრცელი რედაქციის შედარებით მოკლე ვარიანტს იძლევა. ხელნაწერში მოიპოვება შემდეგი სტროფები (სტროფები ნაჩვენებია ს. კაკაბაძის 1913 წლის გამოცემის მიხედვით: 147, 147¹, 148, 149, 150—157, 158—160, (—არაა 158¹—159¹), 161—163, 164, 164¹, 165—168, 168¹, 169, 170, 171—177, 177³, 178—189, 189¹, 190—197, 197¹, 198—202, 202¹, 203—206, 208, 208¹, 209—213, 214, 214², 215—227, 228—231, 231³, 232—236, 236¹, 236², 315—316,* 318—323, 401, 402, 402¹, 403—407, 624—626, 1407, 1408, 1408¹, 1409—1452, 1452¹, 1453—1477, 1477¹, 1478—1561, 1561¹, 1561², 1561³, 1561⁴, 1561⁵, 1562—1611, 1611¹, 1612—1622, 1622¹, 1623, 1623¹, 1624—1633, 1633³, 1634—1637, 1637¹, 1637², 1638—1641, 1641¹, 1641². 1642, 1642³, 1643—1651, 1651⁵, 1651⁶, 1652—12682, 1682¹, 1683—1719, 1719¹, 2720, 1748—1754, 1756¹, 1757, 1758.

აქა-იქ. განსაკუთრებით ბოლო ნაწილში სტროფების აქ აღნიშნული თან-მიმდევრობა დარღვეულია.

მოგვაქვს ტექსტის ბოლო;

ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად,

აგრევე თმოგვი შესაეღითა თმოგუთაგანვე დარჩა ობლად;

ესე სიტყვა მოახსენეს, ვინ სჩანს გმირი რაზმთა მწყობლად.

და ნან მიბრძანა ლექსად თქვიო, მქველ-ქართულად შესაწყობლად.

დავითის ქართველ მეფისა ვის შზე მსახურებს მართებლად,

ესე ამბავი გავლექსე მე მათად მოსა მარებლად,

* როგორც ჩანს, შემთხვევით არის გამოჩენილი სტროფი 317 (—დურჯანი მივსცენ).

ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ბართა მართებლად
და მისთა ორგულთა დამწველად ერთგულთა გამხარებელად.
მე ვთქვი ქება თამარისა და მელთა შინა მნათისა,
ვთქვი ქება მათი მზისა და მქონდა მიზეზ(ი) (მათისა),
რომანულისა თვალისა მის ბრო(ლისა და სათისა).
და მემცა ვით მექო, ვერ აქეს (ბრძენნი თუ შეკრბენ ათისა).
ცნობილი სტროფი „გასრულდა მათი ამბავი“ უსწრებს სათაურს: „(ფრი-
დონ) მოვიდა ტირილით, ტარიელ, ავთანდილ (და) ცოლი მათი იტირა“:
(გ)ასრულდა მათი ამბავი, ვითა აჩრდილა ღამისა,
(გარ)და(ვლ)ეს. გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა,
(ვის) (გ)რძლად ჰგონია, მისთვიცა არის ერთისა წამისა.
(და) (ვწე)რ მესხი ვინმე მელექსე მე რუსთველისა თემისა.
როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს „ვეფხისტყაოსანი“ ვრცელი რედაქ-
ციისაა. საექვოდ თუ ჩანართად მისაჩნვე სტროფებიდან* ხელნაწერში
გადარჩენილია შემდეგები: 147¹, 163¹, 164¹, 168¹, 189¹, 202¹, 208¹, 214², 231⁵,
236², 402², 1408¹, 1452¹, 1477¹, სულ 15 სტროფი. ამ 15 სტროფიდან „ვეფხისტ-
ყაოსნის“ საიუბილეო აკადემიურ გამოცემაში შესულია 5 სტროფი; ქიქინაძის
გამოცემაში—11, ს. კაკაბაძის მეორე, 1927 წ. გამოცემაში—8.
თვალსაჩინოების გულისათვის აქვე ვიძღვევით სათანადო ცხრილს:

სტროფის სა- თვალსა- ჩინობის 1913 წ. წ. ნ.	სტროფის პირველი ტაგების ტექსტი	უღრის აკ- დემ. გამო- ცემ. სტროფს	უღრის აკ- დემ. გამო- ცემ. სტროფს	უღრის აკ- დემ. გამო- ცემ. სტროფს
147 ¹ 163 ¹	მისი ცეცხლი გულსა ჩემსა მამდებია, დამდებია მოვგონის მისი მკვლელი, შეეყაროს ხორცი თრთოლა	—	—	139
164 ¹	იგი, პირად მზისა მგზავსი, სრულად სოფლის ხედა ხმელთა	—	196	—
168 ¹	ხედ წაადგა, შეექცევის, დროთა დღეთა ანგარიშობს	—	199	158
189 ¹	ჩემნი ძმა, გლახ, დაკოდილი მასვე წამსა ჩამოვარდა	185	204	163
202 ¹	ყმამან უთხრა: დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვიდეს	—	229	187
208 ¹	ავთანდილ თქვა: ჟამად გპოვე, ვრბოდი ვისთავის სურვილითა	222	245	—
214 ²	ყმა ეტყვის; მხედავ, სისხლისა თვალთა მდის ცოცხელთა წყალები	—	—	—
231 ⁵	მამა, რადგან მიჯნურობა ჩემად ღონედ მოიგონე	—	260	215
236 ² 136 ³	იმა მოყმისა ამბავი არსად არ იპოების ყმამან უთხრა: ვარდო, დაქვნი, დრო მოვიდა შენის ზერისა	253 259	279 285	233 239
402 ¹	მას კაცსა და უმუქმე, ვერვინ თქვას ჩემი ბართა	—	—	—
1408 ¹	ავთანდილცა მიუმტკივნა, იტყვის დიდსა სიმძიმისა	—	—	—
1452 ²	ავთანდილ იცნეს, გაისმა ხმა მათგან სიხარულისა	1459	1529	1456
1477 ¹	ტარიელ ფრიდონ გაგზავნა მის ყმისა მოსაყუანელად	—	1574	—
		—	1601	—

* მხედველობაში ვღებულობთ „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად, უდაო ნაწილს.



მოტანილი ცხრილი ცხადყოფს, რომ აქ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შედარებით ნაკლებ შეიცავს ჩანართ სტროფებს, სტროფული შემადგენლობის მხრით ის ახლოსაა საგულვებელ არქეტიპ ხელმძღვანელთან. აქ მოიპოება ისეთი სტროფები, რომლებიც უმეტეს წილად ან უძველესი წარმოშობისაა ჩანართების თვალსაზრისით, ანდა, შესაძლებელია თვითონ პოემის კუთვნილებას შეადგენს. ყოველ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ „დანართი“ სტროფების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შესულია „ვეფხისტყაოსნის“ ბექდურ გამოცემაში, მათ შორის, აკადემიურ საიუბილეო გამოცემაში. რედაქციული სიმოკლე, ნართაული სტროფების იშვიათობა, ე. ი. ტექსტის არქეტიპული ხასიათი შეადგენს აღნიშნული „ვეფხისტყაოსნის“ დიდ ღირსებას. „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ისტორიაში ეს ხელნაწერი დაიჭერს საპატიო ადგილს. საერთოდ და მთლიანად ეს ხელნაწერი იშვიათი შენაძენია და დიდი განძია.

ელ. მებრეველი

ნიარსალაიმის მრთი ხელნაწერი

(მეცნიერული აღწერილობის ცდა)

საქართველოს მუზეუმის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი, რომელიც რამდენიმე ათას ხელნაწერ წიგნს შეიცავს, დღესდღეობით ვახდა აღწერისა და შესწავლის საგანი. ამ ფონდიდან მრავალი მნიშვნელოვანი ხელნაწერი გამოვლინდა, უფრო მეტი გამოვლენას ელის.

ამ ფონდში თავმოყრილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან შემოსული ხელნაწერები. აქვეა შესული ჯრუჱის მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია. ჯრუჱის ხელნაწერები, როგორც მრავალ მინაწერებიდან ჩანს, წერეთლების განსაკუთრებული მზრუნველობის საგანი იყო. მრავალ მათგანს თვით მიტროპოლიტის (წერეთელი) ხელით გაკეთებული მინაწერები და შენიშვნები აქვს.

ჯრუჱის მონასტრის და ამ მონასტრის ხელნაწერებს ადრე მიუქცევიათ მკვლევართა ყურადღება.


უკვე აკად. მარი ბროსემ თავის არქეოლოგიურ მოგზაურობათა Rapports 1-ებში იდიდი ადგილი დაუთმო ჯრუჱის მონასტრის—იქ ნახულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს და ხელნაწერებს. მაგრამ მარი ბროსეს მიზნად არ დაუსახავს ჯრუჱის ხელნაწერთა სრული კოლექციის წარმოდგენა; მან ყურადღება მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერზე შეაჩერა; მას აქვს პირველად აღწერილი ჯრუჱის ორი მინიატურებიანი სახარება, დღეს „ახალი“ და „ძველი“ ჯრუჱის სახელით ცნობილი.

ეს ფონდი მხედველობის გარეშე არც თ. ჟორდანიას დარჩენია, მას ისინი ადგილზე უნახავს, მთელი რიგი მნიშვნელოვანი მინაწერები გადმოუღია და „ქრონიკებში“ შეუტანია.

აკად. მ. ბროსეს და თ. ჟორდანიას ჯრუჱის ხელნაწერების შესწავლა მიზნად არ ჰქონიათ, მაგრამ, სხვა ცნობების უქონლობის გამო, მათ მიერ მოწოდებულ ცნობებს უთუოდ მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მკვლევარები ხშირად მიმართავენ მათ არა სრულ და ხშირად არა სწორად მოწოდებულ ცნობებს.

1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ჯრუჱის მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია ჩამოიტანა და გადასცა მუზეუმს, ამ გზით დაკარგვას გადაარჩინა ხელნაწერთა ერთი უმდიდრესი კოლექცია. ეს ხელნაწერები ამჟამად შესულია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში №№ 1660—1697 და აღწერა—დამუშავების პროცესშია.

1 M. Brosset—Bapports sur un vogage archeologique XII rap.



ჯრუჭის ხელნაწერთა აღწერა მე მხვდა წილად. ბევრია ამ ფონდში მნიშვნელოვანი და საინტერესო: საყოველთაოდ ცნობილი „ქრუჭის სახარებები“, X—XI საუკ. ეტრათი—იოანე ოქროპირის „ქადაგებები“, გადაწერილი საბას ლავრაში. „სჯულის კანონი“—არა უგვიანეს XIII საუკუნისა, შესანიშნავად შენახული, მშვენიერი კალიგრაფიული ხელით შესრულებული და დიდი ოსტატობით გაფორმებული¹.

ხელნაწერთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამ მოხსენების მიზანია ჯრუჭის მონასტრიდან ჩამოტანილი იერუსალიმის ერთი ხელნაწერის აღწერა, რათა ცნობილი გახდეს მისი არსებობა ჩვენი მუზეუმის ხელნაწერთა საცავებში.

ხელნაწერი, რომელზედაც ჩვენ ვჩერდებით, საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა კატალოგებში H—1661 ნომრის ქვეშ არის გატარებული.

ხელნაწერი დიდტანიანია; შეიცავს 340 ფურცელს; ზომა—25×18; დაწერილია მშვენიერად ქრთმულ ეტრატზე კალიგრაფიული ნუსხურით; შინაარსობრივად გიორგი მთაწმინდელის თარგმნილი „დიდი სვინაქსარია“, „დიდი სვინაქსარის“ უძველეს ნუსხათა შორის ყველაზე კარგად და სრულად შენახული.

ხელნაწერი გადაწერილია 1155 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ვინმე უცბად მჩხრეკალის გიორგი დოდისის მიერ. ეს ცნობები თავმოყრილია ხელნაწერის ანდერძში: „დაიწერა წიგნი ესე წა ქალაქსა ირუსალიმსა მონასტერსა შინა ჯრისასა კელითა უცბად მჩხრეკალისა ფრიად უღირსისა ხუცეს მონაზონისა გიორგი დოდისითა. სრულ იქმნა ღწლსა წათასა მოსაქცენებელი ესე წიგნი ბერძენთა ზედა მეფობასა მანოელისა, ქართლს დიმიტრისაჲ, იწლმს ბულდონისაჲ, დასაბამითგანნი წელნი იყენეს ხნით და ქორონიკონი ტოგ“ (ქორონიკონი (უჟღად იკითხება) 338 V).

ხელნაწერი გადაწერილია დასაბამითგან 1155 წელს, ხოლო ქორონიკონით 1153 წ. ვინაითგან ქორონიკონი ცუდათ იკითხება, შესაძლებელია ორი წლის შეცდომა ცუდი ამოკითხვის შედეგი იყოს.

ხელნაწერი, გარდა იმისა, რომ საინტერესოა, როგორც ერთერთი ძველი ნუსხა გიორგი მთაწმინდელისეულ სვინაქსარისა¹, მნიშვნელოვანია მთელი რიგი მინაწერებითაც, რომელზედაც გვიხდა შევჩერდეთ.

ხელნაწერი გოლგოთას საკუთრება ყოფილა. ამას მინაწერები მოწმობენ.

1. „ესე სინაქსარი აღდგომის საფლავისა არის“ 2 v.

2. „ესე წა წიგნი წმიდის გოლგოთისა არს ძმანი უწყოდეთ“ 339r. ხელნაწერი ჯვრის მონასტერში ინახებოდა XIX ს. პირველ ათეულში.

¹ ამ ხელნაწერის შედგენილობის შედარებამ ჩვენს მუზეუმში არსებულ „დიდი სჯულის კანონის“ უძველეს ნუსხებთან და აგრეთვე გელათის კოლექციის №№ 17 და 25-თან დაგვარწმუნა, რომ უძველეს ხელნაწერთა შორის „ჯრუჭის სჯულის კანონი“ H—1663 ყველაზე სრულია. გარდა ვრივთლ მონაზონის პასქალიისა, რომლის მხოლოდ დასაწყისია შესული გელათის ხელნაწერ № 17-ში, ჩვენ ხელნაწერს გააჩნია ისეთი კანონები, რომელთაც უძველესი ნუსხები არ იცნობენ.

² განსხვავებით სხვა სვინაქსარებისაგან აქ შესულია ჯვრის მონასტრის აღმშენებლის პროზორეს ცხოვრება, რომელიც პირველად თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა ქრონიკების II ტომში. ხოლო მეორეჯერ დ. ყიფშიძემ „Житие Прохора, муч. Луки и муч. Николая Двадц. Известия Кавказского Ист. Археол. Института, т. II. 1917—25 г.

164v—165r ვკითხულობთ; „ამ ქვს ჩყვ, ამ დღეს, ამ თვეს, იერუსალიმის ჯვარის მონასტერში დავდგი მე ყოვლად ცოდვილი და უღირსი ბერი. არა ღირსი მღვდლობისა, მონაზონი ლავრენტი გოგელაძე, ბერი ოკრიბელი ქე შე ლავრენტი ან“ ამრიგად ლავრენტი გოგელაძე იერუსალიმის ჯვარის მონასტერში ჩასულა და 1806 წელს ეს ხელნაწერი ხელთ ჰქონია. 1812 წელს ხელნაწერი უკვე იმერეთშია. ამას მოწმობს მეორე მინაწერი: „ქ. ქორონიკონს ჩუიბ ეამი იყო, იმერეთი გასწყვიდა, სიმშილი სხვა იყო, რომ დასაბამიდგან არ ყოფილა“, 339r. ეს არის მითითება შავ ჰირზე, რომელიც 1812 წელს მძვინვარებდა დასავლეთ საქართველოში.

ლავრენტის საგანგებოდ შეუსწავლია ეს ხელნაწერი; განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან ადგილებზე მკითხველის ყურადღების მისაქცევად მინაწერები გაუკეთებია. ასე მაგ. 1r-ზე საჩინო ადგილას ლავრენტის ხელით მიწერილია: „იხილეთ თებერვალი იბ იქ ნახავთ ჯვარის მონასტრის ამბავს. ლავრენტი შეიწყალო უფალო. ჩყვ“ მითითებულ ადგილას პროზორეს ცხოვრებაა. სავარაუდოა, რომ ეს ცხოვრება ამ სვინაქსარში შევიდოდა პირველად¹.

მეორე ადგილი, რომლისათვისაც მიუქცევია ყურადღება ლავრენტის და შენიშვნის სახით კიდევ გამოუტანია, არის შემდეგი: „ეფთიმეს მამის სახელი ერისკაცობას აბულერით. თუ გინდა ნახე იენისსა იდ... 180r. მართლაც, მითითებულ ადგილას ვკითხულობთ: „თა იენისსა იდ... ამისვე დღესა მიცვალეზა ნეტარისა მამისა ჩნისა იოანესი, ეფთუმეს მამისადა, ჰუმარიტისა მის მონაზონისა და ქს ნების მყოფელისადა, რლსა პირველ აბულერით ერქა ერის მთავრობასა“² 202r. ეს ცნობა უთუოდ საინტერესოა და ლავრენტის მხედველობის გარეშე არ დატრიალდა.

ლავრენტის ცნობები ჩვენს ხელნაწერის შესახებ იერუსალიმის სხვა ხელნაწერებაც შემოუნახავს. ა. ცაგარელის იერუსალიმის ხელნაწერთა აღწერილობაში, 146 N-ის³ ქვეშ, აღწერილია XII—XIII საუკუნის ერთი ხელნაწერი— „თარგმანება ფსალმუნთა“—ათანასე ალექსანდრიელისა.

ამ ხელნაწერიდან ა. ცაგარელს გამოტანილი აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი მინაწერი, რომელიც ლავრენტი ოკრიბელს ეკუთვნის. აქ ვკითხულობთ: „იმერელი ოკრიბელი ბერი ლავრენტი ქორიკონს ჩყვ... წერა არ ვიცოდი, მაგრაჲ

¹ ჯვარის მონასტერში გადაწერილი ამ ხელნაწერზე ადრეული სვინაქსარი, სადაც პროზორეს ცხოვრება იყოს შესული, არ გვეჩვენება.

² ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტის „ანალებში“ გამოქვეყნდა მაქს. ბერძნიშვილის წერილი: „იოანე ვარაზ-ვაჩესათვის“, სადაც ავტორი არცევეს, რომ იოანე ვარაზ-ვაჩე და იოანე ათონელი ორი სხვადასხვა პირია და რომ იოანე ათონელის ერისკაცობის სახელი აბულერით არის. ეს უთუოდ საყურადღებო მოსახრებაა, დამაჯერებლად დამტკიცებული, მაგრამ კარგი იქნებოდა მაქს. ბერძნიშვილს ჯრუჭის სვინაქსარის ცნობაც გამოეყენებია. პატივცემულ მკვლევარს არ მიუქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვისაც, რომ ცნობა იოანეს ერისკაცობის სახელის შესახებ შესული „დიდა სვინაქსარის“ უძველეს ნუსხებშიც, მაგ. A—193, რომელიც XI საუკუნისად ითვლება. სიძველის მხრივ არც ჩვენი ხელნაწერია მნიშვნელობას მოკლებული ეს ნუსხები პირებია გიორგი ათონელის თარგმნილი „დიდი სვინაქსარისა“, ამდენად უშუალოდ გიორგი მთაწმინდელისაგან უნდა მომდინარეობდეს, რაც უფრო სანდოს ხდის ამ ცნობას.

³ A. Пагарели. Памятники грузинской старины. ст. 189—190.



ამბის შეტყობისათვის დავეწერე: მე უღირსი ცოდვილი იმერელი ბერი ლავრენტი მღვდელ-მონაზონი მოვედი აქა წმ. ჯვარსა იერუსალიმს წყალობითა ლუთისათა და წინაამძღრობითა ჯვრის მამა ათანასისათა და დავდექი ამ ჯვრის მონასტერში... აქ იერუსალიმს იხილეთ წა გოლიგოთას შუაზე ეპისკოპოზის საჯღომი სკამი და ქვა, თავქვეით არის წასაკითხავი და აქ სცნობთ ჰამბავს. და წმიდა დიდი შესავალი კარი, ქვედა კარი ნათელმხიარულისა, თუ რა სწერია მით სცანთ წმ. ამის იერუსალიმის საქმე და ამბავი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია და თეოდორეს და მამათ მთავრის აბრაამის ეკლესია, ყველგან ქვები და წერილები აცხადებს ჩვენს ქვეყნის ნაჭირნახულებს და თუ ვის გაუკეთებია და ხარჯი უქნია. და ვინც ამ ჯვარის მონასტერში [მოხვიდეთ] „გოლგოთას ხინაქსარი“ აქ არის და დასაწყის თავში იხილეთ და ნახეთ თუ ვისია გოლგოთა. და აქა ჯვრის მონასტერში მხედრული დაწერილი „მოსახსენებელი სახელები“ განიხილეთ დოსთეოზ ბატრიარქის დროს და მით სცნობთ ამა წმიდა ალავის ამბავს და ვინც ამოიკითხოთ ცოდვილისა მონაზონისა ლავრენტისათვის შენდობა ბრძანეთ. ჩყზ“.

ამ მინაწერის მიხედვით ლავრენტი ოკრიბელი იერუსალიმის ქართულ სიძველეთა მცოდნე ჩანს. მას აინტერესებს ქართველთა ადგილი, ქართველთა ღვაწლი და დამსახურება იერუსალიმის „წმიდა ადგილთა“ დაცვა-სამსახურში. ამ მინაწერებში ლავრენტი, როგორც თვითონ ამბობს, „ამბის შეტყობისათვის“ ასახელებს ხუთ წყაროს იერუსალიმის ქართულ სამონასტრო ცხოვრების მასალების შემცველს.

ლავრენტის დასახელებული წყაროები შემდეგია:

I—წარწერა საპატრიარქო კათედრაზე გოლგოთას ტაძარში. ეს წარწერა ტიმოთეს უნახავს იერუსალიმში მოგზაურობის დროს, შეუტანია თავის „მოხილავში“¹, წარწერის ტექსტი „მოხილვიდან“² ა. ცაგარელს გადმოუღია და დაუბეჭდავს თავის „Пам. груз. старинны“³, ვინაიდან იერუსალიმში მისი მოგზაურობის დროს ეს კათედრა აღარ აღმოჩნდა, 1808 წლის ხანძარმა სხვა მრავალ სიძველესთან ერთად შთანთქა.

II—წარწერები აღდგომის ეკლესიის კედლებზე.

III—ნიკოლოზის, აბრაამის და თეოდორეს ეკლესიების წარწერიანი ქვები (ამ ეკლესიებში ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლების სიმრავლეზე ტიმოთეც მიუთითებს).

IV—მოსახსენებელი სახელები მხედრულად დაწერილი.

ამ მოსახსენებელისათვის ნ. მარს მიუკვლევია. მან ის წინ წაუმძღვარა „ჯვრის მონასტრის ალაპებს“⁴.

V—„გოლგოთას ხინაქსარი“ რომლის დასაწყისში სწერია: „თუ ვისია გოლგოთა“.

¹ „მოხილვა“—ტიმოთესაგან გვ. 151 სქ. 86.

² А. Чагарели. Памят. груз. старинны. გვ. 247.

³ Н. Марр—Синодик крестного монастыря. გვ. XIX.

ამ სინაქსარის შესახებ ა. ცაგარელი წერს: „Голгофского свинарария, виденного Лаврентием в Крестном монастыре, с записью в начале о принадлежности Голгофы грузинам, я не видел.“¹

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ეგრეთწოდებული „გოლგოთას სინაქსარი“ ყველა ნიშნების მიხედვით ჩვენი აღწერის ობიექტია და ა. ცაგარლის იერუსალიმში ყოფნის დროს ჯრუჭის მონასტრის კედლებში განისვენებდა.

ამ ხელნაწერს მართლაც გააჩნია რამდენიმე მნიშვნელოვანი მინაწერი და ალაბი, რომელზედაც გვინდა დაწვრილებით შევიჩერდეთ. „გოლგოთას სინაქსარი“ უნახავს თ. ჟორდანიას და ზოგიერთი მინაწერი გამოუქვეყნებია, დაურთავს ქრონიკების II ტომისათვის. ხელნაწერს ის უწოდებს „ჯრუჭის სინაქსარს“ N 34. ვინაიდან თ. ჟორდანიამ მინაწერების შეფასება და დათარიღებაში ყველთვის არ არის მართებული, ამიტომ ზოგი მათგანი განმეორებით მომყავს.

პირველი მინაწერი, რომელსაც ჯერ კიდევ ლავრენტი ოკრიბელმა მიაქცია ყურადღება, შებდეგი შინაარსისაა: „ესე უწყოდეთ ყოველთა ქართველთა—ლთისაგან, მეფეთაგან, სურტანთაგან მოცემული და ნაბოძარი აღდგომის სალოცავ ეკლესია და სახლი სადა არს ადამის თხემი და გოლგოთა. ჯრს ჯს დასხით. საპყრობილეს საპყრობილე დასხით. გარდამოვსა და სახლი ბირქას ზედა ორი სახლი არის, ფრანგთაქენ მათი და ამიერ ჩნი. ორი კარი აბია, აღდგომისა კარსა ზედა მარჯნით ჩნია ჯდომამ. საფლაზედე ჰკიდეს (sic) რომე ენთებოდეს ნიადგ თავით ორი კანდელი, სხუაგან თუთო. წიგნები ყვალა... ჟკლებლად ძეს, ნუვინ გაილოთ დაკრულვილ არის. ესე ესრეთ მესმა მამათაგან და დავწერე აღდგომელმან მახარებელმან. ჯრისა დასუენებაჲ კარზე და ყოველთა და ყოველთა კრიაკეთა და დღესასწაულთა ჩვენია, სახელითა ლსთა მამისა, ძისა და წდრისა სულისთა მე აღდგომელმან მახარებელმან წიგნი გავგზავნე საქართველოს ზეთისათჳ ხელსა წინაშე და მას გამოგზავნა ასი ფლუორი ქს საფლავისათს და ჯუარელთა დაიჭირეს და მონასტერმან მშ მშნ პიმენ, მოძღრმან იოანე, კანდელაკან ნიკოლოზ და სრულად კრებულთა და ჯელოსანთა, კელმან ვეჩნარ და მეწისქვილმან. ყოველთავე დაგუიჩინეთ ზეთი თორმეტი ლიტრა ყველთა წელიწადთა მიეცემოდეს ქს საფლავსა ჯრისა მონასტრისაგან და ვინცა აღდგომელად იყოს ანთებდეს ერთსა კანდელსა დღედ და ლამე დაუესებლად ქს საფლავსა ზედა და არავინ მუშალოს არცა შესცვალოს ხელასათს სადამდის ესე ჯრისა მონასტერი ეგოს და მონაზონნი იყუნენ“ 3r.

ეს მინაწერი ორ ამბავს შეიცავს: I—ქართველთა უფლებები გოლგოთაზე, მათი მონაწილეობა და ვალდებულებანი ღვთის მსახურებისას. საინტერესოა, რომ ეს ცნობები აღდგომელთა მახარებელს გაუგონია „მამათაგან“ და დაუწერია, რათა ქართველები მიწყვი იყვნენ გოლგოთაზე მათი უფლებებისა და ვალდებულებების კურსში. ამას მოწმობს მინაწერის დასაწყისი—მიმართვა: „ესე უწყოდეთ ყოველთა ქართველთა...“ საყარაუდოა, რომ მინაწერის დაწერის დროისათვის ქართველებს საბატო ადგილი ეკავათ გოლგოთას ტაძარში. II—ნაწილი წარმოადგენს ალაბს. შეიცავს ცნობას, რომ აღდგომელ მახარებელმა (აღდგომის ეკლესიის მსახური მახარებელი) საქართველოში ვინმე ხელას გაუგზავნა წიგნი, ამ უკანასკნელს გამოუგზავნია ზეთისათვის ასი ფლუორი. ეს ფული

¹ А. Цагарели.—Памятники. გვ. 189—190.



ჯვრის მონასტერს დაუტოვებია და ჯვრის წინამძღვარს, მთელი თავისი კრებულით, უკისრია ვალდებულება წელიწადში თორმეტი ლიტრა ზეთი მიაწოდოს გოლგოთას. ამასთან დაკავშირებით აღდგომელს ევალება ხელასათვის ქრისტეს საფლავზე სანთლის ანთება დაუფესბლად.

მინაწერის II ნაწილში მოხსენებული პირებით შესაძლებელი ხდება ამ მინაწერის დათარიღება.

ეს მინაწერი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას; ის გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ხელაა—მოლარეთუხუცესი უნდა იყოს, რასაც ასკენის მცხეთის ერთი გუჯრის (N 121) მიხედვით, სადაც ვინმე ხელაა თავხელით მოლარეთუხუცესად არის მოხსენებული. მისი აზრით ეს ორი ხელაა ერთი და იგივე პიროვნება. მცხეთის გუჯარს გააჩნია თარიღი (1401—7). ამის მიხედვით ათარიღებს თ. ჟორდანიას გოლგოთას სვინაქსარის მონაწერს.

თ. ჟორდანიას ვარაუდის ქეშმარიტება საბოლოოდ დაამტკიცა ერთმა ალაპმა, რომელიც ნ. მარის „ჯვრის მონასტრის ალაპებშია“ შესული.

წინასწარ უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო გარემოება: ჯვრის სვინაქსარის ალაპებში არის რამდენიმე ალაპი, რომელიც სიტყვა-სიტყვით მეორდება გოლგოთას სვინაქსარში. საერთოა ის ალაპები, რომელიც ერთდროულად ეხება გოლგოთასაც და ჯვარსაც. ზემოთ მოყვანილი გოლგოთას სვინაქსარის ალაპი ეხება ორივე ტაძარს, ვინაიდან ის წარმოადგენს ჯვრის მონასტრის ვალდებულებას გოლგოთასადმი, ამიტომ ის ალაპი—ხელშეკრულება (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ) დაწერილია, როგორც ჯვრის მონასტრის სვინაქსარზე, აგრეთვე გოლგოთა სვინაქსარზეც. მართლაც, ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ალაპში ვკითხულობთ შემდეგს: „გაგიჩინეთ ჩნ ჯრისა მამამან პიმე მოძღუარმან და სრულად ერთ სლენით კრებულთა თქნ მოლარეთ უხუცესსა ხელაჲსსა: თქნთს ერთი კანდელი საფლავსა ქესსა საუკუნოდ დაუსებლად ენთებოდეს სადამდისცაჲ ესე ჯრის სახლი ეგოს. ვინცაჲ ესე პირი და დაწერილი მოგიშალოს თქნაგანცა, მავიერად იგი განიკითხვის დღესა მას დიდსა განიკითხვისაჲ. ჩნგნით ეთა წელიწადთა ვინცაჲ აღდგომელი იყოს იმ ლიტრა ზეთი მიეცემოდეს უკლებლად“.¹ როგორც ვხედავთ, ჯვრის სვინაქსარის ალაპი იმეორებს გოლგოთას სვინაქსარის ალაპს. ამ ალაპში ხელაა მოლარეთუხუცესად არის მოხსენებული. ამდენად თ. ჟორდანიას ვარაუდი მართლდება და ჩვენი მინაწერიც XV საუკ. პირველი წლების უნდა იყოს.

გარდა იმისა, რომ დათარიღდა ჩვენთვის საინტერესო მინაწერი, გოლგოთას და ჯვრის სვინაქსარის ალაპთა შეჯერებამ დაათარიღა ჯვრის სვინაქსარის დაუთარიღებელი ალაპიც.

თუ ზემოთ მოყვანილი გოლგოთას მინაწერი 1401—7 წლებით თარიღდება, ხოლო აღდგომელ მახარებელს ეს ცნობები მამათაგან გავანილი აქვს, სავარაუდოა, რომ ეს ცნობები უფრო ძველ გადმოცემას ემყარება ე. ი. XIV საუკუნეში (თუ უფრო ადრე არა) გოლგოთას ტაძარში ქართველთა მღვდმარეობის სურათს წარმოადგენს.

¹ Синодик, зб. 32, № 122.

სვინაქსარს გააჩნია ერთი დათარიღებული აღაბი შემდეგი შინაარსისა: „წელთა დასაბამითგან ჭაიდ ქრონიკონს სმიე მოვიდა მონაზონი ფილიპე წ დად იერუსალიმად. ჩნ ჯრელთა მამასა და ძმათა აღდგომელსა სრულ ქართველთა მოგვაბარა კანდელისათვის ასი ნაღდი ფლური სურხანის შვილის თამაზის სულისათჳს, რაც ჳელისაგან გამოუვიდოდა სხვაჲც ბევრი კარგი საქმე ქნა ჯრის მონასტერში. ჩნ ერთობილ ქართველთა დაუკიდეთ დიდებულსა და შესაძრწუნებელსა გოლგოთას ერთი კანდელი... ჟამში სადამდის ქართველობაჲ იყოს არავინ მოუშალოს, უკე დღე და ღამე დაუესებელად ენთებოდეს და მისი სული წირვაზე ინსენიებოდეს თამაზ ყოფილის თადეოზს შნდნეს ღნ. ამისი გამთავე და დამამტკიცებელი ღნ აკურთხოს“. (63v—64r).

იგივე ფილიპეს ჩამოსვლა იერუსალიმად და ფულის შეწირვა თამაზ ყოფილ თადეოზის სულის მოსახსენებლად უფრო ვრცლად და დამატებითი დეტალებით გვხვდება ჯვრის სვინაქსარის მეორე აღაბში¹ (Mapp. Синодик... გვ. 27 № 109).

ჯვრის სვინაქსარის აღაბი არკვევს გოლგოთას სვინაქსარის აღაბში მოხსენებულ თამაზ ყოფილი თადეოზის უფრო ზუსტ ვინაობას. ის ყოფილა სურხანის შვილი ძმა ვარაზისა.

მეორე მხრივ გოლგოთას სვინაქსარის თარიღიანი აღაბი ათარიღებს ჯვრის სვინაქსარის აღაბს. ამგვარად, ჯვრის მონასტრის აღნიშნული აღაბი თარიღდება 1567 წლით. თავის მხრივ ჯვრის აღაბი იძლევა მასალას გოლგოთას სვინაქსარის შემდეგი აღაბის დასათარიღებლად².


ამგვარად ამ ორი სვინაქსარის აღაბების შეჯერებამ დაათარიღა როგორც ერთის, ასევე მეორის აღაბები. გარდა ამისა, ეს კარგი მასალაა ჯვრისა და გოლგოთას ურთიერთობის ისტორიის გასათვალისწინებლად XIV—XV—XVI საუკუნეებში. როგორც ჩანს გოლგოთას ინვენტარი, სხვათა შორის ხელნაწერებიც ჯვრის მონასტერში ინახებოდა. ჯვრის მონასტერი იყო გოლგოთას ეკონომიური ბაზა. აღდგომელს კანდელისათვის ზეთს ჯვრის მონასტერი აწვდიდა, ვინაიდან ჯვარს სწირავდნენ გოლგოთას სახელზე შესაწირს. აღდგომის ეკლესიის მოსამსახურე ეკვემდებარებოდა ჯვრის მონასტრის წინამძღვარს.

შემდეგი მინაწერი კული ნუსხურით დაწერილი და ძნელად ამოსაკითხია.

„[სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა] აქა მოვიდა მაწყურელი პიენე მას ჟამსა ოდეს თემურ დიმაზში ააოჯრა და ჯრისა სახლი აწლით აოჯრეს და დაჭირებულს ზეთი და ცვილი შემოსწირა. და აანთო აღდგო[მელმა] და გაიჩინა სინაქსარა ზედა სალოცავი შნ ღნ. მარტაჲ ა მასვე დღესა იყიდა ვენაჭი და შეწირა აბესალამ ლომინაძემე ქრისტეს საფლავსა. ამა პირსა ზედა ვისცა ესე ვენაჭი ჰქონდეს დაუკლებელად თორმეტსა ლიტრასა ზეთისასა მოსცემდეს აღდგომელსა და აღდგომელმან ანთოს ერთი კანდელი დაუსტებლად და ვინცა ესე შეცვლოს...“ 2r.

¹ აღაბი დიდია და არ მომყავს, ის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ დეტალურად არის აღწერილი თუ როგორ შეაკეთა ფილიპემ ჯვრის მონასტერი.

² ჯვრის მონასტრის აღაბში მოხსენებულია აღდგომელი შილა. იგივე შილა მოხსენებულია გოლგოთას სვინაქსარის შემდეგ აღაბში, რაც ათარიღებს მას (აღაბი დიდია, ამიტომ არ მომყავს).



ამ მინაწერის დათარიღებას აადვილებს მინაწერის ზოგიერთი ისტორიული წინადადება, როგორცაა დიმაშის აღება თემურისაგან. დიმაშს ანუ დიმაშქ-დამასკოს არაბული სახელწოდებაა. დამასკოს აღება თემურ ლენგის მიერ ცნობილი ისტორიული ამბავია, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1400 წელს. თემური ბიზანტიის წაქეზებით ჯერ ოსმანთა საზღვრებში შეიჭრა, შემდეგ კი ეგვიპტის სულტანის წინააღმდეგ გაილაშქრა, სირია დაიპყრო, დაანგრია ბაღდადი და დამასკო. ამ ამბავს გულისხმობს ჩვენი მინაწერის ავტორი. რა თქმა უნდა მეზობელ დამასკოში განაანადგურებელი ბრძოლები იერუსალიმისათვის უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა. ყოველ შემთხვევაში მინაწერის ავტორი დიმაშის აოხრებას უკავშირებს ჯერის სახლის აოხრებას, ამის გამო გაქირვებულ ჯვარელებს პიმენ მაწყუერელმა ზეთი და ცვლი შეწირა.

თ. ჟორდანიამ ამ მინაწერს 1484 წლით ათარიღებს. საბუთად აქვს „ფახხთა ქრონიკის“ ერთი მინაწერი. „დასაბამითგან ხფნჯ ქნს რობ აქა თემური მოვიდა დიმიშტი აოვრა“ (თ. ჟორდანიას ქრონიკები II, გვ. 303). ეს მინაწერი ან მცდარად არის დათარიღებული ან და დიმიშტი არ არის დიმაშკი. მინაწერის ავტორი აოხრების ადგილიდან ჩანს, ე. ი. მინაწერი საქართველოშია გაკეთებული, ამიტომ დიმიშტიც აქვე უნდა იგულისხმებოდეს. ჩვენი მინაწერის დიმაშში კი სირიის დამასკოს უდრის, ამგვარად გოლგოთას სენაქსარის ეს მინაწერი პირველი მინაწერის თანადროულია. ამას ამტკიცებს ისიც, რომ პიმენი—პირველ მინაწერში ჯერის მამად ხსენებული, ხოლო ამ უკანასკნელში პიმენ მაწყუერელად წოდებული, ერთ პირად ჩანს, აკად. ნ. მარის მიერ გამოცემულ „მოსახსენებელში“ მეორმოცდათერთმეტე ნომრის ქვეშ ვკითხულობთ:

„...თქნ მაწყურლმან მთავარეპისკოპოზმან ჯწის მამამან პიმენ თქწითა ფასითა ვენახი ვიყიდეთ ცხორიშლის ბოლოს და შემოსწირე ჯწის მონასტერს...“ (Синодик. გვ. XXVIII). ამ მოსახსენებელში პიმენ მაწყუერელი ჯვარის მამად არის წოდებული. ამგვარად დასაშვებია, რომ პირველი მინაწერის ჯვარის მამა პიმენი და IV მინაწერის პიმენ მაწყუერელი ერთი და იგივე პირია. IV—მინაწერის დაწერის დროისათვის, ე. ი. 1400 წელს პიმენი ჯერ არ არის ჯვარის მამა, ახლად ჩამოსულია იერუსალიმში და პიმენ მაწყუერელად იწოდება. I—მინაწერის დაწერის დროისთვის, ე. ი. 1401—7 წლებში, პიმენი უკვე ჯვარის მამაა.

ამგვარად დათარიღდა გოლგოთას სენაქსარის ოთხი მინაწერი—აღაპი.

აქამდე ჩვენ ვეხებოდით მინაწერებს, რომელთა შორის უძველესი თარიღდება 1400 წლით. ხოლო უახლესი 1567 წლით.

გარდა ამ მინაწერებისა, ხელნაწერს გააჩნია მეორე რიგის აღაპ, აღრეული, რომელთაც განსაკუთრებით მიიპყრეს ჩვენი ყურადღება. ეს აღაპები გახდა საბაბი ამ ხელნაწერის საერთო შესწავლისა. ამ აღაპების რამდენიმე ნაწყვეტი თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა ზოგიერთ სხვა მინაწერთან ერთად. აღაპებზე თ. ჟორდანიას წერს: „ამავე წიგნის მერმინდელს XIII—XIV საუკუნოების აღაპებში მოხსენებულია იტალიანური სახელები (მაგ: „ალოის პატერა“, ჯირარდ „ძმა ჩუშნი“, ასილინა, ჯუან, სირ ჯილიბედ, სირ არბერდ, „ძმა ტაძრელთა ჯუან“, სირპერ კუმანდური ტაძრელთა, „ძმად პერი ტაძრელთა

და სხვ.), რაიცა გვიმტკიცებს, რომ ქართველი ბერები და იტალიელი მეგობრულად ყოფილან და ბევრნი იტალიელნი თვით ქართველ ბერების შიში (ე. ი. ამავე მონასტრის ხელქვეით მცხოვრები) ყოფილან“. (თ. ჟორდანია ქრონიკები II გვ. 524).

სინამდვილეში სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როგორც დაკვირვებამ დაგვარწმუნა, ეს უნდა იყოს XII ს. მინაწერი, ჯვაროსნების ტამპლიერთა ორდენის წარჩინებულ რაინდთა ალაპები.

მოგვყავს ალაპები სრულად:

1. „...სირ უგ და ყნი [მოყვარენი მისნი].
2. „ჯრო პტსნო შეიწყალე ძმად ჩნი ჯოფრე ფაუსათ“.

3. „ქ. ო შე სინებრინ და მოდეარ ჯირაოდ“.

4. „ქ. მოვსე გვილმ“ (ცუდათ იკითხება). ეს ოთხი მინაწერი მოთავსებულია 1 V-ზე.

1-ჩ-ზე მოთავსებულია ალაპები:

5. „ქ. ჯო განმაცხველებლო ადიდე და შე ე. ე., ფილაპე, ელისაბედ და ელენე, სტეფანე და მშად ელისაბედისი ოდი და დედად მამილა(!) და პაპი ფილიპესი გრი.“

6. „ქ. ჯრო პტიოსანო ადიდე და შე სირ პერ კუმანდური ტაძრელთა“.

7. „შეიწყალე ძმად პერი ტაძრელთა“.

8. „ქ. ქე ლო დაიცვე ძმად ჩნი პერია და [შეუნდვენ] ცოდენი მისნი და დედამ მისი ბუსლა და მამად მისი პელინ“.

9. „ქე ლო შენ ძმად ჩნი გულიამ პატერა და დედად და მამად მისი“.

10. „ქე ლო დაიცვე ძმად ჩნი ჯირარდ და დედამ და მშად მისი“.

11. „ოო ლო დაიცვე და შეიწყალე ძმად ჩნი ორსიშოდ [ან ორსიბოდ] სილგოამ დელოლველ“.

12. „ქ. ო ლო შეიწყალე სირ ვრიდრიშ.“

13. „ქ. რაუ გილა, ასქილანი, ასილინე, ყუან, ელისაბედ, იე“.

14. „სირ უდრი და მამად მოივსენ ოო“.

15. „სირ რაო და მიქაელ ოო შენ ინე“.


16. „ქრისტოდულ ეკონმი მოივსენე ოო ჩნი ძმად“.

17. „სირი ჯილიბედ მოივსენე ოო“.

18. „ქ. ჯრო პტიოსანო შე დაიცვე სირ არბერდ ბქე და ძმად ტაძრელთა ჟუან“.

19. „ლო შე გრიგოლ ძმად მისი კსტანტინე და დედად მათი მრამ“.

ეს ალაპები ქართველ ბერებს ჩაუწერიათ ფრანგ რაინდთა კარნახით. გასაგებია, რომ ფრანგულ სახელების ქართული ტრანსკრიფციით გადმოცემა შეცდომებისგან არ იქნებოდა დაზღვეული, ამიტომ ზოგიერთი მათგანი ძალზე დამახინჯებულია, ზოგიერთის ფრანგული შესატყვისის აღდგენა კი ხერხდება. მაგ. „სირ უგ“: სირ—ტიტულის აღმნიშვნელია, უგ—ფრანგული სახელის Hugue-ის ქართული შესატყვისი. ეს სახელი ხშირად გვხვდება ჯვაროსანთა ლაშქარში. სხვათა შორის ტამპლიერთა ორდენის დამაარსებელსაც Hugue ერქვა.



2. მეორე ალაპში მოხსენებული „ჯოფრე“ ფრანგული ჯოფრუა უნდა იყოს.

3. მესამე ალაპში მოხსენებული „სინენბრინ“ სავარაუდოა სირ ენბრინს უდრის, ხოლო აქვე მოხსენებული ჯიროდ ფრანგულ ჯირარდს ან ჯიროლდს (Girard). XIII ალაპის „ასქილანი“—ფრანგული Aquilina (ქალის სახელია).

4. მეთერთმეტე ალაპში მოხსენებული „სილგილამ“ დელოლველ უნდა უდრიდეს სირ გილიომ (Guillaume) დელოლველს. გვარი მიუთითებს ამ პიროვნების კეთილშობილ წარმოშობაზე.

5. მეცამეტე ალაპში მოხსენებული „რაუ“ ფრანგულ Raoul-ს უდრის. აქვე მოხსენებული „გილა“—„გილიომს“ ან გვლიამს“, დარჩენილ სახელებიდან ნაწილი წესიერ ფორმით არის მოცემული, ხოლო ნაწილის აღდგენა ვერ ხერხდება.

პირველ ყოვლისა გასარკვევია, თუ რა მნიშვნელობით იხმარება ალაპებში სიტყვა „ტაძრელი“. ჩვენის ვარაუდით, „ტაძრელი“ „ტაძრელთა ორდენის“ წევრობის აღმნიშვნელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერი გადაწერილია 1155 წელს, როდესაც საქართველოში მეფობდა დემეტრე, ბიზანტიაში—მანოელ (კომნინი), ხოლო იერუსალიმში—ბალდუნ III (1143—1162).

ეს ის ხანაა იერუსალიმის ისტორიაში, როდესაც ჯვაროსანთა ლაშქრობამ 1099 წელს, იერუსალიმის აღების შედეგად, შექმნა „იერუსალიმის სამეფო“. პირველი მეფე, რომელიც „ქრისტეს საფლავის დამცველის“ სახელს ატარებდა, იყო გოტფრიდ ბულონელი. იერუსალიმი გარშემორტყმული იყო მუსულმანებით, საპირო იყო ქრისტეს საფლავის დაცვა, იერუსალიმის შენარჩუნება. XII ს. შეიმჩნევა რაინდთა გაუჩერებელი დინება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ადგილობრივ ჯვაროსნებს განუწყვეტლივ ემატებათ ახალი ნაკადი მებრძოლ რაინდების. ამავ მიზნით იერუსალიმში ჩამოყალიბდა რამდენიმე სარაინდო ორდენი:

I—ტამპლიერების ანუ ტაძრის რაინდთა ორდენი.

II—ჰოსპიტალიერებისა.

III—ტეცტონებისა.

რაინდთა წევრები იყვნენ ბერი-რაინდები, რომლებიც ჯვართა და ხმლით იცავდნენ ქრისტეს საფლავს. ამგვარად, ეს ორდენები ფაქტიურად სამხედრო ორგანიზაციების სახეს ატარებდნენ.

ლიტერატურა ჯვაროსნების შესახებ დიდია, მგონი არც ერთ ისტორიულ ფაქტს ისეთი დიდი გამოხმაურება მეცნიერებაში არ ჰქონია, როგორც ჯვაროსანთა ლაშქრობას. საფუძვლიანად დამუშავებულია ორდენთა ისტორიებიც, გამოცემულია მათი არქივები და მრავალი მასალა, რაინდთა ორდენები უძლიერეს ძალას წარმოადგენდნენ იერუსალიმის სამეფოში. „გაბატონებულ კლასს იერუსალიმის სამეფოში და სხვა სახელმწიფოებში შეადგენდნენ რაინდები, მეტწილად ფრანგები.

ეს პრივილეგიური ზედა ფენა შეადგენდა თავისებურ სამხედრო ბანაკს. ჯვაროსნული სამფლობელოების მუდმივი თავდაცვისათვის არ იყო საკმარისი



რაინდი მემამულეების სამხედრო სამსახური. ამ მიზნისათვის შეიქმნა მუდმივი სამხედრო ორგანიზაციები—სასულიერო რაინდული ორდენები, პირველ-სახელს რაინდულ ორდენს წარმოადგენდა ტამპლიერების ანუ ტაძრის რაინდების ორდენი, რომელსაც ასე დაერქვა იმიტომ, რომ მისი პირველი ადგილ-სამყოფელი შენობა იმყოფებოდა იმ ადგილას, სადაც თქმულების თანახმად იდგა იერუსალიმის ტაძარი. ამ ორდენის წევრებს ნაკისრი ჰქონდათ მონაზნური აღთქმები“. 1. (შუა საუკ. ისტორია. ტ. I გვ. 293).

ტამპლიერთა ორდენი ჩამოყალიბდა 1119 წელს. ეს ორდენი ყველაზე ძლიერი და მდიდარი ორდენი იყო იერუსალიმში. ის ფლობდა აჯარებულ მამულებს აღმოსავლეთში, გარდა ამისა, დახმარებას ლებულობდა დასავლეთის ქრისტიანებისაგან. მას ეკუთვნოდა მრავალი ციხე-სიმაგრე აღმოსავლეთის საზღვარზე. ორდენების გავლენის სფერო შორს სცილდებოდა იერუსალიმს, მათ ბაზუბი ვააჩნდათ საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში. ეს ორდენები მოქმედებდნენ იერუსალიმში 1188 წლამდე (იერუსალიმიდან ჯვაროსნების გაძევების წელი).


ტამპლიერთა ორდენის წევრ-რაინდების აღაპებს უნდა წარმოადგენდეს „გოლგოთას სვინაქსარის „ზემოთ მოყვანილი აღაპები. ტამპლიერთა ორდენის წევრთა უმრავლესობა სახელისა და სიმდიდრის მაძიებელი სენიორები იყვნენ. სვინაქსარის ჯვაროსანთა აღაპებში რამდენიმე ტამპლიერი რაინდი სირ-ად არის წოდებული, რაც მათ კეთილშობილ წარმოშობაზე მიუთითებს. ამასვე მოწმობს ერთი მათგანის გვარიც—„სირ გვლიმ დელოლველ“.

ტამპლიერთა ორდენი დიდი ორგანიზაციაა თავისი უმაღლესი მოხელეებით. ორდენის მეთაურად ითვლებოდა დიდი მაგისტროსი, მალალ თანამდებობის პირებად ითვლებოდნენ აგრეთვე: სენეშალი, მარეშალი და კომანდორი.

ჩვენს აღაპებში რამდენიმეჯერ გვხვდება რაინდთა თანამდებობის აღნიშვნა. ასე მაგ., VI აღაპში მოხსენებულია „სირ პერ“ (პიერ) კომანდორი ტაძრელთა, XVI აღაპში მოხსენებულია „ქრისტოდულ ეკონომი“, სავარაუდოა, ტაძრელთა ორდენის მწე იქნებოდა. XVIII აღაპში მოხსენებულია სირ არბერდ ბეჟ. სავარაუდოა, ტაძრელთა ორდენის მსაჯული იქნებოდა.

რამდენიმე შემთხვევაში რაინდები მხოლოდ „ძმებად“ იწოდებიან, ალბათ, რიგითი ბერი—რაინდები იყვნენ, არც დიდგვაროვანი და არც თანამდებობის მქონენი.

ეს აღაპები საინტერესოა არა მარტო იმით, რომ აქ შემორჩენილია ტამპლიერთა ორდენის წარჩინებულ წევრთა სახელები, არამედ პირველ ყოვლისა იმით, რომ ააშკარავებს ჯვაროსანთა და კერძოდ ტამპლიერთა რაინდების დამოკიდებულებას ქართველთა ჯვრის მონასტრისადმი. სავარაუდოა, რომ აღაპები შეწირვებთან იყო დაკავშირებული. ჩანს, ტამპლიერთა ორდენის წევრები ხწირავდნენ მამულებს ან ფულად სახსრებს ქართველთა ჯვრის მონასტერს და სვინაქსარზე მოსახსენებელს აწერინებდნენ (სავარაუდოა, რომ ეს სვინაქსარი ამ დროისათვის ჯვრის მონასტრის საკუთრება იყო, ვინაიდან აღაპი ჩვეულებრივ ასეთი მიმართვით იწყება: „ჯვარო პატოსანო“, „ჯვარო ვანმაცხოველებლო“).



ყველა ეს ალაბი სენაქსარის პირველ ფურცელზეა თავმოყრილი, თუმცა სხვადასხვა ხელითაა დაწერილი. როგორც ჩანს, I ფურცელი განსაკუთრებით სპატიო ადგილად იყო მიჩნეული.

ამგვარად, თ. უორდანიას დათარიღება და კვალიფიკაცია ამ ალაპებისა არ არის სწორი.

შევაჯამოთ აღწერილობის შედეგები. ხელნაწერი H—1661 „გოლგოთას სენაქსარია“, იერუსალიმში გადაწერილი 1155 წელს, 1808 წ. ნახული ლავრენტი ოკრიბელის მიერ ჯვრის მონასტერში და სავარაუდოა მის მიერვე 1812 წლის მახლობლად იმერეთში ჩამოტანილი. ხელნაწერს გააჩნია ოთხი ვრცელი მინაწერი ალაბი, რომლებიც თარიღდებიან 1400—1557 წლებით. ეს მინაწერები საუკეთესო მასალას გვაწვდიან იერუსალიმის ქართველთა სამონასტრო ცხოვრებიდან, განსაკუთრებით კი გოლგოთაზე ქართველთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. ამ მინაწერების საშუალებით თარიღდება აკად. ნ. მარის მიერ გამოცემული ჯვრის მონასტრის რამდენიმე ალაბი.

ალაბთა II რიგი თარიღდება 1155—1188 წლებით. ეს ალაპები ტამპლიერთა ორდენის წარჩინებულ რაინდთა მოსახსენებლებია, მნიშვნელოვანი, როგორც ტამპლიერთა ორდენის ისტორიისათვის, აგრეთვე იერუსალიმის ქართველთა და ჯვაროსნების, კერძოდ ტამპლიერთა, ორდენის რაინდთა ურთიერთობის შესასწავლად.

მ. ზურჯანაძე

სოლომონ I-ის ურთიერთობა რუსეთთან

აკად. ნ. ბერძენიშვილი თავის საღისერტაციო ნაშრომში საყვედურს გამოთქვამდა საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ცალმხრივად—ან რუსული, ან ქართული ინტერესების თვალსაზრისით—შესწავლის გამო¹. ამ საყვედურს მე ვუერთდები და მინდა წინამდებარე მიმოხილვა, რომელიც საქართველოს დიდი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მებრძოლის საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობას ეხება, ისე წარმოვადგინო, რამ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესწავლაში არსებული ჩამორჩენილობა რამდენადმე გამოვასწორო. მაგრამ, სანამ საკითხს უშუალოდ შევეხებოდე, მინდა ორიოდ მაგალითში მკითხველს ვუჩვენო, თუ რამდენად არამცენიერული იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალმხრივად შესწავლა.

ზ. ავალიშვილი წერდა, რომ საქართველოსთან ურთიერთობაში რუსეთს საკუთარი ინტერესი არა ჰქონია, არამედ „თვითონ საქართველოს ესაჭიროებოდა დახმარება რუსეთისა და... მკიდრო ურთიერთობას ეძებდა“². მსგავს მოსაზრებას ატარებდა კლუჩევსკიც, რომელიც აღნიშნავდა, რომ ეკატერინე II-ის მთავრობის „დახმარება“ ბალკანეთისა და კავკასიის ქრისტიანებისათვის 1768—74 წ. წ. ომში კიდევაც ეწინააღმდეგებოდა რუსულ ეროვნულ ინტერესებს³. მაშასადამე, თუ კი რუსეთს არ ესაჭიროებოდა საქართველოსთან ურთიერთობა, მაშინ გამოდის, რომ ამ უკანასკნელს ქმნიდა მართა საქართველო, რომელსაც რუსეთი უანგაროდ ეხმარებოდა. რა თქმა უნდა, ისტორიაში ასეთი ქველმოქმედური ურთიერთობანი არ არსებობენ.

საწინააღმდეგო აზრზე იდგა ივ. ჯავახიშვილი. მან 1768—74 წ. რუსეთ-თურქეთის ომში საქართველოს სამეფოების მონაწილეობის აქტი ვაიგო, როგორც საქართველოს მეფეთა გაბმა რუსეთისაგან დაგებულ მაცდურ მახეში⁴. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, მისი აზრით, თავსნობდა რუსეთი, რომელიც საქართველოს ყოველთვის ატყუებდა⁵.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ცალმხრივ შესწავლას აღნიშნული მეცნიერები მიჰყავდა ამ ურთიერთობის საქართველოსათვის სასარგებლო შედეგთა უგულვებელყოფამდეც. ზ. ავალიშვილი, მაგ., ფიქრობდა, რომ ქუ-

¹ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან მე-16—17 საუკუნეთა მიჯნაზე. წიგნი: „მასალები საქართ. და კავკ. ისტორიისათვის ნაკვ. 1, 1944. გვ. 5.

² Присоединение Грузии к России, сиб. 1901, стр. IV.

³ Русская история, V, 1937, 35-40.

⁴ დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, 1919, 16.

⁵ იქვე, 18—19, 36, 42, 52.

4. საქართველოს მუხეუმის მოამბე ტომი XV B.



ჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებამ ვენება მიაყენა იმერეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას¹. ივ ჯავახიშვილი კი 1783 წ. რუსეთ-ქართლ-კახეთის მეგობრობითი ტრაქტატის შესახებ დასძენდა, რომ იგი საქართველოსათვის ყოველ მხრივ მავნებელ აქტს წარმოადგენდა². იგივე ისტორიკოსი ტოტლებენის კამპანიაში მარტო რუსეთის სარგებლობას ხედავდა და საქართველოსთვის მას მავნებელ საქმედ სთელიდა³.

როგორც მკითველი ხედავს, აქ დასახელებულ მეცნიერთა ერთი ნაწილის გაგებით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გამოწვეული იყო საქართველოს საპირობებისაგან, რომელსაც რუსეთი უნაგაროდ აკმაყოფილებდა. მაგრამ მეცნიერთა მეორე ნაწილი აღნიშნავს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა იქმნებოდა მარტოდ-მარტო რუსეთის მხრივ, რომელიც თავის სისარგებლოდ იყენებდა საქართველოს, ხან მოტყუებისა და ხან ძალმომრეობის გზით.

ამრიგად, ორივე შეხედულება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ცალმხრივად განიხილავს, ხატავს რა მას რუსეთის ინიციატივის ნაყოფად და ჩქმალავს საქართველოს როლს ამ საქმეში.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამ მცდარმა შესწავლამ შექმნა მავნე ტრადიცია ქართულ ისტორიოგრაფიაში; საქმე ისე წარმოედგინათ, რომ საქართველოს მეფეები მხოლოდ მთხოვნელებად გამოდიან რუსეთის დახმარებისა, ხოლო ქართული დიპლომატია გამოიხატება მარტოდ-მარტო თხოვნის წიგნების გზაზე რუსეთისაკენ, რომელიც ყველასათვის მიუკერძოებელ მფარველს წარმოადგენს. მე შეხედულებაში მყავს ს. კაკაბაძე, რომელიც შემდეგს წერდა: „რამდენიმე თაობათა განმავლობაში ქართული საზოგადოებრივი აზრი შეეჩვია იმ ფიქრს, რომ მხოლოდ რუსეთში მრავალტანჯული... ქართველი ერი იპოვნის თავისი წყლულების მალამოს. ამგვარი მიდრეკილება რუსეთისადმი არსებობდა არა მარტო ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეებში, არამედ... ფართო მოაზროვნე საზოგადოებაშიც. რუსეთი იყო ის აღთქმის ქვეყანა, სადაც ყოველი... გაპირებული... ეძიებდა თავშესაფარს“⁴...

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა იყო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი პოლიტიკური ერთეულის საქმიანი კავშირი, ორმხრივი აქტი, რომელსაც მისი ორივე მონაწილე თავთავიანთი სურვილით ქმნიდნენ. მაშასადამე, რუსეთსა და საქართველოს ორთავეს გააჩნდა ინტერესები, რომლებიც ამ ორ ხალხს ერთმანეთთან აკავშირებდნენ. საუბროა შესწავლილ იქნას ეს ინტერესები, თუ რამდენად ემთხვეოდნენ ისინი ერთმანეთს და რამდენად ეწინააღმდეგებოდნენ, რა იყო რეალური მიზეზი ან ერთისა და ან მეორისა, როგორ უფარდებდნენ რუსეთისა და საქართველოს მთავრობები თავთავიანთ ინტერესებს ერთმანეთს და რა შედეგებს აღწევდნენ ამ ურთიერთობაში.

ამ გაგების მიხედვით მინდა წარმოვადგინო აქ სოლომონ I-ის ურთიერთობა რუსეთთან.

¹ დასახ. წ. 109.

² დასახ. წ. 32, 19—20.

³ საქართ. მოკლე ისტორია (ახალ საუკუნეების ეპოქა) 1920, 181—182.

ცნობილია, რომ სოლომონ I იბრძოდა იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ ამ ბრძოლაში ირკვეოდა, რომ დამპყრობელი ძალის დამარცხება იმერეთის სამეფოს არ შეეძლო. ამის გამო სოლომონ მეფე სავარეო მოკავშირის ძებნას შეუდგა და კავშირი დაამყარა რუსეთთან.

1768 წ. 23 ივნისს იმერეთის მეფემ რუსეთის იმპერატორს თხოვნის წიგნი გაუგზავნა, რომელშიც შემდეგს აღნიშნავდა: იგი იბრძვის თავისი ქვეყნის გამოსწორებისათვის დამპყრობელი თურქის ხელისაგან, მაგრამ მისი „მტერი... მაჰმადიანი(!) ოსმანი“ მასზე „ფრიად უძლიერეს... არიან“. ამიტომ მისი გამარჯვება, მარტო საკუთარი ძალებით, სათუო ხდება. და იმერეთის მეფე რუსეთის იმპერატორისაგან თხოულობს თავის სამეფოსა და ხალხზე ხელის-დადების, მფარველობას. თუ ამ თხოვნას დაკმაყოფილებს რუსეთი, სოლომონ მეფე, „აღმოსავლეთის სარწმუნოებისა და სჯულისათვის, ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურზე ჟუცხო თესლთა, ოსმალთ“ წინააღმდეგ საომრად გამოვა¹.

იმერეთის მეფეს, რომელიც ქვეშევრდომია თურქეთისა, სურს გახდეს რუსეთის მეფის მიერი ხელდასხმული, იყოს მისი ყმა, „ქვეშევრდომი“ „საიმპერიოდ აღრიცხული“². სოლომონ I-ს აქ თავისებურად ესმოდა რუსეთთან ურთიერთობა და ხელდასმულობასა და ქვეშევრდომობას აიგივებდა. რა თქმა უნდა, რუსეთისათვის ასეთი გავება მისაღები არ იყო, მაგრამ ამ ჯერად ეს არსებითს საკითხს არ წარმოადგენდა.


მთავარი ის იყო, რომ იმერეთის მეფის თხოვნა რუსეთის მთავრობამ მაშინ შეიტყო, როცა თურქეთს რუსეთისათვის ომი უკვე გამოეცხადებინა. იმერეთის „მიკუთვნების“ საკითხი, რასაც სოლომონ I სვამდა თავის თხოვნის წიგნში, თუ მას გადასინჯვა ელოდა, უნდა გადაეწყვიტა ატეხილ ომს, რომლის გამარჯვებით დამთავრება რუსეთისათვის ჯერ კითხვის საგანს წარმოადგენდა. მაგრამ ერთი კი აშკარა იყო: იმერეთის მეფე დახმარებას სთხოვდა რუსეთს იმ ძალის წინააღმდეგ, რომელთანაც რუსეთიც ომში იყო. სოლომონ I-ს მითავითვე გაეთვალისწინებინა თავისი თხოვნის დაკმაყოფილების საეგებისობა და იქვე დასძენდა: თუ რუსეთის იმპერატორმა არ ინებოს იმერეთის შეყვანა თავის ქვეშევრდომობაში, ფულითა და საომარი იარაღ-მასალებით მაინც დამეხმაროს, რათა გავამრავლო დაქირავებული ჯარი და მტრის წინააღმდეგ ეფექტურად ვიომო³.

აშკარად ჩანს, რომ სოლომონ I რეალური პოლიტიკოსია. მას სურს საუკეთესო: რუსეთში იდოს კისერზე მისი გათავისუფლება ოსმალეთისაგან, — მაგრამ იცის, რომ ასეთი რამ, არ გამოძინარეობს რა იგი რუსეთის ეროვნული ინტერესებიდან, საეგებოა და მიმართავს შესაძლებელ გზას: რუსეთისაგან მოითხოვს სამხედრო დახმარებას, რომელიც რეალური ჩანს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ რუსეთი ერთმორწმუნეა იმერეთისა, არამედ იმიტომ, რომ თურქეთი რუსეთის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება და ამიტომ, იმერეთთან ერ-

¹ Грамоты и другие исторические документы относящиеся к Грузии, т. I, вып. 1, под ред. А. Цагарели, СПб, 1898, 1—2.

² იქვე.

³ იქვე.



თად, რუსეთის მტერსაც წარმოადგენს (სოლომონი თხოვნის წიგნში წერდა რომ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთის სამსახურს ნიშნავს¹).

თავისთავად ცხადია, სოლომონ I-ს კარგად სცოდნია ის, რაც რუსეთსა და თურქეთს შორის ხდებოდა შავი ზღვისა და კავკასიის გამო, სადაც თურქეთი ბატონობდა და საიდანაც მის გაძევებას რუსეთი ცდილობდა იქ თავისი გობატონების მიზნით. რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა ყველაფრით: დიპლომატიით, სამხედრო იარაღით, აგიტაციით. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იგი ამ უკანასკნელს, რომელიც შავი ზღვისა და კავკასიისათვის ბრძოლაში საუკეთესო იარაღი იყო: „სჯულისათვის“ ომის წარმოების აგიტაცია მაჰმადიანი დამპყრობელის ქრისტიანულ პროვინციებში მნიშვნელოვან შედეგს აღწევდა რუსეთის სასარგებლოდ. და როდესაც დამპყრობელი თურქის ქრისტიანმა ქვეშევრდომმა, სოლომონ I-მა, რუსეთს აცნობა, რომ იგი არა-თუ მარტო უკმაყოფილოა თავის სიუზერენით, არამედ ომი აქვს მასთან და რუსეთისაგან შევლას მოითხოვს,—რუსეთის მთავრობა იმერეთის საკითხის შესწავლას შეუდგა.

რუსეთს სურდა სცოდნოდა ორი რამ: არის თუ არა იმერეთის მეფე ძლიერი და შესაძლებელია თუ არა მისი დაკავშირება ქართლ-კახეთის მეფესთან. თუ კი ეს კითხვები დადებითად გადაწყდებოდა, რუსეთს აღმოაჩნდებოდა ამიერკავკასიაში საქართველოს სახით ისეთი მოკავშირე, რომლის გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ ატეხილ ომში სასარგებლო გახდებოდა რუსეთისათვის. ამის შემდეგ ყველაფერი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ როგორ მოახერხებდა რუსეთი აემოძრავებინა საქართველოს სამეფოები თავისი ინტერესების სასარგებლოდ.

დასმული საკითხის გადასაწყვეტად რუსეთის მთავრობამ მიმართა ორ გზას: დაჰკითხა სოლომონის ელჩს და საქართველოში გამოგზავნა თავისი აგენტი ადგილობრივი მდგომარეობის შესასწავლად.

იმერეთის მეფის ელჩი, მაქსიმე აბაშიძე, პეტერბურგში თავისი დავალების შესრულებას შეუდგა. მან მოლაპარაკება ორი მიმართულებით აწარმოა: თუ რუსეთი თავის მფარველობაში აიყვანს იმერეთს და იმპერატორი 5.000-იან ჯარს, მისი სახარჯო ფულითურთ, გაუგზავნის იმერეთის მეფეს, ეს უკანასკნელი მოახერხებს როგორც თურქების გაძევებას იმერეთიდან, ისე იმერეთის გარშემო, ე. ი. შავი ზღვის სანაპიროზე, მდებარე ოსმალეთის ადგილების დაქვრას. მაგრამ, თუ ეს არ იქნება, რუსეთი ფულით მაინც დაეხმაროს იმერეთს. ამ შემთხვევაში სოლომონ მეფეს შესაძლებლობა მიეცემოდა გამოსულიყო სამხედრო ორგანიზაციის ფეოდალური სიძნელეებიდან, შეექმნა მუდმივი და გავრთნილი ჯარი, ისევე როგორც ეს „ევროპიაშია“, და ამით გადამწყვეტი დაო ჯემა მიეყენებინა დამპყრობელი თურქისათვის, რომელიც სუსტია თავისი არადისციპლინებული ბრძოლის გამო². ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი ქართული დიპლომატიისა, რომელმაც „თურქულ-სპარსული უწყისრიგობის“

¹ იქვე.

² იქვე, 4.

წინააღმდეგ „ევროპული წესრიგისათვის“ ბრძოლა დაუკავშირა შესაძლებელ დახმარებას რუსეთისას, რომელიც საამისოდ, მოცემულ პირობებში, ერთადერთ ძალას წარმოადგენდა.

ყურადღებას იქცევს მაქსიმე აბაშიძის დიპლომატია. თუ რუსეთი იმერეთს ფულით დაეხმარება, ეს შეიძლება მოხდეს ისე, რომ რუსეთმა თავიდან აიცილინოს იმერეთის გამო თურქეთის მხრივ ყოველგვარი უსიამოვნება, მაშინ როდესაც მისი (ფარული) დახმარებით იმერეთი სერიოზულ წარმატებას მოიპოვებს თურქეთის წინააღმდეგ და ამით გზას გაუხსნის რუსეთის ექსპანსიას შავი ზღვისა და ამიერკავკასიისაკენ. ასეთი დიპლომატიური პერსპექტივი აბაშიძისაგან დაშვებული იქნა იმიტომ, რომ ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი იმერეთის სამეფოს შესაძლებლობა ჰქონოდა მიეღწია რუსეთის რამენაირი დახმარებისათვის. რაც შეეხება ჯარით დახმარებას, ეს ყველაზე კარგი საშუალება იყო იმერეთისათვის მოცემულ პერიოდში, მაგრამ აბაშიძეს იგი შესაძლებლად დაუნახავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი რუსეთი საქვეყნოდ გამოაცხადებდა, რომ იგი არა სცნობს თურქეთის უფლებას იმერეთზე, სადაც თავის ჯარებს აგზავნის მის გასათავისუფლებლად თურქეთისაგან და მასზე თავისი ბატონობის გასაერცვლებლად. რა თქმა უნდა, თურქეთთან ომად რუსეთისათვის იმერეთი არ ღირდა, და ეს კარგად იცოდა აბაშიძემაც.

მაგრამ მოვლენებმა საქმეს უკეთესი პირი მისცა. 1769 წ. გაზაფხულზე რუსეთმა ცენტრალურ ფრონტზე სძლია თურქეთს, რომელიც იძულებული ხდებოდა თავისი ზურგიდან უკანასკნელი რეზერვი ფრონტზე გაეყვანა. ასეთ პირობებში საკმაოდ პერსპექტივიანი ჩანდა რუსეთისათვის გვერდითი შეტევების მოწყობა თურქეთის წინააღმდეგ მისი უკმაყოფილო ქვეშევრდომების აჯანყების საშუალებით. ამას გარდა, რუსეთის მთავრობამ, თავისი აგენტის მეშვეობით, შეიტყო, რომ ახალციხის საფაშოში შიში აქვთ რუსეთისა, შიმშილი და სამოქალაქო არეულობა სუფევს¹. რუსეთმა ანგარიში გაუწია იმასაც, რომ საქართველოს ორივე მეფე—ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა—ხელშეკრულება დასდეს ომში ჩაებან თურქეთის წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთის სამხედრო დახმარების პირობით². როგორც ჩანს, სოლომონ I-ს გამოურკვევია რუსეთის აგენტისაგან ის, რომ რუსეთის მთავრობა მოწადინებულია იმერეთის ჩასაბმელად ომში, იმიტომ მისგან შორსმჭვრეტელ მეფეს უფრო მეტის მიღებაც მოუსურვებია (ვიდრე ერთი წლის წინათ თავის ელჩს ავალებდა): მოეთხოვა რუსეთისათვის ჯარი თავის ქვეყანაში თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, ასეთი ცვლილება აუცილებლად წინაგადდგმული ნაბიჯი იყო ქართულ დიპლომატიაში.

რუსეთმა მარჯვედ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და იმერეთში გამოგზავნა გენერალ ტოტლებენის სარდლობით თავისი მცირერიცხოვანი ჯარი, მისი შესანახი ფულითა და ზარბაზნებითურთ.

¹ იგივე წიგნი ტ. I, 432.

² იქვე, 424—430.



რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ იმერეთი—ეს ისეთი ქვეყანაა რომელიც შორს, თოვლიანი კავკასიის მთების ვადალაში, მდებარეობს, თან რუსეთის სეთისაგან გამოყოფილია ჩრდილო-კავკასიის სივრცით, რომელზეც თურქეთის ქვეშევრდომი და რუსეთის მტერი მაჰმადიანები სახლობენ. ამასთანავე, თვითონ იმერეთიც თურქეთის ქვეშევრდომია. ერთადერთი რამ, რაც სასარგებლო სჩანდა რუსეთისათვის, ეს იყო იმერეთის მზადყოფნა აჯანყებისათვის თურქეთის წინააღმდეგ. მაშასადამე, საჭირო ხდებოდა ამ მომენტისათვის ხელის ჩაკიდება და მისი გამოყენება რუსეთის სასარგებლოდ. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო იმერეთის აჯანყების გაფართოება საქართველოს ბრძოლაში, ე. ი. იმერეთთან ერთად ომში ქართლ-კახეთის ჩაბმაც, და მისი დაქვემდებარება რუსული ინტერესებისათვის. ამ ამოცანის შესასრულებლად რუსეთის მთავრობამ საკმარისად სცნო საქართველოში გამოსაგზავნად გაეწესებინა ერთი სამხედრო კორპუსი, რომელიც 4.000-კაცისაგან შესდგებოდა¹.

კორპუსს რუსეთის იმპერატორმა შემდეგი მითითება გამოუგზავნა: „ქართველებმა საკუთარი ძალებით შეუტონ; ხოლო ამას ჩვენი ჯარიდან მარტო იმდენი დავმატოს, რამდენიც საკმარისი იქნება მაგალითის მისაცემად და წასახალისებლად...“² მაშასადამე, იმერეთში გამოგზავნილი ჯარის მოვალეობა იყო ქართველების წაქეზება და ომში ჩაბმა თურქეთის წინააღმდეგ; რუსებს კი ომში დამატებითი მონაწილეობა უნდა მიეღოთ; მათ ბრძოლის სიმძიმე მხოლოდ ნაწილობრივ უნდა გაეზიარებინათ. რუსეთის მთავრობის აზრით, საქართველოში დიდი ომის გაჩაღება ადამიანურსა და მატერიალურ ზარალს გამოიწვევდა, რაც რუსეთის ეროვნულ ინტერესს ძირშივე ეწინააღმდეგებოდა ატეხილ ომში; ბრძოლა საქართველოდან—ეს იყო დამატებითი ფრონტი, რომელიც რუსეთისათვის მაშინ გახდებოდა სასარგებლო, თუ მისი ფიზიკური მონაწილე საქართველო იქნებოდა, ხოლო ამ ბრძოლას თვითონ გაუწევდა კონტროლს და ნაყოფსაც თვითონ მოიმიკიდა.

ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, მოახერხებდა თუ რა კორპუსის გენერალი თავისი დავალების შესრულებას. მაგრამ, რუსების ჩამოსვლისთანავე იმერეთში, გამოიჩნდა, რომ რუსული მისიის შესრულება საქართველოში არც ისე ადვილი საქმე არის. როდესაც გენერალი ტოტლებენი სოლომონ მეფემ შორაპნის ციხესთან დასტოვა, ხოლო თვითონ დადიანის წინააღმდეგ გაეშურა, რომელიც, თურქებთან და აფხაზებთან კავშირში, 9.000-იანი ჯარით იმერეთს შემოსეოდა,—რუსებმა მაშინვე იმერეთი დასტოვეს და ქართლს გადავიდნენ. რა თქმა უნდა, რუსების გაქცევა შეცდომა იყო თვით რუსული ინტერესების თვალსაზრისით, იმიტომ რომ სოლომონ მეფის გაბრუნება შორაპნის ციხიდან გამოიწვია ისეთი ძალის შემოსევამ, რომელსაც დახმარებას უწევდა თურქეთი—საერთო მტერი რუსეთისა და იმერეთისა. მაგრამ ასეთი შეცდომა ჩადენილ იქნა მაინც იმ გაუგებრობის ნიადაგზე, რომელმაც თავი

¹ იქვე, 81—82.

² იქვე, 87.

იჩინა ქართველი მოკავშირის ინტერესთა უგულვებლყოფის გამო რუსეთის მთავრობისა და კორპუსის გენერლის მიერ.

რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი, ნიკიტა პანინი, იმერეთის მეფეს ერთხელ საყვედურის კილოზე „მოუთითებდა“: „თქვენი ინტერესები მოითხოვს, რომ მთელი შესაძლებლობა ახლანდელი მტრის წინააღმდეგ გამოიყენოთ. მაგრამ... სამეგრელოს მფლობელ დადიანთან თქვენ განსაკუთრებულ ჩხუბს განაგრძობთ. დღე მართალი იყოს, რომ მანდაური მთავრები ძველად იმერეთის მეფისაგან დამოკიდებული იყვნენ! მაგრამ ნუ-თუ ახლა ასეთი მეტოქეობა უნდა წარმოიშვას, როცა მთელი საქართველოს საერთო საჭიროება ყველა მფლობელის შეერთებას მოითხოვს! და განა ღირს ასეთი კერძო ჩხუბი იმ ფასად, რომ მთელი საქართველოს გამოხსნა უგულვებლყოფილ იქნას?“. ეს სიტყვები „რუსულ ენაზე“ შემდეგს ნიშნავდა: რუსეთის მთავრობის მიზანია მთელი საქართველო თურქეთის წინააღმდეგ გამოიყენოს მასთან ომის მოკვების ინტერესებისათვის და ამიტომ იგი არ სცნობს ქართველი მეფის მიზანს, რომელიც მდგომარეობს საქართველოს გაერთიანებაში რუსული ძალის გამოყენების გზით.

„კერძო ჩხუბი“, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში, რუსეთის მიზნისათვის—თურქეთის დამარცხების საქმეში შავ ზღვაზე—ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად, რაც სოლომონ I-ის მიზანს შეადგენდა, ერთადერთი საშუალება იყო. აქეთ მისწრაფოდა იმერეთის მეფე რუსების ჩამოსვლამდეც და მათი ჩამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა ეს მისწრაფება, ვინაიდან რუსებში მან თავის სასარგებლოდ გამოსაყენებელი ძალა დაინახა.

ქართული ინტერესების უგულვებლყოფამ რუსეთის მთავრობა გაუგებრობამდე მიიყვანა. იგი 1771 წ. 2 იანვარს სოლომონ I-ის ელჩს ეუბნებოდა: „ძალიან უსამართლო იქნებოდა რუსეთის საიმპერიო ჯარებს იმერეთში უშიშროება და სამშვიდ დემყარებინათ, მაშინ როცა საკუთარი მფლობელი ამაში არ მონაწილეობს“.


უფრო შორს წავიდა კორპუსის გენერალი; მან სოლომონ I-ის ბრძოლა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის რუსეთის საწინააღმდეგო აქტად მიიღო და მტრობა ჩამოაგდო იმერეთის მეფესთან.

ჩამოწვა კრიტიკული მდგომარეობა რუსეთ-იმერეთის ურთიერთობაში. მაგრამ ამ ურთიერთობის მთავარმა ფაქტორმა—რუსეთისა და იმერეთის ბრძოლამ თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ შავ ზღვაზე და ამიერკავკასიაში—მინც თავისი გაიტანა: რჩებოდნენ დასავლეთ საქართველოში რუსები, რომლებიც მოხერხებულად გამოიყენა სოლომონ I-მა და მათი დახმარებით ხელიდან გამოჰგლეჯა მტრის ბაღდადისა და ქუთაისის ციხეები და გურიის სამთავრო იმერეთის სამეფოს შეუერთა.

რუსების ყოფნას დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი სამხედრო მარცხი თურქეთისათვის ამიერკავკასიიდან არ მიუყენებია, მაგრამ მათი ფიზი-

¹ იქვე, 269.

² იქვე, 273.



კური ყოფნა საქართველოში საკმარისი ვახდა მტერზე მორალური ზემოქმედებისათვის, რომელიც იძულებული იყო შეტევის მოლოდინში თავდაცვის სადარივი დაეჭირა და ამით ძალუხნებურად თავისი პოზიციები ცენტრალურ ფრონტზე რუსეთის სასარგებლოდ შეესუსტებინა.

რუსეთის ჯარის ყოფნამ დასავლეთ საქართველოში შესაძლებლობა მისცა რუსეთის მთავრობას იმერეთის საკითხი საერთაშორისო დავის საგნად გადაეცია და ქუჩუქ-კაინარჯის ზავში აიძულა თურქეთი იმერეთის სამეფოსაგან ნომინალური ქვეშევრდომობით დაკმაყოფილებულიყო. რა თქმა უნდა, რუსეთი იმერეთ-თურქეთის საქმეებში ჩაერია იმ მიზნით, რომ თავისი მომავალი ბრძოლისათვის თურქეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში გასაბატონებლად დიპლომატიური ნიადაგი მოემზადებინა. და ასეც მოხდა. შავი ზღვის სანაპიროზე რომ თურქეთმა ჯარები გადმოსხა და ციხეების გამაგრებას შეუდგა, რუსეთის მთავრობამ მას ამის წინააღმდეგ ენერგიული პროტესტი განუცხადა კაინარჯის ხელშეკრულების დაცვის მიზნით.

კაინარჯის საზავო ხელშეკრულებას იმერეთისთვისაც დიდი სარგებლობა მოჰქონდა მართო იმიტომ კი არა, რომ მასში იურიდიული სანქცია მიიღო იმერეთის ქვეშევრდომობამ და ამდენად იგი საერთაშორისო დავის საგანი გახდა, რაც ერთობ ზღუდავდა დამპყრობელი თურქის ბატონობას, — არამედ იმიტომაც, რომ იმერეთის ხალხში ეს შავი ნერგავდა გამარჯვების იმედს თურქეთის წინააღმდეგ და აძლიერებდა მისწრაფებას იმ ქვეყანასთან დაკავშირებისაკენ, რომელიც წარმატებით იბრძოდა ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ შავ ზღვაზე და კავკასიაში.

1768—74 წ. წ. ომი თურქეთისათვის დამთავრდა, რომელიც მასში დამარცხდა, თორემ რუსეთმა, რომელიც იქიდან გამარჯვებული გამოვიდა, უფრო მეტი ვაზნაღებებით განაგრძო თავისი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა და მას ხელიდან გამოსტაცა ყირიმი, ტაშანი და ყუბანის ველი, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოზე თავისი მფარველობა გაავრცელა. თურქეთი რომ ამ აქტებს შეურიგდა, რუსეთი უფრო შორს წავიდა და ჩაერია სოლომონ I-ს საქმეშიც, რომლის შერიგებასაც ერეკლე II-სთან გულმოდგინედ შეუდგა. თუკი რუსეთი მოახერხებდა საქართველოს მეფეების შეერთებას, იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ამით ადვილად ჩასციმდა ლახვარს თურქეთის ბატონობას ამიერკავკასიაში. რა თქმა უნდა, რუსეთი, თავისი თვალსაზრისით, მართალი იყო. მაგრამ მის სეპარატიულ წამოწყებებს წინ აღუდგა თურქეთი, რომელმაც, ომის ნუქარის გზით, აიძულა იგი ხელი აეღო ცდებზე იმერეთთან „მეგობრობითი კავშირის“ ხელშეკრულება დაედო და მასზე თავისი მფარველობა გაეგრძელებინა.

ის რამაც რუსეთი გააჩერა, სრულებით არ იყო საშიში იმერეთის მეფისათვის, რომელიც კვლავ განაგრძობდა ბრძოლას თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში; თუ-კი რუსეთისათვის იმერეთის შექცენა ჯერ კიდევ არ ღირდა ომის ატეხად, სოლომონ I თურქეთთან ომის გზით

¹ იგივე წიგნი, ტ. II, წიგ. II, 29—30.

აპირებდა დასავლეთ საქართველოსათვის ეროვნული თავისუფლების შექმნას. ამ საქმეს იგი ისევე რუსეთის დახმარებას უკავშირებდა და მის იმპერატორს თურქეთის მოძალადეობის წინააღმდეგ მფარველობას სთხოვდა¹. „თურქებმა განიზრახეს, —სწერდა იგი ეკატერინე II-ს 1782 წ. 15 აგვისტოს,—კვლავ თავიანთ უღელში შეებან თქვენი... მოწყალებით ბარბაროსთა ხელიდან გამოხსნილი ჩვენი ხალხი“². მაშასადამე, წინა ომში იმერეთი რუსეთმა გამოიხსნა ოსმალეთის ბატონობისაგან თავისი სამხედრო და დიპლომატიური დახმარებით. ასეთს აქტს ეწოდება, სოლომონ I-ის აზრით, რუსეთის მფარველობა. ვინაიდან მფარველობა დაცვას ნიშნავს, მფარველი და ხელდასხმული ერთმანეთთან სამხედრო კავშირში იმყოფებიან, ე. ი. ისინი, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და ერთმანეთის შინაურ საქმეებში არ ერევიან. მაგრამ ხანდახან სოლომონ I რუსეთის ქვეშევრდომობასაც თხოულობდა³. რა თქმა უნდა, აქ არავითარ არეგ-დარეგს ადგილი არა ჰქონია: იმერეთის მეფეს „ქვეშევრდომობა“ და „მფარველობა“ თავისი, ქართული, პოზიციებიდან, ე. ი. ერთნაირად, ესმოდა.

მაგრამ სხვანაირად ფიქრობდა და მოქმედებდა რუსეთი.

1783 წ. შემოდგომაზე სოლომონ I-მა რუსეთის მთავრობას შეატყობინა, რომ იგი მზადაა დასდოს რუსეთმა მასთან ისეთივე ხელშეკრულება, როგორიც ქართლ-კახეთის მეფესთან დაიდო გეორგიევსკში⁴. რუსეთის მოაზრობამ იმერეთში თავისი აგენტი, ტამარა, გაგზავნა, რომელსაც დაეჯალა ზეგავლენა მოეხდინა სოლომონ მეფეზე და მისთვის დაეწერიებინა ისეთი თხოვნის წიგნი, რომელშიც⁵ მეფეს უნდა განეცხადებინა, რომ⁶ უმთავრესი მიზეზი, რომელიც აიძულებს მას ეძიოს რუსეთის მფარველობა, არის ხშირი და ძალიან მძიმე ავადმყოფობა, საფრთხე დასტოვოს იმერეთი მცირეწლოვანი და სუსტი მემკვიდრეების ხელში და, უკანასკნელ, სურვილი—გამოიხსნას თავისი სამშობლო თურქთა თავდასხმისა, ძარცვისა და აოხრებისაგან⁷.

რუსეთის მხრივ ასეთი მოთხოვნის წაყენება იმერეთისათვის იყო დიდი გაბედულება და დიდი შორსმკერტელობაც. მართლაც და, თუკი რუსეთი სოლომონ მეფისაგან მიიღებოდა ასეთს თხოვნის წიგნს, ამ უკანასკნელს იგი გამოიყენებდა იურიდიულ საბუთად საერთაშორისო-დიპლომატიურ ბრძოლაში დასავლეთ საქართველოზე თავისი „კუთვნილებითი უფლებების“ დასამტკიცებლად და ამით თურქეთის ბატონობას იმერეთის სამეფოში „უფლებრივ საფუძველს“ გამოაცლიდა. ამას გარდა, იგივე საბუთი საშუალებას მისცემდა რუსეთს ხელდებული იმერეთი თავის ქვეშევრდომად გაეხადა, ე. ი., რუსული გაგებით, მისთვის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფობა წაერთმია და თავის პროვინციად ექცია.

მაგრამ სოლომონ I-მა რუსეთის პირობები არ მიიღო. იგი თავის, ქართულ, პოზიციებზე დარჩა პოლიკენიკ ტამარასთან ქუთასში დიპლომატიური

¹ იქვე, 12.

² იქვე, 13.

³ იგივე წიგნი, ტ. II, вып I, 176.

⁴ Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, II, СПб, 1886, 55.

⁵ იქვე, 56.



ქიდილის მთელს მანძილზე და 1784 წ. 4 მარტს ეკატერინე II-ს ასეთი ცხარე განცხადებით მიმართა: „მოწყალეო ხელმწიფეო, მიბოძე მე და ჩემს მემკვიდრეებს იგივე მფარველობა, რომელიც შენგან მიცემული აქვს ქართლისა და კახეთის მეფე ირაკლის; თანაბრად დაიცავი უფლებანი და უპირობო სიყვარული ჩემი და იმერეთის მემკვიდრე მეფეებისა¹“. მაშასადამე, სოლომონ I რუსეთის მთავრობას, ამისი სურვილების წინააღმდეგ, სთხოვდა დასავლეთ საქართველოს ხალხის დაცვას თურქეთის ძალმომრეობისაგან და იმერეთის სამეფოს შენახვას.

ქუთაისის მოლაპარაკებამ მკაფიო გახადა ის, რომ ქართველი ხალხი რუსეთს უკავშირდებოდა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითმყოფობის გადარჩენის მიზნით, ხოლო რუსეთი კავკასიისაკენ საქართველოს დასაპყრობად მოიწევდა.

რუსეთის მოძრაობა საქართველოსაკენ, რამდენადაც იგი აქ თურქეთის ბატონობას სპობდა, პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ, რამდენადაც ქართული სახელმწიფოს მოსპობასაც ითვალისწინებდა, ამდენადვე მის წინააღმდეგ ბრძოლა გარდაუვალი ხდებოდა.

მისი ეს ორივე მხარე სოლომონ I-მა იმთავითვე შეამჩნია და რუსეთის მთავრობა დაითანხმა მფარველობა-ხელდებულობის, ანუ „მეგობრობითი კავშირის“, პაქტის დადებაზე, რაც, მისი აზრით, დასავლეთ საქართველოს შესაძლებლობას მისცემდა თურქეთის ბატონობისგანაც თავი გაეთავისუფლებინა და თავისი პოლიტიკური თვითმყოფობაც უზრუნველყო.

¹ იქვე, 58.

3. ჯავახიძე

„ქარას“-ის სახელწოდებისათვის ძირითულში

უკვდავი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“-ს 750 წლისთავის მზადებისთან დაკავშირებულმა ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიურმა გათხრამ, რომელიც ორი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა (პირველი კამპანია 1936 წ. აგვისტოს 22-დან ოქტომბრის 29-მდე, მეორე 1937 წ. აგვისტოს 26-დან ოქტომბრის 3-მდე), საქართველოს მატერიალური კულტურის სხვადასხვა ძეგლების და ნაშთების გამოვლინებასთან ერთად, მდიდარი და მრავალგვარი მასალა შეგვძინა კერამიკის დარგშიც¹

განათხარ ჭურჭლებსა და მათ ნატეხებს შორის ყურადღებას იპყრობს მოზრდილი ჭურჭლების ფრაგმენტები ორნამენტირებული სარტყლებით მუცლის გარშემო. ამ ჭურჭლების ფრაგმენტები (სამწუხაროდ მხოლოდ ფრაგმენტები!) მრავლად აღმოჩნდა დმანისში, ხოლო შემთხვევით თბილისსა, რუსთავსა და უფლისციხეშიც. ფრაგმენტების ერთმა ჯგუფმა დმანისიდან საშუალება მოგვცა სანახევროდ აღგვედგინა ერთი ასეთი ჭურჭელი.



სურ. № 1

ანისში აღმოჩენილი ჭურჭელი

იგი წარმოადგენს დაახლოებით 0,5 მეტ. სიმაღლის დიდ მუცლიან ჭურჭელს, რომელსაც ზედაპირზე გადავლევთ აქვს წითელი ანგობი (წერნაქი). როგორც ფოტოსურათებიდან ჩანს (№ № 1 და 2), ქუსლიანი ძირი და დაბალი ყელი ჭურჭელს შედარებით ვიწრო აქვს; ხოლო პირი გადიშლილი. მას აუცილებლად აქვს ორი ყური, ზოგ შემთხვევაში ოთხიც. როგორც წესი, მუცლის უდიდეს გარშემოწერილობაზე საბეჭდავით დადებული აქვს დიფერული, მცენარეული, გეომეტრიული, გრესილი ან სხვა ხასიათის ორნამენტი. მარტივად შემკულია აგრეთვე ჭურჭლის ყელიც, ასეთია ზოგადად, გარეგნული ნიშნების მიხედვით, ეს ჭურჭელი.

¹ იხ. „შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“ ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. თბ. 1938 წ. ლ. მუსხელიშვილის წერილი „დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა)“.

**

ზემოხსენებული ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტები პირველად ანისში აღმოჩნდა¹. ამ გარემოებამ თავისი კვალი დააჩნია კერამიკის დარგში მიღებულ ტერმინოლოგიას; როგორც ნ. მარი, ისე მისი თანამშრომლები ანისის არქეოლო-



სურ. № 2

დმანისში აღმოჩენილი ჭურჭელი (ნაწილობრივ რეკონსტრუირებული)

გიურ კამბანიებში (ი. ა. ორბელი, გ. ნ. ჩუბინაშვილი და სხვ.) ამ ტიპის ჭურჭელს „კარას“-ს უწოდებენ. ამ ტერმინმა ფეხი მოიკიდა აგრეთვე საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაშიც.²

¹ იხ. ОИАК. 1892 г გვ. 80 და 84.

Н. Марр „Краткий каталог Анийского музея“, серия 1, Петербург, 1906 წ.
 Н. Я. Марр. „Ани“, 1934 г.

² იხ. Н. Я. Марр. — „Ани“, 1934 г.

Л. Мухелишвили. „Раскопки в Дманиси“, Совет. археология, VI, 1940 г.

Б. А. Шелковников. — „Художественная керамика Двинских раскопок“, Известия Армаван 1941 г. вып. № 4—5.

В. Н. Левиатов. — „Украшения на карасах из старой Ганджи“. Известия А. Н. Ав. С. С. Р. № 8 1945 г.

Г. А. Измайлова „Керамика из раскопок в Анберде“, Труды Отд. Ист. Культ. и Иск. востока, VI, 1947 г.

ნ. მარის სიტყვით, „კარას“-ი „ყველისა და სხვათა შესანახი ქურქელია“¹, ორბელის სიტყვით „კარას“-ი „ღვინის ქურქელია“², ხოლო გ. ჩუბინაშვილის განმარტებით წითელი თიხისაგან გაკეთებული მოუქიქავი ქურქელია ღვინისა, ერბოსა და „სხვისათვის“³.

აჭარაიანის განმარტებით კი სომხურში *კარას* (=კარას) ეწოდება „ღვინის ან წყლის დიდ (ხაზი ჩენია ვ. ჯ.) ქურქელს“⁴. სომხური ენის ყველა კილოებშიც *კარას* ეწოდება ამგვარადვე, ღვინის დიდ ქურქელს⁵. დღესაც სომხები *კარას*-ს იმას უწოდებენ, რასაც ჩვენ ქართველები ქვევრს ვიტყვით. (მე საშუალება მქონდა პირადათაც დავრწმუნებულეყავი ამაში სომეხ მუშებთან საუბარში). მაშასადამე გამოდის, რომ:

ა) *კარას* ღვინის ქრუქელია. ბ) იგი დიდი ქურქელია და გ) იგივეა, რასაც ქართველები პურს ანუ ქვევრს ვუწოდებთ. რომ ეს მართლაც ასეა, ამას კარგად ადასტურებს დაბადების ტექსტების სათანადო ადგილების შეჯერება; დაბადების სომხურ ტექსტში ჩვენ გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინი *კარას* (იხ. იგავთა 23₂), შესატყვის ადგილას დაბადების ბერძნულ ტექსტში გვაქვს *κρηθ* (=ბითოს)⁶, რაიც ნიშნავს პურს, ქვევრს. მართლაც, დაბადების ქართულ ტექსტში ამავე ადგილას ჩვენ გვაქვს „ქური“ (ქვევრის მნიშვნელობით), მაშ, როგორც ირკვევა, ზემოაღწერილი ქურქელი ორნამენტური სარტყლით და ქური ანუ ქვევრი, ორი სხვადასხვა ქურქელი ყოფილა, როგორც მოყვანილობით, ისე სიდიდით, სავარაუდოდ დანიშნულებითაც და განსხვავდება ისეთი დეტალებითაც, როგორცაა ყურები, ორნამენტურიებული სარტყელი, ზედაპირის „გაწითლება“ წერნაქით.

მაშ რა საფუძველი გვაქვს ზემოხსენებულ ტიპის ქურქელს „კარას“-ი ეწოდოდა? არც სომხური ენობრივი პრაქტიკა, არც ლიტერატურული წყაროები და არც თვითონ ნივთი ამის საბუთს არ გვაძლევს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ტერმინმა უმართებულოდ მოიკიდა ფეხი საერთოდ საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში იმ ტიპის ქურქლების აღსანიშნავად, რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

¹ იხ. „Краткий каталог Анийского музея“, სერია № 1, 1906 წ. გვ. 27.

² იხ. „Каталог Анийского Музея древностей“ ნაკვეთი 1, სერია № 3, 1910 წ. გვ. 130.

³ იხ. „Христ. восток“, ტ. V, ნაკვეთი 1, 1916 წ. გ. ჩუბინაშვილის „Декоративное убранство Анийских Корасов“ გვ. 22.

⁴ იხ. აჭარაიანის სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი ერევანი 1926 წ.

⁵ იხ. იქვე.

როგორც აქ, ისე სხვა შემთხვევაში სომხურ ტექსტებზე დაყრდნობის დროს მე ვსარგებლობ პრაფ. ი. აბულაძის თარგმანით, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვასხენებ.

⁶ ჩემს მოვალეობად მიმანია ღრმა პატივისცემის გრძნობით მოვისხენით ხსოვნა აკად. ივ. ჯავახიშვილის, რომლისაგანაც დიდად ვარ დავალებული ბერძნული ტექსტის ზემოხსენებული ადგილების შედარება-განმარტებით.



რადა თქმა უნდა, ეს ტერმინი მიუღებელია ქართულისათვისაც. არ გამოგვადგება ზემოაღწერილ კურკლის სახელწოდებისათვის ქართულში; აგრეთვე, სიტყვა „ქურა“, როგორც სომხური „კარას“-ის ქართული ექვივალენტი. იმის გარდა, რომ ამ ტერმინს ძვ. ქართულში ორი სხვა მნიშვნელობაც ქონდა, როგორც კურკლისა საზოგადოდ, ისე საქურველის¹, იგი, როგორც უკვე მქონდა აღნიშნული, ნიშნავდა აგრეთვე იმას, რასაც ქვევრს ვეძახით² ჩვენი კურკელი კი ყოველმხრივ განსხვავდება კურისაგან (ქვევრისაგან) და არავითარი საფუძველი არ მოგვეპოვება მას კური ვუწოდოთ, ეს ტერმინიც შეუფერებელია. შეუძლებელია აგრეთვე ამ კურქელს კრასოული³ ვუწოდოთ, როგორც ამას განსწავლული მეცნიერი ლ. მუსხელიშვილი ფიქრობდა.

ჯერ კიდევ 1925 წ. განსვენებულმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ „ბერებს ლენოს სატრაპეზოში დასალევად სადილ-სერობის დროს სწორედ კრასეულებით აძლევდნენ ხოლმე“⁴.

კრასოულის (resp. კრასოვული, კრასეული, კრასაული, კრასეული) შესახებ გარკვეული ცნობები მოგვეპოვება გ. მთაწმინდელის თხზულებაში (ცხ^ბ ი ე და ევ^ბ თმსი). ათონის ალაპებში, დავით აღმაშენებლის შიო-მღვიმისადმი 1123 წ. ბოძებულ ანდერძშიც და სხვ.

საკმარისია დავიმოწმიოთ ათონის ალაპები, რომ საკითხი სრულებით ცხადი გახდეს. მოვიყვან რამდენიმე ამონაწერს: „იკონომოსისა განწესებული შჯდი კრასოული იყო; და ოდეს ტრაპეზსა დაჯდის მწუხრსა, ოთხი კრასოული მიართვან“⁵. „.....და სამხრად წდიან ხუთ-ხუთი კრასაული“⁶ „.....რათა დიდი ნუგეშინისცემი იქმნას ძმათაი მას დღესა შინა და რათა ეწდიოს ძმათა სამწუხაროდ კრასაული ოთხოთხი. და დილასა ხუთ-ხუთი⁷ და ა. შ.

ფიქრობთ, რომ მოტანილი ამონაწერებიც საკმარისია იმის დასარწმუნებლად, რომ კრასოული სრულიად შეუფერებელი სახელწოდება იქნებოდა იმ კურკლისათვის, რომელსაც აკად. ნ. მარი „კარას“-ს უწოდებს.

კრასოული, როგორც ირკვევა, სასმისია, რაც კიდევ უფრო გარკვევით ჩანს ათონის ალაპთა ქვემოყვანილ ნაწყევტიდან:

¹ იხ. დაბადება II მეთვთა 24²²; 25²³, აგრეთვე 33²⁵, ი. შავთელის „აბდულუმესია“ და სხვ. ნ. მარის „Древнегруз. олошисици“ გვ. 27.

² ასევე ვსმის ეს ტერმინი საბასაც:
„ქუ რ ი—ქვევრი (საქვე მოციქ. 9¹⁵)“;
„ქუ რ ი—არს კეცთაგან კურქელი“;
„ქვევ რ ი—კეცის ტური“.

იხ. „ქართული ლექსიკონი“ აკ. შანიძის და ი. ვიფშიძის რედაქციით. 1928 წ.

³ იხ. მ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, ლ. მუსხელიშვილის ხელნაწიხნებული წერილი გვ. 442.

⁴ ივ. ჯავახიშვილი—„ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ესლა“ წიგნი III. ნავეთი მესამე, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა მეტროლოგია, თბ. 1925 წ. გვ. 74.

⁵ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაპებით. საეკლესიო მუზეუმის გამოცემა თბ. 1901 წ. გვ. 51¹⁰⁻¹²

⁶ იქვე გვ. 219⁷⁻⁸

⁷ იქვე გვ. 235²

...იგივე ზემო წერილი წესი ლოცვისად აღესრულენ და ჟამისწირვად და ოთხთხი სასუმელი ტრაპეზსა“-ო¹. ცხადია, აქ „სასუმელი“ „ქარასოველის“ მაგიერადაა ნახმარი. მე ვფიქრობ, მეტი ამონაწერების მოყვანა საჭირო აღარაა. „ქარასოული“, როგორც ზემოხსენებული ტიპის ქურქლის სახელწოდება, უნდა უარყვით, მაგრამ საკითხის ამ სტადიაში დატოვება, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია.

„ქარას“-ს თავის სახელწოდება უნდა მოვეძებნოთ ქართულში. ვფიქრობთ ამის შესაძლებლობა არსებობს.

წინასწარ ჩვენ გვინდა ხაზი გავუსეთ შესასწავლი ქურქლის დამახასიათებელ ნიშნებს. „ქარას“-ი ა) თიხის დიდი ქურქულია; ბ) იგი დიდ მუცლიანია, აქვს ყურები; გ) გადავლებული აქვს წერნაქი; დ) შემკულია ორნამენტოვან სარტყლით; ე) სავარაუდოა, რომ იხმარებოდა ყველის, ერბოს და სხვ. შესაბამადა.

როგორც მოყვანილობით, ისე სიდიდით, დანიშნულებით და დეტალებითაც (ყურები) ეს განათხარი ქურქელი შეიძლება დაფუკავშიროთ ქილას ანუ დერგს. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ჩვენ შეგვიძლია მოვიშველიოთ ერთი მხრით საბა-სულხან ორბელიანის ცნობები, ხოლო მეორე მხრით საქ. შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის, 1935 წ-ში განსვენებულ აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ხალხში შეკრებილი მასალები, რომელიც ამჟამად აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტშია დაცული.

თუმცა საბას მიერ მოცემული ცნობები მეტად განსაზღვრულია და მცირე, მაინც მათ თავისი დიდი მნიშვნელობა აქვს; „დერგი—ქურთ უმცირესი“-ო, ამზობს ს. ს. ორბელიანი² და „ქილა-სხუათა ენაა, ქართულად დერგი ჰქვინ“-ო³.

საბას ამ მოკლე ცნობაში ისაა საინტერესო, რომ დერგს იგი ქურს ადარებს და ქურზე მცირეა, პატარააო, გვეუბნება. ქურის ანუ ქვევრის სიდიდე რაკი ვიცით, ცხადია, „ქურზე უმცირესი“ ქურქელი, რაც უნდა პატარა იყოს, მაინც დიდი ქურქლების კატეგორიაში უნდა მოვაქციოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი შედარება ყოველად გაუმართლებელი იქნებოდა. რომ დერგი დიდი ქურქელია, ამას ძალიან კარგად ადასტურებს ზემოხსენებულ ექსპედიციის მიერ ხალხში შეკრებილი მასალები.

¹ ათონის აღაპებო გვ. 225, ზომ არ იყო კრასოული პატარა ყანწი, რომლითაც აღაპის დროს შესანდობარს სვამდნენ ბერები? საქმე ისაა, რომ იმავე ათონის აღაპებში, 271 გვერდზე ვკითხულობთ: „დიდი დღესასწაული—ამალღვბაი პანაშვიდად გარდაიხდებოდის, მწუხარი კერასითა სამსამითა და ხილითა, რაიცა მას ჟამს და ჰხუდეს და სამხრად ტრაპეზს, წესისაგებ სხუათა მანეშებლათასა, ეწდიოს ზუთ-ზუთი“. ბერძნულში *ჯებრაც* ნიშნავს, სხუათა შორის რქისაგან გაკეთებულ საგანს, კერძოდ რქის სასმისს ანუ ყ ა ნ წ ს.

² იხ. ს. ს. ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ პროფ. აკ. შანიძისა და პროფ. ი. ყიფშიძის რედაქციით. სიტყვა დერგი.

³ იქვე, სიტყვა ქილა.



ზემო იმერეთის სოფლებში—ზ. და ქ. გეზრულში, შრომაში, კოსტავში, წერეთლის მიერ შეკრებილ მასალებიდან ირკვევა, რომ დერგი „სამწინდელ კურკელია; ან ყველის ჩასადები; გარეგნულად ქურსა გაეს“. კიდევ უფრო საინტერესოა სოფ. შუახევის (აჭარა, ხულოს რაიონი) მცხოვრების 75 წლის მოხუცის ოსმან დავითაძის ცნობა: „თუ დიდ დერგს გვაკეთებ, ჯერ ქვედა ნაწილს გვაკეთებ და მერმე ზედას ცალკე; ჯერ დერგის ნერჩს (ქვედა ნაწილს) გავაკეთებ, [როცა] დერგის ნერჩს გავაკეთებ, მოვფარავ ქენერებს ჟვერით ან ქინკით. იგი იქნება ერთი დღე და ღამეს, მერმე ავადროფ და ზედას ვაშენებ ზედას. ნერჩის ქენერებს იმიზე მოვფარავთ, რუმე ერთპირათ არ გუუთებს, კიდევ არ გუუხმება და ძირი გაშრება“¹.

აქედან აშკარად ჩანს: დერგი იმდენად დიდი კურკელია, რომ მისი ერთ-ბაშად ჩამოყალიბება ჩარხზე შეუძლებელია და მას თანდათანობით „დააშენებენ“ თიხის ნაქრებს. რაც შეეხება დანიშნულებას, ხულოს რაიონის სოფ. კალოშნარის მცხ. სულიე დავითაძე (35 წლის) გვაცნობებს, რომ „დერგში ჟავს (=წინის) ჩადებენ“² ლეჩხუმის ს. ზუბის მცხ. ასკალონ ეპიფანეს ძე ჩანკვიტაძის (45 წლის) ცნობით „დერგი პატარა კურჩივითაა, ხალამივით დიდი მუცელი არა აქვს, სხვაფრივ ორივე ერთია დერგი და ხალამი“—ო, ხოლო „ხალამი მუცლიანი არი, მწნილისა და ყველისათვის ვიცით“³ და სხვ.

ზემოხსენებულ მსგავსებას გარდა, ფორმას, სიდიდესა და დანიშნულებაში, შესამჩნევია განსხვავებაც განათხარ და აწინდელ დერგებს შორის, მაგ. ორნამენტირებული სარტყელი დღეს დერგებს არ გააჩნიათ, აჭარაში დერგებს ყოველთვის არ აქვთ შებმული ყურები, მაგრამ ნივთი ხომ დროთა განმავლობაში იცვლება! თუმცა საქ. ისტორიის წყაროების ერთ ნაწილში დერგისა და ჩვენი კურკლის იგივეობის დამადასტურებელ ცნობებს ჯერჯერობით ვერ მივაგენით, მაგრამ ზემოხსენებული საბუთებიც საკმაოა იმისათვის, რომ ამიერიდან, უსაფუძვლოდ შემოტანილ „კარას“-ის ნაცვლად, ჩვენი აზრით, სინამდვილესთან ახლო მდგომი ტერმინი „დერგი“ ვიხმაროთ ქართულში—ზემოხსენებულ კურკლებისათვის.

¹ იხ. საქ. შინამრეწვ. და წვრილი ხელოსანობის ისტორიისათვის შეკრებილი მასალები. აჭარა, კურკელი ქ. ლომთათიძის ჩანაწერები.

² იხ. იგივე მასალები ქ. ლომთათიძის შეკრებილი. კურკელი.

³ იხ. ზემოხსენებული მასალები ლეჩხუმში შეკრებილი ნ. რეხვიაშვილის მიერ კურკელია.



თ. ლომოზიძე

დავით VII-ის და ვახტანგ III-ის ფულები

XIII ს-ის ოთხმოციანი წლებიდან ქართულ ნუმიზმატიკაში ფულის ახალი ტიპი ჩნდება. ამან შესცვალა 1261 წლიდან აქნობამდე ხმარებაში მყოფი ეგრ. წოდ. ყანური ფული, რომლისაგანაც იგი არსებითად განსხვავდება. სპეციალურ ლიტერატურაში ეს ფული რამდენიმე სახელწოდებით არის ცნობილი. ა. მარკოვი მას „საქართველოსათვის მოჭრილ ფულს“ უწოდებდა¹. ე. პახომოვი² უფრო მართებულად სცნო მისთვის „ქრისტიანულ-ჰულაგუიდური“-ს სახელწოდება მიენიჭებინა. ფულის აღმნიშვნელი ტერმინი, ცხადია, ნიშანდობლივი უნდა იყოს. პირველი სახელწოდება ამ მხრივ ვერ აკმაყოფილებს მეცნიერულ მოთხოვნილებას. მეორე უფრო მიზანშეწონილია, მაგრამ, ჩემის აზრით, უფრო ფართოა, ვიდრე ეს ამ ფულს შეეფერება. „ქრისტიანულ-ჰულაგუიდური“-ს სახელწოდება გვაგულისხმებინებს ამ ფულის მოჭმელების ასპარეზად ყველა იმ ქრისტიანი ხალხების ტერიტორიას, რომლებიც კი ჰულაგუიდების სამფლობელოში ცხოვრობდნენ. მაგრამ ცნობილია, რომ ეს ფული იჭრებოდა მხოლოდ თბილისის ზარაფხანაში და ამიერ-კავკასიის ფარგლებს ძვირად თუ სცილდებოდა. საჭიროა, ამის გამო, ამ ტერმინის პირველი შემადგენელი ნაწილის შეცვლა—შევიწროება. ამ უკანასკნელ დროს დ. კაპანაძემ წამოაყენა ამ ფულის აღსანიშნავად ახალი ტერმინი—„ქართულ-ჰულაგუიდური“, რომელიც, ჩემის აზრით, ზევითანნიშნულზე უფრო მეტად ასახავს მოხსენებული ფულის არსს: ერთის მხრივ ეს ტერმინი მიუთითებს იმაზედ, რომ ფული მოჭრილია ჰულაგუიდური ხელისუფლების მიერ ან მისი ნებართვით, ხოლო მეორეს მხრივ, რომ ის დაკავშირებულია საქართველოსთან, რომელიც ამ დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ სხეულს წარმოადგენდა ამიერ-კავკასიაში³.

ქართულ-ჰულაგუიდური ფული იჭრებოდა ვერცხლისა და სპილენძისა. მისი ზოგადი სახეობა ასეთია; ავერსზე მონოლურნი ხუთსტრიქონიანი წარწერა. ამ წარწერის მესამე სტრიქონზე მოცემულია იმდროინდელი ილხანის სახელი—აბლასი (1265—1282), აჰამედისა (1282—1284), არლუნისა (1284—

¹ Марков, Инвент. каталог мусульман. монет Эрмитажа гв. 571—576.

² დ. კაპანაძე, XIII—XIV ს. მოჭრილი რამდენიმე სადაო სპილენძის მონეტის შესახებ. საქ. სარ მეც. აკად. მოამბე. ტ. VII № 1—2, 1946.

³ ტერმინის სინუსტიკათვის უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენებულ წერილში მის მთელს სივრცეზე გაპარულა კორექტ. შეცდომა: დაბეჭდილია ჰულაგუიდური, უნდა იყოს ჰულაგუიდური.



1291), ქელათუსი (1291—1295) და ბაიდუსი (1295). აჰმედის დროიდან ილხანის სახელი არაბულადაც არის ხოლმე აღბეჭდილი წარწერის ბოლოში.

მთელი ეს წარწერა ითარგმნება; „ხაყანის სახელით მოქრილი აბალას (ან სხვა ილხანის) მიერ“.

რევერსზე კვადრატულ ჩარჩოში მოთავსებულია არაბულად ქრისტიანული ლოცვა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ღვთისა ერთისა“.

წარწერის გარდა აქვე გამოსახულია ხოლმე მომცრო ტანის ჯვარი, რომელსაც ყველა მონეტაზე ერთიდაიგივე ადგილი არ უკავია. ზოგზე ის ცენტრშია, მომეტებულ შემთხვევაში კი უკანასკნელი სტრიქონის შუა ადგილი, ან მარცხენა კუთხე უჭირავს. ჩარჩოს გარეთ აღბეჭდილია თარიღი—წელიწადი ჰიჯრით და თვე (ტაბულა № 1, 2, 3). წონა ამ მონეტებისა 2,20—2,50 გრ; დიამეტრი 20—24 მმ.

ქართულ-ჰულაგუიდური მონეტის რევერსზე მოთავსებული ქრისტიანული ლოცვა ამაზე ადრეც ყოფილა გამოყენებული ნუმიზმატიკაში. ალფონს VIII კასტილიელის (1158—1214) დინარებზე ანალოგიური ლოცვა, აღბეჭდილია თითქმის ასეთივე ჯვაროსანთა მიერ აკრაში 1251—1257 წ. მოქრილ დინარებსა და დირჰემებზე¹. ქართულ-ჰულაგუიდურ ფულთან თანადროულად ასეთი წარწერა ჩნდება რომელიღაც სომხურ მოსახლეობიან პუნქტში მოქრილ სპილენძის ფულზედაც².

რევერსის ამ წარწერამ საქართველოში მოქრილ ფულზე იარსება XI ს-ის დასაწყისამდე. ამავე დროს, სახელდობრ, 1280 წ. ეკუთვნის დემეტრე II-ის მიერ მოქრილი წმინდა ქართული სპილენძის ფული, რომლის რევერსზე მოთავსებულია ზემოხსენებულ ლოცვასთან ძალიან ახლოს მდგომი სარწმუნოებრივი ფორმულა: „გურამს მამია, ძეი და სული წმიდაი“. როგორც ჩანს; ჯვაროსანთა ფულების წარწერას თითქმის 30 წლის შემდეგ მოუღწევია ამიერკავკასიამდე და აქ რამდენიმე ვარიანტის სახით აღბეჭდილია ადგილობრივ ფულზე.

1280 წლიდან, ე. ი. დემეტრე II-ის მეფობის მერვე წლიდან მოყოლებული, ასეთი სახით იჭრებოდა ქართულ-ჰულაგუიდური ფული ვახტანგ II-ის მეფობაში (1289—1292 წ.) და, როგორც ჩანს, დავით VII-ის მეფობის დასაწყისშიაც, დაახლოებით 1292—1295 წლამდე³. აქ უნდა მოვიხსენიოთ გაკვრით ერთი დეტალი, რომელიც შევნიშნე ქელათუს სახელით მოქრილ ამ ტიპის ფულებზე. ავერსზე მონღოლური წარწერის მესამე სტრიქონზე, სადაც ილხანის სახელი ხოლმე მოთავსებულია, მოხსენებული ყანის დრაჰმებზე კვლავ მისი წინამორბედის არღუნის სახელი იკითხება, ქელათუს სახელი კი მხოლოდ არაბულად არის მოცემული წარწერის ბოლოში⁴. აღსანიშნავია რომ, ამავე ქელათუს სახე-

¹ Пахомов, О нескольких медных монетах, чекан. в Армении XIII—XIV в. Тифл. 1927 გვ. 153.

² Е. Пахомов *op. cit.* შეად. დ. კაპანაძე, XIII—XVI ს-ში მოქრილ რამდენიმე სადავო სპილ. მონეტის შესახებ. საქ. მეცნ. აკად. მოამბე ტ. VII, № 1—2 1946.

³ Марков, *op. cit.*, გვ. 575, 576. ამ უკანასკნელზე № 140-ით აღრიცხული მონეტის თარიღი აშკარად მდებარია—684 წლის ნაცვლად უნდა იყოს 694 წ.

⁴ ფრენი ამ მონეტებს მიაწერს არღუნს, თუმცა აღნიშნავს, რომ არაბული დამწერლობა ამ სახელსა უცნაურიათ Fraehn, De Jchanorum numi... №№ 80, 89.

ლი წმინდა ჰულაგუიდურ (და არაქართულ) ფულებზე როგორც მონღოლურ წარწერაში ისე არაბულადაც მართებულადაა მოცემული.

ქართულ-ჰულაგუიდური ფული, როგორც ჩანს, დიდის რაოდენობით იქრებოდა. ამაზე მიგვითითებს შტამპის მრავალნაირი ვარიანტები. იგი ვრცელდებოდა უმთავრესად საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, შედიოდა აგრეთვე ეხლანდელი აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზედაც.

ქართულ-ჰულაგუიდურმა ფულმა, იმ სახით, რომელიც ზევით იყო აღწერილი, დავით VII-ის მეფობის დასაწყისამდე მიიღწია. ამ დროის განმავლობაში თბილისის ზარაფხანა მხოლოდ ამ ტიპის ფულს უშვებდა. მდგომარეობა იცვლება ყაზან ყაინის გამეფებიდან ილხანების სამფლობელოში. მის მიერ გატარებული რეფორმები საფინანსო სფეროსაც შეეხო, და კერძოდ ფულის საკითხიც ახლებურად გადაწყდა. ყაზანმა მოსპო ფულის ნიშნების მრავალსახეობა და ერთი საყოველთაო ტიპი შემოიღო ყველგან. მთავარი მასა ფულის ნიშნებისა მიღებული ტიპისა იქრებოდა. კერძოდ საქართველოში თბილისის და ახალციხის ზარაფხანები უმთავრესად ამნაირ ფულს ამუშავებდა¹. მაგრამ, ამ ფულის პარალელურად საქართველოს აღმ. ნაწილში, ძველი ტრადიციისამებრ, ქართველი მეფეების მიერ მოქრილ ფულსაც ვხვდებით. იმ დროს შექმნილი საზოგადოებრივი პირობების გამო აღმ. საქართველოში ერთხანს ორმეფობა დამყარდა, ამ ორი მეფის—დავით VII-ის და ვახტანგ III-ის—ფულები ერთგვარ თავისებურ ჯგუფს ჰქმნიან, და ქართული ნუმისმატიკური საკითხების კვლევა-ძიების ინტერესები მოითხოვს ამ ჯგუფის საგანგებო შესწავლას. საკითხის გარკვეულობისათვის საჭიროა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების მოკლედ მაინც გათვალისწინება.

დავით VII დემეტრე II თავდადებულის პირში შვილი იყო. მისი თავგადასავალი მკიდროდ გადაეხლართა აღმ. საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას. როდესაც 1284 წ. არღუნი ყაინად დასვეს, მან დაიბარა დემეტრე II თავისთან, „კეთილად შეიწყნარა და მოსცა ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა“, შინ დაბრუნებულმა დემეტრემ „წარავლინა ძე მისი დავით მცირე სახლსა ზედა ათაბაგისასა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქენდეს საუფლისწულოდ“². ამ დროს დავითი დაახლ. 9—10 წლისა უნდა ყოფილიყო³. 5 წლის შემდეგ დემეტრე უკანასკნელად გაუდგა იმავე გზას ურდოსაკენ. ათაბაგის ქვეყანაზე ე. ი. ბიჯნისზე გავლისას მან თან წაიყოლა ყრმა დავითიც იმ მოსახრებით, რომ ამითი უშუქველად დაუმტკიცებდა ყაინს თავის ერთგულებასა და ნდობას. დემეტრეს ტრაგეკული სიკვდილის შემდეგ მისმა მოწინააღმდეგე პარტიამ ხუტლუშას მეთაურობით დაიყოლია არღუნი აღმ. საქართველოს მეფედ კანონიერი მემკვიდრე დავითი კი არ დაესვათ,

¹ იხ. ჩემი „ქოდალას განძი“. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIV B, 1947.

² „ამთა აღმწ. გვ. 734.

³ 1259 წ. დაბადებული დემეტრე II ტრაპიზონის სამეფო გვარის ქალზე დაქორწილებულა 14—15 წლის ასაკში 1273—74 წ. (ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ. III, გვ. 97, 98). პირში დავითი დაახ. 1275—76 წ. უნდა გაჩენილიყო.



არამედ დასავლ. საქართველოს მეფის დავით ნარინის ძე ვახტანგი, რომელიც მოხდებოდა საქართველოს ორივე ნაწილის გაერთიანება მონღოლთა ხელში. მონღოლთა ურდოში დარჩენილი დავითი სასიკვდილო განსაცდელს ტაჩან ნოინის წყალობით გადაარჩა მაგრამ, მემატინეს სიტყვით „დაშთა... ქირთა და იწროებათა შინა“¹. რამდენიმე ხნის შემდეგ დავითის მდგომარეობა შეიცვალა. გათავგებულმა მედროვე ხუტლუშამ ზურგი უბრუნა თავის პროტექტ ვახტანგ II-ს და დავითის გამეფება მოისურვა, მაგრამ ქართველ დიდებულთა წინააღმდეგობას შეხვდა, და ეს წამოწყება ჩაიშალა. სამაგიეროდ „ადგილ-ადგილ-სოფელნი და ქვეყანანი მოსკეს დავითს“². 1292 წ. ვახტანგ II გარდიცვალა, და 17—18 წლის დავითმა ახლა უკვე მიზანს მიაღწია—ილხანმა ქელათუმ იგი აღმ. საქართველოს მეფედ დაადგინა. ყაინისა და დავითს შორის ნორმალური ურთიერთობა სუფუვედა. დავითი მონღოლებისაგან განდგომილ ქვეყნებთან ქელათუს მიერ წარმოებულ ომებში მონაწილეობდა, რითაც ყაინს თავისი ერთგულება დაუმტკიცა. ამის შედეგად ქელათუმ „მოუწოდა დავითს და ჰრქვა:— ეინათგან დასდევ თავი შენი მსახურებად ჩემთვის და სდგახარ ერთგულებასა ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენთვის და წარმოგზავნა ტფილისს და დასვეს ტახტსა მამისა მათისასა“, და კვლავ: „მოსცა ყაინმა [მეფესა დავითს ცოლად] და მისი ოლჯათ (ვახტანგ II-ის ქვრივი), დაიპყრა ამან ყოველი სამეფო მამისა მისისა დიმიტრისა“³ გარდა სამცხისა. ამ პერიოდში დავითი „უმეტესთა ეამთა იყვის წინაშე [ყაინისა]“⁴. შესაძლებელია, ამ დროს იქრებოდა კიდევ ზემოხსენებული ქართულ-ჰულაგუიდური ტიპის ფული. სამწუხაროდ ამ საკითხის გადაჭრა ბრკოლდება იმის გამო, რომ, საზოგადოდ, ამ ფულზე თარიღები მეტად გაურკვეველად არის ხოლმე აღბეჭდილი, და, ხშირ შემთხვევებში, მხოლოდ ილხანის სახელით შეიძლება მათი დათარიღება, ქელათუს ყაინობის წლები კი ხვდება არა მარტო დავითს, არამედ ვახტანგ II-აც. ასეთი კეთილი ურთიერთობა ყაინსა და დავითს შორის გაგრძელდა სულ ორი წელი. 1295 წ. დავითი თუქალ ნოინის მიერ ჩათრეულ იქნა ქელათუ ყაინის წინააღმდეგ და ბაიდუს სასარგებლოდ მოწყობილ შეთქმულებაში. ქელათუ მოჰკლეს, მაგრამ ბაიდუმაც დილხანს ვერ იბოგინა—მის წინააღმდეგ წამოყენებულმა ყაზანმა შესძლო ბაიდუსი და მისი პარტიის მოსპობა და ამავე წლის შემოდგომაზე თვითონ გაყაინდა. ამ დროიდან დაიწყო დავითსა და მონღოლებს შორის განხეთქილება და ბრძოლა, რომელმაც დავითის სიკვდილამდე გასტანა. ჩემი თემისათვის ამ ბრძოლის პერიოტიკებს ერთგვარი ინტერესი აქვს, ამიტომ მე აქ მათ გავითვალისწინებ მთლიან ხაზებში, მაგრამ მოკლედ. წინასწარუნდა აღვნიშნო შემდეგი: თემის ხასიათი, სახელდობრ ის გარემოება, რომ ორი თანადროულად მოქმედი პირის გარშემო ტრიალებს ჩემი კვლევა-ძიება.

¹ უამთა აღმწ., გვ. 744.

² აქვე, 745.

³ აქვე, 749—750.

⁴ აქვე, 750.

მაძღვლებს ზოგჯერ ერთიდაგივე ფაქტი გავიმეორო ერთ ან მეორე პირობად დაკავშირებით.

1295 წ. ტახტზე ასვლის შემდეგ ორი წლის განმავლობაში ყაზანი, როგორც ჩანს, თავის ქვეყნის საქმეებს აწესრიგებდა. მხოლოდ 1297 წლის ნოემბერს გამოუგზავნია ელჩი დავითთან და თავისთან დაუბარებია.¹ დავითი ჯერ დათანხმებულია წასვლაზე, მაგრამ შემდეგ დაუტოვებია თბილისი და მთიულეთში გახიზნულა. ამის შემდეგაც ყაზანს კიდევ რამდენჯერმე მიუტია დავითისათვის ანალოგიური წინადადება, მაგრამ ასეთივე შედეგით. კიდევ მეტიც: დავითს ყაზანს სამტროდ ჩრდილო ულუსთანაც გაუმართავს მოლაპარაკება. ამგვარი ორკოფული პოლიტიკის საპასუხოდ ყაზანის ჯარები უწყალოდ აოხრებდნენ ქართლს. დავითი, მთებში შეხიზნული, განაგრძობდა ბრძოლას. ამით თავმოებურებულმა ყაზანმა, რომ ვეღარა გააწყო რა დავითთან, 1299 წ. აღმ. საქართველოს ტახტზე აიყვანა დავითის უმცროსი ძმა მცირეწლოვანი გიორგი, შემდეგში ბრწყინვალედ სახელდება. გიორგიმ ქვეყანას ვერ მოუღარა. ამა-სობაში დავითსა და მის მომდევნო ძმა ვახტანგს შორისაც უთანხმოება წარმოიშვა, რის გამო ვახტანგი განშორდა დავითს და ყაზან ყანთან წავიდა. ამ უკანასკნელმა სიხარულით მიიღო იგი და ესეც მეფედ დასვა. მიღებული ქრონოლოგიით ეს აშბავი 1302 წ. მოხდა.

აი ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში წარმოიშვა ის ფული, რომლის ირგვლივ სწარმოებს ჩემი კვლევა-ძიება.


მთავარი ნუმიზმატიკური მასალა, რომელსაც მე ჩემს თემასთან დაკავშირებით ვიხილავ, საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკური კაბინეტის ექსპონატებს წარმოადგენს. გამოყენებულია აგრეთვე დ. კაპანაძის კოლექციის ცალები და ის თითო-ოროლა ცნობაც, რომლებიც მოცემულია სპეციალურ ლიტერატურაში. ამგვარად: ჩემს განკარგულებაშია 8 ცალი საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტისა და 2 ც. დ. კაპანაძის კოლექციისა. დავით VII-ის დრაჰმები, საზოგადოდ, ძალიან ცოტაა ცნობილი. სპეც. ლიტერატურაში იხსენიება სულ სამი ცალი. ერთი მათგანი გეტინგენის უნივერსიტეტის საკუთრება ყოფილა²; მეორე, ბართოლომეის მიერ თბილისში შეძენილი, საკავშირო ერომიტაქშია დაცული³, ხოლო მესამე ბარათაევის კოლექციაში იმყოფებოდა⁴. ამ, საერთო ჯამით, 13 მონეტიდან 1 ც. (მუზეუმისა) იმდენად დაზიანებულია, რომ დეტალების გარჩევის საშუალებას არ იძლევა. ვერ მოვახერხე გეტინგენის უნივერსიტეტის კუთვნილი მონეტის პირის ნახვაც. დანარჩენი 11 ცალის შედარება ააშკარავებს, რომ ესენი ერთდაგივე შტამპით არ არიან მოჭრილი. ოდნავი მსგავსება შესაძლებელია შევამჩნიოთ ბარათაევის ცალსა (გვ. 172—173) და საქ. მუზეუმის № 16-ით აღროცხულ ცალს შორის. თავის დროზე, ჩანს, დავით

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. III, 131.

² Баратаев, Нумизм. факты Грузинск. царства, № 173, შენიშვნა.

³ Mélanges Asiat. t. III გვ. 87 n 8.

⁴ Langlois, Essai... გვ. 89.



VII-ის ეს მონეტა არც ისე მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ცხადია, მისი ამ მხრივ შედარებაც კი არ შეიძლება წინა ათეულებში მოჭრილ ფულებთან.

ჯერ შევეხოთ მის გარეგან სახეს. მონეტა მშვენივრად არის მოჭრილი, კარგი ტექნიკური თვისებები აქვს: მაღალი ღირსების ვერცხლი, ლამაზად შესრულებული არაბული წარწერები, მოხდენილი ქართული მონოგრამები. დიამეტრი 20—21 მილიმეტრს უდრის, წონით ჩემს ხელთ მყოფი ათი ცალიდან 8 ცალი 2 გრამს აღემატება—აღწევს 2,37 გრამსაც, 2 ც. 2 გრამზე ნაკლებს იწონის (1,83 გრ., 1,95 გრ.).

ამ ფულების შედარება მათზე უშუალოდ წინ მოქმედ ქართულ-პულაგუიდურ ფულთან ამკლავნებს ორს, არა მარტო ნუმიზმატიკური თვალსაზრისით, ახალს და მნიშვნელოვან მოვლენას:

1. დავითის ვერცხლის ფულის ავერსზე მონღოლური წარწერა შეცვლილია არაბულით. წარწერა ასეთი შინაარსისაა:

عظم	ფადიშაჰი უზენაესი
سلطان محمود	სულტანი მაჰმუდ
خان غازان	ყაზან ხანი
خدا الله ملكه	ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი

წარწერის გარშემო წერტილოვანი რკალია. რკალს გარეთ არა ირკვევა რა ზოგიერთ ცალზე სხვადასხვა სამკაულებია—ვარსკვლავი, სამყურა ორნამენტი და სხვა. ასეთი ზედწერილი, რამდენადაც ვიცი, საზოგადოდ ყაზანის სხვა ფულებზე არ გვხვდება. ზედწერილში ყაზანი წოდებულია ფადიშაჰად. ასეთი წოდებულების აღნიშვნა მონღოლურ ფულებზე ძალიან იშვიათად არის დადასტურებული. დავით VII-ზე აღრე ულუ დავითის ვერცხლის ფულზე მანგუს ყაინია ასე სახელდებული—**خان قان** **قاجا** **قاجا** **قاجا**. შემდეგაც ვახტანგ III სპილენძის ფულზე იგივე ყაზანია ასე წოდებული—**قاجا** **قاجا**. ასეთი ტიტული თუ მონღოლთა უზენაეს ყაინს მანგუს შეეფერებოდა, ილხანი ყაზანისათვის გაზვიადებულად ჩანს.

2. მეორე მოვლენამ რევერსზე იჩინა თავი. კვადრატულ წერტილოვან ჩარჩოში მოთავსებულია:

سم الاب	სახელითა მამისათა
والابن وروح	და ძისათა და სულისა
القدس الا	წმიდისათა ღვთისა
واحد	ერთისა მეფე დავით

ჩარჩოს გარეთ სემენტებში თარიღი—წელიწადი ჰიჯრით და თვე. მთავარი წარწერა ე. ი. ქრისტიანული ლოცვა დავით VII-ის ფულზე არაფრით განირჩევა დემეტრე II-ის და ვახტანგ II-ის დროინდელ ქართ.-პულაგუიდურ ფულებზე მოთავსებულ ამგვარივე ლოცვისაგან. ამ მხრივ დავით VII-ის ეს ფუ-

ლიც ამავე ქართ.-ჰულაგუიდური ფულის ჯგუფს განეკუთვნება, მხოლოდ ჯვე-
რი, რომელიც იქ ცენტრში ან მარცხენა ქვემო კუთხეში იყო ხოლმე, აქ არ
არის. სამაგიეროდ მარცხენა ქვემო კუთხეში მისი ადგილი, ცოტა უფრო ფარ-
თო, აქ უკავია ქართულ მთავრულ ასოებს **ჟ** **ფ** **შ**, ე. ი. მეფე დავით. ასო
„დონს“ მუცელში ჯვარი უნის (ტაბ. № 4, 5).


ჩარჩოს გარეთ მოთავსებული თარიღი მხოლოდ დავით VII-ზე მიგვიბო-
თებს. თარიღი, მოცემული ამ მონეტებზე, საქიროებს ერთგვარ განმარტებას.

ამ მონეტის გამომცემლები ვ. ლანგლუა¹ და ი. ბართოლომეი² თარიღად
696 წ. კითხულობენ. საქ. სახ. მუზეუმის სამ ცალზედაც იგივე თარიღი იკით-
ხება, ერთ ცალზე თვე შაბანიც **سبأ**. სხვებზე თარიღი ვერ ირკვევა, ბარა-
თავეს, ჩანს, თარიღი სულაც ვერ შეუნიშნავს³. ამგვარად, ერთად ერთი ამო-
კითხული, ჯერჯერობით მაინც, თარიღი 696 წელია ჰიჯრით. ჩვენი წელთაღ-
რიცხვით იგი უდრის 1296—97 წ.. ამ თარიღით აღნიშნული დავით VII-ის
ვერცხლის მონეტები, როგორც მათი შედარება გვიჩვენებს, ძირითად ხაზებში
ერთი და იგივე, მაგრამ დეტალებში სხვადასხვა შტამპით არიან მოჭრილი.
ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ერთხელ გამომუშავებული ბეჭედი არსე-
ბითად აღარ შეცვლილა. ზევით ნათქვამი იყო, რომ ყაზანის გაყინების შემ-
დგომ 1295 წლიდან 1297 წლამდე ყაზანის ყურადღების არეში დავითი
და საქართველო არ ჩანს. მხოლოდ ამ წელს ყაზანმა დაიწყო მოლაპარაკება
დავითთან და გაიწვია ის თავისთან. ამ მოლაპარაკების და დავითის თანხმო-
ბის შედეგად შესაძლებელია მივიჩნიოთ ჰიჯრის 696 მოჭრილი და დავითის
სახელის მატარებელი ფული. დავითი ამ ჯერად ილხანთან არ წაეიდა, მაგ-
რამ არც მასთან მორიგებაზე აიღო ხელი. მათ შორის კიდევ რამდენჯერმე
დაიდო პირობა, დაინიშნა დავითის ურდოში გამგზავრების ვადაც, მაგრამ
უკანასკნელ მომენტში დავითი მაინც ევლარ სდგამდა გადაწყვეტ ნაბიჯს. სა-
ფიქრებელია, რომ ამ დროებითი მორიგების პერიოდებშიაც, პირველი ხნის
განმავლობაში მაინც, თბილისის ზარაფხანაში კვლავ იჭრებოდა იმავე შტამ-
პით დავითის ინიციალით აღნიშნული ვერცხლის ფული. ამითი შეიძლება აიხ-
სნას ბეჭდის დეტალების განსხვავება დავითის ჩვენამდე მოღწეულ ფულებზე.
ამგვარად, დავით VII-ის ფულის შესწავლა ამჟღავნებს აღმ. საქართველოში
მონღოლ-ქართველთა შორის ამ დროს დამყარებული ურთიერთობის საყურად-
ღებო დეტალს: ქართველთა მეფესა და ილხანს შორის აშკარა კონფლიქტია
წარმოშობილი. მეფე თბილისიდან გახიზნულია მთებში. ამ მიუვალ საფარში
მჯდომი ის სისტემატურად ეწინააღმდეგება ილხანის მოთხოვნას, საქმე ბრ-
ძოლებამდეც კი მიდის. ამავე დროს თბილისის ზარაფხანა რამდენიმე წლის
განმავლობაში უშვებს კარგი ხარისხის ვერცხლის ფულს, რომელზედაც ყაინის

¹ V. Langlois. Essai. გვ. 89.

² J. Bartholomaei. Lettres numismat. et archéolog. 1859. გვ. 112 n° 7

³ Баратаев, Нумизм. факты Грузии. царства гв. 173.



ამ ურჩი ვასალის სახელია აღნიშნული. ასეთი მდგომარეობა, ჩემის აზრით, მიგვითითებს იმაზედ, რომ ყაზანი არ ჰქარავდა იმედს შეერივებინა ქართლის მეფე, 1299 წლამდე ამისათვის სათანადო ნაბიჯებსაც სდგამდა და ერთ-გვარ დათმობაზედაც კი მიდიოდა. 1299 წელს მდგომარეობა შეიცვალა: ყაზან ყაინმა დავითთან შერიგებაზე ხელი აიღო; ამასთან ერთად ბუნებრივად უნდა შემწყდარიყო დავით VII-ის ვერცხლის ფულის მოჭრა.

დავით VII-ის სახელით გამოშვებული ნუმიზმატიკური ძეგლები მოხსენებული ვერცხლის ფულით არ ამოიწურება. მუდმივი ბრძოლის გარემოებაშიაც მითებში შეხიზნულ დავითს სადღაც ზარათხანის მოწყობა მოუხერხებია და მეტად საინტერესო ფულიც უჭრია. ეს ფული სპილენძისაა, აქნობამდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია. ჩემს განკარგულებაში ამ ფულის 19 ცალია. თითქმის ყველა ცულად შენახული, თხელ, ნაპირებდაზიანებულ ფირფიტებზე ნაჭედი. წარწერები იმდენად დაზიანებულია, რომ მთლიანად არც ერთ ცალზე არ იკითხება, მაგრამ რამდენიმე, შედარებით უკეთ შენახული, ცალის წარწერების ურთიერთ შეფარდება მთელი ზედწერილის ამოკითხვის საშუალებას იძლევა. ნორმალური წონა-ზომის გამორკვევა, მონეტების დაზიანების გამო, შეუძლებელია. ჩვენი ცალების დიამეტრის ზომა მერყეობს 14—24 მმ. შორის, ხოლო წონა 0,58—2,38 გრ. შორის. შესაძლებელია, ეს მერყეობა ნომინალების სხვადასხვაობისგანაც მიმდინარეობდეს. სამწუხაროდ, ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა იმ დრომდე გადაიდოს, ვიდრე არ ვიშოვით ამ ფულის უფრო უკეთესად შენახულ ცალებს.

ეს მონეტები გარეგნულად დემეტრე II-ის სპილენძის ფულის განმეორებას წარმოადგენენ. ავერსზე გამოსახულია კვადრატი, რომლის ხაზები შეერთების პუნქტებში ჰქმნიან ყულფებს. ამ ყულფებიან კვადრატზე მოპირდაპირე მიმართულებით მოთავსებულია ასეთივე კუთხე-ყულფიანი კვადრატი. ორი კვადრატის ასეთი განლაგება ჰქმნის მომენტის ცენტრში რვაკუთხედს, რომელშიაც ზის მთავრული „დონი“. „დონის“ მუცელი შუაზე გაყოფილია ვერტიკალური ხაზით, რომელსაც შუაადგილიდან მარჯვნივ პატარა კიდური აქვს წარზიდული. „დონის“ მუცლის მარცხენა ნახევარი იძლევა მთავრული „თანის-ს“ მთავარ ტანს, ხოლო მარჯვენა კიდური შეადგენს „თანის-ს“ მეორე მცირე ნაწილს. მთელი კომპლექსი კი წარმოადგენს ორი ასოსაგან შემდგარ მონოგრამას. „რაც იხსნება „დავით“. ასო „დონ-ს“ ნაირნაირი მოხაზულობა აქვს.

⌘

⌘ ⌘ ⌘ ⌘ ⌘

ეს ნაირნაირობა უმთავრესად ყელის და სარქველის სახეობას ახასიათებს. ჩარჩოს გარეთ, არაყოველთიან ერთსადანიმევე ადგილზე, მოთავსებულია ოთხი მთავრული ასო: ზევით მარცხნივ და მარჯვნივ შ.ყ, ქვევით მარცხნივ და მარჯვნივ შ.ყ, ე. ი. მფ/მფ ანუ „მეფე მეფეთა“. ამგვარად ავერსის მთელი ზედწერილია „მეფე მეფეთა დავით“. გარდა ამ წარწერისა ზოგიერთ ცალზე ზევით და ქვევით

ჩარჩოს გარეთ ჩანს ორნამენტი. ერთ ცალზე, ქვევით, ორნამენტის ნაცვლად ნაწილობრივ ირკვევა ორი მთავრული ასო. ერთი მათგანი „ფარ“-ა, მეორესი ჩანს მხოლოდ ზედა კიდური **წ**. თუ ეს კომპლექსი ქორონიკონია, როგორც მე მგონია, აქ შესაძლებელია იყოს ერთად ერთი **ზ** „ლას“-ი. ამ შემთხვევაში ქორონიკონი იქნება **წზ** ე. ი. 530, რაც უდრის 1310 წელს.¹ დავითი ამ დროს ჯერ ისევ ცოცხალია. კარგად შენახული ცალი მოგვეცემს საშუალებას ეს საკითხი საბოლოოდ გადავწყვიტოთ.

ოვერსი ამ მონეტისა, ავერსის მსგავსად, ძირითადად დემეტრე II-ის სპილენძის ფულის ასლია. ცენტრში მოხდენილად გამოყვანილი ორიგინალური ფიგურაა. იგი მთავარ ხაზებში თამარ-დავითის 1200 წლის ფულზე ასახული ფიგურის განმეორებია. ზოგიერთ ცალზე ამ ფიგურის მარცხნივ მოთავსებულია **ქ**, მარჯვნივ, **წზ**, ე. ი. ქორონიკონი 530 (1310 წ.). აქ ეს უდავო ფაქტია. ამგვარად, ზოგ ცალზე ეს თარიღი ავერსზე ყოფილა მოთავსებული, ზოგზე კი რევერსზე. არის ისეთებიც, რომლებზედაც თარიღი სულაც არ ჩანს, ცენტრალურ ფიგურას ავლია ხაზოვანი რკალი, რომლის გარეთ ირგვლივ ასომთავრულით: **ქაქჰს შწჰი ქაშსზჰჰ** ე. ი. „გურწამს მამი ძე და სული წმიდაი“². გარშემო კვლავ ხაზოვანი რკალი (ტ.ბ. № 6,7).



როგორც გამოირკვა, დავითის ეს აქნი ზამღე უცნობი ფული 1310 წელსაა მოჭრილი. სად იმყოფებოდა ამ დროს დავითი, ძნელი სათქმელია. მისი ძმის ვახტანგ III-ის გარდაცვალების შემდეგ (1308 წ.) დავითმა კიდევ 3 წელიწადი იცოცხლა, მაგრამ წყაროებიდან არ ირკვევა სად და რა პოლიტიკურ ვითარებაში ვაატარა მან ეს სამი წელიწადი. ნიკრისის ქარით მძიმედ დაავადებული ის, როგორც ჩანს, თითქმის ჩამოშორებია პოლიტიკურ ასპარეზს: „სენიუა შეედეა ბოროტი ნიკრისი ჯელთა და ფერკთა და უქმარ იქმნა. და იყოცა კაცი ურწმუნო და უშიში ღვთისა, ამისთჳს ბოროტსა სენსა შთავარდნილი უღონოებდა“³. მისი ავადმყოფობით და უმოქმედობით უსარგებლიათ ოსებს „და ბაყათარ

¹ საჭიროა ამ თვალსაზრისით გადასინჯოს დემეტრე II-ის ამ ტიპის ფულები. ამათხედაც ამ ადგილს თარიღი უნდა იყოს. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ დავითის მოხსენებული ფული თითქმის ყოველ დეტალში ასლია დემეტრეს ფულისა. ჯერ ისევ ბარათაქვმა დემეტრე II-ის ამ ფულს ავერსზე შენიშნა ასო **წ** და ახსნა იგი როგორც ქორონიკონის ციფრი 500. მონეტა ამის მიხედვით 1280 წლით თარიღდება.

² ასეთი წარწერა, დემეტრე II-ის მონეტაზე მოთავსებული მართებულად პირველად დ. კაპანაძემ ამოიკითხა. იხ. მისი „დემეტრე თავდადებულის ფულის ზედწერილის შინაარსი“, საქ. მეცნ. აკად. მოამბე ტ. III, № 8 1942.

³ ეპითაღმწერელი, 775—776 გვ. ტექსტი ვარიანტებიდან.



(ოსების ბელადი) აოჯრებდა ქვეყანათა და ჰკოცდა კაცთა¹. მიუხედავად იმისა, რომ დავეითი მანც ქართლის ერთ ნაწილს განაგებდა. ქართლელ მსხვილ ფეოდალთა შორის მას მომხრეები და მოკავშირეები ჰყოლია. ჯერ კიდევ ყაზან ყაინთან ბრძოლის დროს „დადგეს ერთგულობასა მეფისასა სურამელი აჰმადა, ამირეჯები აბაზას ძე ქილა და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი და დიდი ერთგულობა აჩვენეს“². ზემოხსენებული სურამელი აჰმადა მეფეს დამოყვრება კიდევ—დავეითს შეურთავს მისი ასული მას შემდეგ, რაც მონღოლებმა წაჰგვარეს ცოლი ოლჯათი³. მართალია, როგორც ტერიტორია დავეითის სამფლობელოსი, რომელიც საბოლოო შედეგში არაგვის და ნაწილობრივ ქსნის ხეობით ისაზღვრებოდა, ისე ქვეშევრდომების რიცხვიც სახელმწიფოებრივობის თვალსაზრისით უმნიშვნელონი იყვნენ, მაგრამ, ვინაიდან ეს კუთხე მანც რაღაც პოლიტიკურ სხეულს წარმოადგენდა მმართველი აპარატით და სხვა ატრიბუტებით, აშკარაა, მასაც ესაჭიროებოდა ფული. დავეითს ამ „სამეფოში“, საფიქრებელია, მცირე რაოდენობით მანც, შევიდოდა სამხრეთიდან მონღოლთა მიერ მოპრილი ვერცხლისა და სპილენძის ფული. ასეთივე შესაძლებლობა არსებობდა ჩრდილოეთის მხრიდანაც—ჯუჯიღების ვერცხლის ფულის დარიალანის გზით შემოსვლა დადასტურებულია სოფ. ალში ნაპოვნი ჯუჯიღური ფულის განძით⁴. მაგრამ ეს ფული ვერ დააკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას, რის გამოც დავეით VII სკრის სპილენძის ფულს. გამოჩვეული თარიღი 1310 წ. სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მართლაც ამ თარიღით იქნებოდა ეს ფული მოპრილი. შესაძლებელია, ამაზე ადრეც ყოფილიყო ასეთივე ფული გამოშვებული. ჩვენს ხელთ მყოფ ამ ფულის ოციოდ ცალიდან მხოლოდ ორ-სამზე აღმოჩნდა ეს თარიღი, დანარჩენებზე არ ჩანს ამგვარი რამე. უფრო სრულიად შენახულმა ცალებმა, შესაძლებელია, სხვა თარიღიც მოგვეცნენ. საკითხი, თუ სად უნდა ყოფილიყო ეს ფული მოპრილი, იოლად ვერ წყდება. ვახტანგ III-ის სიკვდილის შემდეგ (1308 წ.) ქართლის სამეფო ტახტი კვლავ განთავისუფლდა: გიორგი დემეტრეს ძე, 1299 წ. ტახტზე აყვანილი, აღარ ჩანს ამ დროს თბილისში. ამავე დროს უკვე კაინის მკვდარია დავეითის დაუძინებელი მტერი ყაზანი და მის ადგილს ზის მისი ძმა ულჯათუ სულტანი (1303—1316 წ.). ამ უკანასკნელისა და დავეით VII-ის ურთიერთობის შესახებ წყაროები სდუმან, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დავეით VII-ის უფლებრივი მდგომარეობა არ შეცვლილა: ვახტანგის ადგილზე მონღოლებს დავეითის მცირეწლოვანი შვილი გიორგი გამოუცხადებიათ აღმ. საქართველოს მეფედ. დავეითი, აღბათ, კვლავ თავის სამფლობელოში იქნებოდა და ზემოხსენებულ ფულსაც აქვე, თავისი მუდმივი ადგილმყოფელობის, ერთ-ერთ პუნქტში მიაგ. ქინვანსა, სტუფანშიდასა, გველეთს ან ვადაში მოსპირიდა.

¹ აქვე.

² შ ა მ თ ა ა დ მ წ ე რ გ ლ ი, გვ 760.

³ აქვე, გვ. 765.

⁴ იხ. ჩემი „საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობის საკითხისათვის XIV ს-ში“ (ხელნაწერი).

ვახტანგ III (1298—1308 წ.) თანამედროვეა ყაინების ყაზანისა და ულჯაიტუსი. მის მიერ აღმ. საქართველოს სამეფო ტახტის დაპყრის შესახებ ზევით იყო გაკრით ნათქვამი. ვახტანგი ტახტზე ავიდა იმ უთანხმოების შედეგად, რომელიც დავით VII-სა და ყაზან ყაინს შორის წარმოიშვა. ქართულ საისტორიო თხზულებებში ვახტანგ III-ის გამეფების თარიღად 1302 წელია დადებული. ამ ცნობას ეწინააღმდეგება ვახტანგ III-ის სახელით მოპოვებული ფულის თარიღი, რომელსაც მხარს უჭერს ზოგიერთი ქართული საისტორიო წყაროც.

ვახტანგ III სკრიდა ვერცხლის და სპილენძის ფულს. ჯერ ვერცხლის ფულზე შეეზღვრდები. ეს ფული იშვიათობას არ წარმოადგენს, თავისი ნუმიზმატიკური თვისებებით იგი, დავით VII-ის ფულის მსგავსად, მალალ დონეზე დგას: კარგი ვერცხლისა და შნოიანი გარეგნობა აქვს. მომყავს ამ ფულის აღწერილობა:


Av. მონღოლურად: „უმადლესი ხაყანის მოადგილის ყაზანის მიერ ნაქედი“. ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

Rv. წერტილოვან კვადრატულ ჩარჩოში ქრისტიანული ლოცვა არაბულად: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა...“ და ქართული მონოგრამა **Ⲭ Ⲡ** ე. ი. ვახტანგ მეფე. ცენტრალური ადგილი უკავია რკალში

მოთავსებულ ჯვარს, ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში: **سنة ثمان وتسعين و ستماية** ე. ი. „იქედა წელსა 698.“ წელიწადის გარდა თვეც არის ხოლმე აღნიშნული, მაგ. **ربيع الآخر**, დიამეტრი 21—22 მმ., წონა 2,20—2,30 გრ.. ავერს-რევერსის წარწერებით ეს ფულიც იმავე ქართულ-პულაგუიღური მონეტების ჯგუფს უახლოვდება. ეს ფული მოპოვდა ჰიჯრის 698 წ. გარდა ამ თარიღისა ვახტანგის ფული 699 წლისაც არის ცნობილი. ამ უკანასკნელის გარეგანი სახეობა იგივეა, რაც ზემოთ იქნა აღწერილი, განსხვავება მათ შორის რევერსის მცირე დეტალში გამოიხატება: ცენტრალური ჯვრის ტოტებს შორის 699 წლის დრამაზე თითო ვარსკვლავი ზის (ტაბ. № 8,9).

ამგვარად ვახტანგ III-ის ვერცხლის ფული ჰიჯრის 698 და 699 წლებით არის დათარიღებული, ე. ი. ჩვენს წელთაღრიცხვით 1298—1299 და 1299—1300 წლებით. ამის მიხედვით ვახტანგის გამეფება 3—4 წლით უსწრებს ვახტანგის გამეფების იმ თარიღს (1302 წ.), რომელიც მიღებულია საისტორიო ლიტერატურაში. რომელი ამ თარიღთაგანია სწორი? მე ვფიქრობ პირველი, და აი რა მოსაზრებით. ვახტანგის სახელით მოპოვებული ფულის ბეჭდის გამზადება, ცხადია, ამ პიროვნების გამეფების ფაქტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს ფული გაჩნდებოდა ვახტანგის ფაქტიური გამეფების რამდენიმე წლით ადრე. ვინ გააკეთებდა ამას ან რა მიზ-

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1941 წ. გვ. 136—149. აგრეთვე საქართველოს ისტორიის საბელმძღვანელოს ყველა გამოცემის სათანადო ადგილი.



ნით? ერთადერთი რეალური ახსნა ამ მოვლენისა უნდა იყოს ის, რომ ვახტანგი მართლაც 1298/99 წლებში ანუ ჰიჯრის 698 წ. გამეფდა. გარდა ამ ნუმიზმატიკური მოწმობისა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც ამავე დასკვნამდე მივყევართ. „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ვარიანტში აღწერილია ის ომები, რომლებსაც ყაზან ყაინი ეგვიპტელებთან აწარმოებდა. ამ ლაშქრობაში ვახტანგსაც მიუღია მონაწილეობა: „მას ყაჟსა იწყო ყაზან ყაინმან ამჟედრება მეგვიპტელთა ზედა და მოუწოდა მეფესა ვახტანგს.“ ამ ლაშქრობისას მონაწილეებს აუღიათ ქ. დიამუშუცი, „რომელ არს დამასკო,“ მაგრამ ოთხი თვის შემდეგ, ზაფხულში „განდგეს დამასკელნი. ცნა რა ესე ყაზან, მოუწოდა სპასპეტსა მისსა ხუტლუშასა და მეფესა ვახტანგს და ყოველთა მთავართა საქართველოსათა და წარავლინა [მისრის] სულტანსა ზედა ლაშქრად“¹. ეს ცნობილი ლაშქრობა 1299 წლის ნოემბრის დამლევს დაიწყო. მონაწილეებს აუღიათ ქ. ჰემსი და იერუსალემი, 1300 წ. დამასკოც. დამასკოს აჯანყების შემდეგ ყაზანს კვლავ გაუგზავნია იქ ლაშქარი შუა ენკენისთევს². ყველა ამ დიდ ოპერაციებში ვახტანგი ქართველების ჯართურთ აქტიურ მონაწილეობას იღებს³. ზემოხსენებული ქართული წყაროები ვახტანგს ამ დროს არაერთგზის უკვე მეფედ იხსენიებენ. ამავე წლებით არის დათარიღებული, როგორც დაეინახეთ, ვახტანგ III-ის სახელით მოჭრილი ფულიც. უკანასკნელი ორი ფაქტი საფუძველს მძღვეს ვახტანგის გამეფების აქნობამდე მიღებული თარიღი 1302 წელი ექვის ქვეშ დავაყენო და მის ნაცვლად ახალი თარიღი—1298/99 წელი—ვიცნა მისი ტახტზე ასვლის დროდ.

ტახტზე ასვლამდე ვახტანგ III, როგორც ცნობილია, თავის უფროს ძმა დავითთან ერთად მონაწილეთაგან გამდგარი, მთიულეთის იყო შეზინხული. გარკვეულ დრომდე ძმებს შორის, როგორც ჩანს, თანხმობა სუფევდა. ვახტანგი იზიარებდა დავითის ბედს და აქტიურად ეხმარებოდა კიდევ მონაწილეებთან ბრძოლაში. იმ მისიის, რომელიც დავითმა ჯერ ისევ 1297 წ. ოქროს ურდოს ხანთან გაგზავნა, ვახტანგი მეთაურობდა. მეორე მისია 1298 წ. წასულა ოქროს ურდოში. ამ მისიის მეთაურად უკვე დავითის მეორე ძმა ბაადურია დასახლებული. შესაძლებელია, ამ დროისათვის თავი ეჩინოს იმ უთანხმოებას დავითსა და ვახტანგს შორის, რომელმაც აშკარა განხეთქილებამდე მიიყვანა ეს ორი ძმა და ხელი შეუწყო ვახტანგის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას. ამის შემდეგ დაახლოებით ერთი წელიწადი გასულა, და ვახტანგი, მონაწილეთა მიერ უკვე მეფედ გამოცხადებული ეგვიპტის ლაშქრობაში მონაწილეობს.

ნუმიზმატიკის და ქართული საისტორიო წყაროების მიერ დადასტურებული თარიღი მე უდავო და შეუზრყველ ფაქტად მიმაჩნია. შეუძლებელია წარ-

¹ ქაშთათალმწერელი, გვ. 772—774; ტექსტი, მოთავსებული სკოლიოზში სამეგრელოში და ბართაშვილის ვარიანტებიდან, იწყება 772 გვ. შენიშვ. 13.

² Hammer Purgatall, Geschichte der Jchanen. Darmstadt, 1842, II 86—96; 106—129.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 146.

მოვიდგინოთ, რომ ყაზან ყაინმა ვახტანგ მეფის სახელით მოსკოა ფული იმდროს, როდესაც ეს ვახტანგი თავის ძმას ყაინისაგან განდგომილ დავითს ახლდა მთიულეთში. რითი იხელმძღვანელებდა ყაინი ამ შემთხვევაში? ან როგორ უნდა აეხსნათ ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ვახტანგის ეგვიპტის ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ? ვახტანგ VI-ის სწავლული კაცები ხომ ვერ მოიგონებდნენ ამ ცნობას? ცხადია, ისინი ამოიღებდნენ მას ერთ-ერთ იმ მრავალ წყაროთაგან, რომლებიც მათ ხელთ ჰქონდათ.

ფაქტების ზემოთმოყვანილ განლაგებას ეწინააღმდეგება უკანასკნელი ეპიზოდი დავით-ვახტანგის ურთიერთობისა. ცნობილია, რომ საბოლოო განხეთქილება ძმებს შორის 1301 წ. მოხდა. საიდანღა ვაჩნდა ვახტანგი მთიულეთში, თუ კი ის უკვე 1298 წ. იქიდან წამოვიდა და მეფობა მიიღო? ქამთაღმწერელის მოთხრობით უკანასკნელი კონფლიქტი ასე განვითარებულა: დავითს გამოურკვეველი მიზეზის გამო ვახტანგი შეუპყრია და ჟინვანის ციხეში დაუპატიმრებია. ვახტანგი აქედან გაპარულა და მისულა ერთ-ერთ ცნობილ მოღვაწესთან—იოანე ბურსელთან. ეს პირი დავითის მხრივ უაღრესი ნდობით და პატივისცემით სარგებლობდა. ვახტანგს უთხოვია ბურსელისათვის შეერიგებინა იგი ძმასთან. ვახტანგს უთქვამს: „არა-რა ბოროტი მიქმნიეს და შეურაცხება წინაშე ძმისა ჩემისა, აწე არა წარვალ ურდოსა მტერთა მისთანა“. ¹ ეს სიტყვები, ჩემის ვაგებით, ისეთ აზრს შეიცავენ, რომ ვახტანგი ჰპირდება—აღარ წარვალ ურდოს, თუ კი ჩემი ძმა მომირიდდებაო. ჩვენ ვიცით, რომ ვახტანგი ერთხელ უკვე იყო ყაზანთან, 1301 წლისთვის ის დაბრუნებულა მთიულეთს, როგორც ჩანს, ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად—დავითს რაღაც ჰქონია საწინააღმდეგო მისი ცოლის, შაბურის ძმისწულის, მიმართ, ბურსელს შეურიგებია ძმები, მაგრამ მოკლე ხანში სამღურავს კვლავ უჩენია თავი, ვახტანგს ველარ აუტანია „თავისი უპატიოდ ყოფა“ და სამუდამოდ გასცლია ძმას.

ვახტანგის 1298—99 წლებში გამეფების ფაქტთან დაკავშირებულია კიდევ ერთი გაუგებრობა. ჩვენი წყაროები მოიხსენიებენ, რომ 1299 წ. ყაზანძა, თავმოებურებულმა დავითის ურჩობით, მეფედ გამოაცხადა დემეტრე II-ის უმცროსი ძე, მცირეწლოვანი გიორგი, რომელიც იზრდებოდა თავის პაპა ბექასთან, სამცხის მფლობელთან. თუ 1299 წ. აღმ. საქართველოში მეფედ ვახტანგი იყო, რაღად დასჭირდა ყაზანს გიორგი? მე გვონია, ამისი ახსნა შემდეგნაირად შეიძლება: ვახტანგს გამეფებისთანავე ხანგრძლივ ომებში უჭრეს თავი, ქვეყანა კი ისევ უმეთაუროდ დარჩა. მცირეწლოვანი გიორგი ქვეყანას ვერ წარუძღვებოდა, მაგრამ მას ჰყავდა მძლავრი მფარველი, რომელიც თავის გაზრდის ღვაწლისანაბრად არ გაუშვებდა. ამ არჩევანის დროს ყაზანს, ცხადია, ისიც ექნებოდა მხედველობაში მიღებული, რომ სამცხის მფლობელი მისი პოლიტიკის მომხრე და ხელის შემწყობი იქნებოდა.

გადავდივარ ვახტანგ III-ის სპილენძის ფულზე. ვახტანგ III-ის სპილენძის ფული სამი სახისა იჭრებოდა; ორი მათგანი ყაზან ყაინის მეფობაში ე. ი.

¹ ქამთაღმწერელი, გვ. 762.



1299—1304 წლებში. მესამეზე უკვე ყაზანის მენკვიდრის ულჯაიტუს სახელი აღნიშნული. ამის მიხედვით ფულის ამ სახის მოჭრა ხვდება 1304—1308 წლებს. ქრონოლოგიურად სხვებზე ადრინდელად ის სახე უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ვახტანგ III-ის 698 წლის ვერცხლის ფულის სრულ ანალოგიას წარმოადგენს. ავერსზე ხუთსტრიქონიანი იმავე შინაარსის წარწერა მონოლოგურად (იხ. ზევით გვ. 76). გარშემო წერტილოვანი რკალი. რვეერსზე კვადრატულ ხაზოვან ჩარჩოში იგივე ქრისტიანული ლოცვა არაბულად, რომლის ბოლოს მონოგრამები, **ⲬⲢ** ცენტრში რკალი შიგ ჩასმული ჯვრით, ჩარჩოს გარეთ გაურკვეველი წარწერა. ირგვლივ წერტილოვანი რკალი (იხ. ზევით გვ. 76). D 20—21 მმ. წონა 1,60—1,99 გრ. ვერცხლის და სპილენძის ამ სახის ფულგების სრული ანალოგია გვაფიქრებინებს, რომ ესენი ერთდროულად უნდა იყვნენ მოჭრილი, სახელდობრ 896 წ. (1298—99 წ.)

ამას მოსდევს მეორე სახე, რომელიც სულ სხვა ტიპს იძლევა.

Av **Ⲭⲩⲁⲥ** ე. ი. ხელმწიფე

جہان غزان

მსოფლიოსი ყაზან

محمود ملك الملوك

მაჰმუდ მეფე მეფეთა

ⲬⲩⲢ

ვახტანგ მეფე

გარშემო წერტილოვანი რკალი.

Rv

წერტილოვან ჩარჩოში:

Ⲡⲓ Ⲡⲓ Ⲡⲓ ე. ი.

არა არს ღმერთი გარდა

الله واحد

ალლაჰისა მხოლოისა

لا اشرک لہ

არა ჰყავს მას თანაგამზრახი

ჩარჩოს გარეთ გაურკვეველი წარწერა, ირგვლივ წერტილოვანი რკალი,

D 21—25 მმ.; წონა 2,01—2,96 გრ.

თარიღი მოთავსებული იქნებოდა რვეერსზე, ჩარჩოს გარეთ, სეგმენტებში. მაგრამ ჩემს ხელთ მყოფ არც ერთს ცალზე სრულიად არ ირკვევა, მხოლოდ დ. კაპანაძის კოლექციის ერთ ცალზე იკითხება **Ⲡⲓⲥⲁⲗⲓ** ე. ი. 90, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ ტიპის მონეტებიც ჰიჯრის ოთხოცდაათიან წლებში იჭრებოდა, ალბათ 699¹.

უველაზე გვიანდელია მესამე სახე.

Av წერტილოვან კვადრატულ ჩარჩოში:

Ⲡⲓⲁⲗⲓ

ე. ი. სულტანი უმაღლესი

غیاث الدینا و الدین

ლიას-ედ-დუნია ვედდინ

خدا بنده محمد

ხუდაბენდე მუჰამედი

خدا الله ملكه

ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი

¹ გ. ლანგლუას მიერ ამ ტიპის აღწერილობა სწორი არ არის—რვეერსზე ქრისტიანული ლოცვა კი არა, სუნიტების ჩვეულებრივი სიმბოლოს პირველი ნაწილია. იხ. V. L a n g l o i s, Essai de classif. გვ. 91. ტაბ. VII n^o 8.

ჩარჩოს გარეთ გაურკვეველი წარწერა, ირგვლივ წერტილოვანი რკალი წერტილოვან კუთხეზე დაყენებულ კვადრატულ ჩარჩოში:

Rv 𐌆𐌗 𐌕𐌗 𐌕𐌗 ე. ი. არა არს ღმერთი გარდა ალლაჰის

محمد მუჰამადი
 𐌆𐌗 𐌕𐌗 ალლაჰის მოციქული
 𐌖 ვახტანგ

ჩარჩოს გარეთ ირკვევა ოთხი პირველი ხალიფას სახელი. ირგვლივ წერტილოვანი რკალი. D 21—22 მმ.; წონა 1,70—2,24 გრ. ვინაიდან თარიღი იმ სამიოდ ცალზე, რომლებიც ჩემს განკარგულებაშია, ვერ ირკვევა, ამ ტიპის მონეტების დათარიღება ვახტანგ III-ის და ულჯაიტუ სულტანის შემხედრი წლების მიხედვით უნდა მოხდეს—იგინი მოჭრილია 1304—1308 წლებში (ტაბ. № 10).

ამგვარად, ვახტანგ III-ის ფულის მიმოხილვიდან ირკვევა, რომ მოხსენებული ხანის ნუმისმატიკური მასალა საინტერესო და შინაარსიან ძეგლებს წარმოადგენენ. მათი საშუალებით მოხერხდა საქართველოს ისტორიისათვის ახალი ფაქტის დადგენა. ეს ფული კიდევ ერთი თვალსაზრისითაც არის საგულისხმიერო. როგორც ვერცხლის ისე სპილენძის ფულზედაც ვახტანგის სახელი მოცემულია მონოგრამით . აღსანიშნავია, რომ ეს მონოგრამა ზუსტი გამეორებაა იმისი, რომელიც **ⴒ** აღბეჭდილია VI ს-ის ქართ. სასანურ ფულზე. ძველ ტრადიციას, როგორც ჩანს, თითქმის 700 წლის განმავლობაში უტოცხლია და XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე კვლავ უჩენია თავი. ქართული მონოგრამის ისტორიისათვის ეს ფაქტი უთუოდ ანგარიშგასაწევია. ვფიქრობ, ამხ. რ. შმერლინგს თავის შრომაში „ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის“¹ ამ გარემოებისათვის სათანადო ყურადღება უნდა მიექცია.

დამრჩა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უშუალოდ ჩემს თემასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ ქრონოლოგიურად ამავე ხანას ეკუთვნის, ნუმისმატიკის თვალსაზრისითაც იგი აქვე უნდა იყოს განხილული. მე სახეში მაქვს ერთი მონეტა, რომელიც ჯერჯერობით უნიკალურია და ამავე დროს ეჭვების აღმძვრელიც. მე მაინც შევეხები მას იმ იმედით, რომ იქნებ აღმოჩნდეს ამგვარივე მონეტის მეორე ცალი და შესაძლებლობა მოგვეცეს საბოლოოდ გადავწყვიტოთ ამ მონეტის კუთვნილების საკითხი.

ეს მონეტა ერთადერთ ცალად დ. კაპანაძის საკუთრებას წარმოადგენს. სპილენძისაა. გარეგნულად ვახტანგ III-ის სპილენძის მონეტების მესამე სახის სრული განმეორებაა. მისი დიამეტრი 20 მმ. უდრის, წონით ვახტანგის ფულეზე მძიმეა—იწონის 2,74 გრ.

¹ საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე ტ. VIII № 4 1947 ზვ. 265



ავერსის წარწერაში მოხსენებულია ულჯაიტუ სულტანი, ე. ი. მონეტა III-ის ფულის სრულს ანალოგიას წარმოადგენს, ულჯაიტუს მეფობის პირველ წლებთან უნდა იყოს დაკავშირებული. რევერსის წარწერის ქვეშ მონოგრამის ნაცვლად ერთი ასოა — მთავრული „L. ე. ი. გიორგი. ვის უნდა მივაკუთვნოთ ეს მონეტა? აღმ. საქართველოს სამეფო ტახტი 1308 წ. კვლავ განთავისუფლდა. დავით VII ამ დროს, მართალია, ჯერ ისევ ცოცხალია, მაგრამ არც ერთი მონაცემიდან არ ჩანს, რომ მონღოლებს აღედგინოთ მისი უფლება სამეფო ტახტზე. 1311 წ. დავით VII მოკვდა: „აღესრულა მესამესა წელსა (ე. ი. ვახტანგ III-ის სიკვდილის შემდეგ) მეფე დავით, გარჯილი სენთა მწარეთა და დაფუს სამარხოთა მეფეთასა, დაუტევეს ნაცვლად მისად ძე მისი მცირე გიორგი, ორწელ მეფე ქმნული“¹. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ დავით VII-ის შვილი, მცირე გიორგი, უკვე 1309 წელს მეფედ ყოფილა გამოცხადებული. ეს უნდა მომხდარიყო ვახტანგ III-ის სიკვდილთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, სწორედ ამ გიორგი დავითის ძეს უნდა მივაკუთვნოთ ზემოხსენებული საეპკო მონეტა. მართალია, მონღოლების მიერ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის წყალობით, ამ დროს აღმ. საქართველოს მეფედ 1299 წლიდან დემეტრე II-ის უმცროსი ძე გიორგი V-იც ითვლებოდა, მაგრამ ამ მონეტის მისთვის მიკუთვნება შეუძლებელია იმის გამო, რომ 1308/9 წლებში გიორგი V აღმ. საქართველოში არ ჩანს, მონეტა კი როგორც ვთქვი, უშუალოდ ვახტანგ III-ის სიკვდილის შემდეგ უნდა იყოს მოჭრილი.

ახლა რამდენიმე სიტყვით უნდა მოვიხსენიოთ ის ნიშნები, რომელთა წყალობით მონეტას „საეპკო-ს“ ეპიტეტი ენიჭება. ეპკებს იწვევს ის ასო, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი. რევერსის წარწერის ქვეშ აღბეჭდილი მთავრული „L. მთლად უმწიველო არ არის, მის მარჯვნივ მთავესებული არე გაცვეთის გამო უნდობლობას იწვევს. ვახტანგ III-ის ამგვარივე, ე. ი. მესამე სახის სპილენძის მონეტებზე სწორედ ასეთივე ასო „L.-ა მოცემული, მხოლოდ მას მარჯვნივსავე წარზიდული აქვს ორი მცირე კიდური, რომლებიც მას მონოგრამის ხასიათს ანიჭებენ. ჩვენს საეპკო მონეტაზე თარიღის ამოკითხვა რომ შეიძლებოდეს, არაერთარი სიძნელე აღარ იქნებოდა ამ ასოს ამოშიფრვაში: იგი ან ვნგ-დ იქნებოდა ცნობილი და ეს მონეტაც ვახტანგ III-ის სპილენძის მონეტების მესამე სახეს მიეკუთვნებოდა, ან პირიქით, უეპველ „L.-დ ამოიკითხებოდა და ამ შემთხვევაში გიორგის აქნობამდე უცნობ და უნიკალურ მონეტად გამოცხადდებოდა. ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დროსა და ახალ აღმოჩენებს უნდა მივანდოთ.

¹ შამთააღმწერელი გვ. 783



1



2



3



4



5



6



7



8



9



10

Т. Н. ЛОМОУРИ

(Резюме)

С восьмидесятых годов XIII в. появляется в Грузии группа монет, хулагуидских по происхождению, но чеканившихся в Тбилиси и имеющих распространение гл. обр. в восточной Грузии. Характерный признак этих монет христианская молитва „Во имя отца и сына и св. духа бога единого“ на арабском языке, помещенная на реверсе. По этому признаку к этой группе примыкают серебряные, отчасти и медные монеты двух царей восточной Грузии—Давида VII (1292—1311 г.) и Вахтанга III (1298—1308).

Между Давидом VII и Газаном Хулагуидом, как известно, возник канфликт, вследствие чего Давид, удалившись в Мтиулети, вел с монголами упорную борьбу, закончившуюся только со смертью Газана (1304 г.). Серебряные монеты Давида VII с христианской молитвой и грузинскими монограммами на реверсе чеканились в Тбилиси в промежутке времени 1297-99 годов, т. е. в то время, пока длились переговоры между Давидом и Газаном. Медные монеты Давида VII, издаваемые впервые, чисто национальны, не носят никаких признаков монгольского владычества. По типу они являются почти точной копией медных монет Деметре II, датированных 1280 годом. Плохая сохранность имеющихся у нас экземпляров медных монет Давида VII не дают возможности решить все ли они датированы. Как несомненный факт выясняется, что 1) дата, выраженная корониконом Фъ т. е. 510 (=1310 г. н. э.) помещается на аверсе в нижней его части; 2) дата, выраженная так же, помещается на реверсе по бокам центральной фигуры и 3) дата бывает или на аверсе или на реверсе, но не одновременно на обеих сторонах (см. восстановленный рисунок монеты на стр. 73). Местом чекана этих монет предполагается одна из резиденций Давида VII в Мтиулети или в Хеви.

Серебряные монеты Вахтанга III дают возможность пересмотреть дату воцарения этого царя. Согласно принятой хронологии Вахтанг воцарился в 1302 г. Серебряные же его монеты, датированные 1298—1300 г. (698, 699 г. хиджры), отодвигают начало его царствования на 3—4 года назад. Эта дата подтверждается и данными летописи Грузии „Картлис цховреба“ редакц. царя Вахтанга VI, а именно сведе
6. საქართველოს მეფეების მოამბე ტ. XV-B.

ниями отом, что царь Вахтанг в продолжении 1298—1300 годов участвовал в войнах монголов с египетским султаном.

Медные монеты Вахтанга III чеканились трех видов. Первый, аналогичный его же серебряным диргемам 698 г. хиджры, и хронологически должен быть отнесен к тому же времени. Вторыми по времени надо признать монеты с монограммами „Вахтанг царь“ на аверсе и мусульманской формулой на реверсе. На имеющихся в нашем распоряжении нескольких экземплярах монет этого вида дата сбита, и только на одной монете выясняется вторая цифра даты تسعين т. е. 90. тем самым определяется и первая т. е. шестьсот. Третьей цифрой должны быть восемь или девять. Но так как первый вид медных монет Вахтанга III безусловно 698 г., второй вид без большой натяжки можно приурочить к следующему 699 году.

К третьему виду относятся монеты с мусульманской религиозной формулой и монограммой „Вахтанг“ на реверсе. Легенда на аверсе этой монеты упоминает султана Ольджайту, вследствие чего этот вид монет Вахтанга III датируется встречными годами названного султана и Вахтанга, т. е. 1304—1308 г.

Монограмма на монетах Вахтанга III является точной копией такой же монограммы на грузино-сасанидских монетах VI в. и указывает на длительную и непрерывную традицию в этой области письменного искусства.

დ. კახანაძე

შენიშვნები კვლევი კოლხეთის ნომიზმატიკის შესახებ

ძველი კოლხეთის რიცხობრივ მდიდარი და ფრიად საინტერესო შინაარსის ნომიზმატიკური მემკვიდრეობა თანდათანობით სულ ახალი და აქამდე უცნობი ვარიანტებით ივსება.

სულ ბოლო დრომდე ე. წ. კოლხური თეთრის (ლიტერატურაში ცნობილია „კოლხიდკად“) სულ სამი ძირითადი ტიპი იყო ცნობილი: ყველაზე მეტად გავრცელებულია ამ კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები—ნახევარდრაქმიანები, რომლებსაც შუბლზე გამოსახული აქვთ ადამიანისა, ხოლო ზურგზე ხარის თავი (იხ. დართული ტაბულის № 5); გაცილებით უფრო იშვიათია და ნაკლებად ცნობილი ამ მონეტების მსხვილი ნომინალები დიდრაქმები (ორდრაქმიანი), რომლებიც, ჯერჯერობით ორ ძირითად ტიპად არის წარმოდგენილი:

I. ადამიანის თავის გამოსახულება მონეტის შუბლზე და ორი დაპირისპირებული ადამიანის ასეთივე გამოსახულება ზურგზე ჩაქდებულ კვადრატში (ტაბულის № 6).

II. მწოლიარე ლომი მონეტის შუბლზე და მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის გამოსახულება ჩაქდებულ კვადრატში მონეტის ზურგზე (ტაბულის № 3).¹

კოლხურ მონეტათა გავრცელების სულ ახალი და ახალი ტიპებით შევსება საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო; 1939 წელს სერგი მაკალათიამ კოლხური თეთრის წვრილი ნომინალის ჯერ უცნობი და ფრიად იშვიათი სახეობა გამოაქვეყნა. ამ მონეტის შუბლზე დაღრენილი ლომის თავია გამოსახული, ხოლო ზურგზე ჩაქდებულ კვადრატში მოთავსებულია გამოუჩვენებელი მხეცის წინაწილი (პროტომა)² (ტაბულის № 2).

შემოსხმებული სამონეტო ყველა ტიპი წარმოდგენილია ა. ზოგრაფის ნაშრომში, რომელიც კავკასიაში ანტიკური მონეტების აღმოჩენათა შემთხვევებისადმი არის მიძღვნილი. ნაშრომთან დართულ ტაბულაზე მკვლევარს დამატებით გამოსახული აქვს კიდევ ერთი მონეტა, რომელიც ბოლო დრომდე გამოუჩვენებელი იყო და რომელიც მან, ეტყობა, კოლხურ ნიმუშად მიიჩნია³. დარჩა თუ არა ა. ზოგრაფისთვის ამ მონეტის ასეთი განსაზღვრა საბოლოო და

¹ როგორც შუბლისა, ისევე ზურგის გამოსახულებანი ხან მარჯვნივა, ხან მარცხნივ მიმართული.

² С. И. Макалатия. „Новый клас колхидских монет“. ВДИ 1939 вып. I у, стр. 15 და ამავე ავტორის „ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა“. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის—მოამბე XIV-ბ. თბილისი 1947. გვ. 425—428.

³ А. Н. Зограф. „Распространение находок античных монет на Кавказе“. Труды отд. нумизматики Гос. Эрмитажа, т. I, Ленинград 1945, стр. 29—86. იხ. ტაბ. I, სურ. 4, 50 გვერდის შემდეგ.



გადაჭრით, ჯერჯერობით ამის შესახებ არა ვიცი რა, მაგრამ ადგილობრივი მხარეების განცხადებით, რომ სხენებული ნაშრომის გამოქვეყნებამდე ეს იშვიათი მონეტა მისი მისამართის კოლხური თეთრის ერთ-ერთ ვარიანტად იყო მიჩნეული. მართლაც ამ ახალი მონეტისა (ტაბულის № 4) და კოლხური თეთრის უკვე ცნობილი ჩვენი ტაბულის №№ 2, 3 და 5 ნიმუშებს შორის ტიპოლოგიური და ფაქტურული მსგავსება იმდენად აშკარა და ნათელია, რომ ყველა ამ მონეტის ერთ ჯგუფში მოთავსება სავსებით მართებულია. ამ შემთხვევაში ა. ზოგრაფის ანგარიში არ გაუწია იმ გარემოებასაც, რომ ამ ახალი მონეტის აღმოჩენის ადგილისა და პირობების შესახებ ცნობები არ მოიპოვება.


ასეთი მიკუთვნება და ლოკალიზაცია, ჩემი აზრით, სავსებით საფუძვლიანია: ცხადია, ამ მონეტის ორივე მხარეს მოთავსებული გამოსახულებანი კოლხური თეთრის უკვე ცნობილი ორი ტიპის კომბინაციას წარმოადგენენ. თუმცა ლომის თავი აქ რამდენადმე შეცვლილია—გამოსახულია პირდაპირ და არა პროფილით, მაგრამ ს. მაკალათიას მიერ გამოქვეყნებულ ნახევარდრაქმას (ტაბულის № 2) და მეორე ტიპის დიდრაქმას (ტაბულის № 3), ის მაინც ენათესავება. ზურგის გამოსახულება კი სავსებით წაგავს ჩვეულებრივი კოლხური თეთრის (ჩვენი ტაბულის № 5) ასეთსავე გამოსახულებას. ა. ზოგრაფის ნაშრომის ტაბულაზე მოყვანილი ეს ახალი ნიმუში ქუთაისის მუზეუმშია დაცული და მისი მსგავსი ჯერჯერობით არსად შეგულება. ეს უნიკალური მონეტა, წონითი მონაცემების მიხედვით (= 5, 52 გრ.), კოლხური თეთრის დღეისათვის ერთადერთ ცნობილ ნომინალად—დრაქმად უნდა ჩაითვალოს.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთ მონეტას შევხვები, რომელიც ძალიან ენათესავება ყველა ზემოხსენებულს და საბუთს მძღვეს ეს ნიმუშიც კოლხური მონეტების საერთო ჯგუფში მოვათავსო.

სხვადასხვა მონეტებთან ერთად, ეს განსახილველ მონეტაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1933 წელს შეიძინა და, როგორც გამოვარკვევ ადგილობრივი კოლექციონერის, ინჟ. ა. ნაბოკისის საკუთრებას წარმოადგენდა. ამ კოლექციონერს მე პირადად ვიცნობდი და მისგან ხშირად გამიგია, რომ მისი კოლექციის ძირითადი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობისაგან ჰქონია შეძენილი. ამრიგად, საფიქრებელია, რომ ჩვენთვის საინტერესო მონეტაც ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ამ ჩვენი მონეტის წარმოშობის დასამტკიცებლად ასეთი ცნობა მთლად საიმედო და საკმარისი არ არის, მაგრამ თვით მონეტის ზოგიერთი ნიშანთვისება უფლებას გვაძლევს ამ ცნობასაც ანგარიში გავუწიოთ. ამიტომ შესაძლებლად მივიჩნიე დანარჩენ კოლხურ მონეტებს ეს მონეტაც გავუთანაბრო.

1937 წლის შემოდგომას ა. ზოგრაფს შემთხვევა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდებს გასცნობოდა და ამ მონეტას მანაც სათანადო ყურადღება მიაქცია. ფონდების სწავლულ მცველთან თ. ლომოურთან საუბარში ა. ზოგრაფს აღუნიშნავს, რომ მსგავსი მონეტა მას არსად უნახავს და შესაძლოთ მიიჩნევდა ამ მონეტის კოლხურ წარმოშობილობას¹.

¹ თ. ლომოურს, რომელმაც ეს ძვირფასი ცნობა მომაწოდა, გულწრფელ მადლობას ვუხდით.



რა მიზეზით არ მოიხსენია შემდგომ ეს ნიმუში ა. ზოგრაფმა—ამის ცნობები არ მაქვს, მაგრამ პირვანდელი მისი შეხედულების შეცვლის კვალიც არსად ჩანს. ამიტომ, მკვლევარის ავტორიტეტულმა მოსაზრებამ და თვით მონეტის ნიშნებმა, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, საბუთი მომცა მონეტის შესწავლასა და გარკვევას უშუალოდ შეესდგომოდა. მით უფრო რომ ის დღემდე გამოუქვეყნებელია და ჩემთვის მისაწვდომ ლიტერატურაში მისი კვალი ვერსად მოენახე.

აღწერ ამ მონეტას:

AR. დიამეტრი = 22—23. მმ. წონა = 13, 80 გრ. (ტაბულის № 1).


AR. ლომის თავის მარცხენა პროფილი. მხეცს გააფთრებულ-გაშმაგებული გამომეტყველება აქვს: დაღრწილ ყბიდან მძლავრი ეშვები და წამოვარდნილი ენა მოსჩანს. ყბა მოზიდული მშვილდის მსგავსადაა მორკალული, რაც საუცხოვოდ არის შეხამებული მხეცის სახის სხვა დაქიმულ ნაკეთებთან—და რაც მის მრისხანებისა და მძვინერების გამომეტყველებას აძლევს, ამას კიდევ მკვეთრად აძლიერებს მხეცის დაბრიალებული თვალი და მის ზემოთ ჯაგარივით აყრილი წარბი. ფაფარი მოსჩანს სამ პარალელურ ზოლად, რომელზედაც ამოქედილია სოლისებრი მოკლე ხაზების რიგი, რაც აბურძგენილი ბალნის შთაბეჭდილებასა ჰქმნის. გამოსახულებას რკალი შემოვლებული არა აქვს.

Rv. ფრთოსანი რაშის წინანაწილი (პროტომა) მიმართულია მარჯვნივ. გაქენებულ ყბადაღებულ რაშს გავზიადებულად მოგროძო და სტილიზებული თავი აქვს. აყრილი ფაფარი გამოსახულია კისრის რკალის გასწვრივ და ზევით მიმართული და ბოლოებში მოხრილი ცალკე ხაზებით არის წარმოდგენილი. გამოსახულება ჩაქდნულ კვადრატშია მოთავსებული.

ობიექტური აღწერილობის შემდეგ იმ დეტალების განხილვას შევედგეთ, რომლებიც ამ ჩვენი მონეტისა და დანარჩენ კოლხურ მონეტების შედარების საშუალებას მოგვცემს. წინასწარვე აღვნიშნავ, რომ შესადარებელი მონეტების დაახლოება პირობითია და დამყარებულია მხოლოდ ამ ახალი ნიმუშის ნიშანთვისებებზე. ამ გამოკვლევის ძირითადი მიზანია—ეს ჯერ გამოუქვეყნებელი მონეტა სპეციალისტთა განხილვის საგნად ვაქციო.

მონეტის საერთო გარეგნობა, მისი ტიპოლოგიური და სტილისტური თვისებანი, უპირველეს ყოვლისა მას იმ მონეტასთან აახლოებს, რომელიც ს. მაკალათიამ გამოაქვეყნა (სულ 3 ცალად ცნობილ ამ მონეტიდან,—საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ასეთი ორი ცალი შეიძინა).

ამ მონეტათა დეტალების შედარების გასაადვილებლად და დაკვირვებათა შედეგებზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, ამ სტატიასთან დართულ ტაბულაზე ყველა ცნობილი ნიმუშის სურათები გვაქვს წარმოდგენი-



ლი ტიპოლოგიური დამოკიდებულების თანმიმდევრობით. უპირველეს ყოვლისა ვიმსჯელებ გენეტიკური კავშირის შესახებ, რომელიც ყველა ამ მონეტას ერთ მთლიან ჯგუფში აერთიანებს; ამნაირად განლაგებულ გამოსახულებებს ერთბაშად თვალი რომ გადავავლოთ ამ ჩვენი მონეტისა და ს. მაკალათიას მიერ გამოქვეყნებული ნახევარდრაქმის შუბლის გამოსახულებათა მსგავსება საგნებით აშკარა და ნათელი ხდება (იხ. ტაბულის №№ 1 და 2).

ორივე ეს გამოსახულება თავის მხრივ ძალიან წააგავს მეორე ტიპის კოლხურ დიდრაქმის გამოსახულების დეტალს—ლომის თავს, (ტაბულის № 3). სამივე ამ მონეტის ხატი კვლავ უახლოვდება ქუთაისის მუზეუმის ნიმუშზე აღბეჭდილ ხატს (ტაბულის № 4), რომელიც მხოლოდ ამ ლომის თავის პირდაპირ დაყენებულ გამოსახულებით განსხვავდება.

კოლხური მონეტების შემდგომ ტიპებზე ლომის ეს გამოსახულება უკვე ჰქრება, მაგრამ მონეტათა შორის კავშირი და ნათესაობა ამით მაინც არ სწყდება, რადგან ქუთაისის ნიმუშის ზურგზე გამოსახული ხარის თავი მთლიანად და უცვლელად გადადის ჩვეულებრივი კოლხური ნახევარდრაქმის ზურგზე (ტაბულის № 5). დაბოლოს, ამ უკანასკნელი მონეტის შუბლის საფეხებით ასეთსავე გამოსახულებას კვლავ ვხედავთ პირველი ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე (ტაბულის № 6). ამრიგად ყველა შედარებულ მონეტის შორის არსებული უწყვეტი გენეტიკური კავშირი საფეხებით აშკარაა.


ჯერჯერობით, დაღრენილი ლომის გამოსახულებათა მსგავსებაზე შევჩერდეთ, შევადაროთ ტაბულის №№ 1 და 2 გამოსახულებანი და აღვნიშნოთ მათ შორის არსებული განსხვავება. ეს განსხვავება არსებითად, გამოსახულებათა სიდიდესა და ამ გამოსახულებათა სხვადასხვა მიმართულებაში გამოიხატება.

ამ მონეტების შედარების გასაადვილებლად № 1 გამოსახულების ქვეშ ტაბულაზე № 2 მონეტის განმეორებითი სურათი მოვათავსეთ, ოღონდ აქ ის სათანადოდ გადიდებულია და პირშებრუნებული. ასეთი ხერხით უფრო ნათლად აშკარავდება შესადარებელი მონეტების ტიპოლოგიური და სტილისტური მსგავსება: დაღრენილი მხეცის ყბის გამოსახულების იგივეობა, ერთნაირად გადმოცემული აბურძგვნილი ფაფარი (სამ პარალელურ ზოლად განლაგებული სოლისებრი ხაზები), ნაკვეთების ასეთივე დაქიმვა და გააფთრებულ-გაშმაგებული მხეცის თვალის ბრიალი.

შედარებული მონეტების ყველა ეს ზუსტად დამთხვეული დეტალები სარწმუნოდ ხდის მოსაზრებას, რომ ორივე ეს მონეტა ერთსადიამავე ხელოსანს მოუჭრია ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთიდაიგივე სახელოსნოდან არის გამოსული.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს ამ ჩვენი ახალ მონეტასა და კოლხური თერთის დანარჩენ მსხვილ ნომინალებს შორის არსებული სხვა მსგავსებაც: შესადარებელი მონეტები უსწორო მოყვანილობის მკვრივ დისკოს წარმოადგენენ, ნაპირები მომრგვალებული აქვს, ამობურთული შუბლი და ჩაზნექილი ზურგი მათ ერთნაირად ახასიათებს.

მოსაყვანია კიდევ ერთი მსგავსება, რომელიც ყველა აქ ჩამოთვლილ მონეტას ერთ ჯგუფში აერთიანებს—ეს გამოსახულებათა რელიეფის თანაბრობაა,



ცნობილ კოლხურ მონეტებთან ამ ჩენი მონეტის შედარება სრულყოფილი იქნებოდა წონითი მაჩვენებლებისთვისაც რომ არ მიგვემართა. უკანასკნელ დრომდე კოლხური თეთრი მხოლოდ ორ ნომინალად იყო ცნობილი: ნახევარდრაქმიანი (ტაბულის №№ 2 და 5) და დიდრაქმად ანუ ორდრაქმიანად (ტაბულის №№ 3 და 6); დანარჩენი ძირითადი ნომინალები დრაქმა და ტეტრადრაქმა (ოხლდრაქმიანი) არ ჩანდა. ქუთაისის მუზეუმის ნიმუშში, რომელიც ა. ზოგრაფმა გამოაქვეყნა, ყველა ნიშნის მიხედვით, ნახევარდრაქმიანისა და დიდრაქმის შუალედი ნომინალი არის და მათ შორის არსებულ ხარვეზს ავსებს, ე. ი. დრაქმას წარმოადგენს.

განვიხილოთ ახლა ამ ჩენი ახალი მონეტის წონითი მონაცემები და შევადაროთ ჩვენს განკარგულებაში მყოფ მასალას. ეს მასალა, რომელსაც მე აქ ცხრილის სახით წარმოვადგენ უმთავრესად უშუალოდ თვით ნიმუშების აწონაზეა დამყარებული და ლიტერატურაში გაფანტული ცნობები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მაქვს გამოყენებული. ამ ცხრილში თითოეული ცალკე სამონეტო ტიპის საშუალო წონასთან ერთად აღნიშნულია მაქსიმალური და მინიმალური მონაცემები.

რვათი №№	კოლხური თეთრის ძირითადი ტიპები	საშუალო წონა	ზღვრული ციფრები	გამოყენ. ცალების რაოდენობა	შენიშვნა
1	ჩვეულებრივი ნახევარდრაქმა (ტაბ. №5)	1,98	1,45—2,51	300-დგ	
2	იშვიათი ნახევარდრ. ლომის გამოს. (ტაბ. № 2)	2,34	2,21 2,22 2,6	3	საქ. მუზ.—2 ჩემი კოლ-1
3	ქუთაის. მუზ. დრაქმა (ტაბ. № 4)	?	5,52	1	უნიკალურია
4	I-რე ტიპის დიდრაქმა (ტაბ. №6)	9,90	8,69 10,31 10,36 11,34 9,16 9,60 10,10 და 10,40	8	საქ. მუზ. 4 ც. ქუთ. „ —2 გორის „ —1 ჩემი კოლ-1
5	II-რე ტიპის დიდრაქმა (ტაბ. № 3)	8,99	8,06 9,39 10,35 8,57 და 8,58	5	ე. პაზომოვიუს-I საქ. მუზ.—2 იაკუნეიკოვის —2

სამონეტო ტიპების წონის მკვეთრი რყევის გამო საშუალო მაჩვენებლების გამოვლინება ძნელდება და მთლად საიმედო არაა, მაგრამ იგი ზოგად დასაყრდენს მაინც იძლევა. კოლხური თეთრის ჩვეულებრივი ნახევარდრაქმიანის საშუალო წონა ამ ცხრილში გამოანგარიშებულია მაქსიმალური და მინიმალური ციფრების ჯამის ორზე გაყოფით; დანარჩენ შემთხვევებში კი ეს საშუალო წონა გამოყვანილია ცხრილის მეოთხე სვეტში მოყვანილ ციფრების შეჯამე-



ბითა და ამ ჯამის აწონილ მონეტების საერთო რაოდენობაზე გაყოფით, წონითი რემედოუმი, როგორც ამას თვით ცხრილი გვაჩვენებს საგრძნობი გამოდგა და ასე მერყეობს:

1. ჩვეულებრივი ნახევარდრაქმიანის აწონისას, საშუალო უდრის $1,98 + 0,53$ ($26,8\%$)— $0,53$ გრ. ($26,8\%$)
2. ლომის გამოსახულე-ბიანი ნახევარდრაქმის აწონისას, საშუალო $= 2,34 + 0,26$ გრ. ($11,1\%$)— $0,13$ გრ. ($5,5\%$)
3. ქუთაისის მუზეუმის ცალისთვის შესადარებელი მასალა არ აღმოჩნდა.
4. პირველი ტიპის დიდრაქმისთვის საშუალო $= 9,90 + 1,44$ გრ. ($14,5\%$)— $1,21$ გრ. ($12,2\%$)
5. მეორე ტიპის დიდრაქმისთვის საშუალო $= 8,99 + 1,36$ გრ. ($15,1\%$)— $0,93$ გრ. ($10,93\%$)

დაუბრუნდეთ ახლა ჩვენს მიერ განხილულ მონეტას და დაუშვათ, რომ ის, ე. წ. მცირეწონიან ცალს წარმოადგენს, მაშასადამე, ამ შემთხვევაში მისმა წონამ, რომელიც, როგორც აღინიშნა 13, 80 გრ. უდრის ნორმასთან შედარებით და მოყვანილი ანალოგიების მიხედვით 10% -ით მაინც დაიკლო, მაშინ თუ ამ დაკლებულ პროცენტს მონეტის წონას დაუშმატებთ, მივიღებთ საშუალო ტეტრადრაქმისთვის საესებით ნორმალურ წონას—15, 18.

ამ გამოკვლევაში ჩემს მიერ გამოყენებულ გაანგარიშების მეთოდები, მოსაზრებანი და შედარებანი, მით უფრო სარწმუნო უნდა იყოს, რომ ამ ფრიად საინტერესო ნიმუშის კოლხური წარმოშობილობა, ჯერ კიდევ 1937 წელს ისეთმა ავტორიტეტმაც სცნო როგორცაა ა. ზოგრაფი.

მაგრამ, ვინაიდან გაცილებით უფრო გავრცელებულ კოლხურ მონეტათა შორისაც ესა თუ ის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, კოლხურ თერთთა შორის ამ ჩვენი მონეტის კატეგორიული მოთავსება ჯერ არ შეგვიძლია.

ამ მონეტის გამოკვლევების ძირითადი მიზანია ეს ნიმუში მივიწყებისაგან გადარჩეს და სათანადო დარგის სპეციალისტთა შესწავლის საგნად გახდეს. უკეთუ ჩემს მიერ გამოყენებული შედარებანი დამაჯერებელი გამოდგან უკეთესი, შეივსება იმ დეტალებზე მითითებით, რომლებიც შესაძლებელია მე გამომჩა და ჩემს დებულებებს სიმტკიცეს მიუმატებს, ჩემს მიერ დასახულ ამოცანას მიღწეულად მივიჩნევ.

Д. Г. КАПАНАДЗЕ


ЗАМЕТКИ ПО НУМИЗМАТИКЕ ДРЕВНЕЙ КОЛХИДЫ

(Резюме)



Осенью 1937 года А. Н. Зограф посетил несколько наших музеев и имел случай ознакомиться с хранящимся тут нумизматическим материалом. В результате осмотра и изучения нумизматических кол-



ქართული
ენციკლოპედია



2^a



კოლხური თეთრის ძირითადი სახეობანი

лекций, он опубликовал ряд весьма ценных наблюдений и по поводу группы античных монет известных под названием „колхидок“, между прочим, тогда же выражал мнение, что при дальнейшем исследовании эта группа монет должна еще более обогатиться.

Несмотря на отсутствие сведений об обстоятельствах и месте находки одной небольшой серебряной монеты, хранящейся в Кутаисском музее (см. № 4 нашей таблицы), он, например, нашел возможным включить ее в группу колхских монет и поместил ее изображение на общей таблице с остальными уже признанными колхидками.

С аналогичным же предположением и тоже не вдаваясь в подробности, он устно высказался по поводу другой монеты, хранящейся уже в Государственном Музее Грузии. Неизвестно по каким причинам А. Н. Зограф оставил эту монету неопубликованной (№ 1 нашей таблицы).

Авторитетность мнения одного из лучших знатоков классической нумизматики, каковым, по справедливости, считался покойный А. Н. Зограф, побудила автора этой статьи вплотную приняться за изучение этого нового, крайне интересного, и повидимому, уникального экземпляра.

Опираясь на черты генетического, типологического, стилистического и фактурного сходства изучаемой монеты с остальными колхидками, автор этой работы примыкает к мнению уважаемого ученого и сопоставляет эту монету с остальными монетами этой группы.

6. ჩინური მწიგნობარი

„ქართული ცული“¹

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ყურადღებას იქცევს ნაირ სახისა და დანიშნულების ცულები. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა „ქართული ცული“. ცნება—„ქართული ცული“ კონკრეტული ხასიათისაა. იგი გულისხმობს გარკვეული ფორმა-შინაარსის მქონე ცულს (იხ. ტაბ. II, სურ. 1).

საკუთრივ, ტერმინი—„ცული“ არსებითად ზოგადი მნიშვნელობით იხმარება, ვითარცა ერთი წყება გამჟღერელი, მუშა „ხელადის“ (იარაღის) აღმნიშვნელი სახელი: „რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაქვი (ხანტო. ზ. 39); „ცული ძირითანა ხეთასა ძეს“ (ცხ. სვ. მეს. K; 300,18); „ვითარცა მალნარსა შინა ხე ცულითა დაკოდნეს და ბჟენი მათნი რაითურთის ცულითა და წერაქვითა დაამხუეს იგი“ (დაბადება, დავითნი, 63,6); „ნესტან-დარეჯანს მოექლო (ამჟამთი), რომე ვერ გაპყრის ცულები“ (ვეფხ. ტყ., 1451).

ამგვარად, „ცული“ ფართო მოცულობის ცნებაა და შინაარსეულად ზოგად ხასიათს ატარებს. ამ შემთხვევაში გაურკვეველი ჩანს და კონკრეტულად არ იგულისხმება ცულის რომელიმე კერძო სახე, მასალა და დანიშნულება.

„ქართული ცული“² ორ მთავარ ნაწილად იყოფა: ზედა ტანი, ქვედა ტანი, მათ შორის სასაზღვრო მიჯნას წარმოადგენს—„იღლია“.

ცულის თავი, ანუ ზედატანი „გულლია“ და შეიცავს სატარეს. ქვედატანი „გულსავსეა“ და ჰქმნის ცულის პირს. ამასთანავე, ცულის შემადგენელ ნაწილთაგან ზედატანს განეკუთვნება: „ყუა“, „ყვრიმალი“ (წყვილი), „სატარე“; ქვედატანს—„პირი, „წვერი“ „ნიღრი, „შუბლი“, „კაჩა“, „ლოყა“ (წყვილი).

თითოეული ნაწილი ქართული ცულისა წარმოადგენს ერთიანი ტანის განსაზღვრულ ნაკვეთს, რომელსაც გარკვეული ფუნქცია აკისრია. ამდენად, ქართული ცული შეიძლება განხილულ იქნას როგორც ამ ცალკეულ ელემენტთა, ისე მათი ერთობლიობის ანალიზის საფუძველზე. ამ მიმართულებით მის შესწავლას, საკუთარი მნიშვნელობის გასწვრივ, ის აზრიცა აქვს, რომ აქ თავს იჩინს ხოლმე ძველი ქართული მელითონეობის ზოგიერთი, საყურადღებო მო-


¹ მოხსენდა საქართველოს სახ. მუზეუმის პირველ სამეცნიერო სესიას 1942 წლის 30 მაისს.

² ქართული ცულის სინონიმებია: „იღლიანი“ || „კუწებიანი“ || „ნიღვრიანი“ ცული (ქართლი). „მესხური ცული“ (იმერეთი), „ძველებური ცული“ (ღეჩხუმი), „სვანური ცული“ (სამეგრელო), „კოპიტი ცული“ (ხვესურეთი, გუდამაყარი). სახელწოდება—ქართული ცული გეგმდება, უმთავრესად ქართლსა და რაჭაში, იშვიათად—იმერეთსა, ლეჩხუმსა და ხევსურეთში.



ვლენა. განსაკუთრებით, ეს ითქმის დამზადების წესის შესახებ (იხ. ტაბ. 1, 2).
ართული ცულის დამზადების სქემა: a, b).

ქართული ცული ხასიათდება რიგი თავისებურებით. ერთ ამგვარ მონაცემს წარმოადგენს მისი „სატარე“. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქარ-



სქემა — ბ. ქართული ცულის დამზადება ახალი წესით.

1. სქემა — ა. ქართული ცულის დამზადება ძველი წესით


თული ცულის ზედატანი „გულლია“ და ეს ლია არე ჰქმნის „სატარეს“, ანუ „სარჩილს“, რომელიც ცულისათვის ტარის დასაგებადაა განკუთვნილი. საერ-

4

6
4

ფ.

სურ. 1 ქართული ცელი, ს. წვდისი (რაბა), საქ.

მეზ. ეთნ. განკ. კოლ. $\frac{63-39}{2}$ 4
1

ა ფ.


სურ. 2 კოლხური ცელი, ზონიჯალისი, ღერ

ხეში, საქ მეზ. არქეოლ. განკ. კოლ. $\frac{11-32}{10}$



სურ. 3. ქართული ცული. ს. ხანი (იმერეთი), საქ. მუზ. ეთნ. განუ. კოლ.


$\frac{30-41}{1}$



სურ. 4. კოდარა ცული, ს. ხანი (იმერეთი), საქ. მუზ. ეთნ. განუ. კოლ.

$\frac{30-40}{2}$

308 III





თოდ, „სატარე“ უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და მას ცულის ფუნქციონირების დიდი ხვედრითი წონა აქვს. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ცულებზე განსხვავებული სახისა და ზომის „სატარე“ მოეპოვებათ. საერთოდ, მისი ფორმა—სიდიდე ცულის გარეგან მოყვანილობაზე, კერძოდ, „ყუა—ყვრიმალთა“ მონახულობაზე დამოკიდებული არ არის, როგორც პირუტყუ.

საზოგადოდ, ცულები და მათი მიმდგამი სამუშაო იარაღები „სატარეთა“ მიხედვით შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს—„მრგვლოვანად“ და „კუთხოვანად“. აწინდელი ქართული ცულის „სატარე“ კუთხოვანია. მისი განივჭრილი ფორმით წესიერ ტრაპეციას წარმოადგენს, რომლის ფუძე ყუას, ხოლო წვერი ცულის ქვედატანს ერთვის. ამასთანავე, ქართული ცულის „სატარე“ წინა მხრით უფრო ფართო და ვრცელია, ვიდრე უკანა მიმართულებით.

თავ-ფართო სატარე, საერთოდ, ქართული ცულების ტიპური თავისებურებაა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი სატარე საქართველოს სინამდვილეში დამოწმებულ ცულთათვის დამახასიათებელია და აწინდელ ყოფიერებაში იგი გაბატონებულ სახედ ჩაითვლება. არსებითად, „კუთხოვანი“ სატარე შედარებით მოგვიანო ხანას უნდა ეკუთვნოდეს და მას წინ „მრგვლოვანი“ უნდა უსწრებდეს, რასაც ფაქტობრივ მასალაც ადასტურებს. უამრავი, განათხარი ძველი ცულების „სატარეთა“ მოყვანილობა უჩვენებს, რომ ისინი ძირითადად „მრგვლოვანს“ განეკუთვნებიან, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგში კუთხოვანებისაკენ ერთგვარი ინტენცია და შინაგანი შესაძლებლობა მათ გარკვეულად ემჩნევათ. ამ მხრით, მეტად საინტერესო მონაცემს იძლევიან ს. მახარიაში (ზუგდიდის რაიონი) 1934 წ. აღმოჩენილი რკინის ძველი ცულები, რომლებიც დაცულია ამჟამად, ქ. ზუგდიდის მუზეუმში (იხ. ხსენებულ მუზეუმის ლითონის კოლექციები №№ 6, 18, 104, 116, 165 და სხვ.). რიგი მათგანი ახლოს დგას ქართულ ცულთან არა მხოლოდ „თვალად-ტანად“—სატარეთა მიხედვითაც. ამ უკანასკნელთ, ამგვარად ეტყობათ „ლულუა“ (ოვალური) სახის სატარედან კუთხოვანისაკენ მისწრაფება. უეჭველია, „მრგვლოვან“ „სატარეს“ არ შეეძლო ერთბაშად ქვეულიყო „კუთხოვანად“. უნდა ვივარაუდოთ, რომ მან თანდათანობით რამდენიმე თაზა განვლო ამ ხაზით, ვიდრე დღევანდელ სახეს საბოლოოდ მიიღწევდა.

ქართული ცულის „სატარე“ იმგვარადაა გამართული, რომ ტარი მხოლოდ წინა მხრიდან დაეგება. ტარის ფორმა, ამ შემთხვევაში, პირობადებულია სატარის მოყვანილობით. უკანასკნელის ძირითად ფუნქციას შეადგენს მუშაობის პროცესში ტარის მყარად გაჩერება. ამ მიზნით, ქართული ცულის „სატარე“¹, როგორც ითქვა, არა მხოლოდ კუთხედიან, არამედ წინა მხარეც უკანაზე უფართოესი. ამ მხრით, იგი სავსებით სწორად, გონივრულადაა მოფიქრებული და ხანგრძლივი გამოცდილების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი პრინციპით გამართული „სატარე“, გარკვეულ მიზანს ისახავს და პირობადებულია ტარის დაგების განსაზღვრული წესით.

¹ ტარის დაგების პრინციპის მიხედვით სამეურნეო ხასიათისა, თუ სახელოსნო დანიშნულების „ხელადი“ ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ერთ წყებას ტარი წინა მხრით ეგება, მეორე წყებას—უკანა მხრით.



სურ. 5. მესხური ცული (ახალციხიდან), საქ. მუზ. ეონ. განგ. სურ. 6 ქართული ცული, ბექურეთი, საქ. მუზ. ეონ. განგ. კოლ. 23-33 12-27 27 128



„სატარეს“ „მიმდგამ“ არეში ქართული ცულის ტანი საგანგებოდ და იქმნება იქმნება ერთგვარი ღრმა ქედ, რომელიც „ილიად“ ანუ „კუწუბად“ იწოდება. ამგვარი ილია ქართული ცულის აღნაგობის ძირითადი პრინციპითაა ნაკარნახევი და მის ფუნქციაში დიდ როლს თამაშობს. საგულისხმოა, რომ ქართული ცულის ილიიდან დაშვებული ტოლქმედი, ცულის შემართულ მდგომარეობისას, წინისკენ ილტვის და ცულის წვერს ემთხვევა. ამის გამო, მთელი სიმძიმისა და მოქმედების ძალა თავს იყრის ერთ წერტილში და შეუდარებლად აადვილებს ცულის სამოქმედო „განწონილებას“.

ამგვარად, ჩალახული „ილია“, ისე როგორც „კუთხოვანი“ სატარე და „უფახო“ პირი¹ „შეთაბუნებულა“ ქართული ცულის აგებულებასა და ფუნქციასთან.

ამავე მიმართულებით, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ქართული ცულის „ყუა“ — „ყვრიმალსა“ და „კაჩას“. ქართული ცულის „ყუა-ყვრიმალი უმთავრესად, ოთხკუთხოვანი მოყვანილობისაა, რომელსაც წიბოები, ანუ „ლინგები“ დაწარბული, ან დაუწარბავი აქვს ხოლმე. საერთოდ, ყუა-ყვრიმლის წინა-უჭანა ლინგების დაწარბვა წესად არ არის. რაც შეეხება „საგვერდულის“ ლინგებს, ისინი იმ შემთხვევაში იწარბება, როდესაც ქართული ცული შედარებით მცირე ტანისაა და სახელოსნო საქმისათვის არის განკუთვნილი.

ყუას, მდებარეობით ცულის „სატარეს“ ზედა კედელი უჭირავს, ხოლო „ყვრიმალთ“ — გვერდებისა. ამრიგად, ცულის „ყუა“ ერთ კედელს, სატარეს ზედა წახნაგს ეწოდება და არა მთელს „სატარეს“ ყვრიმლებიანად, როგორც ეს ჩვეულებრივად ესმით ხოლმე. საბას განმარტებითაც „ყუა-მახვილის გნდე“ — „ხოლო გნდე — გარეგანი კუთხე მახვილისა“. რაც შეეხება ტერმინ „ყვრიმალს“, იგი ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს „ყურიმალისა“, რომელსაც საბა „ყურის გარშემო“ — დ განმარტავს და იმოწმებს ამისათვის დაბადების შესაბამ ადგილს (მს აჯ., 4, 21), სადაც იკითხება²: „და მოილო იაილ ცოლმან ქაბერის მან მანაჲ კარვისა და აღილო ჟუსჲა ჯელითა თვისითა, და შევიდა მისა მსუჲრიად, და დაასვაჲ მანაჲ იგი ყურიმალსა მისსა, და დამსქეჲლა იგი, ქჷსჷყანასა“³. ამგვარად, ყურიმალი უდრის ყვრიმალს და აღნიშნავს ყურის გარშემოს, კერძოდ, ქართული ცულის მიმართ ყურის ძირად მდებარე „საგვერდულთ“ (მარჯვენა-მარცხენა წახნაგი).

უნდა ითქვას, რომ „ყუა-ყვრიმალთა“ სიმტკიცეს და ფორმას ცულის ფუნქციისათვის, განსაკუთრებით მძიმე სახის სამუშაოთა საწარმოებლად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.


¹ იგულისხმება გლუ, ორივე გვერდით სოლისებურად დაქნილი და „ამოუხსრავი“, უღინგო ზედაპირი. მაგ., ფაბრიკული ცულის, ზოგიერთი საქრეთლის და ენოს პირი ერთი მხრით რომ გლუფი, მეორე მხრით — ამოსერული „ფახიანი“ — ა.

² სულხან-საბა-ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა, და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. ტფ. 1928 წ. (სიღვეა — ყურიმალი).

³ დაბადება (ბაქარისეფლი), ტფ. 1884, თავ. IV. 21.



ქართული ცულის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს პირი წარმოადგენს. „პირად“ იწოდება ცულის ქვედა ტანი ილლიდან მოკიდებული შექვედეს ხაზამდე. აგრეთვე, პირადვე ითვლება მკრელი, წამახული კიდე ცულისა, რომლის განწონილებას ობიექტამდი კვეთება შეადგენს. საბა, სავსებით მართე-





სურ. 8. ცული რკინისა, ს. მახარია ზუგდიდის მუზ. კოლ. № 116.

სურ. კილხერი ცული ბრინჯაოსი, სვანეთი, საქ. მუზ. არქეოლ. განკ. კოლ. 24
12-32




დასახელებულ საკითხთა შორის, ქართული ცულის დამზადების წესების გარკვევა პირველხარისხოვანი პრობლემაა. საესეებით მოსალოდნელია ამ მხრით მიკვლეულ იქნას ძველი ქართული მელითონობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი და დიდად საყურადღებო გადმონაშთი.



სურ. 10. ცული რკინისა, ს. მახარია, ზუგდიდის მუზ.
კოლ. 18.

სურ. 9. ცული რკინისა, ს. მახარია, ზუგდიდის მუზ.
კოლ. № 6



საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია ცულის¹ გაქედვის ორგვარი წესი: „ძველებური“ და „ახლებური“. ძირითადი განსხვავება მათ შორის დამზადების ტექნიკური ხერხების სხვადასხვაობაში მდგომარეობს ქართული ცულის ძველი წესით გაქედვა გულისხმობს, პირველ ყოვლისა, საცულე რკინის შერჩევას, მოზომვას, შინთად ჩამოკვეთას და შემდგომ ქურაში გახურების გზით მის სათანადოდ გამოკვერვას. ამ საქმის მოთავეებისთანავე იწყება საცულე რკინის გრძლად გაყვანა—გაბრტყელება და მისგან ცულის გამოკოპიტება, რასაც „ღედანი“ ეწოდება (იხ. ტაბ. I, 3). ამით თავდება პირველი ეტაპი და იწყება ცულის გასრულების მეორე საფეხური.

ჯერ საცულე „ღედანი“ ორტოლად მოიკეცება, ნაკეცს შუაში ჩაერთვის ნაპერი რკინისა, რომელსაც „ძგიფი“, ანუ „ყაფი“¹ ეწოდება. „ყაფის“ მოვალეობას შეადგენს ორად მოკეცილი საცულე „ღედნის“ შესქელება, რათა მისგან შესაძლებელი გახდეს ცულისათვის სოლისებური ტანის გამოყვანა. ტანდაქნილი ცული შემდგომ „გაიწყობება“ და საბოლოოდ „გაიკაზმება“.

ცულის გაქედვის ახლებული წესი იმით განირჩევა, რომ ამ შემთხვევაში საცულე „ღედანი“ ორტოლად, ანუ ორმაგად კი არ გაიკეცება, არამედ საცულე რკინისაგან პირდაპირი გზით გამოკოპიტდება ჯერ „ღედანი“ (იხ. ტაბ. I, b) და შემდეგ მთლიანად ცული. გარდა ამისა, „სატარეს“ გამოსაყვანად საპირო ხდება ამ გამიზნული ადგილის გახერცვა რკინის „ზუმბით“, ანუ საყუთით (იხ. ცულის დამზადების სქემა, ტაბ. I, b).

ამგვარად ქართული ცულის დამზადების წესთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ როგორც ახლებული, ისე ძველებური სახე ამ დამუშავებისა, პირველ რიგში, საცულე „ღედნის“ დამზადებას მიმართავს. ამისთანავე, ჩვენ ვამჩნევთ, რომ პირველი წესი შედარებით რთულია, თანაც უფრო ძველი ჩანს, ხოლო მეორე—მარტივია და მეტი სიახლე ახასიათებს.

ქართული ცულის ხასიათის გასარკვევად, დამზადების წესებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე იმ ფუნქციის გათვალისწინებას, რომელსაც იგი ფაქტურად ასრულებს.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სხვადასხვა სამუშაოთა საწარმოებლად ნაირ სახის და დანიშნულების იარაღი იხმარება, მათ შორის


¹ „ყაფი“, ამ სახით, საბას ლექსიკონში შეტანილი არ არის, სამაგიეროდ, აქ გვხვდება ნიშანდობლივი სიტყვა—„ყაფარი“, რომელიც შინაარსეულად პირველს ემთხვევა. საბას მიხედვით—„ყაფარი ამაოთულივით“—ს აღნიშნავს. მასთან დაკავშირებით—აღმართის განსახდობისას, „ყაფარი“ საბას განმარტებით, ფრიალოსა და საერთოდ, რაიმეს ცერად დგომასა ნიშნავს. ამ შემთხვევაში, საცულე „ღედანში“ ცერად ჩადგმული რკინის ნაჭერისათვის „ყაფის“ შერქვევა და ამ ცნების შემეველად ეს ტერმინი ლოგიკურად გამართლებულია.

აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი სინონიმური მნიშვნელობით სენანთშიაც შემონახულია (ფ. ქაქუაძის ცნობა). ამავე ცნების აღსანიშნავად—„ძგიფი“—ს უმთავრესად გურიაში გვხვდება. საუქობებელია ეს უქანასჩელი ტერმინოლოგიურად უკავნის აღმობრდეს მეგრულ ზნა-ძგიბუა II ძგიფუა-ს, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ქართულ-ამოვსებას, უდრის. საყურადღებოა, რომ თვით სამეგრელოში, ცულის დამზადების ტექნოლოგიაში „ძგიფი“-ს შესატყვის ტერმინად „სარჩული“ იხმარება, ხოლო ამ პროცესს „დასარჩულება“ ეწოდება. საბას მიხედვით—„ძგიფი შვირედ შევირებული“-არის, რაც ნამდვილ ვითარებას არ ეწინააღმდეგება.



რამდენიმე სახის ტული. ცხადია, თითოეული მათგანი გარკვეულ სამუშაოში შესასრულებლად და განკუთვნილი, ამ მიმართებით, ქართული ტულის ფუნქციის, უმთავრესად, „ხე-ტყის“ საქნარი შეიღგენს. ამისათვის, ერთ შემთხვევაში იგი დიდი ტანისაა, მძიმე, სქელი ყუა-ყვრიმალ ახასიათებს და განსა-

ღა. VII.



სურ. 12. ქართული ტული, (ქართლი).

სურ. „ჩიუნა“, ს. ჯვარა (ხუვლიდის მთებების მკალეპოეანი).

კუთრებით მადნარი ხე-ტყის სამუშაოთათვის იხმარება, როგორცაა: ხეების მოჭრა, მსხვილი ტანის ძელთა დამორგა-დაპობა, მთავარტანს ხეთა გადაკაფვა და სხვ... მეორე შემთხვევაში, ქართული ცული შედარებით მცირე ტანისაა და უპირატესად ხურო-ხელოსნის ხელჭურჭელს წარმოადგენს.

ზემოთ დასახელებულ ფუნქციათა საწარმოებლად ქართული ცული მარჯვედაა განწონილი. მაღალი, ბასრი და მცირედით უკან „მოქანდული“. ტანი — სიღრმით ქრას უადვილებს; გლუ და „უფახო“ პირი, ამასთანავე — თლას და „ხოწვას“ ხოლო სოლისებური მოყვანილობა — პობას. ამ უკანასკნელ სახის საქნარისთვის ქართული ცული, მართლაც, უბაღლოა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემობას, რომ უახლოეს წარსულამდე საქ-ს კუთხეებში, საშენი ხის მისაღლის დამზადება, უხვი ხე-ტყის პირობებში, უმთავრესად, ხის მორებად დაქრისა და შემდეგ ამ მორების დაპობა — „დანაითხლებს“ გზით წარმოებდა — ადვილი წარმოსადგენია ამ საქმეში ქართული ცულის უნარი და როლი. დღემდე, იქ სადაც ამგვარი საქნარი ხალხის ყოფიერებას კვლავ ახასიათებს და მთლიანად არ გაუქმებულა, ქართული ცული ძალაშია და თავის მეობას კლავინდებურად ინარჩუნებს.

იყო თუ არა ქართული ცული ბავიდანავე ამავე სახისა და ფუნქციის მატარებელი, ძნელი სათქმელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ დროთა განმავლობაში იგი იცვლებოდა როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ვიდრე დღევანდელ სახეს საბოლოოდ მიაღწევდა. ამ ცვლილებათა ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა ის ფუნქცია, რომელსაც მას უყენებდა ცხოვრების ახალ-ახალი მოთხოვნილება. ცხადია, ქართული ცულის ფუნქცია არც ახლა, და იმით უმეტეს წარსულში, მხოლოდ ზემოხსენებულით არ განისაზღვრებოდა. ჩვენ აქ მისი აწინდელი ფუნქციის მიხედვით ვმსჯელობთ და წარსულ ვითარებაზე მხოლოდ ვეკარაუდობთ. საერთოდ, ცულთა ფუნქცია ისტორიულად მრავალმხრივია: საბრძოლო¹; სამეურნეო, სარიტუალო, და სხვ., მაგრამ ყველა ამის შესახებ აქ არ შევიჩრდებით.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში წარმოადგენილია ნაირსახის ცულები. თითოეული მათგანი სხვადასხვა დანიშნულებით იხმარება. მაგრამ ამ ნაირ საქმიანობის მიუხედავად მათი პირადი ფუნქცია მინც გამოირჩევა. კერძოდ, მაღალი და ვიწრო ტანის ცულები ხეთა ამოსატყებდაა განკუთვნილი; ფართო და დაბალპირიანნი — სახელოსნოდ; სოლისებური მოყვანილობისანი საქობად, ხოლო ტანმოხრილი — საწაღდავად და სხვ... გარდა ამისა, სიდიდის²

¹ Вейс, Г. История одежды, вооружения, построек и утвари народов древнего мира, ч. 1, М. 1873. გვ. 458.

² „ტანმოხრილი“, ანუ მცირე სიდიდის ცულის აღსანიშნავად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება რამდენიმე ტერმინი: „ნაჯახი“ (მერეთი, ლეჩხუმი, გურია, რაჭა), („კოპიტი ცული“ (ქართული), „კაადოლ“ (სვანეთი), „ღია ცული“ (მთიულეთი) „კვალა“ (სამეგრელო), „ბენცულა“ (ზეგსურეთი), საგულისხმოა, რომ საქ-ს იმავე კუთხეებში დიდი „ტანსრული“ ცულის სახელად უმეტეს შემთხვევაში იხმარება — „ცული“, იშვიათად — „კინა“ (გურია, ლეჩხუმი), ამასთანავე, ს.მგერელოში მას „არჯუნი“, სვანეთში — „კაადა“ (ჩილდური) ეწოდება.



მიხედვით მათში გვხვდება როგორც „საცალხლო“, ისე ორივე ხელის სახმარისა და სხვა...

საყურადღებოა, რომ ცული საბას განმარტებითაც მიჩნეულია, საერთოდ, ხეთა საკრელ სამუშაო იარაღად. ასევე, დაბადების ქართულ თარგმანის მიხედვით ცული ამავე ფუნქციას ემსახურება. „ვითარცა მადნარსა შინა ხე ცულითა დაკოდნეს, ბქენი მათნი რაითურთის ცულითა და წერაქვითა დაამხუეს იგი¹“. სამწუხაროდ, გაურკვეველი ჩანს ჩვენთვის, თუ რომელი სახის ცული უნდა იგულისხმებოდეს ამ შემთხვევაში?...

აგრეთვე, არც ის ვიცით ჩვენ ისტორიულად რა ხასიათის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული ძირითადად ამათუიმ ცულს?! ერთგვარი გარკვეულობის შეტანა ამ საკითხში ცულის არსებულ სახეთა ფუნქციურ ტიპოლოგიის დადგენას თუ შეუძლია, რაც ნაწილობრივ გადავიღებდა, ამასთანავე ამ ცულთა განხილვას—კულტურულ-ისტორიულ ასპექტში და თითოეული მათგანის სტადიალური განვითარების გარკვევას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.


როგორც ზემოთაც ითქვა, ქართული ცული ამასთანავე ნაირ ფუნქციის და სიდიდისაა. საზოგადოდ, როდესაც იგი დიდია, ეწოდება „ცული“, თუ შედარებით მცირეა—„კოლო ცული“. საყურადღებოა, რომ „კოლო“ სახელი, ასევე მცირე სიდიდის ცულის აღსანიშნავად, „კულა“ „კვალას“ სახით მეგრულსაც შემოუნახავს. ამასთანავე, იმერეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ქართული ცულის ერთ-ერთი სახესხვაობის ცულის სახელად გვხვდება: „კაკურა“, „კალურა“-ც. საფიქრებელია „კოლა“, „კვალა“, „კაკურა“, „კალურა“—სიტყვათა ძირი შინაარსეულად ტერმინ „კავს“ („კალუ“—მეგრ.) უკავშირდებოდეს². ამ შემთხვევაში, შესაძლებელია—„კოლო“, „კვალა“, „კალურა“, ანუ „კალურა“, ქართული და მისი თანაგვარი ცულების გარეგანი მოყვანილობის მიხედვით გააზრიანებულ და ამ ნიადაგზე წარმომდგარ ტერმინებად მიგვეჩინა და მათ ამ ცულთა წარმომავლობის სათავეთა შესახებაც მცირე რამ ეთქვათ. „კოლო ცული“, უპირატესად, სახელოსნო დანიშნულებით იხმარება და ხელოსნის ხელკურქელს წარმოადგენს.

„ქართული“ ცულის გავრცელების არეალი, ამჟამად ქართლითა და რაჭის მთიანეთით განისაზღვრება. უფრო იშვიათად, საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით (იხ. აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ეთნ. განყ. არქივი, ეთნოგრაფიული ექსპედიციების ანგარიშები). ირკვევა, რომ „ქართული“ ცული უახლოეს წარსულამდე, შედარებით ფართოდ იყო გავრცელებული, შემდეგში მისი ტერიტორიალური გავრცელების არე საგრძნობლად შემცირებულა. ქართული ცულის დამოწმება და მისი არსებობის ფაქტები—იმერეთსა და ლეჩხუმში, სამეგრელოსა

¹ დაბადება, დავითნი, 63, 6.


² საყურადღებოა, რომ ლეკები და ინგილოელნი თავმოკაულ, ანუ თავკაუტიან ჯონს სახელად „კოლა“-ს უწოდებენ (იხ. საქ. მუხ. ეთნ. განყ. კატალოგი, № $\frac{3-26}{27-28}$)

და ქვემო-რაქაში, ამასვე ადასტურებს, (იხ. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული მუზეუმის ლითონის კოლექციები № 25—33 (27, 30—40) 1, 30—40 (2)).



ა. ცული სპილენძისა, 3000 ძ. წ., ტებე ვაერა (E. Speiser-ის მიხედვით). ბ. ცული, სპილენძის საუბ. ჰენგრიფიდან (Childe-ს მიხედვით). ც. ხ. ცული (ცულიები სპილენძისა, მესობიამია. (Childe-ს მიხედვით)).

სურ. 13. „სეანური“ ცული (საქ. მუზეუმი, სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი).



რით უნდა ყოფილიყო მანაც გამოწვეული საქართველოს უმეტეს კუთხეებში ქართული ცულის ხმარებიდან გასვლა? საკითხი მეტად საინტერესოა. „ქართულ“ ცულთან ახლოს მდგომი—„მესხური ცული“, მეგრული „ჩენგი“, „სვანური“ ცული, „მთიული“ და „ხევსურული“¹ ცულები უმთავრესად საქართველოს მთის და ზეგანის ზოლში ექცევა. რაც შეეხება ბარს—აქ ცულის გაბატონებულ ტიპს „ნაჯახი“, ანუ „ფრთიანი ცული“ წარმოადგენს.

ამგვარად, ერთ შემთხვევაში „ქართული“ ცულისა და მის ახლობელ ცულთა გავრცელებას მთიანეთში, ხოლო მეორე შემთხვევაში, ბარისაკენ „ფრთიანი“ ცულის გაბატონებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ პირველი თავისი ფუნქციით უფრო მთიანეთის სინამდვილეს ეგუება, ვინაიდან ბარად საამისო პირობები ამჟამად, უკვე შეცვლილია, ხოლო მეორე ბარის ცხოვრების მოთხოვნებილებს უკეთესად აკმაყოფილებს, ზოგიერთი ფაქტი თითქოს ამის სასარგებლოდ უნდა მტყუებოდეს. მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნას შემდეგი ფაქტი: სამტრედიის რაიონში, ჩვენთვის კარგად ცნობილ წალდს თავისი აგებულების ძირითადი ატრიბუტი—ე. წ. „კარტი“ ფუნქციური უზმარობისა გამო თითქმის დაუკარგავს და ამ ელემენტს ერთგვარი ატროფია განუქცვლია, „გადაბიჭებულა“. ამ მიმართებით არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ქართულ ცულს ბაზარზე, ფაბრიკული ცულის სახით, ძლიერი კონკურენტი გაუჩნდა, რომელიც მართალია ვერც ფორმით და ვერც შინაარსით პირველს ვერ შეეტოლებოდა, მაგრამ შედარებით იაფი და ხელმისაწვდომი იყო. ამ ვითარებაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძირითადი ფუნქცია, რომელსაც იგი უწინდელ ყოფიერებაში ასრულებდა, ახალ გარემოებაში, პირობების შეცვლისა გამო, აზრსა ჰკარგავდა და ქართული ცულიც ბარის სინამდვილიდან თანდათანობით იხევდა, ხეობათა გაყოფებით, მთის ზოლისაკენ.

საქართველოს სინამდვილეში არსებულ ცულთაგან, როგორც ფორმით, ასევე ფუნქციის და დამუშავების წესების მიხედვით, ძლიერ ახლო დგას ქართულ ცულთან—„კოდარა“ ცული, მეგრული „ჩენგი“, „მესხური ცული“, აგრეთვე—„მთიული“, „ხევსურული“ და „სვანური“ ცული. მათ შორის ურთიერთობა და კავშირი ცალკეული კომპონენტების მიხედვითაც მქლავნდება. მათი ერთიანობისა და საერთო წარმომავლობის ამგვარ მაჩვენებლად შეიძლება გამოვადგეს ამ ცულების ერთსახოვანი „სატარე“, საერთოდ, „სატარე“, რომელსაც ცულის ფუნქციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ნაირ ყალიბისა და მოყვანილობისა: თავ-ფართო, ბოლო-განიერი, თავ-ბოლო ტოლი, დასრუბნილი და სხვ... ფორმით სატარე შეიძლება იყოს, ძირითადად „კუთხოვანი“, ან „მრგოლ-ვანი თავის მხრით—„გურგვალი“ (მრგვალი), „ლულუა“ (ოვალური) და „მორგვალო“, კუთხოვანი-პრიზმატული, ტრაპეციისებური, მრავალკუთხი და სხვ...

¹ ეს მოვლენა საყურადღებოა მრავალმხრით. სამტრედიის რაიონის ცენტრალური ნაწილი განსაკუთრებით არის დასახლებული და ამ ნიადაგზე ბუნებრივი გარემო საკსებით გადასხვევებულია. ყოველგვარი ველური „ფაცხა“ ტყე და ეკაზბარდნარი გაკაფულია. წალდის „კარტი“, რომელიც უმთავრესად ამ სახის ტყისა და ეკაზბარდნარის საწაღდავადა განკუთვნილი, სასაქარო ობიექტის მოკლებისა გამო ზედმეტი ბარგი გამზდარა.

დასახელებულ ცულების წყებას საერთოდ, კუთხოვანი, ტრაპეციის ექსტრემული ვისი მოყვანილობის „სატარე“ ახასიათებთ და ამ მხრით ისინი ერთსახეობაში არიან.

საზიარო ხასიათის კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს, აგრეთვე „კაჩა“, რომელიც თითოეულ მათგანს, პირადი ფუნქციის კვალობაზე, სხვადასხვა ხარისხითა აქვთ განვითარებული.

ამ მიმართებით, ხსენებულ ცულთა შინაგანი ერთიანობის ძირითად მაჩვენებლად მიჩნეულ უნდა იქნას—მათი ტანის ერთნაირი აღნაგობა, სოლისებური მოყვანილობა, „მოქანდული“ გამართულება, „უფახო“ პირი და რაც არსებითია—დაღმა და გასწვრივ მკვეთრად დაქანებული ბოლოები. მაგრამ მხოლოდ ფორმალური მსგავსებით არ განისაზღვრება ქართული ცულის დამოკიდებულება ამ ცულებთან. ისინი თვით დამზადების წესების მიხედვითაც ერთგვაროვნებენ. როგორც ზემოთაც ითქვა, ძველებური წესით ცულის გაქედვა, პირველ რიგში, ითვალისწინებს საცულე რკინის „დენდად“ დაგვარებას და შემდეგ მის ორტოლად გაკეცვას. ეს პრინციპი საფუძვლად უდევს ხსენებულ ცულთა გაქედვის წესს და ძირითადად მათი დამზადების საერთო მხარეს წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ განათხარი რკინის ძველი ცულების ერთ ნაწილს (მხედველობაში გვაქვს ზუგდიდის ქუჩაზე მისი კოლექცია) მსგავსი დამზადების კვალი ამჩნევია, რაც ამ წესის საკმაო სიძველეს უნდამოასწავებდეს. ამ ხაზზე, ქართული ცულის სახესხვაობად უნდა იქნეს მიჩნეული—„კოდარა“ ცული, „მესხური“ ცული, მეგრული „ჩენგი“², აგრეთვე „სვანური“, „მთიული“ და „ხევსურული“ ცულები. მესხურ ცულს (იხ. ტაბ. IV, სურ. 5) ქართული ცულისაგან ჩაღვერილი „შუბლი“ განასხვავებს, ხოლო „კოდარა“ ცულსა (იხ. ტაბ. III, სურ. 4) და მეგრულ „ჩენგს“ (ტაბ. VII, სურ. 11) შედარებით ვიწრო, მკვეთრად „მოქანდული“ ტანი, გორდა შუბლი, და შედრეკილი „კაჩა“. აგრეთვე, სხვა თანამოგვარე ცულები—„სვანური“ (ტაბ. VIII, სურ. 13), „ხევსურული“ (ტაბ. IX, სურ. 14), მთიული (ტაბ. IX, სურ. 15), ქართული ცულისაგან მხოლოდ ილიის უქონლობით განირჩევიან. სხვა მხრით ეს ცულები ერთმანეთიდან არც კი განსხვავდებიან და მათი სიახლოვე და ერთობა ექვს არ იწვევს. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ ქართული და მისი თანამავარი ცულების ერთიანი საწყისი ერთი მრავალბირიანი ძირიდან.

უპიველია, ქართული ცული, რომელიც სრულყოფილ და დაწინაურებული ცულის სახეს წარმოადგენს, თავის გასრულებას თანდათანობითა და შინაგანი გაუმჯობესების გზით აღწევდა. უნდა დაეუშვათ, რომ მისი ნაირ სახით ჩამოყალიბება ფუნქციური აუცილებლობით იყო გამოწვეული, ხოლო ამ ფუნქციისათვის მისი შემზადება და თავისებური „შეთაბუნება“, ქართველი ხალხის ყოფიერებაში, ადგილობრივი „გამორჩევის“ კოლორიტს ატარებდა. ამგვარად,

¹ საბას განმარტებით—„კაჩა“ მუხლის ძირის სადრეკი“-ა.

² მეგრული „ჩენგი“-ს წარმოადგენილი სახე შესრულებულია, სოფ. ჯვარში 1940 წელს ჩემ მიერ ჩახატული პირის მიხედვით და იგი დიდ სიზუსტეს ეწერ დაიხმებს.



ეს ცულები ქართველი ტომების სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების წინამძღვრის ნაყოფად გვეჩვენება. ამისათვის საჭირო წინაპირობა და გარკვეული წინამძღვრები—უთუოდ არსებობდა. ერთი მხრით ლითონთა შემუშავების მდიდარი ტრადიციები და სამკვდლო ხელობის მდიდარი დონე, რასაც ნათლად მოწმობს ამ უკანასკნელ წლებში მონაპოვარი ძველი ქართული ნივთიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი,—ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ხასიათის ძეგლები, სადაც მეღიბონეობის დარგი განსაკუთრებით ცხოვლად არის აღბეჭდილი, ხოლო მეორე მხრით საქ-ს ბუნების ნაირობა ჰქმნიდა ობიექტურ პირობებს მზარდი საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაბამისად, რიგი სამუშაო და სხვა დანიშნულების იარაღთა გასრულებისა და ახლებულად წარმოქმნისათვის. რაც შეეხება ხსენებულ ცულების გარეგან თავისებურებას, იგი უმთავრესად ფუნქციათა დიფერენცირების გზით უნდა წარმომდგარიყო.

აღსანიშნავია, რომ ცულთა მრავალსახეობა საერთოდ დამყარებული არი-გი გარეგანი და შინაგანი ხასიათის კომპონენტებზე, როგორცაა: მასალა, ფუნქცია, დამზადების წესი, ტანის მოყვანილობა, პირის გამართვა, ნაწილთა თანაფარდობა და სხვ. მაგალითად, იმ ცულებს, რომელთაც ხმარობენ ხის დიდი შორების, ძირკვების და საერთოდ მძიმე სამუშაოში ყუა-ყერიმალნი და ტანი მკვრივი, სქელი და ურჩად გამოყვანილი აქვთ. სამაგიეროდ, სახელოსნო და მსუბუქი საქნარისთვის განკუთვნილ ცულთ, შედარებით, ფაქიზი და „სალუქი“ ტანი ახასიათებთ. ამასთანავე, ცულის ცალკეული ნაწილი განსაზღვრული ფუნქციის მატარებელია და თავისი ფორმით შეპირობებულია მასთან, როგორც პირუტყვ.

ходного типа распятий, как рассмотренное на кресте мастера Асата или на Бретском, изготовленных к 1000 годв. В них сохраняются еще определенные, связующие с предыдущими (XI-го века) произведениями черты, как цилиндричность верхней части тела и др. начальной фазы искания пластичности. Но вместе с тем мастер выявляет свое умение монументально обобщить формы и плоскости, создать переходы и наметить сопряжение частей. Особенно ярким примером может служить деревянная, фрагментированная сейчас в конечностях и утерявшая раскраску фигура распятия, происходящая из кельнской церкви св. Якова или Георгия, ныне в собрании Schnütgen-Museum; она датируется первой (или второй) четвертью XII-го века и имеет 1,90 м высоты¹. Интересно, что на место строгой вертикали тела, как в Верденском, Минденском и др. распятиях, мастер внес искривление свисающего в сторону от тяжести мертвого тела. Отмечу, что такой мотив известен в некоторых грузинских распятиях еще и начального XI-го века, как, напр., в распятии на большом предалтарном кресте из Кацхи. Другими примерами для этого характера работ являются, напр., деревянные распятия середины XII-го века из Бакхорста (ныне в провинциальном музее в Мюнстере), размером несколько больше человеческого роста², или из Ураха размером в 1,41 м³. Интересным примером подражания в фигуре значительно более древнему, завозному (?) образцу при разработке головы согласно современному подходу является известное деревянное с окраской распятие, подписное работы Имерварда, датируемое на 1194 год в кафедрале Брауншвейга⁴. Это пример того, как медленно ширится изучаемая здесь новая пластическая установка. Что это действительно так, особенно ясно видно на мелких распятиях XII и еще XIII-го даже века. При этом это касается не только так сказать ремесленной, рядовой продукции литых медных фигурок распятий, которые крепились, как считается, на деревянные кресты, и которые широко распространены были в эти века и в Италии, и Франции, Германии, Испании и т. д.⁵, но и исполненных по специальным именным заказам и, конечно, из дорогих материалов и в богатом украшении, как, напр., из позолоченной бронзы в кельнской церкви Maria-Lyskirchen⁶, или с черневыми украшениями, по видимому, сработанный около 1130 г. во Фритцляре (ныне во Франк-

¹ H. Beenken, там же, табл. 29; H. Beenken, Jahrbuch für Kunstwissenschaft, I, 1923 141—142 und Abb. 14, 15; Fr. Witte, Der Goldne Schrein, S. 92 und Abb. S. 101.

² G. Dehio, Geschichte der deutschen Kunst, ³¹, 1923, Abb. 425; Führer durch das Landesmuseum der Provinz Westfalen zu Münster, 4. Aufl. 1926, Abb. 4.

³ H. Beenken, там же, табл. 60 A.

⁴ H. Beenken, там же, табл. 79 и 80; G. Dehio, ³¹, Abb. 434.

⁵ Ряд воспроизведений в статье Tancred Borenius, The Pitt-Rivers-Museum: Medieval Metalwork, *Burlington Magazine*, № 337, t. 58, avril 1931; J. Braun, II, Taf. 6, 7; Das Schnütgenmuseum der Stadt Köln, Führer, 1923, Abb. 3, 4; Diözesan-Museum zu Köln, 1924, Taf. I, 3.

⁶ Fr. Witte, *рус.* с. 49.



фуртском музее)¹, или позолоченное бронзовое распятие (из Северной Франции в коллекции Л. Зелигмана, на котором интересно отметить связь в трактовке груди с крестом Гизелы²; или второй половины XII-го века известный серебряный чеканный крест св. Трудперта в Бадене³, а для начала XIII-го лиможские эмалевые распятия в Pitt-Rivers-Museum⁴ или бывшего собрания М. П. Боткина⁵, и др.

Таким образом, выход романской скульптуры на путь монументальных по размерам фигур быстро сделал ненужным решения собственно скульптурных задач в продукции золотых дел мастерства, ограничив ее декоративными подходами. Зато дальнейшее продвижение отмеченных на середину XII века в крупной деревянной скульптуре установок отмечено новыми достижениями уже в последней четверти того же XII-го века. Скульпторы достигают полной четкости и свободы пластической трактовки реального тела. На таком ярком образце, как условно так назыв. крест св. Геро в одной из капелл Кельнского собора, видны членения закругленного тела, связь его поворотов с особенностями всего положения, искажения мускулатуры в связи с ними и в частности с сильно раздвинутыми—вверх и назад—руками. Разработка поникшей на грудь головы всецело подчинена общей направленности движения, растяжению мускулов и всей напряженности в целом и в частности, с чем согласованы также распределение и формы плата⁶. Другие деревянные распятия также полной высоты около 1170 года в Беннингхаузене⁷ или конца XII века из Северной Франции (только 1,16 м высоты)⁸, или перелома XII и XIII-го веков с Аммерзее⁹ подтверждают ту же картину. Характерно, что у них, как и на кельнской фигуре, повторяется характерный острый треугольник в складках плата. Этот этап, достигнутый на Западе в конце XII-го века в большой скульптуре, отвечает тому, что мы видим на распятии Мартвильского креста, сделанного в 50-х годах XI-го века.

¹ R. Schmidt, Das romanische Kunstgewerbe in Deutschland (Seemanns Bibliothek der Kunstgeschichte), Leipzig 1922, Abb. 2.

² „Pantheon“, Bd. V. 1930, Abb. S. 139.

³ M. Rosenberg, Geschichte der Goldschmiedekunst auf technischer Grundlage. Abt. Niello, II, 1925, S. 21 ff. und Abb. 17, 18; J. Braun, II, Abb. 54.

⁴ T. Borenius, там же, табл. с. 175, табл. I, E, F.

⁵ Собрание М. П. Боткина. СПб. 1911, табл. 95.

⁶ H. Beenken, там же, табл. 107; его же ст. в Jahrbuch für Kunstwissenschaft, I, 1923, S. 141—142 und Abb. 16; G. Dehio, I, Abb. 425-a; Fr. Witte, S. 92 und Abb. S. 99. Бенкен датирует его около 1180—90 г. г., а Витте, явно ошибочно, относит к 1100 году.

⁷ H. Beenken, там же, табл. 106.

⁸ Эта фрагментированная деревянная фигура конца века находилась сперва в собрании Stolk в Амстердаме, а затем в ольном Венском собрании; а в мае 1930 г. была снова на аукционе: Eine Wiener Sammlung. Versteigerung durch H. Ball und P. Graupe Berlin, II. Teil, № 32, Tafel XIV.

⁹ H. Beenken, Taf. 78.

Грузинская пластика и этой стадии все еще свои наивысшие достижения вписывает в историю чеканного искусства, т. е. по-прежнему скромных по размерам фигурах (самые крупные из дошедших не достигают и трех четвертей метра). Это было, конечно, роковым для самого развития скульптуры в Грузии. Иначе обстояло дело на Западе.


Заключительным этапом интересующего нас здесь скульптурного развития являются грандиозные скульптурные группы распятий первой половины XIII-го века, как знаменитое в Halberstadt-e (около 1220 г.) или в Wechselburg-e (около 1230 г.),¹ а также (испорченная новой окраской) фигура распятия из Эрц (филиала Кельнской церкви Пантелеймона) около 1180 года, в Кельнском Музее². Все они отличаются красотой всего объема фигуры, свободой владения выразительными средствами пластики, позволяющими скульптору достигать и красоты течения линий складок и красоты общего облика скульптуры; в соответствии с этим все страдальческое предыдущих решений в трактовке лица и головы в целом переводится в выражение задумчивости. Этими произведениями западно-европейское зрелое средневековое, романское, искусство скульптуры оставляет—совершенно отчетливо—далеко позади себя выходящую на ту же открытую дорогу пластического творчества грузинское искусство³. Как сказано, дорога эта была найдена как в Грузии, так и—позднее—на Западе золотых дел мастерами, но пройти ее могли только монументалисты—резчики по дереву или камню в натуральных размерах фигуры. Таких в Грузии не было, ибо монументальная пластика находилась под запретом, была гонима церковью.

Таким образом, рассмотрение этапов скульптурного развития средневековых Грузии и Западной Европы показало наличие тех же исходных условий, тех же титанических усилий, ознаменованных архаическими скульптурами, как первым этапом, уже во второй половине X-го века в Грузии и только во второй половине XI-го в Европе; затем одинаковым—в основном—продвижением дальнейшего развития, которое, однако, уже во второй половине XI-го века оказывается в Грузии застопорившимся. Блестящие достижения скульптурного порядка, продвижение основ к порогу развитой скульптуры оказываются—видимо, противодействием и запретом со стороны церкви—отрезанными от возможности применения монумент-

¹ G. Dehio, I, Abb. 426, 427; Sauerlandt, Deutsche Plastik des Mittelalters (Blaue Bücher), Abb. 29.

² H. Beenken, табл. 109, 110.

³ Не даром подчас эти произведения относят уже к готическому искусству, которое владеет в скульптуре полным знанием механизма движений и ставит себе особые задачи.



тальных размеров в скульптуре и тем самым лишенными живой основой для развития. Все дальнейшее чеканное искусство естественно опять культивирует непокидавшую ее и в период пластических исканий и завоеваний установку на декоративность, которая одна определяла начальные этапы. Этот, хоть кратковременный, период развития скульптуры в древней Грузии сам по себе факт совершенно исключительного значения, так как он не только выделяет ее из ряда стран типа Византии, но и показывает художественно полноценные образцы скульптуры своего времени.



განათავსება

მცხეთის კათოლიკოსის „სვეტი-ცხოველი“ და ქართლის მოქმედების სიუჟეტები მის ფრანკოფონიაში

I

„სვეტი-ცხოველი“, ჩვეულებრივ, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარს უწოდებენ ხოლმე. ეს სახელწოდება („სვეტი-ცხოველი“) დაკავშირებულია იმ პოპულარულ ლეგენდურ გადმოცემებთან, რომლებიც ქართლის მოქმედებისა და მცხეთის პირველი ქრისტიანული ეკლესიის აგების ამბავს მოგვითხრობენ. უძველესი დღემდე მოღწეულ ქართულ წყაროთაგან, რომელშიც ეს გადმოცემები შენახულა — „ქართლის მოქმედების“ შტაინე, განსაკუთრებით კი — წმ. ნინოს ცხოვრება¹, ხოლო ლეგენდის ცენტრალურ ეპიზოდს (საკუთრივ სვეტის სასწაულებს) უფრო ადრეც ვხვდებით — ბერძენ და რომაელ ავტორებთან (გელასი კესარიელი, გელასი კვიზიკელი, სოკრატი, თეოდორიტი კურელი, ერმიას სოზომენე, რუფინოზი)². მას შემდეგ, რაც ვერსიამ წმ. ნინოს მიერ საქართველოს გაქრისტიანების შესახებ ჩვენში ფეხი მოიკიდა, ქართველ მწერლებს არა ერთხელ გაუმეორებიათ ეს გადმოცემები³, და მე-12 ს-ისათვის ლეგენდა უკვე სავსებით ჩანოყალიბებულ სახეს ატარებს, განსაკუთრებით არ სენი ბერისა და ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებებში.

მოთხრობაში, როგორც ცნობილია, საკუთრივ წმ. ნინოს ქადაგებასა და მირიანის მოქმედებას თავისებური პრესტორია უძღვის წინ: მცხეთელ ებრაელს ელიოზს, რომელიც ქრისტეს ჯვარცმავს დასასწრებად სავანგებოდ გაემგზავრა იერუსალიმს, ქრისტეს სამოსელის გაყოფის დროს წილად ხვდა კვართი. მცხეთას დაბრუნებულ ელიოზს შეეგება მისი და, „შესუარული ცრემლითა ვითარცა სისხლითა და მოხევია ყელსა ძმისა თვისასა და მოუღო სამოსელი

¹ თაყაიშვილი, Опис. Рукописей, II, 708—813, შატბერდის კრებული ტექსტი და პელიშის ვარიანტი.

² გელასი კესარიელისათვის იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გელასი კესარიელი ქართლის მოქმედების შესახებ: მიმოხილველი, I, 1926, გვ. 54—68; შეად. კ. კეკელიძე, ქართველთა მოქმედების მთავარი საკითხები, იქვე, გვ. 22; დანარჩენი ავტორები: Латышев, Известия греческих и латинских писателей о Скифии и Кавказе, I, II.

³ ლეონტი მროველი, ეფრემ მცირე („უწყება მიხეხისა ქართველთა მოქმედებისა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქცეხებოდა“; ქორდანია, ქცები, I, 35—36); არსენი ბერი (თუ კათალიკოსი? „ცდა და მოქალაქობა და ღუაფლი წესა და ღირსისა დედისა ჩნისა ნინოსისა“, პ. კარბელაშვილის რედ., 1902); ნიკოლოზ გულაბერისძე („საკითხავი სუეტისა ცხოველისა, ჟვართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა: საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, 69—118).

იგი იესოვსი და შეიტკობამკერდსა თუსასა და მსწრაფლ სოლნი წარჰქცეს¹, ელი-
ოზმა დაკრძალა თავისი და, რომელსაც „ნელთა მისთა აქუნდა სამოსელი იგი“²
იმ ადგილს, რომელიც „მახლობელ არს... ნაძუსა მას ლიბანით მოსრულსა და
მცხეთას დანერგულსა“.³

საკუთრივ ქართლის მოქცევის ამბავი ზემომოთხრობილს პირველად იმ
მომენტიდან უკავშირდება, როცა ნინო გაიგებს მცხეთაში კვართის დაკრძალვის
ამბავს და განიზრახავს მცხეთაში წასვლას (ამგვარად, სწორედ კვართი იქცევა
საქართველოს გაქრისტიანების მიზეზად), ხოლო უფრო უშუალოდ მაშინ, როცა
მირიანი „სამეფო სამოთხეში“ ეკლესიის შენებას იწყებს: „და მეყსეულად მოი-
ღეს ძელი და იწყეს შენებად და მოჰკუეთეს ნაძვ იგი და შემზადეს სუე-
ტად და ძირთა მისთა ზა დაღვეს საფუძველი ეკლესიისაჲ“⁴. მაგრამ როდესაც
ამ სვეტის აღმართვის „უამი მოიწია“, ხუროებმა „არა თუ აღმართებად ოდენ
ვერ შეუძლეს, არამედ შეძრვადცა და უქმ იქმნა ყოველი სიბრძნე და ღონის-
ძიებაჲ კაცთაჲ“. ამ სასწაულმა მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა მეფესა და
ხალხზე. „წარვიდა მეფე და ყოველი ერი გულდებული ურვისაგან... ხოლო
ნეტარი ნინო დაშთა ადგილსავე და ათორმეტნი დედანი, სხუანი“⁵, და მთელი
ღამე ლოცვაში გაატარეს. კიდეც სასწაულები და ჩვენებანი. ბოლოს „სუეტი
იგი ცეცხლის სახედ“ ჩამოვიდა „და მოეახლა ხარისხსა მას თუსსა და დაემართა
და დაღვა ზედა ხარისხსა მას ქცნით აღშორებულად ვითარ ათორმეტ წყრთა...
რამეთუ ხარისხად იყო ძირი (იგი) მისი რომლისაგან მ(ოკუეთილიყო)
სუეტი იგი ცხოველი“⁶. ხოლო როცა დილით მოვიდა მეფეც, „იხილეს
საკრეველი იგი ნათლითა მბრწყინვალს სუეტი იგი ჩამოვიდოდა ადგილად
თუსა რეცა თუ დაღვა ხარისხსა თუსსა ზედა და დაემყარა კვლთ შეუხებლად
კაცთაგან“⁷.

წმ. ნინოს ცხოვრების ტექსტში, რომელიც, არსენი ბერის თქმისა არ იყოს,
„შეუწყობლადა ნაწერი და მკითხველთათჳს ფრიად საწყინოა“⁸, „სვეტი-ცხოვლის
უშუალო, ასე ვთქვათ, „გენეტიკური“ კავშირი კვართის დაფლვის ადგილთან
მაინცდამაინც ნათლად არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, საგანგებოდ ხაზგასმული
არაა, თუმცა მათი „იდეური“ ერთიანობა უკვე უქვევლია⁹. მაგრამ შემდეგი
ღროის ავტორები ამ გარემოებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და
ეს გასაგებიც იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ უაღრეს ღირებულებას, რო-
მელიც ამ რელიკიას—უფლის კვართს—ეკლესიისათვის უნდა ჰქონოდა. „ვი-

¹ თაყაიშვილი, *Опис. рукоп.*, II, 764—766.

² იქვე, 743, 744, 748.

³ იქვე, 776.

⁴ იქვე II, 776.

⁵ იქვე, 780—781.

⁶ არსენი ბერი, *Op. cit.*, 51.

⁷ ეს, როგორც აკად. კ. კეკელიძეს აქვს განმარტებული, იმის ბრალი უნდა იყოს, რომ
ნინოს ცხოვრებას (დღემდე მოღწეულს) ზოგიერთი ადგილი აკლია, კერძოდ ის, სადაც
სიდონიას საფლავის მახლობლად ამოსული ნაძვის შესახებ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი: ლი-
ტერატურული ძიებანი, ტ. I, 1943, გვ. 19-

თარცა... მამა და ძე ერთ არიან განუყოფელად ღუთაებითა, ეგრეთვე უკუნი სვეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა დიდებულებანი და სხვა მრავლებანი განუყოფელ და ერთ არიანო“, წერს ნიკოლოზ გულაბერისძე¹. და შემდეგაც, საუკუნეთა მანძილზე, ქართულ ეკლესიის უტყუარად და საბაპუოდ მიაჩნდა ის, რომ „კვართი უფლისა“ მცხეთის კათედრალის შიგნით იყო დაკრძალული.

წმ. ნინოს ცხოვრებაში ზემომოტანილ მოთხრობას ისევ სასწაულების სერია მოსდევს: სნეულნი მიდიოდნენ სვეტთან, ეხებოდნენ მას და იკურნებოდნენ. მეფემ განაგრძო ეკლესიის შენება, მაგრამ ჯერ კიდევ მანამდე, მან „შეუქმნა საბურველი ძელისა გარემოს სუსტსა მას და დაფარა ხედვისაგან“². იგივე ნიკოლოზ გულაბერისძე მეფის ამ ნაბიჯს სითანადლოდ ასახულებს: რადგანაც „სვეტს“ „ფრიადთა მათ სასწაულთა მოქმედებისათჳს ყოველივე იძულებულნი სენთაგან თითო სახეთა სასოებით ურიდად შეეხებოდეს, წმიდისა შეურაცხებად ჰგონა მირიან მეფემან“ და „ამისთჳსცა უკუშ შემისა ფიცართა მიერ დაფარა შიშლოება იგი სუსტისაო“³. სწორედ ეს „საბურველია“ (თუ კი ის მართლაც არსებობდა იმ დროს) წინაპარი იმ ნაგებობისა, რომელიც მცხეთის კათედრალის შიგნით დღესაც დგას და რომელიც წინამდებარე ნარკვევის საგანს შეადგენს (სურ. 1).

როგორც ცნობილია, მცხეთის ტაძრის თავგადასავალი რთული და მრავალეტაპიანია. იმ ადგილს, სადაც ოდესღაც პირველი ქრისტიანული ეკლესია აშენდა, რამდენიმე შენობამ შესცვალა ერთმანეთი. ასევე რთული ჩანს იმ „საბურველის“ ისტორიაც, რომელსაც შემდეგში უკვე „სვეტს“ ან „სვეტი-ცხოველს“ უწოდებდნენ. ქვემოთ დავინახავთ, რომ დღევანდელი „სვეტი“ საკმაოდ გვიანდელი წარმოშობისაა. როგორი იყო მისი „წინამოადგილის“ რეალური სახე, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ტაძართან ერთად მისი არსებობა საბუთებში ყველგან იგრძნობა: ძვირფასი რელიკვიის შემცველი „სვეტი“ გასდევს ტაძარს მისი არსებობის მთელ მანძილზე, როგორც მისი მთავარი წმიდათა-წმიდა, როგორც მისი ფაქტიური „იდეური ცენტრი“.


სამწუხაროდ, „სვეტის“ ისტორიის თავდაპირველი ეტაპების გასაშუქებლად, ჩვენ ექვმიუტანელი დოკუმენტები არ გავაჩნია: როგორც ზემომოტანილი ცნობა, ისევე ის ცნობებიც, რომლებიც უშუალოდ მომდევნო ამბებს შეეხება, ამ ამბავთა თანამედროვეებს არ ეკუთვნის. ჩვენ არ ვიცით, რას ემყარება ნიკოლოზ გულაბერისძის მითითება იმის შესახებ, რომ მირიან მეფის ძემ—რევა „განიზრახა, რათა სრულიად ქუტკირითა აღმოქმნას გარემო სუსტისა მის, რომელიცა უკუშ ესე საკმით შეუდგინა განზრახვასა და სრულ ჰყო“⁴; ასევე არ შეგვიძლია ლეონტი მროველის შემდეგი მოთხრობის შემოწმება: „ამის მირდატის მეფობასა იწყეს ქართველთა სვეტისა ცხოველისაგან ნაწილისა გამოღებად და ქმნად ჯუარად, რამეთუ დიდნი სასწაულნი და კურნებანი იქმნე-

¹ საბინინი, საქართველოს სამოთხე, 106.

² თაყაიშვილი, Опис. Рукописей, II, 782.

³ საბინინი, იქვე, 105.

⁴ საბინინი, იქვე, 105.



ბოდეს, სადაც იყვის ნაწილი სუეტისა-ცხოველისა... დი განეფინა აქვედღეაღი აღგილთა ქართლისათა ნაწილი სუეტისა ცხოველისა. მაშინამან მარტო მიყვითა ფეშან მისვე სუეტისაგან შექმნა ჯუარი ზომიერა, და რომელი დარჩა სუეტისა მისგან ცხოველისა, მას გარეთ მოქნა ქვითკირითა და აღამაღლა ქვითკირი პირველ სუეტისა ოდნად, და თავსა მის სუეტისასა აღმართა ჯუარი იგი, ძელი განმა ცხოველებელია¹.

მაგრამ ეს კია, რომ ისტორიულ პირთა მითითება ამ მოთხრობებში შემედარიც თუა, ერთი რამ მაინც ცხადი უნდა იყოს: საქართველოს გაქრისტიანების პირველ საუკუნეებიდანვე, „სვეტი-ცხოველი“, როგორც ქრისტიანული წმიდათა-წმიდა, დიდად პოპულარული ყოფილა და ხელისუფალთა განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს შეადგენდა. უნებურად მოგავიდება „მირიანის წერილის“ სიტყვები (წმ. ნინოს ცხოვრებიდან): „შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა“, ისე რომ მე „ვერ ეკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწა სამარედ ჩემდა“ და ჩემი საფლავი ზემო ეკლესიაში შევამზადეო².

პირველი ცნობა „სვეტის“ შესახებ, რომელიც ჩვენ ნამდვილ საბუთად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მელქისედეკ კათალიკოსის 1029 წლის სიგელშია დაცული: „...ესე დაწერილი მოვაქსენე და შევსწირე... წმიდასა და კათოლიკე და სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისასა... და მას შინა ღმრთიე აღმართებულსა სუეტსა-ცხოველსა, კუართსა სამეფოსა და მითრონსა ღმერთ მყოფელსა და წმიდა მყოფელსა“, წერს შესავალში მელქისედეკი, თავის ღვაწლის აღწერისას კი ნათქვამი აქვს: „შევხედე სუეტი ცხოველი ოქროჲთა და ვეცხლითაო“³. ეს სიტყვები სავსებით ნათლად მოწმობს „სვეტის“, როგორც ნაგებობის, „ფიზიკურ“ არსებობას ტაძარში, ხოლო მისი ამგვარი ტიტულატურა („მას შინა ღმრთიე აღმართებული სუეტი ცხოველი, კუართი“ და სხვ.), რომელიც შესაძლებელია უფრო ადრეც იყო შემუშავებული. ფორმულისავით დამკვიდრდა და შემდეგ საუკუნეებში თითქმის უცვლელად მეორდება.

„სვეტი“ — ნაგებობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს ნიკოლოზ გულაბერიძის „სუეტი-ცხოველის საკითხავში“, რომელიც მე-12 ს-ის მიწურულშია დაწერილი. „სვეტის“ სასწაულთა აღწერისას, მას, სხვათაშორის, ერთი ასეთი ეპიზოდიცა აქვს ნაამბობი: საქართველოს სულთნის ჯარი შემოესია. მცხეთას მისული სულთანი ტაძარში შევიდა და „ჭკითხვიდეს უკუე თუ რა არს კონქსა ამას შეკრძალულისა შინა“. სულთნის მეუღლე „ჭკონებდა... საუნჯესა დიდძალსა დაფარულსა“ და მან „უბრძანა განხილვად საუნჯისა მის“. მაშინ „შემზადნეს კიბენი აღსავალნი განსახილვად“ და სცადეს კიდევ ასვლა⁴.

¹ ანასეული ქცა, 85. ლეონტის ეს ცნობა განმეორებული აქვს ვახუშტიც, რომელიც უმატებს, რომ სვეტზე აღმართულ ჯვარს „სდიოდა მითონი სამკურნალო“; ა. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 60—61.

² Опис. Руконисей, II, 801—802.

³ საქ. მთხეუმის მოამბე, VI, 288.

⁴ საბინინი, საქ. სამოთხე, 107—108.

ამგვარად: „სვეტი“ იმოდენაა, რომ მის „განსახილავად“ კიბის მიღგმა სვეტი-ცხოველი ხოლო მის შიგნით დიდძალი განძი შეიძლება ინახებოდეს; იმავე დროს როგორც ჩანს, კამაროვანია („კოლქი“).

უქვევლია ისიც, რომ ავტორი ამ ეპიზოდის გადმოცემისას, რეალურ, მის დროს არსებულ, „სვეტს“ გულისხმობს და მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას ემყარება. გულაბერისძის თხზულებაში ჩვენთვის საინტერესო სხვა ცნობებიც შეიძლება მოიძებნოს. უგულუბელსაყოფი არაა, მაგალითად, გაკრითი მითითება იმის შესახებ, რომ „ესრეთ ყოფილ არს დასაბამითგან, რათა კურთხევადნი ეპისკოპოზნი წინაშე სუპტისა ცხოველისა მოვიდოდიან და აღთქემასა ჰყოფდიან მრავლისა სარწმუნოებისათჳს“¹. და „სუეტის“ დიდი სახელისა და მნიშვნელობის მაჩვენებელ ამ მოკლე ცნობის გვერდით, კიდევ უფრო საინტერესო ჩანს ის სკეპტიკური დამოკიდებულება სვეტის სასწაულთმოქმედ ძალისადმი, რომელიც მე-12 ს-ში მაინც, უკვე არსებულა: „სუეთი-ცხოველის“ საკითხავის ავტორი აღელვებული შენიშნავს: „და თუთ მებრ კუართი წმიდა საუფლოსა საჩინოდ არავე ყოფილ არს, ესეცა არს მიზეზი, ნუ უკუღ და ამასცა ეინმე მეტყულებდეს, თუ აწ ვითარ არღარა იქმნებიან სასწაულნიო“². და ამ ექვთა გასაფანტავად, იმის დასამტკიცებლად, რომ „აწცა ჭეშმარიტად მრავალნი და ურიცხვნი სასწაულნი და ფრიადნი საკურუელებანი ქმნილ არიან“, ხოლო რომელთამე სმენილთა სარწმუნოთა და ჭეშმარიტთა კაცთა მიერო“³.

მე-13 ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება უქვევლესი—სვეტის დღემდე მოღწეულ გამოსახულებათაგან: სვანეთის სოფ. ენაშში დაცულია სახარება, რომელიც ყდის წარწერის თანახმად, „ეზიფანე ქართლისა კათალიკოზისაგან შეიმიკო კათოლიკე ეკლესიისათჳს“. ქედურ ყდაზე, ამ წარწერასთან ერთად, ფიგუროვანი კომპოზიციაცაა: თვით კათალიკოსი ვედრების პოზაში, მის წინ კი—სამსაფეხურთან ბაზისზე აღმართული ღარებიანი სვეტი, რომელსაც ზემოთ კუბური სვეტისთავიც აქვს. ექვთ. თაყაიშვილი, რა თქმა უნდა სავსებით სამართლიანად, ასკვნის, რომ „კათოლიკე ეკლესია, მოხსენებული ან წარწერაში—მცხეთის კათედრალია, ხოლო სვეტი, რომლის წინაშეც კათალიკოსი ეზიფანეა წარმოდგენილი, სხვა არარაა, თუ არ სვეტი-ცხოველი“⁴. რა თქმა უნდა, გამოსახულება აქ პირობითია, ყოველ შემთხვევაში, სვეტის—ნაგებობის შესახებ იგი არაფერსაა წარმოდგენას არ გვაძლევს. მაგრამ იგი მნიშვნელოვანია, როგორც უტყუარი მაჩვენებელი სვეტის არსებობისა იმ დროს. ამ რელიეფის თარიღს, ერთი მხრივ, ყდის ორნამენტული სამკაულები და მათი შესრულების ხასიათი ადასტურებს, მეორე მხრივ კი ეპოქანესეული წარწერა 1218 წლისა, აღმოჩენილი ანისში ნიკო მარის მიერ.⁵

¹ საბინინი, საქ. სამოთხე, 111.

² იქვე, 106.

³ იქვე.

⁴ E. Taqaishvili, Antiquities of Georgia: *Georgica*, a Journal of Georgian and Caucasian studies, Nos 4,5, Autumn, 1937 გვ. 98—99. ტაბ. II, III.

⁵ Н. Я. Марр, Надпись Эпифания, католикаса Грузии (из раскопок в Ани 1910 г.): *Изв. Акад. наук*, 1910, გვ. 1433—1442.



ამის შემდეგ „სვეტი“ კარგა ხნით ქრება მატრიანეთა და ლოკუმენტთა ჩვენ-
ნამდებ მოღწეულთა მინც) ფურცლებიდან. ესაა ალმწერელი, მე-16
ს-ის დასასრულის მიწისძვრის შედეგთა გადმოცემისას, აღნიშნავს, რომ „მცხე-
თის საყდარიცა დაიქცა“¹, მაგრამ ცალკე „სვეტისათვის“ არაფერს ამბობს. ცნო-
ბილია აგრეთვე, რომ ლანგუთენურმა „გელჰუო დარღვევად და მოკრებად სვე-
ტისა ცხოველისა შინაგან“². უხდა ვითქროთ, რომ, როგორც პირველ, ისე
მეორე შემთხვევაშიც „სვეტი“ ვერ გადარჩებოდა დაუზიანებლად. მართლაც,
„სვეტის“ განახლება აღექსანდრე I-ის 1431 წლის ცნობილ სიგელშია აღნიშ-
ნული: „აღეაშენე და განსრულდა... ყოვლადვე უნაკლულოდ თავი ცათა მო-
ბაძავე საყდარი „[და მას შიგან აღმართებული სვეტი ცხოველიო]“³; წინა ორი
ცნობა გვაფიქრებინებს, რომ აქ დამკვიდრებული ფორმულის მექანიკური გან-
მეორება კი არა გვაქვს („...საყდარი და მას შიგან აღმართებული სვეტი“ და
სხვ.), არამედ, რომ „სვეტი“ მართლაც შესაკეთებელი იყო მთელ ტაძართან
ერთად. ამავე საბუთის ბოლოს ჩვენთვის საყურადღებოა შემდეგი მინაწერი:
„ოქუენ, კზო თეოდორე, ამას შემოგვიპირდი, რომე ოკდომბერს: კა: ამირეჯი-
ბის მიცვალებისა დღესა ყთა წთა... ამირეჯიბისთჳს... სუეტსა წინაშე
კარგაღებული აღაპი გარდაიჭდებოდეს...“⁴

„ლთივე აღმართებული სვეტი ცხოველი“ აღექსანდრესდროინდელ ბეგრ
სხვა საბუთშიც იხსენიება „კათოლიკე მცხეთისა საყდართან“ ერთად: მათი
ხსენება, ფაქტიურად, განუყოფელია⁵. ერთი საუკუნით უფრო გვიან, 1552
წელს, ჩვენ უკვე ლუარსაბ მეფისეულ სიგელიდან ვგებულობთ, რომ მეფე სვეტი-
ცხოველს სწირავს და ათარხნებს სოფ. ახოტს და თანაც აწესებს: „წელიწად-
შია ხუთს ლიტრას ზეთსა და სამს ლიტრას სანთელს ჩვენად მოსახსენებლად
სვეტის ცხოველის წინა დახარჯევდნო“⁶. მე-16 ს-ისა და მე-17 ს-ის
დასაწყისის სხვა საბუთებშიც, რომლებიც მცხეთის ტაძარს შეეხება, „სვეტიც“
თითქმის ყველგან გვხვდება, თუმცა ახალი და არსებითი მის შესახებ არსად
არაფერია.

საყურადღებოა ის, რომ ამ ხანებში სვეტიცხოველი და „კვართი სამეუფო“
მოსკოველ ხელისუფალთა დიდ ინტერესს იწვევს: რუსები თეიმურაზის ელჩს—
მიტროპოლიტ ნიკიფორესაც აამბობინებენ კვართის ამბავს (1637 წელს) და
მისგან გებულობენ, რომ ის ადგილი, სადაც კვართი ინახება, კედლითაა გარ-

¹ მარია მისეული ქცა, 724

² ქცის პირველი გარკველება: მარია მისეული ქცა, 862.

³ ყო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, II, 237.

⁴ იქვე, 238.

⁵ ჯერ კიდევ აღექსანდრემდე: 1405 წ. ხიმშია ამირახორის სიგელი: ს. კაკაბაძე, ისტ. საბ., III, 1913, გვ. 3; 1408 წ.: მცხეთის სიგელი № 339, იქვე, გვ. 6; შემდეგ: 1419: აღექსანდრეს სიგელი, იქვე გვ. 11; 1433 წ.: თაყა ხეიდგინიძის სიგელი, ისტ. საბ., II, 1913, გვ. 4,5; 1449 წ.: გიორგი აღექსანდრეს ძის სიგელი: ისტ. საბ., III, 30; 1459 წლისა და სხვ. სიგელები: ისტ. საბ., II, 42 და სხვ.

⁶ ისტორიული საბუთები, III, 63

შემორტყმული;¹ თავის ელჩებსაც მუდამ აბარებენ ხოლმე—დაათვალიერეთ „Шкета, где находится риза господня“², ან გიგეთ „церковь цариди-мая Схето, где лежит риза господня, по прежнему-ль стоит и служба в ней совершается-ли“³.

მე-17 ს-ის უკანასკნელი მეოთხედის დასაწყისი ახალ ეტაპს შეიძენს „სვეტის“ ისტორიაში: კათალიკოსმა ნიკოლოზმა (ამილახორმა), რომელმაც ტაძარს საფუძვლიანი რემონტი გაუკეთა, „სვეტისადმი“ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა. 1686 წლით დათარიღებულ სიგელში, რომელშიაც მოთხრობილია ტაძრის შეკეთება-გამშენებისათვის მისი ზრუნვის ამბავი, შემდეგეცაა ნათქვამი: „სვეტზე სადაფქარის ჩარდახი გავაკეთეთ და მის გარშემო ხომლითა და კანდლითა შევამკვეით. ძირს მავთულისა ფანჯარა შემოვავლე და სვეტი გარშემო მოვფინეთ“⁴, ხოლო 1688 წლის გუჯარი უმატებს—„სვეტი დაეხატენეთ“⁵. შენობის შეკეთება ნიკოლოზს მას შემდეგ დაუწყია, რაც მას კათალიკოსობა „მოეზოდა“, ე. ი. 1678 წელს, ასე რომ „სვეტის“ შემკობა-მოხატეაღ 1678—88 წლებს შუა ექცევა.

საბედნიეროდ, „სვეტის“ მოხატვას ფაქტი მისსავე კედელზე მოთავსებული, აღებავით შესრულებული, წარსურათ დასტურდება. ორსტრაქონიანი წაოწერა, რომელშიაც მხატვრის ვინაობაცაა მითითებული, დასავლეთის მხარეს იწყება—მარჯვენა ბოძზე, გადადის S მხარეს, გრძელდება სამხრეთის მარჯვენა ბოძზე და მთავრდება იმავე ბოძის აღმოსავლეთის ფასზე. მისი უდიდესი ნაწილი კარგადაა დაცული:

1. ჟ: ოღ: შუნიხა: ზუზუყსმქს: ჳსტაჩუყუღა: ჳღუხს: ჩუღღაღ||ხსუნიღა: [ზუჩქუ]: გუ: ჳუ: ||ჯუხუხა: ჳღაქუქუ: ჳღუჯუხა:
2. შუხუხა: ჳსუღღ: უს: ||ჳაღღუნიღა: ჳიჳსქუღღღ: [[ჳღ: შუნიღღ||: ჳსტაღღ: ძუნიღა: ჳღღღღ: ჳღუხს: ჳღუხს:

„უფალო, შენისა დიდებისათვის, ბრძანებითა კათალიკოზის ნიკოლოზისათა, დაეხატე მე, ფრიაღ ცოდვილმა მოქალაქემ გულჯაგარასშვილმა გრიგოლ, სვეტი ესე. რაოდენთა აღმხსრიკოთ... და შენდობა ბრძანოთ, თქვენცა მოგეტენეს ცოდვანი“.

¹ Броссе, Переписка грузинских царей с российскими государями, СПб., 1861; შესავალი, შედგენილი ფრ. პლონენის მიერ, გვ. XXX.

² იქვე, გვ. XXIX.

³ სტოლნიკი ტროიჩანოვისა და დიაკი იველვეის ელჩობა იმერეთში 1650—1652. მ. პოლივექტოვის გამოცემა, თბ., 1926. გვ. 23.

⁴ ქრონიკები, II, 505.

⁵ იქვე, 506.

⁶ ქვეუბი, II, 493: „კათალიკოზად ვიკურობენით ქკას: ტღუ:“; შეად. ანჩისხატის გულანის წინასიტყვაობა (საქ. მფხ. ზელთნაწ. განყ. A 30); ქრონიკონი ტნით აღნიშნულია, როგორც ნიკოლოზის კათალიკოზობის მესამე ინდიკტიონი.

წარწერის ქართული ტექსტი (მხედრულად გაშიფრული) სამჯერაა გამოქვეყნებული: პირველად ბოუენს, მეორედ ჟოზეფინა და მესამედ ნატროუკის მიერ. ამჯერად ჟოზეფინას დადომანწერის ბევრად მეტ შეცდომას შეიცავს, ვიდრე ბოუენსი¹.

ბ რ.: დიდებისათვის; კათალიკოზისა ნიკოლოზისათა; ცოდვილ-მან; გულჯავარაშულ-მან; აღმოიზნარიკოთ; გამოტოვებულია „და“; ბძანეთ; „თქვენცა“-ს წინ ზედმეტია „და“.

ქ ო რ დ.: დიდებისათვის. ნიკოლოზ კათალიკოზისათა; ცოდვილმან გულჯავარაშვილმან; გამოტოვებულია: „რაოდენთა აღმზარაკოთ... და“; ვინც შენდობა...; მოგიტყვევს;

ნ ა ტ რ.: კათალიკოზისათა; ცოდვილმა გულჯავარაშვილმან (Sic!); გამოტოვებულია: „რაოდენთა აღმზარაკოთ... და“; ვინც შენდობა...;

ტექსტში C-ს ნაცვლად ყველგან D იხმარება. მხატვრის გვარის ამოკითხვა გულჯავარაშვილად, როგორც ბროსე ვითხოვობს, მართლაც გამართლებული ჩანს. ასეთი გვარი ეპოქის სხვა დოკუმენტებშიაც გვხვდება².

წარწერის მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, ზრდის ის, რომ იგი თვით ძველზეა მოთავსებული: ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ამ დროს მაინც, მე-17 ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, „სვეტი“ ამ ადგილსა და ამ სახით იღვა. საქმე ის არის, რომ სვეტის³ ახლანდელი მდებარეობა არ შეიძლება თავდაპირველი იყოს: შენობის გეგმისა და კონსტრუქციების დაკვრება უეჭველს ხდის, რომ იმ ადგილს, სადაც ამჟამად „სვეტი“ დგას, წინათ ბურჯი იღვა. ამ ბურჯის მოსპობა და წინანდელი ორი თალის ნაცვლად აწინდელი ერთი მაღალი თალის გაკეთება, აქ, ისევე, როგორც ტაძრის W მკლავის მოპირდაპირე მხარესაც—ალექსანდრე I-ის კაპიტალურ რემონტს უნდა მივაწეროთ. მამასადამე, ახლანდელი „სვეტიც“ არ შეიძლება ამ ხანაზე, მე-15 ს-ის პირველ ნახევარზე, ადრინდელი იყოს. მეორე terminus-ის დასადგენად, ისევე, როგორც „სვეტის“ წინანდელი მდებარეობის გასარკვევადაც, ჩვენ რაიმე უტყუარი საბუთი არ გავვაჩნია. მიშეცკისა და კლუჩაროვის ანგარიშებში შემონახულია შემდეგი ცნობა: ქართლიდან თეიმურაზთან იერუსალიმელი მიტროპოლიტი ზაქარია ჩავიდა „и у посла князь Еуфима был почасту“. ეს Еуфим მიშეცკი ქართლისა და მცხეთის ამბავს ეკითხება მას. ზაქარია უპასუხებს და სხვათაშორის ამბობს:

«А ризу де господню сказывают, что в олtare, под престо-
лом каменным, только про нее не ведомо никому»³.

ეს ცნობა რომ მართალი იყოს, მაშინ გამოვიდოდა, რომ მე-17 ს-ის პირველ ნახევარში „სვეტი“ ტაძრის საკუთხეველში უნდა მდებარეობდა. მაგრამ არც ზაქარიას სიტყვების ტონი ჩანს მაინცდამაინც დამაჯერებელი და ტერმინების რეალური შინაარსის უტყუარად გარკვევაც ძნელია. და ამიტომ, ამ საკითხს—ახლანდელი „სვეტის“ ზუსტი თარიღისა და „სვეტის“ წინანდელი მდებარეობის შესახებ—ჩვენ უპასუხოდ ვტოვებთ.

კათალიკოზის ნიკოლოზის მიერ „სვეტიცხოველის“ მორთვა-მოხატვა უკანასკნელი მნიშვნელოვანი მოვლენაა მის ისტორიაში. მას შემდეგ იგი კიდევ შეუქცობიათ, მაგ. ვახუშტის თანახმად, „უდ მეფემან ვახტანგ შეამკო

¹ Bro sset, Voyage archéologique, II, გვ 35; ჟოზეფინა, ქცეობა, II, 504; ნატროუკი, Мухет и его соборъ Святи-Илиовели, тб., 1900, გვ. 219, 105 და 262.

² დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფ., 1940, გვ. 212: მოხსენებულია მღვდელი გიორგი გულჯავარაშვილი.

³ თავ. მიშეცკის და დიაკი კლუჩაროვის ელჩობა კახეთში 1648—1644 წ., პოლიევქტოვის რედაქციით, 1928, გვ. 159.

კარი სამირონესი ოქროთა, მინითა და ვერცხლითა, და ჰყო მოფენილ-მოდანსული დაგულ ზეზით კერილითა“. ამასვე ადასტურებს იესე ტლაშაძეც, რომელიც დომენტი კათალიკოსს ათქმევინებს: [სპარსეთიდან] „მშვიდობით მოველ, დამიხუდა სამცხეთო გარიგებული, სიმირონეა მურასა, ოქროსა კარი შებმული, სვეტია კარგათ შემკული, გარემოფარდებული (sic!), და ჩემს ძმას ვახტანგსა შეემყო, ღმერთმან აღიდოს ქებულოი“.¹ მაგრამ არსებითად მაინც ალარაფერი შეცვლილა.

მე-19 ს-ის მანძილზე იგი ძველებურად რჩებოდა მორწმუნეთა განსაკუთრებული მოკრძალებისა და მოწინების საგნად. ალბათ მე-19 ს-შივე შემოავლეს მას ხის რიკულებიანი მოაჯირი და საგანგებო ფანჩატურიც გაუქმეს. იმავე საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს, უმკველად, „სვეტის“ ჩრდილოეთის კედელზე ახალი, ფრიად მდარე და უგემური, კომპოზიციის შესრულებაც. იმ მოგზაურთა და მეცნიერთაგან, ვისაც სვეტი-ცხოველის ტაძრის შესახებ დაუწერია რამე, უმრავლესობა „სვეტსაც“ ახსენებს, მაგრამ ნატროშვილს გარდა, იგი დაწვრილებით არავის არ აუწერია“. ნატროშვილის სქელტანიან, მაგრამ ქაოსურად დაწერილ წიგნში—„სვეტის“, მისი წარწერისა და მხატვრობის შესახებ რამდენიმეჯერაა ლაპარაკი, მაგრამ არც თვით ნაგებობისა და არც მისი მხატვრობის აღწერა არ არის დამაკმაყოფილებელი. ასე რომ, „სვეტი“, რომელიც ჩვენთვის უმთავრესად თავისი ფრესკებითაა საინტერესო, დღემდე ვერ ჩაითვლება სათანადოდ შესწავლილად.

II


ამჟამად „სვეტი-ცხოველი“, ანუ „სამირონე“ მდებარეობს გუმბათქვეშა კვადრატის დასავლეთით, იმ დიდი თაღის ქვეშ, რომელიც სამხრეთიდან ფარგლავს ტაძრის დასავლეთის მკლავს და SW გუმბათქვეშა ბურჯს ებჯინება. „სვეტი“ ოთხკუთხა ნაგებობას წარმოადგენს (გვემა—დაახლ. 202×211 სმ.): პროფილირებული კვარცხლბეკი მცირე სიმაღლისა, ძირითადი კუბური მასივი და მასზე დაბჯენილი ოთხბოძიანი ფანჩატური—სფერული, უწყლო გუმბათითა და აგურის პირამიდული საბურავით (სიმაღლე „პირამიდის“ ძირამდე დაახლ. 5 მ). ეს პირამიდი გუმბათიანი ეკლესიის მოდელითაა დაგვირგვინებული. კუბის წიბოები გამოყოფილია მომრგვალებულ კუთხისსვეტებად. „სვეტი“ უხეშადაა ნაშენი: კუთხეები, კედლები ზედპირი ირეგულარულია, ფანჩატურის ბოძები არათანაბარი სისქისა. ჩრდილოეთის მხრივ იატაკთან ვაკეთებულა მოზრდილი ხვრელი—ჩასასვლელი, რომელიც საგანგებო კარით იხურება.

მხატვარს მოსახატი ჰქონდა ოთხი სრულებით ერთნაირი ფასადი: დაახლოებით კვადრატული კედელი და ზემოთ—თალით შეერთებული ორი ბოძი. მოსახატი იყო მეორე „სართულის“ „ინტერიერიც“: თაღებისა და ბოძების შიგაპირები და გუმბათის ნახევარსფერო პანდანტივებიანად.

¹ აღწერა სამეფოსა საქართველოსა 1941, გვ. 61.

² კათალიკოს-ბაქარიანი, ეკვთ. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1907, გვ. 48.

³ П. И. Иоселиани, Мхетский храм в Грузии: ЖМНП, 1842, ч. XXXVI, отл. II; Brosset, Voyage..., II, გვ. 35; Dubois, Voyage..., 1840, გვ. 235 და სხვ. На трою, Мхет и его собор..., გვ. 102—107.



თემიტიკის მხრივ, „სვეტის“ მოხატულობა ორ ადგილად გასარჩევად იყოფა: ერთი მხრივ—საღმრთო წერილის ტრადიციული სიუჟეტები და წმინდანთა ფიგურები, მეორე მხრივ—თვით „სვეტი-ცხოველსა“ და ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული სცენები. მე მგონია უძველესი უნდა იყოს, რომ ნიკოლოზ კათალიკოსსაც, რომლის როლიც სიუჟეტთა შერჩევაში ალბათ გადამწყვეტი იყო, მხატვარს გულჯავარასშვილსაც და ტაძარში მისულ მლოცველებსაც ეს უკანასკნელი სცენები უფრო აინტერესებდათ: მათი შინაარსი უფრო კონკრეტული და გასაგები, თანაც ყველასათვის უფრო ახლობელი იყო.

მხატვარმა საესეებით კანონზომიერად გაანაწილა თავისი კომპოზიციები: საღმრთო წერილსა და წმინდანებს მან მთლიანად მეორე „სართული“ მიუჩინა, ხოლო ისტორიული სურათები, ე. ი. ის, რაც სრულიად ორიგინალური იყო და, რასაც, როგორც ვთქვით, განსაკუთრებული ინტერესი უნდა აღუძრა, ქვემოთ, კუბის კედლებზე—მოათავსა. სახარების სიუჟეტები მხოლოდ დასავლეთის მხრივ ჩამოსვლა ქვემოთაც: აქ მათ ორი სცენა აქვთ დათმობილი¹.

„სვეტის“ არქიტექტურასთან შეფარდებით, მხატვარს ყველა თასადი ერთნაირად აქვს დანაწევრებული (სურ. 1): ქვემოთ, ყრუ კედლებზე—ოთხ-ოთხი თანაბარი კომპოზიცია ორ იარუსად: აღმოსავლეთით, ზემო იარუსში, მარცხნიდან მარჯვნივ: მეფე სვეტიცხოველის ტაძრის წინაშე, მეფე და სამღვდლოება; ქვემოთ: წმ. ნინო არმაზის მთასთან, წმ. ნინოს სასწაულთმოქმედება; სამხრეთით, ზემოთ: ნანა დედოფალი ამალით, მირიან მეფე ამალით; ქვემოთ: მირიანისა და ნანას ლოცვა „სვეტის“ წინაშე და სნეულის განკურნება; დასავლეთით, ზემოთ: ჯოჯოხეთის წარტყვევნა და ჯვარცმა, ქვემოთ:—„სვეტის“ ამალღება და ძლიერ დაზიანებული სცენა მთის ფონზე, ისევე წმ. ნინოს მონაწილეობით.

მეორე „სართული“² ბოძებზე სიუჟეტური კომპოზიციები, ცხადია, ვერ დაეტეოდა და მხატვარმაც აქ ცალკეულ წმინდანთა ფიგურები მოათავსა, მაგრამ ბოძების ზემოთ კი, იმ არეებში, რომლებიც თაღების ორსავე მხარეს ჩნდება და ზევიდან ჰორიზონტალური კარნიზითაა შემოფარგლული, კვლავ მრავალფიგურიანი სცენებია: ყველა ეს სცენა ქრისტეს ცხოვრებიდანაა ამოღებული³.

¹ ჩრდილოეთის კედლებზე (ქვემოთ), როგორც ითქვა, შემდეგდროინდელი (ალბათ, მე-19 ს-ის), მეტად უხეში და იაფუასიანი მხატვრობაა, იგი დიდად ენებს საერთო შთაბეჭდილებას.

² აღმოსავლეთით: თაღის მარცხნივ—ამალღება (Cაჩიუყა ქუსი), მარჯვნივ—სული წმიდის მოფენა (სს ჩს შ[...]); მარცხენა ბოძებზე—მარაგანდიანი წმინდანი, რომელსაც სრულიად გარკვევით აწერია ღი.იხჩხი, მარჯვენაზე—სამი წვრილი ფიგურა ერთი მეორის ქვეშ: უცხიქანი (ზემოთ), ჩა ლ (წმ. გიორგი), ჩა უჩიქი (წმ. დიმიტრი); სამხრეთით, თაღების სიმაღლეზე: სსჩაქიქი უჭიქი (სამართლი დედა-კაცი), შქიქი: ჭაქა: (შობითგან ბრმა); ბოძებზე—მარცხნივ შ-ჩიქი: (მარინე), მარჯვნივ—უწარწერო წმინდანი. დასავლეთით: თაღის მარცხნივ ისევ სასწაულის სცენა: განრღვეულის განკურნება (ღჩაქიქი), მარჯვნივ—ქრისტე ორი მოციქულითურთ და შემდეგი წარწერით: ში: უჩა: შიქი: ცქიქიქიქი: ქი:ჩქიქი: უჩაქიქი; მარცხენა ბოძებზე: წმ.თეოდორე და წმ. ეესტათი, ისევ ერთი მეორის ქვეშ (ძი, უსქიქი); მარ-

მეორე სართულის ინტერიერში გუმბათის სფერო—ყოფლისმპყრობელ ქრისტეს გამოსახულებას აქვს დათმობილი, პანდინტივები—ექსფრთიან სფერო ბინებს, დანარჩენი არეები კი (თაღებს ზემოთ და კუთხეები თაღებს შუა)—ორნამენტულ მოტივებს. ბოძების ზედაპირი აქ, ისევე, როგორც გარეთაც—ცალკეულ პერსონაჟებს უჭირავთ: აქაც და თაღებზედაც მხატვარს წინასწარმეტყველები გამოუსახავს (წარწერიანი გრაფილებით ხელში), ბოძის ყოველ მხარეს თითო, თაღებზე კი—ორ-ორი, პირისპირ (მათი თავები თაღის ცენტრში უახლოვდება ერთმანეთს). მხოლოდ NW ბოძის O მხარე და NO ბოძის W მხარეა უფიგუროდ დატოვებული და მათ ნაცვლად სამ-სამი ოქროსფერი დისკოა ერთიმეორის ქვეშ, საერთო ლურჯ ფონზე.

ამგვარია მხატვრობის სიუჟეტური შემადგენლობა.

ჩვენ მიზანს არ შეადგენს მთელი ამ მოხატულობის დაწვრილებით განხილვა. ჩვენი საგანი—ქართლის მოქცევასა და თვით სვეტიცხოველთან დაკავშირებულ ციკლია და ამ ციკლის შედარება სათანადო ტექსტებთან. ამგვარ გამოყოფას სრულებით არ უშლის ხელს მხატვრობის შინაარსობლივი მხარე, რადგანაც აღნიშნული სიუჟეტები ორგანულად არაა დაკავშირებული სახარების სცენებთან; მას არ უშლის ხელს არც საერთო განლაგება, რადგანაც, როგორც დავინახეთ, სვეტის ლეგენდის სცენებს საეკვეთი ადგილი აქვთ მიჩენილი; დასასრულ, ქვემო იარუსის მხატვრობა, თავისი შესრულების ხასიათითა და ღირსებითაც, მკვეთრად განირჩევა ზემო იარუსის მხატვრობისაგან.

ამთავითვე შეგვიძლია აღვნიშნოთ—ხოლო შემდეგ, ზხადავა, ეს ნაჩვენები იქნება—რომ „სვეტიცხოველის“ მოხატულობის ანალიზი რამდენსამე განსხვავებულ მანერას, ე. ი. რამდენსამე მხატვრის ხელს ამჟღავნებს. ზემო სართულში ადვილად გაირჩევა ორი ოსტატი: ერთი მათგანის შესრულებულია გარეთა მხატვრობა ოთხსაე მხარეს, ხოლო მეორის მოხატულია მთლიანად „ინტერიერი“. ისინი ღიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით არც ერთი მათგანის ნამუშევარი არაა საინტერესო.

პირველი, რაც მაყურებელს თვალში ხვდება მეორე სართულის გარეთა მოხატულობის განხილვისას—ღარიბი, მოსაწყენი კოლორიტი: სჭარბობს მუქი ლურჯი, არც მანინდამანინც წმინდა ტონისა, რომელიც კომპონიციებშიცის ფონდაა გამოყენებული; ოქრო და ყავისფერის სხედასხვა ნიუანსები, ძალიან ღია, სხვა ტონებში შერეულიდან დაწყებული—მუქ, მოწითანი ტონამდე (მთები, ზოგიერთი კოსტუმი); დასასრულ, ოქრო—შარავანდებისა, გვირგინებისა, ანგელოზთა ფრთებისა, სამოსელის ცალკეულ ნაწილებისა და სხვ. არის, რა თქმა უნდა, სხვა ფერებიც, მაგრამ მათი „ხმა“ იკარგება და მთლიანად, კოლორიტს სქემატურობისა და შაბლონის ბეჭედი აზის: მხატვარი არა-

ჯვენაზე კი—წმ. ირინე (სქ.წ.წ. წარწერა ძლივს-და აჩნია). დასასრულ, ჩრდილოეთის ფასადზე, სადაც გულჯაგარასშვილისეული მხატვრობა მხოლოდ ზემო „სართულში“ გადარჩენილა, თაღის მარცხნივ ქრისტეა წარმოდგენილი მოციქულთა ორ ჯგუფს შუა, მარჯვნივ—დედანი ქრისტეს საფლავთან, ხოლო ბოძებზე, ნაცვლად მთლიანი ფიგურებისა, სამ-სამი ოვალური შედაღოვანია (ერთი მეორის ქვეშ), რომლებშიაც წინასწარმეტყველთა ბიუსტებია ჩასმული.

ფერს არ ეძებს, თვითონ არაფერს არ, ან ვერ, ახამებს: იგი ათასჯერ ვამბობდი, აპრობირებულ ფერებს მიმართავს.

ამგვარი ხელოსნობის ნიშანს ატარებს ეს მხატვრობა სხვა მხრივაც: მართალია, ერთგვარი მოძრაობა და ექსპრესია ზემოთა რეგისტრის სცენებშიაც არის, მაგრამ თვით შესრულება მაინც ვერ დგას ნამდვილი პროფესიონალიზმის დონეზე. „ინტერიერის“ მხატვრობას აქ არც შევხებით: იგი ძალიან გვიანდელი ჩანს და თავისი თვისებებით ძლიერ დაშორებულია „სვეტის“ სხვა ფრესკებს.


ქვემო სართულში თვალსაჩინოდ გამოირჩევა სამხრეთის კედლის ავტორი. აღმოსავლეთის მხარეს—ზემოთა მარცხენა და ორი ქვემოთა სცენა ჩვენ უქველად ერთი მხატვრის შესრულებულად მიგვაჩნია. ზემო მარჯვენა და დასავლეთის კედლის სცენები კი კვლავ რამდენადმე განსხვავებულ მანერას ამჟღავნებს.

მიუხედავად ოსტატთა ამ სიმრავლისა, ცხადია, რომ მათ ჰყავდათ ერთი ხელმძღვანელი: საერთო გეგმის არსებობა—სიუჟეტურ ჯგუფების მოფიქრებული განლაგება, კომპოზიციების ურთიერთდაკავშირება—ამისი უქველი დამამტკიცებელია. როგორც ჩანს, სწორედ ეს როლი—საერთო ხელმძღვანელისა და ალბათ, ერთერთი შემსრულებლისა, უნდა მივაკუთვნოთ გრიგოლ გულჯაყარას-შვილს, რომლის სახელიც შემოუნახავს ჩვენთვის ზემომოტანილ წარწერას.

რა თქმა უნდა, მხატვრობის გაცნობის დაწყებისთანავე, საერთო გეგმის გარკვევისას, მაყურებელს ასეთი საკითხი აღეძვრის: ხელმძღვანელობდა კი მხატვარი რაიმე წინასწარ მოფიქრებული გეგმით კომპოზიციების განლაგების დროს? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შინაარსობლივად განსხვავებული ორი ჯგუფი მას „მდებარეობითაც“ განცალკევებული აქვს. ამგვარი განლაგება არ არის შემთხვევითი და საეგზიტ ნებისმიერი: ისტორიული პირების, ან ლოკალურ წმინდათა ციკლის მოთავსება საუფლო დღესასწაულთა და, საერთოდ, დაკანონებულ საღმრთო ციკლთა ქვემოთ, ჩვეულებრივი და ტრადიციულია. ქვემო სართულში, სადაც მხატვარს არაერთი კანონი არ ზღუდავდა, სიუჟეტთა გეგმიანი განლაგება ერთი შეხედვით თითქოს არ უნდა ჩანდეს: რა მიმართულებითაც არ უნდა გავსდიოთ სცენებს, მათში ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას მაინც ვერ აღმოვაჩენთ.

მაგრამ სიუჟეტთა ამგვარი თავისუფალი, „შემთხვევითი“ განლაგების მიუხედავად, ადვილი შესამჩნევია, რომ ოსტატისთვის არ ყოფილა განურჩეველი ცალკეულ სცენათა კომპოზიციური ურთიერთობის საკითხი: სანამ ხატვას შეუდგებოდა, სანამ ყოველ ცალკეულ კომპოზიციას მოფიქრებდა, მას აშკარად უცდია გაეთვალისწინებინა მთელი მოსახატავი კედლის მთლიანი კომპოზიცია, და თუმცა მიზანი ყველგან ვერ არის მიღწეული, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ ერთი სცენის შესრულებისას, მხატვარს მეზობელი სცენებიც ახსოვდა.

¹ პროფ. შ. ამირანაშვილმა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სესიანზე 1946 წლის იანვარში, ამ მოხსენების შემდეგ გამართულ მსჯელობაში, ეს მხატვრობა მე-19 ს-ეს მიაკუთვნა.



ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებო აღმოსავლეთის კედლის მხატვრობა (სურ. 1—5): ფიგურათა რაოდენობითა და მოქმედების ხასიათით დიდად განსხვავებული ოთხი სცენა იმგვარადაა შემუშავებული, რომ მათ შორის გარკვეული ურთიერთობის დამყარება ხერხდება: ორი მარცხენა კომპოზიციის (სურ. 3 და 5: მეფე ტაძრის წინ, წმ. ნინო არმაზის მთასთან) აგების ზოგადი პრინციპი საერთოა: ფიგურები, რომელთაც სურათის მარცხენა კუთხე უჭირავთ (ზემოთ—მეფე და კიდევ ერთი კაცი, ქვემოთ—მხოლოდ წმ. ნინო), უპირისპირდებიან ერთ შემთხვევაში ტაძრის, მეორეში კი—მთის მასივს, რომელთაც სცენის უდიდესი ნაწილი აქვთ დათმობილი. წმ. ნინო, თავისი პოზითაც მსგავსი ზემოთა მეფისა, უშუალოდ მის ქვეშაა მოთავსებული, ეს ორი ფიგურა ერთმანეთს აგრძელებს, საერთო ღერძს ჰქმნის. მეორე მხრივ, ტაძრის წინაშე მდგომი მეფის სცენას მის მარჯვნივ მოქცეულ კომპოზიციასთან (მეფე და სამღვდელთა) დამაკავშირებელი ელემენტი მოეძებნება—მარცხენა ჯგუფი, რომელიც ორსვე შემთხვევაში ორ-ორი, ერთი მეორის უკან დაყენებული მამაკაცის ფიგურისაგან შედგება: პირველი მათგანი ორივეგან მეფეა, ორივე ქაღალაწვეროსანი, ორივე ხელგაწვდილი; ერთნაირია მათი სამოსელის ტონი, ერთნაირია ჯგუფების მდებარეობაც. ორ მარჯვენა გამოსახულებაში კომპოზიციური ღერძები და მასების განლაგება კვლავ ემთხვევა ერთმანეთს (სურ. 3 და 5): ორი დაპირისპირებული ჯგუფი; ზემოთა მეფე—ქვემოთა მარცხენა ჯგუფის გვირგვინოსანი ქალი; ზემოთა ცენტრალური სასულიერო პირი—ქვემოთა სურათის წმ. ნინო და სხვ. უთუოდ მარჯვედ და ტაქტითაა მოფიქრებული კედლის ძირითადი ფერადოვანი „ლაქების“ განლაგებაც, სამოსელის წითელი ტონების დაპირისპირება სხვა ტონებთან: ამ წითელი აქცენტების სათანადო მდებარეობა გარკვეული ფერადოვანი რიტმის შთაბეჭდილებას ჰქმნის.

მხატვარი ცდილობს მეორე სართულშიაც შეინარჩუნოს ერთგვარი წონასწორობა. მის ამოცანას რამდენადმე ართულებდა ორი ზემოთა ბოძის არათანაბარი სისქე, (რაც მხოლოდ მშენებლის დაუდევრობას შეიძლება მიეწეროს) და წარწერის ბოლო მარცხენა ბოძის ქვემო ნაწილში, რომელიც საგრძნობლად ამოკლებს მოსახატავ არეს. ამიტომაც, რომ მარცხენა, უფრო განიერ, ბოძზე ერთი დიდი ფიგურაა მოთავსებული, მარჯვენაზე კი, სადაც მოსახატი არე მეტად ვიწრო და მაღალია—სამი წვრილი პერსონაჟი ერთი მეორის თავზე. მაგრამ ჩარჩო ამ სამ ფიგურას საერთო აქვს, რაც ამ ორი ფრთის გათანაბრებას უწყობს ხელს. დასასრულ, თალის მარცხნივ და მარჯვნივ მოსათავსებლადაც ისეთი სიუჟეტებია შერჩეული, რომლებიც ერთმანეთს ენათესავენ და აწონასწორებენ კიდევ: „ამაღლება“ და „სულიწმიდის მოფენაც“ მრავალფიგურიანი სცენებია, ორსვე შემთხვევაში კომპოზიცია ორ იარუსად იყოფა: ქვემოთ—შეჯგუფული მოციქულები (და „ამაღლებაში“ ღვთისმშობელიც), ზემოთ—ერთ შემთხვევაში—მანდორლაში ჩასმული ქრისტე, რომელსაც ანგელოზები „აღამაღლებენ“, მეორეში—პირობითი გამოსახულება სული წმიდისა; ანალოგიურია ორისავე სცენის მოქმედ პირთა მოძრაობაც: მოციქულები ზემოთკენ არიან მიპყრობილი.



სამხრეთის მხრივ, მხედართა ორი ჯგუფი (სურ. 6 და 7) ისე ატიქმისს ვორც ერთიმეორის გაგრძელება: ამას, გარდა ორისავე კავალკადის ციური მსგავსებისა, ფიგურების ერთნაირი მასშტაბისა და მიმართულებისა, საერთო ჰორიზონტი და, მთლიანად ფონის ერთგვარობაც უწყობს ხელს, ასე რომ, ის კურიოზული ნაგებობა, რომელიც მარცხენა კუთხეში ჩანს, ორისავე სტენის დამამთავრებელი ელემენტის შთაბეჭდილებას სტოვებს. ქვემო რეგისტრის დაზიანების გამო, ძნელია მის შესახებ გადაწყვეტით რისამე თქმა, თურცა გადარჩენილის მიხედვით, ორ მეზობელ სურათს შორის ორგანული რამე კავშირი არ ჩანს. ზემოთ, ბოძებზე, თითო თანაბარი, სიმეტრიულად მოთავსებული, წმინდანია; თაღის მეზობელ კომპოზიციებშიაც ჩანს ურთიერთშეთანადების სურვილი: მთიანი პეიზაჟი საესებით სიმეტრიულია და თანაც, თაღოვან მოხაზულობასთან შეხამებული; მთების ძირითადი ტონების განლაგება—ანალოგიურია (ოქრა და მოწითალო ყაყისფერი) და თვით ჯგუფებიც ბევრი რამაა საერთო.

დასავლეთით, სადაც ქვემო რეგისტრი თითქმის მთლიანად გადარცხილია, პირველი „სართულის“ ოთხივე სტენა ძირითადად სიმეტრიულადაა აგებული და კომპოზიციის დერძებიც—კვლავ ურთიერთშესაბამისია; ბოძებზე, ფიგურათა შესაფარდებლად—აღმოსავლეთის ფასადის ანალოგიური ხერხია გამოყენებული, თაღის მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსებულ სტენებში კი, მხატვარი კონკრეტული ფორმებით განსხვავებულს, მაგრამ ზოგადი მოხაზულობით ისევ საესებით სიმეტრიულ ხურომოძღვრულ ფონს აქმნის.

ყველა კომპოზიცია წვრილი წითელი ზოლითაა გარშემოვლებული, ასეთივე ჩარჩოებია ბოძებზედაც, ფიგურების გარშემო (ამგვარი წესი ჩვეულებრივია იმ დროს). ამას გარდა, „სვეტის“ მომრგვალებული კუთხეები, ბოძების კაპიტელები შიგნითა მხრიდან და კარნიზი, რომელსაც ზემო ნაწილი ამჟამად დაზიანებული და შეღვსილი აქვს, ისევ ორნამენტული მოტივებითაა შემკული. ეს ხერხი—ყოველი კომპოზიციის მკაფიო მოჩარჩოება და ნაგებობის კუთხეების, კაპიტელებისა და დამაგვირგვინებელი ნაწილის გამოყოფა—აადვილებს მხატვრობის საერთო განლაგების, მისი ჩონჩხის კანონზომიერ აღქმას.

სანამ ცალკეულ კომპოზიციათა განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მხატვრობის დაცულობა ყველგან ერთნაირი არ არის: სულ ქვემო იარუსი, რატომღაც, სამსავე (O, S, W) კედელზე დაზიანებულია, ზემო რეგისტრშიაც ბევრი ფიგურაა დაფუჭებული, როგორც ჩანს, მჭრელი იარაღით. შედარებით უკეთაა დაცული II სართული, რომელსაც ადამიანის ხელი ნაკლებ მისწვდებოდა. ქვემო—ჩვეთვის საინტერესო—სართულის კედელთაგან ყველაზე უკეთ აღმოსავლეთისაა შენახული; ჩვენც აქედან დავიწყებთ სტენების განხილვას.

აღმოსავლეთის კედელი: (სურ. 1—5) ზემოთ, მარცხნივ, როგორც სიუჟეტთა ჩამოთვლისას ითქვა, მხატვარს ნაჩვენები აქვს „სვეტიცხოვლის“ ტაძრის გამოსახულება, რომლის წინაც მეფე და მისი თანმხლები ერთი პერსონაჟი დგანან (სურ. 2 და 10). კომპოზიცია ზედმიწევნით მარტივი და უპრეტენზიოა: ფიგურები მარცხენა კუთხეში არიან მოთავსებულნი, მკიდროდ, უინტერ-

ვალოდ, ერთიმეორის უკან. ორივე მარჯვნივაა მიმართული, პირველს — ქაღალდის თმა-წვერიან მოხუც მეფეს — ორივე ხელი ტაძრისკენა აქვს გაწედილი, მეორეს — შაფეწვერულვაშიანსა და ტონზურიან კაცს — მარჯვენაში საცეცხლური უჭირავს, მარცხენაში კი, რომელიც მკერდთანაა მიტანილი — მცირე ოქროსფერი სავუნდრუჟე. ადამიანთა და ტაძრის მასშტაბის ურთიერთშეფარდება საცხებით პირობითია: მეფის გვირგვინის ჯვარი — გუმბათის ყელის კარნიზს უსწორდება. სურათის ფონი (=ცა) მორუხო-შავია¹, ტაძრის კედელი — მომწვანო ოქროსფერი², და ამის გამო, მთელი სურათის კოლორიტიც მძიმე და ყრუა. ამ საერთო გამას ეხამება სახეებისა და ხელების ტონიც: მორუხო ყავისფერი (სახის ჩრდილები ანავე ფერისაა, მხოლოდ კიდევ უფრო მეტი, ფორმის გამოსაყვანად მხატვარი თეთრს შტრიხებს მიმართავს). თმისა და წვერის ფონად სახის ან ჩრდილის ტონია დატოვებული, ცალკეული თმები კი კვლავ შტრიხებითაა გამოყვანილი. ამ საერთო, ცოტა არ იყოს ჩაშვებულ, ფონზე, რომელიც თავდაპირველად მაინც უფრო ხალისიანი უნდა ყოფილიყო, ძალიან ცოცხლად გამოიყოფა ორისავე პერსონაჟის სამოსელის მორთულობა და ნათელი ფერები. მხატვარს აქ დიდი სიმდიდრის შთაბეჭდილების მოხდენა განუზრახავს და თავისი მიზნისათვის მიულწევია კიდევ: მეფის ზედა სამოსელის ინტენსივური წითელი — მისივე არშიებისა და გვირგვინის ოქროს უპირისპირდება, ამ ძირითად ტონს „მოკარგული“ სამკაულები ემატება — მცენარეული ყლორტები, რთული ხეულებების ხლართი, ზოგან მომწვანო ოქროს ფერი, ზოგან შავი, აქა-იქ წითელი წინწყლებიცაა (ოქროზე). მაგრამ მხატვარი ამით არ კმაყოფილდება და ღია სოსანისფერ-მონაცრისფრო ოლარზე რამდენსამე სიუჟეტთან კომპოზიციასაც ქეზრავს. ეს სცენები, მიუხედავად მათი სიმცირისა, ადვილი გასარჩევია: ზემოდან ქვემოთ — ჯოჯოხეთის წარტყევენა, ამაღლება, ჯვარცმბა, იერუსალიმს შესვლა და ლაზარეს აღდგინებაა გამოსახული; არის კიდევ ერთი მედალიონი ქრისტეს ოქროსფერი ბიუსტით, მეორე კაცის გრძელი, მარტივი სამოსელი თეთრია, ოდნავ მოცისფრო-მოიისფრო ელფერით, მთლიანად წითელი ყვავილებით შემკული (ყლორტები — მომწვანო ოქრა). მაგრამ არშიები, რომლებიც სამოსელის ძირსა და სახელოებს მისდევს, და აგრეთვე ფართო საყელოც — აქაც ოქროსია, ძვირფასი თვლებით (წითელი, ყავისფერი) გამდიდრებული.

ფიგურების შესრულება აოცებს ადამიანს თავისი სიფაქიზით: ოსტატი თითქოს მინიატურას ხატავდა: მეფის სახის, განსაკუთრებით კი — თმისა, წარბებისა და წვერ-ულვაშის ნემსივით წერილი ხაზები, სიმკვეთრეს მოკლებული ნაოქები და ნაკეცი ტანსაცმელისა, უკანა კაცის სამოსელის ნაზად, სიყვარულით გამოყვანილი ყვავილები, რა თქმა უნდა, მონუმენტალური ფეჟეტისთვის არაა ნაებარაუდევნი. მეფის ოლარის მიკროსკოპულ კომპოზიციებში (4x6 ან 6,5 სმ) მხატვარი მრავალფეროვან ჯგუფებს ათავსებს და სრულიად ესკიზუ-

¹ პრაქ. შ. ამირანაშვილის ცნობით, ეს შავი ტონი „სარჩულს“ წარმოადგენდა და იგი მხოლოდ ზემო-ლურჯი ფერის გადარეცხვის შედეგად უნდა გამოჩენილიყო.

² საბუთავი ძალიან მეტი — ლურჯ-ნარევი შავი, თეთრათი და შტრიხული, შავია სარკმელთა ხერხელებიც.

რად, სულ რამდენიმე, უფაქიზესი ხაზით ახერხებს მთელი მოძრაობის გადმოცემას. ეს—სწრაფი, კონტურული მონახაზებია, რომლებიც აქა-იქ მიმოფანტული ოქროს ბლიკებითაა გაცოცხლებული. ასეთი მხატვრობის ნამდვილი დეტალი შორიდან არ შეიძლება. თუმცა კომპოზიცია საკმაოდ დაბლაა მოთავსებული (ქვემო ჩარჩო დაახლ. 1,70 მ-ზეა, ზემო—2,80-ზე), იატაკზე მდგომი მახურებელიც კი ვერ არჩევს მისი შესრულების ყველა თავისებურებას, და მხოლოდ როცა სულ ახლო მიხვალთ ამ ფიგურებთან, როცა მათ ისევ დააკვირდებით, როგორც ხელთანწერის ფურცელზე მოთავსებულ სამკაულს, ან სურათს, მაშინ დაინახავთ ყოველსავე იმას, რის თქმაც სურდა ოსტატს: დიდი, ფართოდ მოხაზული პლანების ნაცვლად, აქ—გულმოდგინე, დაწვრილებითი შესრულების სიყვარული ჩანს, განზოგადების ნაცვლად—დეტალიზაცია. მაგრამ ამ თავის მანერას მხატვარი მართლაც ოსტატურადაა დაუფლებული. წმინდა ტექნიკურ დახელოვნებასთან ერთად, მას კარგი გემოვნება და კოლორიტის ვარკვეული გრძნობაც აქვს—ამას მეფისა და მისი მსლებლის სამოსელის დამუშავება მოწმობს. უეჭველად მაღალი კვალიფიკაციის მაჩვენებელია სახეებაც, მოუხედავად მათი უკვე აღნიშნული, „ჩაშავებული“ ტონისა: სახეები ინდივიდუალურია, გამომეტყველება—სერიოზული და ღრმა. ძალიან დამახასიათებელია—განსაკუთრებით ამ კედლის ფრესკებისათვის (და თანაც, საესეებით შესაფერი შესრულების საერთო მანერისა) ფიგურების წვრილი და გრძელი პროპორციები: თავი თითქმის 1/8-ია ტანისა, მაგრამ მხრები იმდენად ვიწროა, რომ ტანი კიდევ უფრო წაგრძელებული ჩანს.

ეს კომპოზიცია ჩვენთვის სხვა მხრივაც, სპეციფიკური თვალსაზრისითაცაა საინტერესო: იგი, როგორც აღინიშნა, „სვეტიცხოვლის“ ტაძრის, ე. ი. საესეებით კონკრეტული, რეალურად არსებული, ნაგებობის გამოსახულებას შეიცავს. იმდროინდელი მხატვრისთვის, რომელსაც პირობითი, მისთვის უცხო, მაგრამ კანონიზებული და სტანდარტადქცეული ხუროთმოძღვრების ხატვაში ჰქონდა ხელი გაწაფული; ადვილი არ იქნებოდა საკუთარი თვლით ნანახი რთული მოცულობის—სიბრტყეზე გადაჩანა, მაგრამ მას მაინც მოუხერხებია ტაძრის ზოგადი სახის სწორი გადმოცემა (თუ, რა თქმა უნდა, პერსპექტივის წესების დარღვევაზე არაფერს ვიტყვით). ძნელი მისახვედრი არაა, რომ აქ სამხრეთის ფასადია გამოსახული: სამხრეთის მკლავის მასივს, ისე, როგორც ეს სინამდვილეშია, გვერდის საფეხურები აქვს, სწორადაა ნაჩვენები დეკორატიული თავების განლაგება, მთავარი სარკმელი, რომლის თავზეც მხატვარს უცდია განშლადი რელიეფური „სხივების“ გამოსახვაც. და თუმცა ქვემოთა სარკმლების დატევა მას ვერ მოუხერხებია, მაგრამ ისეთი დამახასიათებელი დეტალი, როგორც გვიანდელი წარმოშობის ისლამური ნიშაა, გამორჩენილი არ არის. უფრო საყურადღებოა, რა თქმა უნდა, ის, რომ აქვე—დღეს უკვე აღარარსებული სტოა-კარიბჭეცაა წარმოდგენილი, სწორედ იმ ადგილს, სადაც მისი კვალი მართლაც შესამჩნევია. სტოა ჩვეულებრივი, შუასაუკუნეებრივი ფორმისაა: გამოყოფილი შუა ნაწილი ორფერდა საბურავით, გვერდის ნაწილები კი უფრო დაბალი და ცალფერდ გადახურული. საინტერესო დეტალი: სტოას შუა (ღია) თაღის შიგნით—ტაძრის კარი ჩანს (აგრეთვე ღია), მის შიგნით კი—თვით „სვეტი“, ოქროსფრად მოკლვარე ბოძის სახით. სინამდვილეში „სვეტი“

ასე ვერ გამოჩნდება, იგი კარის არეში არ ხედება, მაგრამ ეს პირობითობა, ამ შემთხვევაში, ცხადია, ადვილად გასაგებიცაა და გამართლებულიც. სხვა დეტალთაგან აღსანიშნავია ის, რომ ძალიან გარკვევითაა ნაჩვენები საბურავის ქვის ფილები, რომელთა ფერი (შავი), ისევე, როგორც ტაძრის კედლისაც, რეალური ფერების გადმოცემის პრეტენზიით უნდა იყოს შერჩეული. შემდეგ—მთავარი სარკმლის ხერვლების შეესება პატარა წრეებით: უძველია მხატვარი აქაც რეალურ ფაქტს ასახავს: თიხის ალათები ამგვარი წრიული ნაჩრეტებით მართლაც ცნობილია (მაგ. ეხვეფში—იხ. სურ. MAK, VII, გვ. 13).

განხილული სურათი ტაძრისა მით უფრო საინტერესოა, რომ იგი, თუ არ ჩავთვლით გელათის ტაძრის მოდელს, რომელიც დავით აღმაშენებელს უჭირავს ხელში (გელათის ფრესკა), ერთადერთი გამოსახულებაა რეალური ხუროთმოძღვრული ობიექტისა ჩვენს კედლის მხატვრობაში.¹

დასასრულ, ბუნებრივია, ასეთი საკითხიც: ვინ არის ამ კომპოზიციაში გამოსატული? ნატროშვილის აზრი, თითქოს ეს მეფე—ტაძრის განმაახლებელი ალექსანდრე I იყოს², დაუსაბუთებელი ჩანს: სრულებით აშკარაა, რომ მთელი ციკლი „ქართლის მოქცევის“ დროინდელ ამბებს წარმოგვიდგენს; მხატვარს ამ ამბავთა ძირითადი ეტაპები აქვს შერჩეული: წმ. ნინოს ლოცვა არმაზის მთასთან, რაც ორი სარწმუნოებრივი საწყისის თავდაპირველ შეჯახებას გვიხატავს; წმ. ნინოს სასწაულები, რომელთაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ ახალი რელიგიის გავრცელებისათვის; ნადირობიდან დაბრუნებული, უკვე „მოქცეული“ მირიანი; თვით „სვეტიცხოველი“, ე. ი. ერთი უმთავრეს მომენტთაგანი პირველი ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობისა. ცხადია, ამ ციკლს

¹ საერთოდ, ქართული არქიტექტურული ფორმების გამოსატვა ჩვენს სახეობის ხელოვნებაში ადრევე გვხვდება. პროფ. შ. ამირანაშვილს სამართლიანად აქვს მითითებული საქ. მუხ. ხელნაწ. A 26-ის ორი მინიატურა (ხარება და ბზობა, ფ. 23 v და 382), ჯრუჭის II სახარების მინიატურებში კი, ქართული მოტივები თუ არის კიდევ, მაინც გაუბედავადაა გამოხატული (ფ. 171 r, 186 v, 196 v). შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი ძველი მინიქარიც („მირქვა“, „სულიწმიდის მოუფნა“ „მეტეხის“ კოლექციაში), ფრესკებში კი—მოდლები ქტიტორთა ხელში (მაგ. ეკლესია, რომელიც საფარაში ბექას უჭირავს). მაგრამ ამ გამოსახულებათაგან არც ერთი არ გვიხატავს რთმელსავე კონკრეტულ ძეგლს და თანაც, ზოგიერთ შემთხვევაში (A 26, ხარება: ტაძარი მარიამის უკან), რეალური ფორმები ფორულად ფანტაზტიკურს უთავსდება. პროფ. ამირანაშვილივე აღნიშნავს, რომ ძვ. ქართ. ხელოვნების მუზეუმის ფსალმუნის (ახლა—„მეტეხი“, №—480+3) ერთ-ერთ მინიატურაში დავითი მცხეთის სიონის ფონზეა ნაჩვენები (უბნისი, გვ. 49. მითითებული მინიატურა ხელნაწერის 79 ფურცელზეა). ამ აზრს ჩვენ ვერ გავიზარებთ: მინიატურის უკანა პლანზე გამოახულია გალავნით გარშემორტყმული და სხვადასხვაგვარი შენობებით მჭიდროდ შევსებული ქალაქი, რომლის ცენტრშიაც აღმართულია გუმბათოვანი ეკლესია. გუმბათი შეიძლება ასე თუ ისე ქართულად მივიჩნიოთ, მაგრამ შენობის გვერდის იკლავი მეთოხვდი სფეროთი გადახურულ ნახევარწრიულ აფსიდს წარმოადგენს, ე. ი. სვეტიცხოველისათვის და საერთოდ ქართული ტაძრისათვის უცნო ფორმას შეიცავს. ესეც რომ არ იყოს, სხვაე არაფერი ამტკიცებს, რომ მხატვარს აქ მაინცაღმანიც მცხეთის ტაძრის დახატვა სურდა.

² Мухет и его собор..., გვ. 104.



თავისი საფინანსო სტენაც ესაპირობებოდა და ასეთი დაგვირგვინება კმანსწამ რედ უკვე ავებული ტაძარი იქნებოდა, შედეგი და სიმბოლო წმ. სინოს ქსელა გებათა და ახალი სარწმუნოების გამარჯვებისა. ამიტომ, ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, რომ განხილული კომპოზიციის მეფე, ისევე, როგორც სხვა სტენების მეფეც— მირიანია. ხოლო შენობა, მხატვრის წარმოდგენით— მის მიერ ავებული ტაძარი მცხეთისა. გულჯაგარას შეიღეს, რა თქმა უნდა, ვერ მოვთხოვთ ძველის ისტორიის ყველა საფეხურის ცოდნას და, ამიტომ, არც ისაა საკვირველი, რომ მან მირიანის დროინდელი ეკლესია ისე დახატა, როგორც იგი მის დროს, მე-17 ს-ის მიწურულში, იყო.

მეორე ზემოთა სტენა (სურ. 3) თავისი კომპოზიციით კიდევ უფრო მარტივი და რამდენადმე პრიმიტიულიც კია. იგი ორი, ერთმანეთისკენ მიმართული, ჯგუფისგან შედგება: მარცხნივ მეფეა ამალითურთ, რომელშიაც, ფაქტიურად, მხოლოდ ერთი კაცი ჩანს მთლიანად— უწვევრულავაშო ყმაწვილი წოწოლა ქუდითა და მოკლე, ფართოქამრიანი სამოსელით (მის ქვემოთ, ჩარჩოზე, შავი საღებავით: „აქა: ძე მეფისა: რეე:“); ჩანს კიდევ ერთი ჭალარაწვევროსანი კაცის სახის ნაწილი, სხვებისა კი— მხოლოდ წოწოლა ქულები და წვილი, გრძელი, უძველო ფეხები, რომელთა რაოდენობა არ შეესაბამება თავებისას. ამ ქულებისა და ფეხების სიმრავლით მხატვარი მასის შთაბეჭდილებას ჰქმნის. მეორე ჯგუფში მხოლოდ სასულიერო პირები არიან. მათი წინამძღოლი (გრძელწვერა, ჭალარა) გამოყოფილია თავისი მდებარეობითაც (იგი სურათის თითქმის ცენტრშია) და სამოსელითაც (ფართოფრთიანი ქუდი, ზოლებიანი გრძელი მოსასხამი). ეს მოხუცი ოქროსყდიან წიგნს აწვდის მეფეს. მის მხლებელ ბერებს, რომელნიც უწუალოდ ეკვირან მას, მთელი მარჯვენა კუთხე აქვთ შევსებული. მხატვარს აქაც მასის შთაბეჭდილების შექმნა სურს: პირველი პლანის უკან იგი თავების კონტურებს ამრავლებს, მთელი ჯგუფი კი იმდენადაა შემჭიდროებული, რომ ცალკეული ბერები თითქმის აღარც კი არიან დიფერენცირებული, ისინი ერთ მთლიან ბლოკს ჰქმნიან. მოძრაობის მოტივებით სურათი ღარიბია: ყველა ფიგურის პოზა, ფაქტიურად, ერთნაირია: ნიდაყვში მოხრილი, გაწვდილი ხელები. რევის ჯგუფის ფიგურები რივიანად ვერაა ფეხზე დაყენებული: ისინი თითქოს ფეხის თითებზე დგანან და მიწას არც ეხებიან. საერთო მონოტონურობას აძლიერებს ხუროთმოძღვრული ფონის უქონლობა: მთელი არე თავებს ზემოთ (თავები— ყველა ერთ დონეზეა), რომელსაც საერთო სიმილის მესამედზე მეტი უჭირავს, ცარიელია და იმავე მიმე, მოშავო ფერით დაფარული, რომელიც ამჟამად პირველი კომპოზიციის ფონსაც შეადგენს. მიწა მუქი მწვანეა და მარჯვენა ფრთაც, ბერების შავი და ყავისფერი სამოსელით, საკმაოდ მრუშე შთაბეჭდილებას სტოვებს.

მარცხენა მხარე, მეფის ოქროს არშიებიანი წითელი მოსასხამითა და რევის ღიაფერის ტუნიკით, ისევე, როგორც პირველ სტენაში, ამ მხრივ, განსხვავებულია: იგი რამდენადმე აცოცხლებს მთელ სურათს, თუმცა აქ მირიანისა და მისი ძის სამოსელი ბევრად უფრო მარტივად და ზოგადადაა დამუშავებული, ვიდრე მეზობელი კომპოზიციის პერსონაჟებისა.


შესრულების მანერის მხრივ ორ განხილულ ფრესკას ბევრი რამა აქვს საერთო: ერთნაირია კოლორიტი, მსგავსია პროპორციები, სახის დამუშავების ხერხები, ჩრდილები, დაშრიხვა, ცხვირის, ტუჩებისა და თვალების ნახატი. მაგრამ განსხვავებაც საგრძნობია: უპირველეს ყოვლისა, აქ აღარაა ის დიდი სიტაქსზე, ის სიყვარული წერილი ხაზებისა, დეტალებისა და სამკაულებისა, რომელიც პირველი კომპოზიციის ფიგურებს ახასიათებს: სახის ჩრდილები უფრო მუქია, თუმცა ერთგვარი „გარდამავალი“ ტონებიც კია გამოყენებული, შავი კონტურები უფრო სქელი (ქალარა წვერსაც შავი კონტური აქვს), სახის ნაკეთები უფრო მსხვილი და ხაზგასმული. წვერის ყოველი თმა ცალკე აღარაა გამოხატული: მხატვარი აქ უფრო ზოგადი და უხეში ხაზებით კმაყოფილდება; სამოსელის ნაოპებზე უფრო მკვეთრი და ხისტია. სხვანაირია ძეფეც—თავისი სახითაც, სამოსელითაც. სხვაგვარია მისი ფეხების დამუშავებაც: წინა სურათში მეფის პატარა, შავსამოსლიანი, ფეხები სრული პროფილითაა ნაჩვენები ერთიმეორის უკან, მცირე ინტერვალით მათ შუა; აქ ერთი ფეხი ნაწილობრივ ჰდარავს მეორეს, ფეხსამოსი ოქროსფერია და ფორმითაც სხვა.

ზემოაღნიშნული წარწერა, რომელიც მეფის უკან მდგომი ყმაწვილის ვინაობას მიგვითითებს, უეჭველს ხდის, რომ თვით მეფე—კლავ მირიანია (რევ—მირიანის ძე იყო), ხოლო მარჯვენა ფიგურები, როგორც ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილს აქვს განმარტებული—„ქართველთა მომნათველი სამღვდელთა“¹.

ქვემო რეგისტრში შესრულების დეტალებზე ლაპარაკი ძნელია, რადგანაც საღებავები გადარეცხილია, განსაკუთრებით მარცხნივ. სახეები ზოგან სულ აღარ აჩნია, ზოგან—მხოლოდ კონტურებია გადარჩენილი. მაგრამ პერსონაჟებისა და არქიტექტურის მოხაზულობა ორსავ სურათში ადვილად გაიჩნევა და ადვილად შესამჩნევია ისიც, რომ კომპოზიციური თვალსაზრისით, ეს სცენები უფრო საინტერესოა, ვიდრე ზემოთა ორი.

მარცხენა გამოსახულება (სურ. 4) ადამიანის ერთადერთ ფიგურას შეიცავს—მარჯენისკენ ნიშართულ წმ. ნინოს, რომელიც ხელებაპრობილი დგას ცენტრის ცოტა მარცხნივ. მის უკან ციკაბო, წვეტიანი კლდეებია, მის წინ—მდინარე უნდა იყოს, გაღმა კი მეორე მთა, რომელსაც სურათის მთელი მარჯვენა ნახევარი უჭირავს: დამრეცი კალთა ნინოს შუატანთან ჩნდება, დიაგონალს მისდევს და ზემო მარჯვენა კუთხეში ბლაგვი, კლდოვანი მწვერვალით მთავრდება. ზემოთ, შუაში, ცაა, ტრადიციული წესის თანახმად გამოსახული რანდენიშე კონცენტრული რკალითა და სამი წითელი სხივით, რომლებიც ნინოსკენა მიმართული. ამ სრულიად მარტივ სცენაში მხატვარი ახერხებს მთავარი კომპოზიციური ხაზების მოთქმრებულ შეხამებას: შემთხვევითი არაა ის, რომ

¹ ქართველი ერის ისტორია, I, II, 1913, სურ. 180 გვ-თან. ეს ფრესკა პირველზე უფრო მეტადაა დაზიანებული. წინა სამღვდელთა პირის სამოსელის საღებავი ბევრგან ჩამოცვენილია მისი მარცხენა თვალი და სხვა ბერების თვალებიც განცემა გაფუჭებული მჭრელი იარაღით, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში, საღებავთა ტონიც ჩამჭრალა და საერთო კოლორიტის „სიწვევ“ ზემო რეგისტრის ორსავ განხილულ სურათში—ზოგიერთი საღებავის დეფორმაციის გარდა, მტვერსა და ჭუჭქსაც უნდა მიეწეროს.



მარჯვენა მთის საფუძვლის ხაზი ზუნებრივად ერთვის ნინოს სამოსელის ნათქვამების ხაზს და გაგრძელებას პოულობს ამ ხაზებში; ხელების მიმართულებით მათს ფერდის ხაზს ეგუება, ამავე მიმართულების პარალელურია სხივებიც. ნინო და მარცხენა კლდე. თავისი მასით, სავსებით აწონასწორებენ მოპირდაპირე ფრთას. წმინდანის ფიგურა, კიდევ უფრო გრძელი, ვიდრე ზემო ფიგურები (თავისა და ტანის შეფარდება დაახლ. 1:8,5), ვაცილებით უფრო თავისუფლად და დახატული (განსაკუთრებით ზემო მარჯვენა სცენის პერსონაჟებთან შედარებით). მოძრაობა (მთისკენ გაწვდილი ხელები—ერთი უფრო მაღლა, მეორე დაბლა; წინ წადგმული, ნუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხი, ოდნავ დახრილი თავი) ნაკლებ შეზღუდული და მონოტონურია. კოლორიტიც, თითქოს, უფრო ნათელის შთაბეჭდილებას სტოვებს. მთები, როგორც ჩანს, ძალიან მუქი, ოდნავ კრაპლაკნარევი, ყავისფერი ყოფილა,¹ და ამ ფონზე მკაფიოდ გამოიყოფოდა ნინო, რომლის თავსაბურავსაც ახლაც აქვს შერჩენილი თეთრანარევი ცისფერი ტონი (უფრო მუქი ნათქვამით²).

ამ სცენას—არამაზის მთასთან წმ. ნინოს ლოცვად სთვლიან³ და ეს მართლაც ასე უნდა იყოს. ის ადგილი, რომელიც კომპოზიციაში მთას უჭირავს და ის ურთიერთობა, რომელსაც მხატვარი წმინდანსა და პეიზაჟს შორის ამყარებს, მოწმობს რომ მთა აქ მარტო ფონი კი არ არის, არამედ ამ სცენის „მოქმედი პირიც“. წმ. ნინოს „ცხოვრებაში“ მართლაც ნაამბობია, რომ მცხეთას ჩამოსული ნინო წავიდა „ხილვად არამაზისა“ და როცა კერპები ნახა, ლოცვა დაიწყო: „მაშინ ავიხილენ ზეცად და ვთქუე: ოო, ოო მრავალითა ძალითა შენითა გეცრუენეს შნ მტერნი ესე... ამითა ნათესაეთა მოხედენ... და მაჩუენე მე ღო მამისა და დედისა ჩემისაო მვევალსა ამას ნაშობსა მონისა შნისასა, რა იხილონ მაცხოვარება შნი ყლთა კიდეთა ქყნისათაო“ და სხვ.⁴ შესაძლებელია, მეორე მთაც არ იყოს აქ მხოლოდ კომპოზიციისათვის და მასაც შინაარსობლივი გამართლება ჰქონდეს: წმ. ნინოს ცხოვრებაშივე, სხვა ადგილას, არამაზთან ერთად, მეორე მთაც იხსენიება—ზადენი („ორნი ესე მთანი: არმაზ და ზადენი“). როგორც ცნობილია, ისინი სწორედ გაღმა-გამოღმა მდებარეობენ და კერპებიც ორივე მათგანზე უნდა ყოფილიყო⁵. ტექსტში არამაზის კერპთა აღწერაცაა და პროფ. შ. ამირანაშვილის ცნობით, აქ კერპის ნაშხვერევებიც ყოფილა მთაზე, მაგრამ ახლა აღარაფერი ჩანს და ჩვენც მათ შესახებ ვერაფერს ვიტყვივით⁶.

მარჯვენა სცენა (სურ. 5) წმ. ნინოს ერთ-ერთ სასწაულს—მის მიერ სნეულის განკურნებას—გამოხატავს. მხატვრის ამოცანა აქ ბევრად უფრო ძნელი იყო, ვიდრე ზემოთაგანხილულ შემთხვევებში, მაგრამ ეს სიძნელე მან მარჯვედ დაძლია. კომპოზიცია მას, არსებითად, სიმეტრიულად აქვს ვადაწ-

¹ ეს ფერი ახლა მხოლოდ მწვერვალგებზეა შერჩენილი, ქვემოთ კი ძლივს-და აჩნია; კლდოვანი წიბოები და კონტური—შავი და თეთრია (შეწყვილებული ხაზები).

² სამოსელზე მხოლოდ კონტურისა და ნათქვამის მოწივითაა ყავისფერი ხაზები გაიჩნევა.

³ Натроев, იქვე, გვ. 104.

⁴ Опис. Руконисей, II, 751, 753—54.

⁵ იქვე. 777, 799, შეად. ლ. მროველი, ანასუელი ქაჯა, 69.

⁶ ნინოს წინ რაღაც მცირე ფიგურის ძლივს შესაძინევი კონტური ჩანს, მაგრამ ამ პერსონაჟის ვინაობა და დანიშნულება ამ სცენაში გაურკვეველია.

ყვეტილი: შუაში, წინა პლანზე, მან მალალ სარეცელზე მწოლარე სნეული მათავსა, მის უკან წმ. ნინო, რომელიც სურათის ფაქტიურ ღერძადაა ქცეული, განაპირები კი ქალთა თანაბარი ჯგუფებით შეავსო. მარცხენა ჯგუფში, პირველ ადგილზე, სნეულის სასთუმალთან, გვირგვინოსანი ქალია, ოდნავ წამოხრილი სნეულისაკენ. ფონი არქიტექტურასა აქვს დათმობილი. სარეცელი, რომელზედაც სნეულია მოთავსებული, იმდენად დაქანებულია მარცხნიდან მარჯვნივ, რომ მასზე მწოლი, რა თქმა უნდა, ჩამოსრიალდებოდა. ეს ცნობილი მოტივა, მაგრამ ამ შემთხვევაში კომპოზიციურად საესებით გამართლებულია. მხატვარს სჭირდება სწორების ზედატანის ამალღება იმისათვის, რომ წმ. ნინომ წელში მოუხრებად მოახერხოს მისთვის ხელის მოკიდება. ხოლო სარეცელი რომ მთლიანად აწეულიყო ამ სიმაღლემდე (ე. ი. მისი ზედა ხაზი ჰორიზონტალური რომ ყოფილიყო), იგი მეტისმეტად ბევრ ადგილს დაიკურდა და ჯგუფების განლაგებას შეუშლიდა.

თუ პირველ სცენაში ფიგურები და არქიტექტურა (ტაძარი) მხოლოდ შეთავსებული იყო, რაიმე ორგანული კავშირის გარეშე, აქ მხატვარს მიზნად დაუსახავს ფონის შეხამება სცენის პერსონაჟებთან: არქიტექტურა, ისევე, როგორც ფიგურების მასა, სამნაწილეღია. მარცხნივ და მარჯვნივ, განაპირა ჯგუფების უკან, ორი ერთნაირი, სამ-სამ ფრონტონიანი შენობაა. ცენტრში, ნინოს უკან, სულ სხვაგვარი ნაგებობაა: ეიწრო, მალალი, ყელისანი გუმბათითა და „ფარანი“, იგი თითქმის იმეორებს თვით ნინოს ფიგურის მოხაზულობას. ეს შენობა ფრონტალურადაა ნაჩვენები, მაშინ, როდესაც ორივე განაპირა—სასურათო სიბრტყესთან კუთხეს ჰქმნის, სიღრმეში „მიღის“ სურათის ცენტრისაკენ. შუა შენობის სიმაღლე აღემატება განაპირა სახლებისას, მისი „ფარანი“ თითქმის სურათის ჩარჩოს სწვდება და კიდევ უფრო ამკვეთრებს კომპოზიციის ცენტრალურ ღერძს.

მხატვარი არც ფერების განაწილებაში ლალატობს წონასწორობის პრინციპს. შუაში მოთავსებულ ნინოს თავსაბურავისა და ტანსაცმელისათვის მას თეთრათი შეზავებული მოცისფრო ტონი შეურჩევია¹. ამავე ტონს იმეორებს იგი ნინოს უკან მოთავსებულ შენობის კედელზედაც. ამ ცენტრალურ ფერადონან ლაქას განაპირებშია აქვს ერთგვარი გამოძახილი—ღია მწვანე კაბა როგორც ერთს, ისე მეორე ჯგუფში, და ქვემოთაც—სარეცელის წინა პირზე, რომელიც აგრეთვე ღია მწვანეა.² ფერადოვნების სიყვარულს აშკარად მოწმობს თუნდაც ის, რომ ოსტატი სახურავებს სხვადასხვაგვარად ღებავს: ორი შიგნითა ფრონტონის საბურავი ორსავე სახლს—კრაპლაკნარევი ყავისფერი აქვს, ხოლო წინა ფრონტონებისა—ინტენსივური წითელი, რომელიც სურათის ერთსა და მეორე კედელში ძალიან მკაფიო, მაკორულ ლაქებს ჰქმნის. ეს წითელი შემთხვევითი არ არის: სხვადასხვა ელფერის წითელი ტონი მთელ კომპოზიციისაში გაფანტული, იგი გარს უვლის მას და ახალისებს მის ნაწილებს: სნეულის საბნის სინგურს—მარცხენა დედოფლის სინგურისავე კაბა ეხმაურება, ამ ტონს,

¹ ქვედა მარჯვენა ნაწილი სურათისა ძლიერ დაზიანებულია: ქალების ფიგურათა ქვემო ნაწილები თითქმის მთლიანად წაბლალულია.

² კაბის კონტურები, ნაოქებისა და სახის ხაზები—ყავისფერია, თავსაბურავზე კი—ძირითადი ტონია უფრო მუქად აღებელი.

³ განაპირა სახლების კედლები ღია ყავისფერია, კედლის კონტურები და ხურთომოდერული პროფილები—უფრო მუქი, სარკმელთა საპირეები და სხვა სამკაულები—თეთრა, რომელსაც მხატვარი საერთოდ უხვად ხმარობს, ხოლო სარკმლები თავისი შავი ხერხელობებით, ყმაღაზე უფრო მუქია.



როგორც ჩანს, მარჯვენა ჯგუფის განაპირა ქალის სამოსელშია¹ ჰქონდა გამოყვანილი დახილი, წითელი და ოქრო აგვირგვინებს შუა შენობის გუბათსაც, რომელიც კომპოზიციის უმაღლეს ადგილს წარმოადგენს, დასასრულ, სხივებიც, ისევე დაისევ, წითელია.

ძნელი სათქმელია, როგორი შთაბეჭდილება უნდა დაეტოვებინა სახისა და ხელების ფერს: ყოველ შემთხვევაში, თუ ახლანდელ, დამტკვრილ ფრესკის თავდაპირველ სახეს წარმოვიდგენთ, თუ მთელი სიწმინდით აღვადგენთ მკაფიო სინგურს, ცოცხალ მწვანეს, ნაზ თეთრანარევ ცისფერს², დასასრულს, აქა-იქ ოქროსა და რამდენსავე მუქ, მაგრამ თბილ აქცენტსაც მივუმატებთ (მარჯვენა ქალების თავსაბურავები, სახურავის ნაწილები და სხვ.), საერთო სურათი ნათელი და სადღესასწაულო გამოვა.

ამგვარ განწყობილებას სავსებით ეგუება თვით კომპოზიციის ხასიათიც: მიუხედავად სიმეტრიული განლაგებისა, აქ არავითარი სიმკაცრე არ არის: ამ სათამაშო არქიტექტურის არაჩვეულებრივ მოძრავი, ტეხილი რიტმი, წვრილი, წაგრძელებული ფიგურების—განსაკუთრებით კი დედოფლის—რალაც შინაგანი მოძრაობა, რომელიც იგრძნობა პოზების სიმარტივის მიუხედავად, გაწვდილი ხელები და ოდნავ დახრალი თავები, დაქანებული საწოლი და სარეცელის წინა პირზე ჩამოფარებული ქსოვილის ნაოქები—ყველაფერი ხელს უწყობს სურათის საერთო სიცხველეს: მხატვარი იერატიკულ კომპოზიციას კი არ ჰქმნის, არამედ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს.

ვინ არის ეს სწეული, რომელსაც ნინო ჰკურნავს? თითქოს ნანა დედოფალი უნდა ყოფილიყო და ნატროშვილს ასეც აქვს განმარტებული³. მაგრამ ამ მოსაზრებას არღვევს ის, რომ მარცხენა ქალი გვირგვინოსანია, ე. ი. სწორედ ეს არის ნანა. იქნებ, ეს სწეული ხუარა იყოს, „მოგვ მთავარი სპარსი“⁴, რომელიც ნინომ დედოფლის შემდეგ განკურნა, თვით დედოფლის თანდასწრებით⁵. პროფ. შ. ამირანაშვილის ცნობით, ფრესკის ქვემო მარჯვენა კუთხეში მხედრული წარწერა ყოფილა: „რევ მართალი“ (ახლა აღარ აჩნია). მაგრამ ეხებოდა კი იგი სწეულს? ასეა თუ ისე, საინტერესოა, რომ მხატვარი უგულვებელყოფს ტექსტების მითითებას იმის შესახებ, რომ ნინო სწეულთ ჰკურნავდა „სამოთხესა... შინა, ნაძუთა ქუშუშე“⁶. მისთვის ძნელად დასაბატი „სამოთხის“ ნაცვლად, იგი, როგორც დავინახეთ, არქიტექტურულ დეკორაციას იყენებს.

სამხრეთის კედელი (სურ. 6 და 7). სამხრეთის კედელზე გადასვლისას ადვილი შესამჩნევია, რომ შესრულების კონკრეტული ხერხებისა და კოლორიტის თვისებებით, მისი მხატვრობა საგრძნობლად განირჩევა აღმოსავლეთის

¹ ცა აქაც ლეონჯია, როგორც ქვემოთა მარცხენა სცენაში, მაგრამ ზემო ნაწილში ისე-თივე ტალახისფერი—შავი ერევა, როგორიც II რევისტრის ფონია.

² Михет..., გვ. 104

³ Опис. рукописей..., 768.

⁴ იქვე, 771. სწეულის თავი თითქმის მთლიანად წაშლილია, მაგრამ ძნელად გასარჩევი კვლის მიხედვით, მას გვირგვინი არ ახურავს.

⁵ Опис. рукописей, II, 773.

კედლის მხატვრობისაგან: აქაური მიწის მწვანეს სხვა, ნაკლებ „ტალახნარეგნულნი“ იერი აქვს, აქაურ ცა ინტენსიური ლურჯი ფერისაა, ბევრია წითედი „შენიშნული“ რია ოქრო¹, და მთავარი კი ისაა, რომ ყველაფერს თითქოს სოსანისფერი გადაჰკრავს. ეს იგრძნობა ცხენების ფიგურებშია, თუმცა ერთი ნაცრისფერია, ხოლო სხვები ყავისფერი, იგრძნობა ზოგიერთი მოქმედი პირის სამოსელშია, განსაკუთრებით კი სახეებსა და ხელეზე. ნაცვლად აღმოსავლეთის კედლის სახეების რუხ-ყავისფერი ტონისა, აქ მთავარი—მოცისფრო-სოსანისფერია, ბევრია თეთრა, ლოყების სიმრგვალის გამოსაყვანად მხატვარი მოწითანო შტრიხებს ხმარობს, სახის ნახატი და ჩრდილები—თეთრანარევი შავია, ე. ი. მთელი გამა სხვანაირადაა შერჩეული. ადელი შესამჩნევია განსხვავება სახის ცალკეულ ნაწილთა შესრულებაშია და, რაკი, ამ მხრივ, ყოველ მხატვარს საკუთარი, შემუშავებული მანერა აქვს, ეს განსხვავება იქნებ განსაკუთრებით საყურადღებოც იყოს. მაგ. აღმოსავლეთის კედლის ოსტატი თვალს ზემოდან ორი თანაბარი სისქის ხაზით ფარგლავს, ქვემოდან ერთით, და ცოტა უფრო დაბლა მსუბუქად აღნიშნავს ნაოქს. გუგა მთლიანად არ ავსებს თვალის სიმაღლეს, იგი შავია (ან მუქი ყავისფერი), მაგრამ შუაში კიდევ უფრო მუქი წერტილი აქვს ჩანსული. „სამხრეთის ოსტატს“ თვალის ზემო კონტურსა და წარბს შუა—ერთი სქელი, მუქი ზოლი აქვს გაყოლებული და აქვე, ზემო ქუთუთოზე, ამ ზოლთან, ისეთივე მოწითანო ხაზი, როგორც ლოყებზე გვხვდება. ქვემოდან თვალი ხაზით კი არ ივარგლება, არამედ ფართო, მუქი ჩრდილით. გუგა მთლიანად შავია და თვალის მთელ სიმაღლეს სწვდება; დასასრულ, თვალის მოხაზულობა აქ უფრო გამარტივებული, ნაკლებად სწორი ფორმისაა. აღმოსავლეთის მხარეს—ცხვირი, რომელიც $\frac{3}{4}$ -ითაა ნაჩვენები (ყველა სახე ასე ჩანს), „გარეთა“ მხრიდან და ქვემოდანაა მოხაზული, მისი „შიგნითა“, მაყურებლისაკენ მოქცეული, მხარე კი—ჩრდილითაა მოდელირებული. აქ, სამხრეთით, ცხვირი მთლიანად კონტურშემოვლებულია, რაც აგრეთვე უფრო სქემატურ შთაბეჭდილებას სტოვებს. ბაგეებს ეს მხატვარი უფრო „კოპშიად“ ხატავს, აწითლებს მათ, ბაგეთა კიდებებს კი საგანგებო ჩრდილით აღნიშნავს. ნიკაბი ყველას მრგვლად აქვს გამოყოფილი, ხოლო წვერი დედოფლის წინ მდგომი კაცისა—ესეც ხაზგასისმელია—მხოლოდ ერთი, მთლიანი ტონითაა ნაჩვენები, ყოველგვარი შემდგომი დაშტრიხვის გარეშე.

ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, ნათლად გვიჩვენებს, რომ აქ მართლაც სხვა ოსტატთან გვაქვს საქმე: ამას მოწმობს არა მარტო ეს დეტალები და კოლორიტი, არამედ ფიგურებისა და კომპოზიციის საერთო ხასიათიც.

ზემოთა ორი სცენა (სურ. 6 და 7), რომელიც შედარებით რიგანადაა შენახული (თუ არაფერს ვიტყვი) განზრახ, წვეტიანი იარაღით, ამოკორტნილ სახეებზე, როგორც ითქვა, ერთი მთლიანი კომპოზიციის სახით აღიქმის. კავალკადას მარჯვენა სურათში მეფე მიუძღვის, მარცხენაში კი დედოფალი. მეფის ამაღლა ჩაღმიანი მამაკაცებისაგან შედგება, დედოფლისაში მხოლოდ ქალები

¹ ნანას მოსახანში, მირიანის კაბა, ზოგიერთი სხვა პერსონაჟის სამოსელი.

² სახლი, გვირგვინები, უნაგირები და მეფე-დედოფლის სამოსელის არშიები, სარტყელ-საყელოები, კაპარჯი.



არიან. დედოფლის ცხენის წინ შავწვერა, წოწოლაქუდიანი კაცი დგასა—ხელში გრქელტარიანი ჯვრით, ხოლო ზემოთ, კუთხეში, დიდი „ცა“ ჩანს, ჩვეულებრივი, ჩვენთვის უკვე ცნობილი, წესით გადმოცემული და ისევ სამსხივიანი. ერთი კაცი მეფის ცხენის წინაცაა, ხსენებული ჯვრიანი კაცის ანალოგიურად, მარჯვენა განაპირას კი საკმაოდ უცნაური, ორკალთიანი საბურავის მქონე, კოშკისებრი ნაგებობაა აღმართული. ამ შენობიდან კაცი გადმოყოფდებულა და მეფისკენ გაუშვერია ხელები: ეს ერთადერთი პერსონაჟია ორსავე სცენაში, რომელიც მთელი სხეულით მარცხნივია მიმართული.

როგორც ჩანს, ოსტატს აქ ის ამბავი გამოუხატავს, რომელიც უშუალოდ მოსდევს მირიანის ნადირობასა და მეფის მიერ ქრისტეს სარწმუნოების აღიარებას. მეფე ნადირობიდან დაბრუნების მომენტშია ნაჩვენები: ამას, სხვათაშორის, ისიც მოწმობს, რომ ერთ-ერთ მხლებელთაგანს წელზე კაპარქი აქვს და შიგ მშვილდისარი ჩანს. „ხ ნანა დედფლი და ყლი ქალაქი განვიდეს მიგებებად მეფისა... იქნა ფდი სიხრლი პალატბანაკსა შა მეფისსა“. ამ სიტყვების ილუსტრაცია უნდა იყოს მეორე სცენა იმავე რეგისტრისა.

სურათები ცოცხალი მოთხრობის შთაბეჭდილებას სტოვებს: მირიანმა, რომელიც მარჯვნივკენ მიემართებოდა, თითქოს ეს არის მოხიდა აღვირი და უცებ შეაჩერა ცხენი. იგი ენერგიულადაა შემობრუნებული, რალაცას ეუბნება მხლებლებს და ლაპარაკში მარჯვენა ხელის ჟესტსაც იშველიებს. ისინი გაცოცხლებული უსმენენ. დაკვირვებით უყურებენ მეფეს. იგრძნობა, რომ მეტად მნიშვნელოვან თემაზეა ლაპარაკი. „შეშფოთებას გამოხატავს ცხენის წინ მდგომი კაციც (ხელები), რომელსაც სახე მეფისკენ აქვს მიბრუნებული და აგრეთვე ყურს უგდებს მას: საერთო განწყობილებას ერთვის აივნიდან გადმოხსნილი პერსონაჟიც, რომლის ხელების მოძრაობა აგრეთვე მოწმობს, რომ რალაც დიდად საყურადღებო ამბავი ხდება. დედოფალი და მისი მხლებელი მანდილოსნები მსგავსი პოზით არიან ნაჩვენები: ყველა ხელებდაპყრობილია. საინტერესოა, რომ ჯვრის გამოსახულება სწორედ დედოფალთანაა: ნანა ამ დროს ხომ უკვე „მოქცეული“ იყო; იქნებ მეფის ჟესტიც ამ ჯვრისკენ იყოს მიმართული?

მოთხრობის ამ სიციხველესთან ერთად, მხატვარი, რომელსაც უეჭველად აქვს დაკვირვების ერთგვარი უნარი და გრძნობის უშუალობა, საკმაო გულუბრყვილობასაც იჩენს. მისი ცხენები ქადრაკის ცხენებს უფრო გავს, მისი კოშკი, თავისი ფორმების შეუსაბამობით, ფრესკების პირობითი არქიტექტურის ნორმებსაც კი არღვევს, ხოლო ის კაცი, რომელიც ამ შენობის ორ, ერთმანეთისაგან მოწყვეტილ, სართულს შუაა მომწყვედული, უნებურ დიმილს ჰგვრის მაყურებელს. ასევე უხერხულად გადმოგვცემს მხატვარი მხედრების მასასაც, მაგრამ განსაკუთრებით აღამიანს მაინც ის ხედება თვალში, რომ მას ორსავე შემთხვევაში დაეიწყებია მეორე პლანის ცხენებისათვის თავების დახატვა: იმ ადგილს, სადაც ცხენების თავები უნდა იყოს—სხვა მხედრები ხატია.

ფიგურების პროპორციები აქაც წაგრძელებულია, თუმცა, რაკი პერსონაჟთა უმრავლესობა ზის, ეს წაგრძელება იმდენად მკვეთრად არ ჩანს. მაინც,

¹ Опис. рукописей, II, 773.

ყველა ვიწრომხრიანია, ყველას წვრილი ხელები და გრძელი თითები აქვს, ხოლო მირიანის წინ მდგომ კაცს — ფეხებიც ასეთივე (სხვებს ფეხები არ უნანთ). როგორც დავინახეთ, მხატვრობის კოლორიტი ცოცხალი და ხალისიანია, მაგრამ იგრძნობა, რომ ეს კაშკაშა წითელი, რომელსაც მხატვარი უთუოდ დიდი სიხარულით იყენებდა, საკმაოდ უსისტემოდაა განლაგებული, წინააღმდეგ აღმოჩნდება კედლის წითელი ლაქების მოფიჭრებული ფერადოვანი რიტმისა.

სამხრეთის კედლის ქვემო რეგისტრის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით: სახეები აქ სრულებით აღარ გადარჩენილა, საღებავებიც იმდენადაა გადარეცხილი, რომ თავდაპირველი ფერადოვანი გამის წარმოდგენა ჭირს. მარცხენა სცენის სიუჟეტი მაინც სასვებით ვარკვეულია: მეფისა და დედოფლის ლოცვა „სვეტი-ცხოველს“ წინაშე: კომპოზიცია ცენტრალური და სიმეტრიულია: შუაში — საფეხურებიან კვარცხლბეკზე აღმართული, ობელისკის მსგავსი „სვეტი“, რომლის თავზეც ფრთებ და ხელებგაშლილი ანგელოზია დასმული. ქვემოთა კუთხეში — ადამიანთა ჯგუფები: მარცხნივ მუხლმოდრეკილი და სვეტისკენ ხელებგაწვდილი მირიანი და მის უკან — ფეხზე მდგომი, წოწოლაქუდიანი მამაკაცები, მარჯვნივ — ასევე მუხლმოდრეკილი ნანა და მის უკან მანდილოსნები. „სვეტის“ გამოსახულება სასვებით პირობითია: ეს არც ის მოკვეთილი ხეა, რომლის ამბავიც ტექსტებშია მოთხრობილი, მაგრამ არც ამ ხის გარშემოშენებული ნაგებობა ჩანს. „სვეტი“, როგორც ეტყობა, ოქროსფრად იყო შეღებილი (ღია ყაყისფერ „სარჩულზე“) და ზედ რაღაც ჩარჩოვებიც ყოფილა გამოსახული (სურ. 1).

მარჯვენა სცენა ზემოდან შეისრული თაღითაა შემოფარგლული. ამ „თაღს“ და სურათის ზემო ჩარჩოს შუა ახლა აღარაფერი ჩანს და ძნელი გასარჩევია, აღნიშნული „თაღი“ მართლა ჩარჩოს როლს ასრულებს, თუ რასმე გამოსახავს, მაგ. კარავს. თვით კომპოზიციის ცენტრში აქაც ისეთივე სარეცვლია, როგორც აღმოსავლეთის კედელზე ვნახეთ. სწული — რამდენადაც აქ რისაშე გარჩევა შეიძლება — გვირგვინოსანი უნდა იყოს: იქნებ სწორედ ესაა ნანა? მაგრამ წმ. ნინო არსად ჩანს. კომპოზიციაში ორი სიმეტრიული ჯგუფია — მარცხნივ და მარჯვნივ: ეს ხერხი, როგორც ვხედავთ, „სვეტის“ კედლებზე არაერთხელ მეორდება. სიუჟეტის გადმოცემის ხასიათი ზემო სცენებისას მოგვაგონებს: იგივე სიყვარული ამბის სურათოვანი მოყოლისა, ეანრული მოტივებისა; ძალიან ცოცხალი ფიგურებია, მაგ. პირველი ქალი, რომელიც შემფოთებული დაჰყურებს სწულს; სხვა ქალი, რომელიც ხელის ფართო ექსტით იმავე სწულზე მიუთითებს; ერთ-ერთ მამაკაცს თავში წაუშენია ორივე ხელი, თითქოს თმებს იგლეჯს. როგორც ვთქვით, შეიძლებაოდა გვეფიქრა, რომ აქ ნანა დედოფლის განკურნება გვაქვს, მაგრამ თვითონ ნინოს არყოფნა მაინც ართულებს ამ საკითხს. ეგებ აქ დავრდომილი სეფეწულის განკურნებაა, რომელიც უკვე სვეტის აღმართის შემდეგ მოხდა თვით სვეტისავე ძალით? მაშინ ნინოს არყოფნა მაინც უფრო გასაგები იქნებოდა და ამ კედლის სიუჟეტებშიაც რაღაც თანმიმდევრობა დამყარდებოდა: მეფის მოქცევა — სვეტის წინაშე ლოცვა — სვეტის სასწაულები.




დასავლეთის კედელი. (სურ. 8 და 9). დასავლეთის კედელზე უფრო მეტადაა დაზიანებული, ვიდრე სამხრეთისა და აღმოსავლეთის. მარჯვენა კომპოზიცია ძლიერაა აჩნია: ჩანს მთის მოხაზულობა—იგი ისე დაიგონალს მისდევს და მისი მწვერვალი ზემო მარჯვენა კუთხეშია; მთის წინ—წოწოლაქუდიანი მამაკაცების ჯგუფი ყოფილა, მარცხნივ კი, წითელსაზურავიან სახლის წინ—ხელბაპყრობილი, შარავანდიანი ნინო. ჩანს წითელსხივე-ბიანი ცაც, ზემოთ, შუაში, და მეტი არაფერი. ცხადია, აქაც წმ. ნინოს ერთ-ერთი სასწაულოთვანია, ალბათ—არმაზისავე მთასთან დაკავშირებული. მარცხენა სცენაში (სურ. 8), რომლის ქვემო ნაწილიც უკვალადაა დაღუპული, სინტერესოა „სვეტის“ ამიღლების გამოსახულება: ამჯერად მხატვარს თვით ის ნაგებობა წარმოუდგენია, რომელზედაც იგი ფრესკებს ასრულებდა: პროფილირებულ კვარცხლბეკზე დაბჯენილი ოქროსფერი კედელი (ზედ შავი ნახებიოთა ნაჩვენები თლილი ქვის წყობა), ზემოთ—ოთხი ბოძი (ერთ რიგად) და მათზე დაყრდნობილი შავი სფერული გუმბათი (პირამიდული საბურავი არაა). ამ „სვეტს“ ორი ფრთავაშლილი ანგელოზი მიაფრენს. ქვემოთ, მარჯვნივ, „სვეტისკენ“ ხელბაპყრობილი წმინდანის, ალბათ ნინოს, ბუნდოვანი კვალი ჩანს. ამ ორი კომპოზიციით მთავრდება „სვეტის“ მხატვრობის „ისტორიული“ ციკლი, მიძღვნილი „ქართლის მოქცევისადმი“. ამავე სართულის მეორე რეგისტრში, როგორც თავშივე აღინიშნა, უკვე საღმრთო წერილის ცნობილი სიუჟეტებია: „ჯოჯობეთის წარტყვევნა“ და „ჯვარცმა“ (სურ. 9). პირველი მთვანე მთლიანად ტრადიციული და შაბლონურია და რაიმე ორიგინალობის ძიება აქ, რა თქმა უნდა, ზედმეტი იქნება. ძირითადად, ცნობილ სქემას იმეორებს „ჯვარცმა“, და ჩვენ არც მასზე შევჩერდებოდით, მასში რომ ერთი, ჩვენთვის დიდად საინტერესო, დეტალი არ იყოს: მარჯვენა კედელში, მწუხარე იოანეს უკან, წინა პლანზე, მხატვარს მოუთავსებია შავწერულვაშიანი მამაკაცი, რომელიც ჯვარცმულს უყურებს და ორივე ხელით კვართი აქვს ჩაბლუჯული. „ჯვარცმის“ მრავალსაუკუნოვან და მრავალრიცხოვანი ნიმუშებით წარმოდგენილს იკონოგრაფიაში ასეთი ფიგურა უცნობია. კვართისთვის წილის გდების სცენა ჯერ კიდევ ძველმა ქრისტიანულმა ხელოვნებამ შეიმუშავა¹ და მას ან ცალკე, ან ჯვარცმისავე კომპოზიციაში, ქართულ ძეგლებშიაც ვხვდებით დროდადრო². მაგრამ ამგვარ რედაქციას, როგორც „სვეტის“ ფრესკაშია, ჩვენ ვერსად შევხვდებით: ეს რედაქცია ქართული ტექსტებითაა ნაკარნახევი: სახარების ცნობილ სცენაში, რომლის გამოსახვის ვარიანტიც საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრდა, მხატვარმა ახალი კონკრეტული ელემენტი—წმ. ნინოს ცხოვრების პერსონაჟი, მცხეთელი ებრაელი ელიოზი—შეიტანა და ამით საუფლო დღესასწაულის სურათი—„ქართლის მოქცევის“ ციკლს დაუკავშირა. ცხადია, არაბუნებრივად არ ჩაითვლება ამ ვარიანტის გაჩენა სწორედ აქ, „სვეტზე“, კვართის დაკრძალვის ადგილს.

¹ იხ. მაგ. ცნობილი მინიატურა რაბულას 586 წლის სირიული სახარებისა.

² მაგ. გელათისა (ფ. 215 v.) და მოქვის (ფ. 98 v.) სახარების მინიატურები. მე-15 ს-ის დავითის (ფ. წ. „თეთროსანი“) მინიატურა (გვ. 39) და სხვ.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



სურ. 1. «სვეტი-ცხოველი» სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



ქართული
ლიბრთეკა



სურ. 2. მირიან მეფე სვეტიცხოველის
ტაძრის წინაშე.



სურ. 3. მეფე და სამღვდელთა,



სურ. 4. წმ. ნინოს ლოცვა არმაზის მთასთან



სურ. 5. სნეულის განკურნება წმ. ნინოს მიერ





სურ. 6. ნანა დედოფალი ამალით.



სურ. 7. ნადირთბიდან დაბრუნებული
მირიან მეფე ამალით.



სურ. 8 „სვეტი-ცხოვლის“ ამაღლება ანგელოზთა მიერ



სურ. 9. „ჯვარცმა“.

დღესდღეობით ძნელი სათქმელია, ჰყავდა თუ არა ამ მხრივ „სევეტი“ მხატვარს წინამორბედი, არსებობდა თუ არა უფრო ადრეც ელიოზიანი ცემები“. მაგრამ კვართის ლეგენდისადმი ინტერესის თავისებური ანარეკლი ქართულ ხელოვნებაში ჩვენ უფრო ადრეც გვხვდება: ცნობილ დასურათებულ დავითში (საქ. მუხ. H 1665), რომელიც ი. სონ დულაშვილმა მე-15-ით დაათარილა (მოხსენება „მეტეხში“ 1945 წლის დეკემბერში). 172 v ფურცელზე გამობატულია სწორედ ქრისტეს სამოსელის გაყოფის სცენა შემდეგი განმარტებით: მარცხენა არშიაზე: „მას ჟამსა შინა მცხეთით მოსრულნი ჰურიანიცა დახუდეს: ჯუარცმასა: უფლისსა:“; ზემოთ—ჯერ მათეს სახარების სიტყვები (27,35): „განიყვეს სამოსელი: ჩემი მათ შორის: და კუართსა ჩემსა ზედა: განიდგეს წილი“. შემდეგ კი „აქა წილი იგდეს: კუართსა ზედა მაცხოვრისსა: ჰურიანთა: და ელიოზს: მოხუდა: მცხეთელსა:“¹. ეს ფრად საინტერესო განმარტება მოწმობს, რომ ჯერ კიდევ მაშინაც, როცა მხატვარი ტრადიციულ სცენას უცვლელად იმეორებდა, მას იგი მაინც თავისებურად—მშობლიური სარწმუნოებრივი გადმოცემების საფუძველზე—ჰქონდა გაგებული.

მთელ ამ კედელზე ადამიანს ერთბაშად ეცემა თვალში რამდენადმე „ჩაშავებული“ და თითქოს ტალახნარევი კოლორიტი. ყველაზე მეტად ამ შთაბეჭდილებას ხელს უწყობს ისევედაისევე მორუხო-შავი ფონი, რომელიც ჩვენ უკვე ვნახეთ აღმოსავლეთით ზემო რეგისტრში და რომელიც საღებავთა დეფორმაციის შედეგი უნდა იყოს. მაგრამ ასევე მოკლებულია „სიწმინდეს“ მიწისა და კედლის მომწვანო ოქრა (იგი ძალიან უახლოვდება აღმოსავლეთის ზემო მარცხენა სურათის ეკლესიის კედლებს), წითელი, რომელიც უხვდაცა გამოყენებული „ჯვარცმასში“ (კედელი, ზოგიერთი მოსახსამი, „ცა“ და სხვ.), იმავე სცენის თეთრნარევი ლურჯი მარჯვენა ჯგუფი მამაკაცთა სამოსელისა, დასასრულ, სახეებისა, ხელებისა და ქრისტეს სხეულის მოყავისფრო ტონი, კიდევ უფრო მიუქი ჩრდილებითა და კონტურებით. ამ შთაბეჭდილებას არ სცვლის არც ოქრო, თუმცა იგი საკმაო რაოდენობითაა მოხმარებული (მანდორლა, შარავანდები).

შესრულების მანერით დასავლეთის კედლის მხატვრობა აღმოსავლეთის ზემო მარჯვენა სცენისას უახლოვდება, აღმოსავლეთის სხვა კომპოზიციებთან შედარებით კი განსხვავება საგრძნობია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კოლორიტში: სახეებში თითქოს ოდნავი ვარდისფერია შერეული, ჩრდილებს ზოგან ბალახისფერი დაჰკრავს და ნაკლებ მკვეთრია, ახალია ხსენებული თეთრნარევი ლურჯიც, რომელიც ქაღარა წვერის დასაშტრინავადაცაა გამოყენებული და საერთოდ, ერთი შეხედვითვე იგრძნობა. ფიგურების უმეტესობა ნაკლებ წაგრძელებულია, ვიდრე აღმოსავლეთით და, თავები და სახეებიც—უფრო პრგვალია. დასასრულ, ის სიფაქიზე და „მინიატურისტის“ ოსტატობა, რომელიც ეკლესიასთან მდგომი ფიგურების დამუშავებაში ჩანს, აქ აღარაა, მიუხედავად ქვემო რეგისტრის გამოსახულებათა აღნიშნული დაზიანებისა, მგონი შეუძლოდად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთის კედლის ეს ქვემო სართული ერთი ოსტატის ხელითაა შესრულებული.


¹ ნაწერი ნუსხურია. ამ მინიატურის მითითებისათვის მეცნიერების დამსახ. მოღვაწის ი. სონ დულაშვილს მადლობას მოვახსენებ.



ამგვარი ეს მხატვრობა, რომელიც კათალიკოზის ნიკოლოზ ამილანის ხორის ბრძანებით შეუსრულებიათ მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველზე“ მე-17 ს-ის მიწურულში. ბუნებრივია, რომ ჩვენ ისტორიულ სცენათა ციკლით დაინტერესდით, და არა საღმრთო წერილის საყოველთაოდ გავრცელებული სიუჟეტებით: ეს ციკლი ქართული ისტორიული წყაროების მიერაა შთაგონებული და ჩვენი წარსულის ფრიალ მნიშვნელოვანს (თუმც ნახევრად ლეგენდურ) მოგვლენებს შეიცავს.

„ქართლის მოქცევის“ მატთან და წმ. ნინოს ცხოვრება, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთს შეეხება, მრავალ ისტორიულ ფაქტს მოგვითხრობს და ბევრ სიუჟეტს იძლევა. მაგრამ „სვეტის“ მხატვრობა — ეს ზემოთ დაინახეთ — ძირითადად მხოლოდ ერთი უმთავრესი ამბის, უშუალოდ ქართლის გაქრისტიანების, გარშემოა კონცენტრირებული. მთავარი მოქმედი პირები, ბუნებრივია, საქართველოს „განმანათლებელი“ ნინო და პირველი ქრისტიანი მეფე — მირიანი არიან და, იქნებ, კიდევ უფრო მთავარიც — თვით სასწაულთმოქმედი „სვეტი“, ღერძი მოთხრობისა. მხატვარს გამოტოვებული აქვს ტექსტში მოთხრობილი არა მარტო ის გვიანდელი ამბები, რომელთაც წმ. ნინოსა და სვეტთან უკვე აღარა აქვთ უშუალო კავშირი, არამედ ჯერბის აღმართვა და მათი სასწაულებიც კი. „საუფლო კვართის“ ისტორია მხოლოდ „გაკვრითა“ წარმოდგენილი — „ჯვარცმის“ ელიოზის სახით, „კვართი“, ასე ვთქვათ, მხოლოდ პროლოგია მთავარი მოთხრობისა; მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ მხატვარი თავისი კონკრეტული, ქართული მასალით შეიქრა საუფლო დღესასწაულის კანონიზებულ სცენაში, დიდად საყურადღებოა.

აღვლი შესამჩნევია იყო; რომ შერჩეულ სიუჟეტთა განლაგებაშიც მხატვარი თავისუფლებას იჩენს და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას არ იცავს: თუ სამხრეთის კედელი მირიანის „მოქცევისადმი“ მიძღვნილი, აღმოსავლეთისაზე შეთავსებულია ის, რაც ამ ფაქტს წინ უძღოდა (ნინოს ლოცვა არმაზთან, სნეულის განკურნება) და ის, რაც მას შემდეგ მოხდა (აგებული ტაძარი, საბერძნეთიდან „გამოწერილი“ სამღვდლოება). მიუხედავად ამისა, რაღაც ლოგიკა სიუჟეტთა განთავსებაში მაინც ჩანს: ქვემო რეგისტრი ნინოს, სვეტსა და მათს სასწაულებს უჭირავთ: წმ. ნინო ანგელოზთა მიერ ამაღლებულ სვეტთან (იქნებ დამის ლოცვა იყოს პაერში დაკიდული სვეტის წინაშე? ან იქნებ ეს, ასე ვთქვათ, „ფრონტისპისია“?), ისევ წმ. ნინო, რომელიც მთასთან ლოცულობს ხალხის თანდასწრებით, მეფე-დედოფალი სვეტთან (ანგელოზს აქაც „სასწაულებრივი“ ელემენტი შემოაქვს), განკურნება, კვლავ ნინო არმაზთან და კვლავ სასწაულებრივი განკურნება. ზემო რეგისტრში — მირიანი და მისი ღვაწლია წარმოდგენილი: მის მიერ ახალი სარწმუნოების აღიარების მომენტი — მის მიერ აგებული პირველი ქრისტიანული ეკლესია — ქართლის მოსანათლავად მის მიერ მოწვეული სამღვდლოება. სვეტსა და ნინოს ამ რეგისტრში ადგილი აღარ აქვთ. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ახლა ძნელია სრული სურათის წარმოდგენა სიუჟეტთა შერჩევის თვალსაზრისით, რადგანაც ჩრდილოეთის კედელს, სადაც თანხი ამგვარივე კომპოზიცია უნდა ყოფილიყო, ჩვენ არ ვიცნობთ.




ცალკეულ სცენათაგან, ზოგიერთი, ტექსტის გარკვეულ, კონკრეტულ ადგილთანაა დაკავშირებული (მირიანის დაბრუნება ნადირობიდან, სწეულის განკურნება, ნინო არმაზიან და სხვ.), ზოგი კი უფრო თავისუფალი კომპოზიციანია, რომელიც მატანეთა მოთხრობის ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ არც უშუალოდაა მითითებული: მაგ. მირიანის მიერ ბერძენ სამღვდლო პირთა შეხვედრა, მეფე სვეტიცხოვლის ტაძრის წინაშე. ასევე, მხატვარს წვრილმანებშიაც არ შეუზღუდავს თავი და არ ცდილა ზუსტად დაეცვა ტექსტის მითითებანი: როგორც აღენიშნეთ, განკურნების სცენას იგი „სამოთხეში“ კი არ ათავსებს, არამედ ტრადიციული, მისთვის უკვე ცნობილი არქიტექტურის ფონზე; სამღვდლოების შეხვედრის სცენაში იგი მირიანის უკან მის ძეს რეეს ხატავს, თუმცა საამისო მითითებაც არ არის ტექსტში, და სხვ.. მხატვარი კარგად იცნობს დასასურათებელ მასალას, იგი არაა მიჯაჭვული ტექსტის ცალკეულ ადგილთან, იგი უფრო ზოგად, თავისუფალ ხედვასაც ახერხებს, რა თქმა უნდა, სიუჟეტების შერჩევაშიაც და იკონოგრაფიულ საკითხებშიაც, ნიკოლოზ კათალიკოსი იქნებოდა მთავარი კონსულტანტი მხატვრებისა. მაგრამ ფრესკების განხილვისას ბუნებრივად შეიძლება დაისვას ასეთი საკითხიც: რამდენად ორიგინალურია ეს კომპოზიციები, უფრო სწორად, რამდენად დამოუკიდებელი იყვნენ გრიგოლ გულჯავარას შვილი და მისი თანაშემწეები? იქნებ აქვე, სვეტიცხვე, მანამდეც არსებობდა ამავე სიუჟეტების შემცველი მხატვრობა და გულჯავარას შვილმა მხოლოდ გაიმეორა იგი? ცალკეული ელემენტები მხატვრობისა, ამ აზრის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, რადგანაც ეს დეტალები გვიანდელ ხანას მიეკუთვნება: უბირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ისლამური ტიპის ნიშის გამოხატულება „სვეტიცხოვლის“ ტაძრის სამხრეთის ფასადზე („მირიანი ტაძართან“). ეს ნიში ბოლო ეპოქის მიეკუთვნება და ძალიან საექვოა, მე-17 ს-ზე აღრინდელი იყოს. შემდეგ, რა თქმა უნდა, დამახასიათებელია სამოსელისა და ცხენების მორთულობის ნაწილები: მაგ. სამეფო გვირგვინის ისეთი ფორმა, რომელიც რამდენიმეჯერ მეორდება „სვეტის“ ფრესკებში (დაბალი და ზემოთკენ გადაშლილ-გაფართოებული, შუაში ამოზნექილი ზემო ხაზით), განსაკუთრებით დამახასიათებელი სწორედ მე-16-17 ს-თა ეპოქისთვისაა;¹ ამავე ხანებშია უფრო მოსალოდნელი ჩალმის გამოხატულება (მირიანის მსლებლები). მაგრამ თუ ამ სახის გვირგვინსა და ჩალმას მაინც ვერ ჩავთვლით მხოლოდ ამ საუკუნეთა საკუთრებად და შეიძლება იშვიათად უფრო ადრეც შეეხვდეთ, ცხენის მორთულობა—ყაჯარი, კერძოდ, ამ ფორმისა, ამ ხანაზე (მე-17 ს-ზე) ადრე არაა დადასტურებული.² ამ ელემენტებს, მაშასადამე, ოსტატი უფრო

¹ იხ. მაგ. მეფეთა (თეიმურაზ I, ლევან და ალექსანდრე კახთა მეფეები) გამოხატულება დავით გარეჯის ერთ-ერთი გულჯრისა (MAK, VII, ტაბ. III), იმერეთის მეფის ბაგრატის პორტრეტი ხარხმაში (თაყაიშვილი, AOPS, I, 39).

² ამ ცნობის მოწოდებისათვის იხ. სონდულაშვილსა და ქ. დავითაშვილს მადლობას მოვასწენებ.





აღრინდელი მხატვრობიდან ვერ გადმოიღებდა და, ეს კი უთუოდ ანგარიშგასაწევი დასმული საკითხის გადაწყვეტის დროს¹.

ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა იყოს პასუხი, „სვეტის“ მხატვრობის შესახებ ჩვენ შემდეგი მინიმუმ შეგვიძლია ვთქვათ:

ა) ეს კომპოზიციები, რომლებიც ქართლის მოქცევისა და წმ. ნინოსადმი მიძღვნილი, ღრიგინალურს, ქართულ ნაიდაგზე აღმოცენებულ ციკლს ჰქმნის: ამ თვალსაზრისით ისინი სხვა ორიგინალურ ციკლთა (მაგ., დავით გარეჯელისადმი მიძღვნილი) გვერდით შეგვიძლია დავაყენოთ. მისი თავდაპირველი ავტორის დადგენის საკითხი, არსებითად, გულჯავახაშვილისა და მისი გუნდის დამსახურების გასარკვევად საინტერესოა და არა ამ ციკლის მნიშვნელობის გამოსამკლავებლად.

ბ) „სვეტის“ ფრესკები ეპოქის დამახასიათებელ ძეგლს წარმოადგენს: ეს მცირე სურათები, ეს წერილი, საოცრად წაგრძელებული, მყიფე ფიგურები, „მინიატურული“ ტექნიკა, ცოცხალი, მაგრამ დაქუცმაცებული ხუროთმოძღვრული ფონი—მაქსიმალურადაა დაშორებული მომწიფებული შუასაუკუნეების ქეშმარიტ მონუმენტალურ სტილს, რომლის შექმნაშიაც კლორიტის სიღრმეა და სიმძლავრესაც არამცირე ადგილი ეჭირა. იმავე დროს, საინტერესოა ისიც, რომ ამ მხატვრობაში რამდენიმე მანერა მქლავდება: როგორც ჩანს, თვით ამ დროსაც კი, როცა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი საფრესკო მხატვრობა თავის ბუნებრივ აღსასრულს უახლოვდებოდა, ყველაფერი გაერთვარებული და სტანდარტული მინიმუმ არ ყოფილა, ოსტატის ინდივიდუალობა, სახელოსნოს ტრადიცია რაღაც სახეს მინიმუმ ინარჩუნებდა.

ქართული ფრესკების შემდგომი, დაწვრილებითი შესწავლა დაგვანახებს, როგორ მიადწია ჩვენმა მხატვრობამ ევოლუციის ამ სტადიას. ხოლო როცა გვიანი ეპოქის მრავალრიცხოვანი ძეგლები დეტალურად იქნება გამოკვლეული და განზოგადებულ დასკვნათა ჯერიც დადგება, „სვეტიცხოვლის“ მოხატულობაც უთუოდ ანგარიშგასაწევი იქნება, როგორც თავისი დროის ტიპური ნაწარმოები.

¹ შეიძლება უგულვებელსაყოფი არ იყოს ისიც, რომ დასავლ. კედელზე გამოხატულ „სვეტზე“, რომელიც აწინდელი ნაგებობის რეალურ ფორმებს ასახავს, ძალიან გულმოდგინედაა ნახევრები ქვის, თუ აგურის წყობა, ვ. ი. „სვეტი“ მოუხატავდაა წარმოდგენილი. იქნებ ეს მართლაც იმის მაჩვენებელი იყოს, რომ „სვეტი“ მანამდე მოუხატავი იყო.

მძ. თაყაიშვილი

ჩხარის ეკლესიის სიძველენი

1. სადგერ-ჩხარის ჯვარი, მისი წარწერები და ამ წარწერების განმარტება


სადგერ-ჩხარის ჯვარმა დიდი ინტერესი აღძრა მკვლევართა შორის და სხვადასხვა აზრი გამოიწვია მის წარწერებში მოხსენებულ ისტორიულ პირთა შესახებ. საქმე ის არის, რომ პროფ. ილია აბულაძემ და ქრისტინე შარაშიძემ 1941 წელს გამოაქვეყნეს ახლად აღმოჩენილი საინტერესო ქება ანუ ოდა სადგერის წმიდა გიორგის ჯვარისა¹. რუსთველური შაირით დაწერილი ეს ქება ეკუთვნის დეკანოზს სვიმონ შოთასძეს, ანუ შოთასშვილს. ქებიდან ირკვევა, რომ შოთასძენი თავიდანვე ყოფილან მსლებელნი და მცველნი ხსენებული ჯვარისა და მისი დეკანოზები. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ჯვარი ყოფილა თავდაპირველად ხორანთას, რომელიც მდებარეობს ბოლნისსა და დმანისს შუა, მაშავერის მარცხენა ნაპირას; შემდეგ სამცხეს, სადგერში; მერმე ქართლს, ატოცში, და ბოლოს იმერეთს, ჩხარში². დანამდვილებით არ ვიცით, რომელ წელს გადმოიტანეს ჯვარი ატოციდან ჩხარში, მაგრამ 1650—1652 წ.წ. რუსეთის ელჩებს, სტოლნიკ ტოლოჩანოვსა და დიაკ ივვლევს უკვე უნახავთ იგი ჩხარში და ისინი ასე აღწერენ მას: „ჩხარის ეკლესიაში, აღსავლის კარებთან დგას ჯვარი, სიმაღლით 2 არშინი, მოოქრული ვერცხლით შემოსილი. მის ოქროს უჯრაში ინახება მთავარ-მოწამის გიორგის ნაწილები (ძვალი, თავის ქალა), ხოლო სახურავზე არის მომცრო კაკლის ოდენა ალმასის ქვა, ოქროთი მოწახნაგებული (камень алмаз величиной в небольшой грецкий орех, граненный в золоте³).

სადგერში ოდის ავტორს დეკანოზ სვიმონს და მის ძმას ბასილს, ოდის ცნობების მიხედვით, დიდი სამსახური გაუწევია ჯვარისათვის და სადგერის ეკლესიისათვის (მისთვის კარიბჭის მიშენებით) და ეს აღნიშნულია თვით ოდაში. ოდის გამოცემელთა აზრით, როგორც ქება, ისე მთელი სადგერ-ჩხარის ჯვარის შექმნევა ეკუთვნის მე-15 საუკუნეს, ათაბაგ ყვარყვარე III დიდის დროს, ხოლო შოთასძეთა გვარი შოთა რუსთველიდან მომდინარეობს და, მაშასადამე, შოთას ხსენება და ცნობა, რომ იგი მესხეთიდან იყო, ეხლა ჩვენ უკვე მე-15 საუკუნეშიც მოგვეპოვება, ამდენ ხანს კი ამგვარი ცნობები მე-17—18 საუკუნეშიც მოგვეპოვება.

¹ И. В. Абуладзе и Х. Т. Шарашидзе—К вопросу об имени и родине Руставели.—საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. II, № 7, 1941.

² ვახუშტი—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლიბოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 53.

³ М. Полиевктов—Посольство Столыпина Толочанова и Дьяка Исвлева в Имеретию.—Тифлис, 1926; стр. 81.



ნის ძეგლებში მოგვეპოვებოდა მხოლოდ. ეს აზრი აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ უარყო თავის რეცენზიაში ოდის შესახებ; ქება სცნო მე-16 საუკუნის, ალბონების ხანის, ნაწარმოებად და დაკავშირება შოთას-ძეთა გვარისა შოთა რუსთაველიდან—მიუღებლად (იხ: ლიტერატურული ძიებანი, I, გვ. 175—177). მაგრამ, ამასთანავე კ. კეკელიძემ ჯვარის არც ერთი წარწერა და არც ერთი მათში მოხსენებული ისტორიული პირი მე-15 საუკუნისად არ სცნო, არამედ მე-16 საუკუნეს მიაწერა. კ. კეკელიძეს ყველა წარწერა არ გაურჩევია; ის მოკლედ იხსენიებს მხოლოდ ერთ-ორ მათგანს. მას აინტერესებდა უმთავრესად დრო ოდის წარმოშობისა და ამით აიხსნება მისი არა-სწორი დასკვნა წარწერაში მოხსენებულ ზოგიერთ პირთა ვინაობისა და დროს შესახებ.

აკადემიკოსი კეკელიძის აზრს, რომ ოდაცა და ყველა წარწერაც მე-16 საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის, მხარი დაუჭირა ტ. რუხაძემ, რომელიც გუჯრებიდან ამოღებული ცნობებით ასაბუთებს ამ აზრს (ლიტერატურული ძიებანი, III, გვ. 379—381).

1920 წლის ზაფხულში, დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური მიზნით მოგზაურობის დროს მე, რა თქმა უნდა, ჩხარიც მოვიწახულე, რათა შემესწავლა და აღმეწერა მისი ეკლესიის სიძველენი. თან მახლდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფოტოგრაფი, სპეციალისტი თეოდორ კიუნე.

ჩემი ყურადღება, ყველაზე უწინ, მიიქცია ჩხარის ეკლესიის მთავარმა განძმა, კანკელის წინ დასადგმელმა დიდმა ჯვარმა. ჯვარის სიმაღლე უქუდოდ, 2 მეტრი და 30 სანტიმეტრია, სიგანე—1 მეტრი და 6 სანტიმეტრი. ქუდი ჯვარს ორი აქვს; ერთი, უფრო ძველი, სიმაღლით 30 სანტიმეტრია, ხოლო მეორე, გვიანი დროისა, უფრო მაღალია და ჯვარით თავდამშვენებული. ჯვარის ხე ძელქვა უნდა იყოს და ერთობ მძიმეა. ჯვარი შექმნილია ოქროთი დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც ამობერვით გამოხატულია მრავალი ფიგურა.—სურათების შინაარსის ამხსნელი და აგრეთვე ისტორიული წარწერებითურთ.

ჩვენ ჯვარი ეკლესიიდან გარეთ გამოვიტანეთ, დეტალურად გადმოვიღეთ ფოტოთი ყველა სურათები (საერთო სახე ჯვარისა—ქუდითურთ იხ. ტაბ. 1, უქუდოთ—ტაბ. 2) და გადმოვწერეთ წარწერები. ამას ეხლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ჯვარს ჩვენს შემდეგ ზიანი განუცდია და იმ სახით აღარ მოულწევია მუზეუმში, როგორითაც ჩვენ ვნახეთ. ამ ზიანს ჩვენ თავ-თავის ადგილას ყველას შეგვხვებოდა; ახლა კი აღვსუსხავთ სურათებს და გავარჩევთ წარწერებს. ვიმედოვნებთ, რომ ეს შუქს მოჰფენს ყველა საკითხს, რომელნიც კი ამ ჯვარს და მის ქებას აღუძრავს.

მთელი ჯვარის მორთულობა, ფირფიტები და მათზე მოთავსებული ფიგურები ოთხ ჯგუფად შეიძლება გავყოთ. ჩვენდა საბედნიეროდ, თითოეული ჯგუფის ბოლოში მოიპოვება წარწერა, რომელიც გვამცნევს, თუ ვისი მეოხებით ანუ რომელი ოქრო-მჭედლის ხელით არის ჯგუფი გაკეთებული.

პირველ ჯგუფს ეკუთვნის ჯვარის ცენტრში მოთავსებული ვედრების სურათის ფიგურა და 13 საუფლო დღეთა სურათები (იხ. ტაბ. 3). ვედრების

შიომღვიმის მონასტრის გუჯრები: № 12, რომელშიც სწერია: „მე, პატრონმა...
 ყვარყვარე და თანამემცხედრემან ჩემმან პატრონმან ანა: და ძეთა ჩუენთა...
 ტრონმა მზექაბუჯ და პატრონმან ქაიხოსრო (შეოგწირეთ)“...; ბ № 14, რომელშიც სწერია: „მე, პატრონმან ყვარყვარე და თანამემცხედრემან ჩემმან პატრონმან ანა...“ (იხ. თ. ჟორდანიას „შიომღვიმის საბუთები“, გვ. 48—49) აგრეთვე ერთი ხატის წარწერაში, რომლის პირი პეტრე ქებაძეს მიუწოდებია ბროსესათვის მოხსენებულნი არიან: ყვარყვარე, მისი თანამემცხედრე ანა და ძენი ქაიხოსრო და მზექაბუჯ (H. C II, 1, 211, n. 2).

სხვა მრავალ დოკუმენტში ყვარყვარე III მეუღლედ დედის-იმედია მოხსენებული და, დ. ბაქრაძის აზრით, ანა მეორე სახელი იყო დედის-იმედის. ამის მიხედვით გამოდის, რომ ანა და დედის-იმედი ერთის და იმავე ყვარყვარე III მეუღლის სახელია. ამას თ. ჟორდანიაც ამოწმებს, როდესაც დ. ბაქრაძის „გურია-აქარაში მოგზაურობის“ ჩვენებით, სწერს. „ბევრი საბუთები გვაქვს იმისა, რომ ყვარყვარეს ცოლის „დედისიმედის“ ნამდვილი სახელი ყოფილა ანაო („შიომღვიმის საბუთები“, გვ. 48). მაგრამ ვინც კარგად დაუყვირდება არსებულ მასალებს, ადვილად შენიშნავს, რომ ყვარყვარე III დიდს ორი ცოლი, ჰყოლია: პირველი ყოფილა ანა ანუ ანა, იგივე ანაი, და მეორე—დედისიმედი. პირველი ცოლისგან მას შეძენია ორი შვილი: ქაიხოსრო და მზექაბუჯ, ხოლო მეორე ცოლისგან, დედისიმედისგან, როგორც სხვადასხვა წყაროდან ირკვევა, შვიდი შვილი ჰყოლია: ბაჰადურ, თამარ, იანქო, ორაგეანდა, მანუჩარ, მართალიხონ და გულბუდახ. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თუ ყვარყვარე თავის მეუღლედ ანასთან ერთად არის დამოწმებული დოკუმენტებში და მათთან მათი შვილებიც არიან მოხსენებულნი, ესენი უსათუოდ მარტო ქაიხოსრო და მზექაბუჯია და არცერთი სხვა შვილის სახელი არ ემატება.

ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით გავარკვიოთ, თუ როდის შეურთაეს დედის-იმედი ყვარყვარეს. საქმე ის არის, რომ პირველი შვილი ყვარყვარესი და დედისიმედისა არის ბაჰადური. ბაჰადურის გარდაცვალება ზედმიწევნითაა აღნიშნული დოკუმენტებში, რომელთა მიხედვითაც ჩანს, რომ ბაჰადური გარდაცვლილია 1774 წლის 10 ოქტომბერს, როდესაც იგი ყოფილა 21 წლისა. მასთანამე, იგი დაბადებულია 1453 წ. თუ ყვარყვარემ, ჩვეულებისამებრ, ერთ წელს იგლოვა ანა, მაშინ დედისიმედი მას უნდა შეერთო 1451 წელს. თუ ასე არ იყო, მაშინ დედისიმედთან მისი შეუღლება 1452 წელს უნდა მიეწეროს. ასეა თუ ისე, ყვარყვარეს მიერ მეორე ცოლის შერთვა 1451 თუ 1452 წელს მოდის.

ყველა ამ საბუთის მიხედვით გამოდის, რომ უარყოფა იმისა, რომ ჩვენს წარწერაში მოხსენებული ყვარყვარე არის ყვარყვარე III დიდი, შეუძლებელია, ამას კიდევ უფრო მეტად და უფაოდ ამტკიცებს ჩვენს მიერ ჩვენით მოყვანილი წარწერა, სადაც მოხსენებულია ბაჰადური, რომელიც არის ყვარყვარე III შვილი, ხოლო სხვა ათაბეგი ბაჰადური ჩვენს წყაროებში ცნობილი არ არის. განვიხილოთ ეხლა სხვა სურათები ამ პირველი ჯგუფისა, რომელნიც შეიცავენ 13 საუფლო დღესასწაულის გამოხატულებას.

საუფლო დღესასწაულების რიცხვი საეკლესიო პრაქტიკაში ექვსიდან დაწყებული თანდათან იზარდებოდა და მე-12 საუკუნეში თორმეტამდე ავიდა. ხოლო მე-14 საუკუნეში მათ ერთი კიდევ მიემატა და გახდა 13¹. მე-12 საუკუნის ნუსხასთან შედარებით ჩვენს ჯვარზე მიმატებულია ერთი: გარდამოხსნა ჯვარიდან იესო ქრისტესი.

¹ Gabriel Millet—„L. Iconographie de l'evangile“. Paris, 1916, p.—26.

სურათების რიგი ასეთია, ზემო მკლავზე: 1) ხარება; 2) შობა; 3) მირქმა; 4) ნათლისღება (იხ. ტაბ. 3, 4). მარცხენა მკლავზე: 5) ლაზარეს აღდგინება; (ტაბ. 3); იერუსალიმში შესვლა; 7) ჯვარცმა (ზემოთ ორი ანგელოზი, მარცხნივ საძი დედაკაცი, შუაში ღვთისმშობელი, ხოლო მარჯვნივ იოანე და ერთი მხედარი; ჯვარცმას აწერია: „იესო ქრისტე მეუფე ჰურიათა“). მარჯვენა მკლავზე: 8) გარდამოხსნა ჯვარიდან ქრისტესი; 9) აღდგომა; 10) ამალღება (იხ. ტაბ. 3, 4). ქვემო მკლავზე: 11) ღვთისმშობლის მიძინება; 12) სულიწმინდის მოფენა; 13) ფერისცვალება (იხ. ტაბ. 3, 4).

ამით თავდება ათსამეტ საუფლო დღესასწაულთა ჯგუფი და ამას ქვემოთ არის ასომთავრული (იხ. სურ. 3), წარწერა:

სურათების რიგი ასეთია, ზემო მკლავზე: 1) ხარება; 2) შობა; 3) მირქმა; 4) ნათლისღება (იხ. ტაბ. 3, 4). მარცხენა მკლავზე: 5) ლაზარეს აღდგინება; (ტაბ. 3); იერუსალიმში შესვლა; 7) ჯვარცმა (ზემოთ ორი ანგელოზი, მარცხნივ საძი დედაკაცი, შუაში ღვთისმშობელი, ხოლო მარჯვნივ იოანე და ერთი მხედარი; ჯვარცმას აწერია: „იესო ქრისტე მეუფე ჰურიათა“). მარჯვენა მკლავზე: 8) გარდამოხსნა ჯვარიდან ქრისტესი; 9) აღდგომა; 10) ამალღება (იხ. ტაბ. 3, 4). ქვემო მკლავზე: 11) ღვთისმშობლის მიძინება; 12) სულიწმინდის მოფენა; 13) ფერისცვალება (იხ. ტაბ. 3, 4).

სურ 3.


უქარაგმით იკითხება ასე:

„ქ. შეწვევით(ა) ღვთისაჲთა სრულ იქმნა იგ საუფლო ჳელითა ოქრო-
მკედლის მამნესით, შეუნდნეს ღრმერთმან მამნეს და მისსა მეუღლეს უღუმისჲ.

როგორც ზემო მოყვანილი, ისე ეს წარწერა ცხად-ჰყოფს. რომ ცენტრში მოქცეული ვერცხვის სურათი და 13 საუფლო დღესასწაულთა სურათები შესრუ-
ლებულია ათაბაგი ყვარყვარე III დიდის თაოსნობით და ოქრომკედლის მამნეს
ხელით, მე-15 საუკუნეში. ოქრომკედელი მამნე ცნობილია სხვა ხატ-ჯვრების
წარწერებიდანაც. მაგალითად, ბარაკონის ეკლესიაში (რაჭაში) დაკულია კან-
კელის წინ დასადგმელი ჯვარი, რომელიც ჩვენ აღწერილი და ფოტოთი გადა-
ღებული გვაქვს. ეს ჯვარიც შემკობილია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებ-
ზედაც წარმოდგენილია: შუაში ჯვარცმა, ზემოთ მაცხოვარი ტახტოსანი და
მთავარ-ანგელოზი. მარჯვენა და მარცხენა მკლავებზე ღვთისმშობელი, იოანე
ნათლისმცემელი, წმიდა გიორგი დიოკლეტიანეს წინაშე და წმ. გიორგის შო-
ლტით ცემა; ქვემო მკლავზე: ლოდის დაღება წმ. გიორგიზე, წმ. გიორგის კი-
რში ჩასმა და დიდი სურათი ქვეითი, შუბოსან-ფარიანი წმ. გიორგისა. ჯვარს
აწერია ასომთავრულით: „წმიდაო გიორგი, შეიწყალე ოქრომკედელი მამნე მე-
ცხედრითურთ“. გ. ბოქორიძემ ეს ჯვარი მე-12 საუკუნის ნაწარმოებად სცნო.
(„საქ. მუზეუმის მამბე“, VII, გვ. 249).

შემოქმედის მონასტრის მიძინების ხატის კუბოს შიგნით ვერცხლის ფურ-
ცელზე მოთავსებული, გიორგი კავკასიძის წარწერის ბოლოს ვკითხულობთ: „მი-
ძინების ხატო, მიშველე ოქრომკედელს მამნეს და მეუღლესა ჩემსა¹“. ამას გა-
რდა, მამნეს და მისი მეუღლის უღუმის ანუ უღუმპიას სახელები გელათის სა-
მწყსოს ერთ-ერთი ჯვარის ბურთებზედაც იკითხება. თვით ეს ჯვარი მერმინ-

¹ იხ. ჩემი „Археологические экскурсии, разыскания и заметки“ ტ. I, გვ. 72. დიმი-
ბაქარაძეს თავის „Путешествие-ში ეს წარწერა არა აქვს.



დელია, ევდემონ ჩხეტიძის დროისაა (მე-16 საუკ.), მაგრამ ბურთი უფრო ძველია, მე-15 საუკუნიდან არის დაცული (იხ. ბროსეს „Rapport... XI“, გვ. 17).

ეს ფაქტები ცხადყოფენ, რომ მამნე ოქრომკედელი დიდად ცნობილი ოსტატი ყოფილა მე-15 საუკუნეში.


სადგერ-ჩხარის ჯვარი, როგორც აღვნიშნეთ, განთქმული იყო წმ. გიორგის ნაწილებით და სასწაულო მოქმედად ითვლებოდა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ იგი წმ. გიორგის ცხოვრების და წამების სურათებითაც შეემკოთ და მართლაც შეუმკიათ. ჯვარის ქვემო მკლავის 13 საუფლო სურათიდან დარჩენილი ნაწილი მოცულია ფიგურებით, წმ. გიორგის წამების სცენებით და ეს შეადგენს მეორე ჯგუფს ჯვარის სურათებისას.

სცენები ასეთი რიგით მიჰყვება ერთმანეთს:

1. „დეოკლეტიანე მეფის წინაშე წარადგინეს წმიდა გიორგი“.
2. „აქა ზროხის ძროით სცემა წმ. გიორგის“.
3. „აქა საპრობილეში ქვა დასდევს წმიდას გიორგის“.
4. „აქა კირში ჩასვეს წმიდა გიორგი“.
5. „აქა ურმის თუალს დააკრეს წმიდა გიორგი“.
6. ანგელოზს გამოჰყავს საპრობილიდან წმიდა გიორგი.
(წარწერა ბერძნული, არ გაირჩევა) (იხ. ტაბ. 3, 5, № 1).
7. წმ. გიორგის ორი მხედარი ჩხვლეტს ნესტარით (იხ. ტაბ. 5, № 2).
(წარწერა ბერძნული არ გაირჩევა).

8. ეს ფირფიტა თავისი სურათებითურთ წარმოადგენდა სახურავს მეორე ღრმად ამოჭრილი სანაწილისა (ტაბ. 5, № 1), მაგრამ ფირფიტა ნაწილობრივ დამტვრეულია და ფიგურებიც ნაწილობრივ-და არის დაცული: ზემოთ მოჩანს მხედრის ფიგურა, რომელსაც მალა აწეულ ხელში ხმალი უპყრია, ესეც არის ვისმე უნდა დასცეს. ქვემოთ გვხვდა თავმოჭრილი წმ. გიორგი, რომელზედაც ხელგაშვებით უთითებს მარცხნივ მდგარი ქალი. კარებზე დაზიანებული ასომთავრული წარწერაა:

„წლო: გ
 — „ — შჳ ლმ
 — „ — აქა: შეწვთა მე
 დამრჩა ნი: დ
 მსტ ხრჯთ შვა
 ქდნე: გ სს კრ
 ი: რთ მეხ
 მქმს მე
 ბდრს
 ორს „



ქარაგმებს თუ გახსნით ზოგიერთი სიტყვა ნათლად იკითხება წარწერაში: „წმიდაო გიორგი . . . აქა შეწყენითა . . . მე დამრჩა . . . და მისითა ხარჯი (თა) შევაქედინე . . . კარი, რათ (ა) შემწოდ მექმნეს მე ბაადურს ორს (ავ ცხორებასა შინა)“.

ამ წარწერიდან შეიძლება ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ წმიდის გიორგის წამების სურათები ბაადურის ხელმძღვანელობით გაუკეთებიათ, მაგრამ სანაწილე კარი შეუქედელი დარჩენილა და შემდეგ მისივე, (უნდა ვიფიქროთ, ყვარყვარე დიდის), ხარჯით შეუქედინებია იმავე ბაადურს, რათა წმიდა გიორგი მას „შემწე ექმნეს ორსავე ცხორებასა შინა“. ეს წარწერიანი ფირფიტა ეხლა ათარ არსებობს. იგი მოუძარცვავთ.

როგორც აღენიშნეთ, ბაადური 1453 წელს დაიბადა და 1474 წ. გარდაიცვალა, როდესაც 21 წლისა გახდა. ჯვარის შექედვას მას ვერ მიანდობდნენ, მანამ 16—17 წლის მაინც არ იქნებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ მან ეს ჯვარი დაახლოებით მე-15 საუკუნის 70-იან წლებში შეაქედინა. პირველი ჯგუფის ფეხურების შექედვა კი მანამდე უკვე დამთავრებული ყოფილა. ამასთანავე უნდა ვიფიქროთ, რომ წმიდა გიორგის წამების სურათებიც იმავე ოქრომჭედელს მამნეს უნდა ეკუთვნოდეს, რომელმაც 13 საუფლო დღესასწაულის სურათები გამოსჭედა. ამის ცხადად მაჩვენებელია ერთგვარობა ორთავე ჯგუფის სურათების სტილისა.

როგორც დავინახეთ, სურათების მეორე ჯგუფი შეიცავს წმ. გიორგის წამების სცენებს, მაგრამ წმ. გიორგის ისეთ შესანიშნავ ჯვარზე, როგორც სადგერ-ჩხარის ჯვარია, საჭირო იყო წმ. გიორგის გმირობის და სასწაულთა სცენების წარმოდგენა და ისინი წარმოდგენილიცაა სურათების მესამე ჯგუფში.

ამ ჯგუფს შეადგენს წმიდა გიორგის ოთხი სურათი: ორი ზემოთ და ორი ქვემოთ. ყველა ამ სურათზე წმ. გიორგი ცხენითა და შუბით არის წარმოდგენილი. იგი ყველგან ძლევაშისილია, სცენები ლამაზი ნახელავია (იხ. ტაბ. 6), ზემო ნაწილის ორთავე წმ. გიორგის ქრისტეს მარჯვენა აკურთხებს სფეროდან. შუაში მრგვალ ჯოხზე დამაგრებულია მედალიონი, რომელსაც აწერია: „წმიდა გიორგი სადგერი(სა)“.

ზედა ნაწილის პირველი წმიდა გიორგი შუბით გმირავს ცხენოსანს მეფე დიოკლეტიანეს, ეს იშვიათი მოვლენაა წმ. გიორგის კომპოზიციაში: ჩვეულებრივ წმ. გიორგი ქვეითად მყოფ დიოკლეტიანეს გმირავს ხოლმე. სურათს აწერია: „აქა დეოკლეტიანე მეფე მოკლ(ა) წმიდამან გიორგი“. ამ ნაწილის მეორე წმ. გიორგი ვეშაპს გმირავს. მას უკან ცხენზე შემოჰჯდარი ჰყავს მის მიერ განთავისუფლებული ტყვე. წარწერა ასე იკითხება: „აქა ბოლორითით ტყუე მოიყვანა წმიდამან გიორგი“. ქვემო ჯგუფის პირველი წმ. გიორგი ხმლით ჰკლავს ვეშაპს და წარწერაც ამას ამბობს: „აქა ვეშაპი მოკლა წმიდამან გიორგი“. მეორე წმიდა გიორგი წარმოდგენილია ხმალამოწყვდილი, მის მიერ გადარჩენილი მიფის ასულითურთ, რომელიც საბელით მოათრევს გიორგის მიერ მოკლულ ვეშაპს. სფეროდან წმ. გიორგის ლასია ქალაქის კლიტეს აწვდიან. წარწერა ასე იკითხება: „აქა ვეშაპისაგან ქალი იხსნა წმიდამან გიორგი. ლასია ქალაქი მოაქტია.“ (ტაბ. 6). ამის ქვემოთ, ამავე ფირფიტაზე ასომთავრული, ლამაზი, ოდნავ ხვეული წარწერაა (ტაბ. 7):

„წმიდაო გიორგი, დაიკეე პატრონი სფირიდონ და თანამეცხედრე მათი პატრონი თინათინ, და ძენი მათნი, და აგრეთვე პატრონი აბდულ-მისე და მეცხედრე მათი პატრონი გულაბნ(ავსმ, და ძე მათი აჯაბშერ, და მეცხედრე მათი პატრონი გულრდ (უ) ხ. ამათს ბატონობაშიან ჩუენა შენ თან-მოყოლილთ და შენთვის წამებულთ, შენი დეკანოზთ, შოთასშვილთა სუიმონა და ბასილმ(ა) მოგჳედეთ, რათა გვიოხო წინაშე ღვთისა, წმიდაო გიორგი“.

ამრიგად, სადგერ-ჩხარის ჯვარის სურათების მესამე ჯგუფის შექედვა ეკუთვნის დეკანოზთ სვიმონა და ბასილ შოთაშვილებს. მათ დროს სადგერის ბატონები ყოფილან მთელი რიგი, რა თქმა უნდა, სამცხის ათაბაგთა შტოსი, პირნი, რომელნიც ასე დაწვრილებით არიან ჩამოთვლილი წარწერაში. ამათგან ჩვენს ლიტერატურაში ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ, როგორც ეტყობა, მეთაური ამ შტოსისა, პატრონი სფირიდონ და მისი მეუღლე, პატრონი თინათინ. ესენი მოხსენებულნი არიან მეწიეთის ეკლესიის მარხენის ხელნაწერში, ამასთანავე თინათინს იქ ეწოდება ასული „დიდისა მეფისა ალექსანდრესი“. ესენი ხელნაწერში გარდაცვლილად არიან მოხსენებულნი, მაგრამ მათ ჰყოლიათ შვილი, პატრონი იოსაფატი. ამ იოსაფატის მეუღლის, პატრონის ქეთაონის ბრძანებით არის გადაწერილი მეწიეთის ხელნაწერი 1566 წელს (დ. ბაქრაძის „Путешествие“, გვ. 212—214). ამის მიხედვით პატრონი სფირიდონ, მისი მეუღლე თინათინ და მათი შვილი იოსაფატ და რძალი ქეთაონ მე-16 საუკუნის მოღვაწეები ჩანან. რომ ჯვარის შექედვაში მონაწილეობა სფირიდონსაც მიუღია, ეს აღნიშნულია თვით ოდაშიც:

„სფირიდონცა შეეწია, მალაღიმცა მისდა მკველად.

„შემოსწირა უძღვეარი აუწერლად და უთქმელად“ (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1941, ტ. II № 7 გვ. 687).

სფირიდონს გარდა სვიმონს და ბასილს მათ მოღვაწეობაში იმ დროის მთავარი მმართველი ათაბაგი ყვარყვარეც შესწევია; როდესაც სვიმონს განუხრახავს წმიდის გიორგის ხატის თუ ჯვარის მოქედვა, მას ყვარყვარესათვის მიუმართავს და მიუღია კიდევ უხვი შემოწირულობა.

„მოვახსენე და პატრონმან ყუარყუარეცა დამრთო ნება,

მან მიბრძანა ამ ხატისა მოქედა და გადიდება (იქვე, სტრ. 19)“.

მან შემოსწირა, მოართუა ოქრო და ვერცხლი ძღვენი (იქვე, სტრ. 20).

რა თქმა უნდა, ეს ყვარყვარე არის ყვარყვარე IV, ქაიხოსროს შვილი (1516—1536). მის დროსვე ეკუთვნის სფირიდონიც, რომელიც 1566 წელს გარდაცვლილად არის მოხსენებული. რომ ეს ყველაფერი ასეა დროის მიხედვით, ამას ცხადყოფს ქართლის მეფის ლუარსაბ I, მისი ცოლის თამარისა და ლუარსაბის ძმების, რამაზისა და აღამაზანის (?) სიგელი 1529 წლის თარიღით, ნიცემული შოთაშვილის, დეკანოზის სვიმონისა და მისი ძმების ბასილისა, ონოფრესა და გიორგისათვის. ამათ აბარებს მეფე ლუარსაბი ჯვარისადმი მის მიერ შეწირულს ნასოფლარს თურანს¹ თრიალეთში. მეორე მხრით, 1534 წელს

¹ აშვამად სოფ. ირან-თურანია.

ლი ქვისაა ხოლმე. ამ ნაწილს შექედვა არ ესაჭიროებოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში იმპოსტი მოსპობილა და ჯვარი, როგორც ჩანს საკურთხევლის ან ტაძრის ჩრდილოეთის ან სამხრეთის კედელზე ყოფილა ხოლმე წარწერით მიქულებული. სწორედ ამ დროს დაუწყიათ ჯვარის წამახვილებული ბოლოს შექედვა, რაც სხვა ამგვარ ჯვარებსაც ემჩნევა. პირველი პირის ფირფიტაზე წარმოდგენილია ჯვარცმა წინამდგომებით, რგვალ მედალიონებში, ხელობა ტლანქია (ტაბ. 8, №1). მხედრული წარწერაც შელახულია, მაგრამ მაინც შესაძლოა წაკითხვა:

„ამის ოპროსმქედელი
ვარ საპრონა (სპრონა) სარ-
გის (ანუ სერგის: სრგს) შვილი“.

მეორე გვერდის ფირფიტაზე წარმოდგენილია წმიდა გიორგი ცხენითა და შუბით (ტაბ. 8, № 2). მისი ქვემო ნაწილი მოტეხილია და არ ჩანს, თუ რას ან ვის გმირავს წმინდანი (იხ. ტაბ. 8, № 2).

ფულგარული მხედრული წარწერა აქაც გაფუჭებულია, მაგრამ ზოგი რამ მაინც იკითხება.

„წერა: . ამისი: იახოშ: მოგქედე წმიდის გიორგ(ის)
დამი: და მონაზ(ონ). მისდა კ. ჯ. შგ შგ
ბსლი: უთხრით ლის ის და:
და: დაგიწერე გოზლბეგ
ამინა:“

წარწერა მე-19 საუკუნის დამდეგს უნდა ეკუთვნოდეს.

ჯვარის ქულები


როგორც ნათქვამი იყო, სადგერ-ჩხარის ჯვარს ორი ქუდი აქვს. ერთი, ხისა, უფრო ძველია, პირამიდის მსგავსი, შექედილი მოოქრული ფირფიტებით (იხ. ტაბ. 1), რომლებზედაც წარმოდგენილია ვაზის შტოები და წმიდათა ფიგურები. ერთ მხარეს ვედრების კომპოზიცია არის, მეორე მხარეს ქვეითი წმიდა გიორგი, ამოღებული ხმლით ხელში. მაგრამ ეს ფიგურა ძალზე დაზიანებულია. წარწერა, ასომთავრული, აგრეთვე დაზიანებულია და მისი ბოლო (ჩვენ მიერ ქვემოთ ფრჩხილებში ჩასმული) აღარა ჩანს. დანარჩენი იკითხება ასე (იხ. სურ. 5, და ტაბ. 9).

„წ. მე მოსაემან თქუენმან ღꝛ მꝛ გვირგვინოა სმ(ან) ¹ მეფეთ მეფემან ლეონ და თანამეცხედრემან ჩემმა დედოფალთ დედოფალმ(ა) ბატონმ(ა) ² თ (თინათინ) (სასოებ)თა მოგქედეთ დიდის გიორგის ქუდი რ(ათა მეოხ გვექმენ ორთავე ცხორებათა)“.

აქ მოხსენებული ლეონ მეფე უნდა იყოს კახთა მეფე ლეონ II. მისი ცოლის სახელიდან მარტო ასო თ არის დარჩენილი, მაგრამ ეს უნდა ნიშნავდეს „თინათინს“. თინათინი იყო გურიელი მამია I ქალი. წარწერა უნდა ეკუთვნ-

¹ უნდა ყოფილიყო: „ღეთისა მიერ გვირგვინოსანმან“.

² ასო „ბ“ აქ გადმოზბრუნებულად სწერია.



ნოდეს 1520—1529 წ. წ., ვინაიდან ლეონი მეფედ ეკურთხა 1520 წელს კი გაეყარა ამ პირველ ცოლს, თინათინს.

ქუდი ზემოთ დაგვირგვინებულია ორი ბურთით, რომელთაგან ქვედა ვერცხლისაა, ზედა კი ოქროსი. ამ უკანასკნელზე დამყარებული იყო 34 პატიოსანი თვლით შემკული ჯვარი. ჩემსობას ჯვარი ვატეხილი იყო: მას ერთი მკლავი მოცილებული ჰქონდა და ცალკე ინახებოდა. ბურთზე არის მხედრული წარწერა:

ჩ უნდისჲნ ოქროსი ოქროსი ოქროსი
უფროსი უფროსი ოქროსი ოქროსი ოქროსი
ბრძანებულნი ოქროსი ოქროსი ოქროსი
სადაცა ოქროსი ოქროსი ოქროსი

სურ. 5.

„ქ. ჩვენ თუმანიშვილმა მანუჩარ ჩემოკწირე ეს ჯვარი ოქროსი წმიდას გიორგის სადგრიხას. ვინც გამოსწიროს, შერისხდია.“

მანუჩარ თუმანიშვილი და მისი ძმები იყვნენ მეფის მდივნები მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში. ისინი მოხსენებულნი არიან მრავალ ჭეუჭრებში¹.

სადგერ-ჩხარის ჯვარს მეორე მაღალი ქუდიც აქვს (ტაბ. 10) მოოქროული ვერცხლით შეჭედილი, ბალახ-ბუღახის მსგავსი სახეებით შემკული, ვერცხლის ბურთით და ზედ დამყარებული პატიოსანი თვლებით შემკული ჯვარით (იხ. ტაბ. 10). ქუდის სიმაღლე არის 46 სანტიმეტრი. ეს ქუდი მე-18 საუკუნის ბოლოს ან მე-19 ს. დასაწყისს ეკუთვნის.

ამრიგად, ჩვენ გამორკვეულად მიგვაჩნია, რომ სადგერ-ჩხარის ჯვარის ფირტიტები და მათზე წარმოდგენილი სურათები სხვადასხვა დროს ეკუთვნიან.

პირველი ჯგუფი, რომელიც შეიცავს შუაში ვედრების სურათს და 13 საუფლო დღესასწაულის სურათებს, შესრულებულია ათაბაგ ყვარყვარე III და მისი მეუღლის, ანას თაოსნობით, 1453 წლამდე, მაშენ ოქრომჭედლის მიერ, რომლის ცოლსაც ულუმბი ანუ ულუმბია რქმევია სახელად.

აგრეთვე გამორკვეულია, რომ ყვარყვარე III ჰყოლია ორი მეუღლე: პირველი ანა ანუ ანაჲ, რომელთანაც მას შესძენია 2 ვაჟი—ქაიხოსრო და მზექაბუჯ; მეორე—დედისიმედი, რომელთანაც ბევრი შვილი ჰყოლია, ხოლო ამ უკანასკნელთაგან უფროსი ყოფილა ბაჰადურ. ამ ბაჰადურის თაოსნობით არის

¹ იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 549, 563, 580.



ტაბ. 1
საქართველოს
საქართველოს




ԺԺ. 2



ՆԱԿԵՐԱԿ
ՅՈՑԳՈՒՄՆԵՐ








ՊՃԸ. 4
ՆԱԿԻՆԵՄԱՆ
ՅՈՑԳՈՐԴՈՒԹՅՈՒՆ







1



2








1



2



מכון תולדות ארץ ישראל
מכון תולדות ארץ ישראל





המנוחה
הקדושה

შესრულებული მეორე ჯგუფი წმ. გიორგის წამების სურათები, რომელნიც გამზადებული უნდა იყოს დაახლოებით 70-იან წლებში XV საუკუნისა.

სურათების მესამე ჯგუფი, რომელიც შეიცავს ცხენოსანი წმ. გიორგის 4 გამოხატულებას და მის სასწაულებს, გაკეთებულია სვიმეონ დეკანოზისა და მისი ძმის, ბასილ შოთასშვილების თაოსნობით, XVI საუკუნის I ნახევარში, მაგრამ 1534 წლამდე. ამავე დროს არის შეთხზული სვიმეონის მიერ ოდა ანუ ქება სადგერ-ჩხარის წმ. გიორგის ჯვარისა.

მეოთხე ჯგუფის სურათები და წარწერები ეკუთვნის XVIII—XIX საუკუნეებს.

რაც შეეხება ქუდებს, პირველი გაკეთებულია კახთა მეფის ლეონ II და მისი მეუღლის თინათინის თაოსნობით 1520-სა და 1529 წლებს შორის. ამ ქუდის ბურთზედ დამაგრებული ოქროს ჯვარი გაკეთებულია მანუჩარ მდივნის, თუმანიშვილის თაოსნობით XVII საუკუნეში. მეორე ქუდი კი ეკუთვნის უფრო ახალ დროს—XVIII საუკუნის ბოლოს ან XIX-ს დასაწყისს.

შენიშვნა:

სადგერ-ჩხარის ჯვარის მეტეხის მუზეუმში გადმოტანის შემდეგ ამ მუზეუმის მცირე ხელოვნების განყოფილების გამგეს მეცნ. დამსახ. მოღვაწეს ირ. სონდულაშვილს დაეზადებინა წერილი მის შესახებ, როდესაც მან 1945 წელს ეს წარწერები წაგვიკითხა, ჩვენ ვკითხეთ, თუ რატომ არ მოჰყავს ბაიდურის წარწერა? მან გვიპასუხა, რომ ჯვარზე არაფერია ამგვარი წარწერა არ მოიპოვებო. ვაესინჯეთ ჯვარი და ბაიდურის წარწერიანი ფირფიტა მართლაც მოძარცვული აღმოჩნდა, ისევე როგორც ზოგი სხვა ნაწილი, რომელნიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვცანით ჯვარი ისე აგვეწერა, როგორც ვნახეთ ჩხარში 1920 წელს. ი. სონდულაშვილი არა მარტო ორს, არამედ მესამეს, შოთასშვილთა წარწერასაც XV საუკუნეს მიაწერდა. ეს აზრი მას არ შეუცვლია ტრ. რუხაძის მიერ გუჯართა ცნობების გამოქვეყნების შემდეგაც.


რაც შეეხება ყვარყვარე III ცოლშვილს, ირ. სონდულაშვილსაც ანა პირველ ცოლად მიაჩნდა, დედისიმედი მეორედ, ხოლო ანის შვილებად ქაიხოსრო და მზექაბუკი. ამას გარდა, ავტორი გამოსთქვამდა მოსაზრებას, რომ ეს ძმები ტყუბები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან სხვადასხვა წყაროში ხან ქაიხოსროა პირველად მოხსენებული და ხან მზექაბუკი, რომ ისინი ტყუბები არ ყოფიყვნენ, ასეთი ცვალებადობა არ იქნებოდა, ვინაიდან პირველად ყოველთვის უფროსი შვილი უნდა იყოს მოხსენებული. გარდა ამისა, ი. სონდულაშვილი ჯვარის ქუდზე ლეონ მეფის წარწერის შესახებ ამბობდა, რადგან ლეონის ცოლის სახელისა მხოლოდ დასაწყისი ასო „თ“ შემორჩენილა, შეიძლება აქ „თა-მარი“ ვიგულისხმოდ „თინათინის“ მაგიერო.



2. ჩხარის მკლხინის ნაპარკი გარდამოხსნა

მეორე საინტერესო ნივთი ჩხარის ეკლესიისა არის ლამაზად ნაქარგი გარდამოხსნა, დამზადებული 1661 წელს. გარდამოხსნას დართული აქვს რესტრიქონიანი მხედრული წარწერა, რომელიც ამოქარგულია ატლასის აშიებზე, ორ-ორი სტრიქონის სახით. თვით გარდამოხსნა მაუღისაა, მასზე სირმით ნაქარგია გარდამოხსნისათვის ჩვეულებრივი, მაგრამ ერთობ ლამაზი სურათები: შუაში ჯვარია აღმართული ეკლის გვირგვინით, ლახვრით და ღრუბელით. კუთხეებში ადამიანთა პირისახეებით გამოხატულია მზისა და მთვარის ემბლემები, და მწუხარე ანგელოზები, თითო—მარჯვნივ და მარცხნივ. ჯვარის ქვემოთ სარეცელზე ჯვარიდან ჩამოღებული გვაშია იესო ქრისტესი, მარცხნივ ქრისტეს გვამს თავს დასტირიან ღედა მარიამი და სამი მენელმცხებელნი ღედაცანი: მარიამ მაგდალინელი, მარიამ იაკობისი და მარიამ იოსების ღედა (მათეს სახარება 27, 56). ერთს მათგანს ორივე ხელი სულ მაღლა აქვს აპყრობილი, მეორეს მარჯვენა ხელი აქვს გამოწეული, მესამე არის იოანე მახარებელთან ერთად ჯვარის მარცხნივ დახრილი პოზით გამოსახული, ისინი მტირალნი არიან. ორივეს მარჯვენა ხელი კურცხლიან თვალზე აქვს მიფარებული. მარჯვენა ნაწილზე, ქრისტეს გვამის ფეხებთან ორი მამაკაცია წარმოდგენილი: იოსებ არიმათელი და ნიკოდიმოსი. პირველი მათგანი სრულის ტანით და არდაგით ფეხზე მდგომარეა და მარჯვენა ხელი ცრემლიან თვალზე აქვს მოდებული. მეორე ნიკოდიმოსი გვამისკენ არის დახრილი. მარცხენა ხელი მას სარეცელზე უდევს. გვამის ქვემოთ მოჩანს სურის მსგავსი წყლის ჭურჭელი და აგრეთვე პატარა კალათი ალბათ ნელსაცხებელისათვის და მირონისათვის (ტაბ. 11).

წარწერის თავში არშია ცოტა მოხეულია და მას რამდენიმე სიტყვა აკლია, სხვა კარგად იკითხება; მაგრამ ამჟამად წარწერიდან აღარა ჩანს, თუ ვისი თაოსნობით იყო თავდაპირველად დაზიანებული გარდამოხსნა, ან რომელი ეკლესიის თუ ხატისათვის იყო იგი შეწირული. საქმე ის არის, რომ სახლხუცეს როსტომ ჩხეიძეს გარდამოხსნა თათრისაგან დაუხსნია ასოც მარჩილად და სადგერის ჯვარისათვის შეუწირავს, რომელიც ეტყობა, ყოველ შემთხვევაში მე-17 საუკუნის დამდეგიდან უნდა ყოფილიყო გადატანილი ჩხარის ეკლესიაში. მაგრამ ამ კარგი საქმით როსტომ ჩხეიძე არ დაკმაყოფილებულა და მას სიყალბე ჩაუდენია: თავდაპირველად ამოურღვევია სახელი იმ ეკლესიისა თუ ხატისა, რომლისათვის გარდამოხსნა ყოფილა შეწირული და მის მიგვირ ახლად ამოუქსოვიანებია სადგერის ჯვარის სახელი. შემდეგ ამოურღვევია გვარი თუ ეინაობა პირველი შემწირველისა და, როგორც ეტყობა, აგრეთვე მისი ოჯახის წევრებისა, და მათ მაგიერ ამოუქარგვიანებია თავისი პატივი, სახელი და გვარი და აგრეთვე სახელები: თავისი ცოლის ახიკასი და შვილების გიორგისა და ქულასი. როსტომ ჩხეიძე, რა თქმა უნდა, მორწმუნე კაცია, უამისოდ ის არ გამოიყიდვია თათრისაგან გარდამოხსნას და არ შესწირავდა სადგერ-ჩხარის ჯვარს, მაგრამ ის გულუბრყვილობის გამო ვერ ამჩნევს, რომ თავისი სიყალბით ღმერთსაც ატყუებს და წმინდა გიორგისაც. ეს საკვირველია და ასეთი ამბავი იშვიათია ქართული ნივთების ნაქარგ-ნაქერ წარწერებში. თავისთავად გარ-



დამოხსნა, როგორც მოვიხსენიეთ, ფრიად საყურადღებოა, ფაქიზი, მდიდარი სურათებით და ქართული წარწერის მოხდენილი სტილით. მოგვყავს აქ უცვლელად ეს წარწერა. ყალბი ადგილები დაყოფით იბეჭდება. სასვენი ნიშნები დედნისა არის დაცული.

1. „ქ: ეჰა: შენ: გარე: შემომსვილი: ნათელის...ცა ამ გარდ:...გხე,—ბან... ნიკოდიმოს[ით]ურთ: და: გიხილეს: მკუდარი: დაუფველი: კეთილ: ლმობიერ: გოდება: მწუხარეთა:

2. და თქუეს: ზ: ჩუენდა: ტკბილო: იესო: მზემან: რა: გიხილა: ძელსა: და-მოკიდებული: ბნელი: შეიმოსა: და: მთოვარემან: არა: გამოსცა: ნათელი თვის: ქუეყანა: შიშით:

3. ილღეებოდა: და ტაძრისა: კრეტ: საბმელი: განიპებოდა: აწ: ვითარ: გხედავ: ჩუენთჳს სიკუდიდ: შემოსილსა: ეჰა: ვითარ: დაგმარხოთ: შენ: ღთო ჩუენო: ანუ: ვითარ: სიღონით: წარგ: გრაგნოთ: ანუ: რომლითა: ჳელითა: შეგეხოთ:

4. უხრწნელსა: გუამსა: შენსა: ვადიდებ ვნებათა: შენთა: ქრისტე: და: ვედრება: მრავალ: მოწყალებათა: შენთა: რათა: შეისმინო: ვედრება ჩემი:

5. რომელმან შევაკერუნე: სახე: ესე: პატროსანი: გარდამოხს(ნისა): შენი ს(ა): მითუალულ: ყავ: ვედრება: ჩემი: წარმართე: წინაშე: შენსა: ლოცვა: ჩემი: ხოლო: აწ: შენ: მეოხო: ყოვლისა: სოფლისაო:

6. შესავედრებელო: ძალო: და: სიმტკიცეო: ჩემო: წმიდაო: გიორგი: სადგარისაგო: გვედრები: მე: შენ: მიერ: დამყარებული: სახლთუხუცესი: ჩხეიძე: როსტომ: აცოცხლე: შეიწირე: გარდამოხსნა: ჩემი: მიერ: შემოწირული: ხატი: ესე: ძისა: და: ღთისა: შენისა: პირველად: ორსავე: შიგან: ცხორებასა: ჩემსა: შეურცხვენოლობისათვის: ძეთა: და: ასულისა: ჩემისა: წარმართებისათჳს: და:

8. მერმე: კურთხეულისა: თანა: მეცხედრისა: ჩუენისა: ანიკას: და: ძეთა: ჩუენთა: გიორგისა: და: ქულას: ცოდვათა მოტევეებისა: და ლხინებისათჳს: ამინ: შემოგწირეთ: ქკსა სამას: ორმოცდა: ცხრასა (—1661)„

ზემოთ კუთხეში იმავე მერმინდელის ხელით, რომლითაც შერყვნილია ძველი ტექსტი და ჩადენილია სიყალბე, სწერია:

„თათრისაგან:
დავისხენ: ას
ოცი მარჩი
ლათ“

სიყალბის ჩამდენი დედოფლის სახლთუხუცესი ჩხეიძე როსტომ მოხსენებულია იმერეთის მეფის ალექსანდრე IV-ის სიგელში 1658 წელს (იხ. ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 1, გვ. 80).

(გაგრძელება იქნება შემდეგ ტომში).

ბ, აზამიძე

შენიშვნები Scythica et Caucasica-ს ახალი გამოცემის გამო

საბჭოთა ისტორიული მეცნიერება დიდ ყურადღებას აქცევს ძველი ისტორიის შესწავლას და შესაფერისად აფასებს ძველ მწერალთა, ისტორიკოსთა და მოგზაურთა სათანადო ცნობებს. ასეთი დამოკიდებულება ძველი ისტორიისა და ძველ კლასიკურ მწერალთა ცნობებისადმი რუსული ისტორიული მეცნიერების პრაგმატიკულ-ფლოგან ტრადიციას სისახელოდ აგრძელებს.

ეს ტრადიცია რუსეთში შექმნილია აკად. ბ. ა. ტურაევის, ვ. ს. გოლენიშჩევის, პ. კ. კოკოვცევის, ვ. მ. ნიკოლსკის, ნ. ი. მარის და სხვათა ნაშრომებით. ძველი ისტორიის კვლევის დაწინაურების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის აკად. ვ. ვ. ლატიშევს, რომელმაც ორმოცდაათი წლის წინ გამოსცა შესანიშნავი კრებული Scythica et Caucasica.

ამ კრებულის მნიშვნელობა კარგადაა ცნობილი ყველასათვის ვინც სკვითებისა და კავკასიის მოსახლეობის ძველი ისტორიით ინტერესდება, ან ვისაც საქმე აქვს სლავთა ძველი ისტორიისა და სლავთა სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა ჩამოყალიბების შესწავლასთან.

ვ. ვ. ლატიშევის კრებულით დაინტერესებას აძლიერებს უკანასკნელ ხანებში გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი; ახალი ეპიგრაფიული ძეგლების აღმოჩენანი, ახალ ძეგლთა სწორი განმარტება, კრებულში მოთავსებულ წყაროთა ახლებურად ვაგების გასაღებს იძლევა. ამას ემატება ისიც, რომ საბჭოთა პირობებში ძლიერ დაწინაურდა სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის მეცნიერული შესწავლა, რასაც ბუნებრივად მოყვა დაუმრეტელი ინტერესი მოკავშირე რესპუბლიკათა მეცნიერებისა ლატიშევის კრებულის იმ ნაწილების მიმართ, რომელიც მათი ხალხის მიწაწყალს და წარსულს შეეხება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტერესი იმ მოსახლეობის კულტურის შესასწავლად, რომელიც წინ უსწრებდა აქ სლავურ ტომებს და აგრეთვე, კავკასიის ოთხი მნიშვნელოვანი კუთხის: კოლხეთის, იბერიის, ალბანიისა და არმენიის ძველი ისტორიის საკვანძო საკითხებს შეეხება.

სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი ინტერესი უნდა დაგვირგვინდეს ვ. ვ. ლატიშევის კრებულის ახალი საბჭოთა გამოცემით.

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე ავტორიტეტულმა ორგანომ ძველი ისტორიის დარგში, ჟურნალმა „Вестник древней истории“ 1947 წლის პირველ წიგნში დაიწყო ვ. ვ. ლატიშევის კრებულის ხელახალი გამოქვეყნება, ნაწილობრივ ახალი თარგმნითა და კომენტარებით, დამატების სახით.

ამ ჟურნალის რედაქციას ძველ მწერალთა გამოცემის გამოცდილება აქვს საკმარისია მიეუთითოთ, რომ უკანასკნელ წლებში, აგრეთვე დამატების სახით გამოიცა: ვეგეციუსი, აპიანიე, პსევდოარიანე, პლინიუსი და სხვანი.

ყველა ზემოთ მითითებულს გარდა ვ. ვ. ლატიშევის კრებულის ხელახალი გამოცემისადმი ინტერესს აძლიერებს სარედაქციო დაპირებანი, გამოქვეყნებული ჟურნალის 1947 წლის პირველ წიგნში, რომლის მიხედვით დაწესტებულა და გაუმჯობესებული საკუთარ და გეოგრაფიულ პუნქტთა სახელები; იმ შემთხვევაში, როცა მოძველებულია ლატიშევის შენიშვნა ან კომენტარები, რედაქციას შეაქვს თავისი დამატებანი და შესწორებანი; სამეცნიერო აპარატი შემოწმებულია და შევსებული (შდრ. Проф. А. В. Мишулин, Источники о Скифах и изучение культуры дославянского населения в истории СССР, ВДИ 1947, № 1, გვ. 262).

გამოცემის სისრულისათვის რედაქციას კრებულის პირველი ნაწილისათვის წარუმძღვარებია აღმოსავლური ტექსტები (ჟრარტულის გამოკლებით).

ამრიგად, გამოცემა ვ. ვ. ლატიშევის კრებულისა გარეგნულად საიმედოდ და საინტერესოდ გამოიყურება. კრებულის მნიშვნელობა დახასიათებულია პროფ ა. ვ. მიშულინის ზემოთმითითებულ წერილში.

ჟურნალის რედაქცია ვრცელ ადგილს უთმობს ვ. ვ. ლატიშევის ყოველ წიგნში, ისე, რომ 1947 წლის მეოთხე წიგნში უკვე მოთავდა პლუტარქოსის მასალების გამოქვეყნება.

ამავე წიგნშია გამოქვეყნებული სტრაბონის გეოგრაფიაც, რომლის ხელახალი გამოცემა დახალი კომენტარები ჩვენ განსაკუთრებით გვინტერესებდა იმასთან დაკავშირებით, რომ მცხეთის მიდამოებში გაშლილი არქეოლოგიური ვახტარები მდიდარ მასალას იძლევა იბერიის იმ ხანის ისტორიისათვის, რომლის შესახებ საყურადღებო და შეიძლება ითქვას ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები სტრაბონთანა დაკული.

სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთხელ აღნიშნულა, რომ იბერიის შესახებ ყველაზე ადრინდელ ცნობებს და ამ მხარის დაწვრილებით აღწერას ეხვედებით სტრაბონთან.

იბერიის მოსახლეობის სოციალური დანაწილების შესწავლისას არც ერთი სპეციალისტი გვერდს არ უხვევს სტრაბონის ცნობათა იმ ნაწილს, რომელიც იბერიის მოსახლეობის სოციალური ჯგუფებისა და წყობილების სურათს ასახავს. უკანასკნელ წლებამდე სტრაბონის ცნობები ძირითად წყაროს წარმოადგენდა სახელმწიფო წყობილების საკითხების გადასაწყვეტად იბერია-ქართლისათვის.

სტრაბონის მნიშვნელობა იბერიის ისტორიის შესწავლისას სოციალური ცხოვრების მომხრობი ცნობებით არ იფარგლება. ფრიად მნიშვნელოვანია სტრაბონთან შემონახული ცნობები ქვეყნის კულტურისა და დაწინაურებული ხელოვნების შესახებ, მნიშვნელოვანია სტრაბონის მასალები ძვირფასი გეოგრაფიული ცნობებით საერთოდ და, განსაკუთრებით, კოლხეთის, იბერიის, ალბანიისა და არმენიის მნიშვნელოვან პუნქტთა მართალი ლოკალიზაციის საქმეში.

მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტთა განმარტებისა და ლოკალიზაციის სტრატონის ცნობებს „პირველხარისხოვანი, ვადამწყვეტი მნიშვნელობა“ (ს. ჯანაშია, —ბარბადრი, სკიდისი, მოსხური მთები. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტომი III გვ. 609).

ცნობილია, რომ იბერიის შესახებ უმთავრესი ცნობები სტრატონის გეოგრაფიის XI წიგნშია დაცული. ამავე წიგნშია მდიდარი მასალები მეზობელ ხალხთა და ქვეყანათა შესახებაც.

XI წიგნის III თავის მეექვსე მუხლის იმ ცნობათა მიმართ, რომელშიაც იბერიის მოსახლეობის გენებად დანაწილებაა მოცემული, ყურნალის რედაქცია არსებით განმარტებას არ იძლევა და კმაყოფილდება ა. ი. ბალტუნოვას მიერ გამოთქმული მოსაზრებით, რომ იბერიის ამ დახასიათებაში, რომელიც ინდურ და არიულ წყობათა კასტური ხასიათის შესახებ შექმნილ წარმოდგენათა გაგლენითა დაწერილი, შეიმჩნევა წყაროს გავლენა სტრატონზე. წყარო ყოფილა ამგვარი წარმოდგენისა, რაც მქალაქდება აგრეთვე იბერულ და ძველ მიდურ ცხოვრებათა ურთიერთ დაახლოებაშიო (იხ. ВДИ № 4 1947, გვ. 219. შენიშვნა 3).

უნდა შეინიშნოს, რომ იბერიის მოსახლეობის გენებად დანაწილების მომხრობ ცნობათა ვრცელი და განსხვავებული განმარტება გამოქვეყნებული ქონდათ თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილს და აკად. ს. ჯანაშიას. აკად. ს. ჯანაშიამ არა ერთხელ მოგვცა სტრატონის ამ ცნობათა სამართლიანი და ახლებური შეფასება, არქეოლოგიურ აღმოჩენათა სინათლეზე; ამ შეფასების მიხედვით, როგორც ცნობილია დგინდება, რომ ძვ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეების იბერია მნიშვნელოვნად დაშორებულია სოციალური ცხოვრების სტრატონის მიერ წარმოდგენილ საფეხურს. იბერიაში განვითარებული სახელმწიფო წყობილება გვაქვს, მმართველობის რთული აპარატითა, და განვითარებული ინსტიტუტებით (შდრ. С. Джавашвили, И. Джавахишвили, Н. Бердзенишвили История Грузии, გვ. 72—77. т. 1946).

სტრატონის ცნობებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ახლა არსებითია იბერიის ანტიკური ისტორიის შესასწავლად და ამით უმეველად უნდა დაინტერესებულყო სტრატონის კომენტატორი, განურჩევლად იმისა, იზიარებს თუ არა ის აკად. ივ. ჯავახიშვილისა და აკად. ს. ჯანაშიას მოსაზრებებს ამ საკითხზე. ცნობილია, რომ სტრატონის შეუცვლელი მნიშვნელობის მქონე ცნობებს თან ახლავს ხშირად გაურკვეველი მასალები, არა ზუსტი სახელები, მცდარი ლოკალიზაცია, განმეორებანი ხშირად ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული განმარტებით და სხვ. ამას მეტნაკლებად ყოველი კომენტატორი გრძნობს და მისთვის შესაძლებელ განმარტებას აძლევს სტრატონის ამა თუ იმ ცნობას. ამაშიცაა კომენტატორის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ღვაწლი და ამაშია აგრეთვე კომენტარის სირთულე. ამას თუ დაუშვამტებთ აგრეთვე ერთ არსებით მომენტს, სახელდობრ იმას, რომ სპეციალისტებს ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებულად ესმით სტრატონის ტექსტი, ცხადი გახდება სირთულე ვ. ვ. ლატიშევის კრებულის გამოცემისა.

ამ სირთულეს შესანიშნავად გრძნობდა ჟურნალის რედაქცია და როგორც პროფ. ა. მიშულინის წერილიდანაც ჩანს, ცდილობდა მოეცა შეესაბამებულად წარმართული და ხშირად ახლებური განმარტება ამ კრებულისა. რამდენად წარმატებითა დაძლეული ვ. ვ. ლატიშევის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებული სიძნელეები ამის შეფასება ჩვენს დღევანდელ მიზანს არ შეადგენს, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვა სტრაბონის „გეოგრაფიის“ იმ ნაწილის განმარტებებთან დაკავშირებით, რომელიც იბერიას, მის მეზობელ ხალხებს და მათ მიწაწყალს შეეხება.

პირველი: მეთერთმეტე წიგნის, მეოთხე თავის პირველ მუხლში მოცემულია სხვათა შორის ალბანიის საზღვრები და ქვეყნის რელიეფის დახასიათება.

„Живут они между иберами и Каспийским морем, на востоке при-
мкая к морю, а на западе граница с иберами; из остальных сторон север-
ная ограждается Кавказскими горами, они высятся над равнинами и бли-
жайшие к морю называются Каравнскими, а южную образует прилегаю-
щая Армения в которой много равнин, но много и гор, как, например,
в Камбисене, в которой армяне соприкасаются с иберами и с албанами“
(გვ. 219).

კომენტატორი დაინტერესებულა კამბისენეს განმარტებით; განმარტებაში იმავე 219 გვერდზე ვკითხულობთ: Камбисене—„область Великой Армении на границах Иберии и Колхиды. Ср. XI, 4,5, где отчасти определяется географическое положение этой области“ (გვ. 219. შენ. 6).

ამ განმარტებაში რამდენიმე შეცდომაა: ამ მიდამოების დიდი სომხეთისადმი მიკუთვნების უსაფუძვლობაზე, რომ არაფერი ითქვას, მცდარია მოსაზრება, რომლის მიხედვით კამბისენე გამოცხადებულია სომხეთის ისეთ ოლქად, რომელიც იბერიის და კოლხეთის საზღვართან მდებარეობს.

სამწუხაროა, რომ კომენტატორი ასეთი განმარტების საფუძველს არ ისახელებს. ამ განმარტებაში არა მარტო დიდ არმენიას მიეწერა იბერიის მიწაწყალი, არამედ კოლხეთის ტერიტორიაც ფანტასტიურადაა გაზრდილი.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სტრაბონის კომბისენე-კანბეროვანია, (ვახუშტი—გეოგრაფია, გვ. 98. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა) კამბეჩიანია (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 45, 1928), რომელიც ალაზნის მიდამოებში დევს. წყაროების მოშველიება საჭიროც არაა იმის დასამტკიცებლად, რომ კოლხეთი ალაზნამდე არასოდეს არ ვრცელდებოდა. შეცდომა კომენტატორისა აქ სავსებით ცხადია.

იქნება კომენტატორი კამბისენეს სხვაგან გულისხმობს. ე. ი. მართლაც ისეთ ადგილას, სადაც კოლხეთი, იბერია და სომხეთი ერთმანეთს ესაზღვრება. ასეთი ოლქები სხვადასხვა დროს განსხვავებული იყო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ვაძნელდებოდა ახსნა სტრაბონის სიტყვებისა: „სადაც სომხები იბერებსა და ალბანებს ზედებიან“ (XI, 4). სტრაბონის ამ განმარტებას გვერდიც რომ აუღუხვით, მაინც მტკიცდება, რომ კომენტატორი ნამდვილად ალაზნის მიდამოებს გულისხმობს.

XI წიგნის, IV თავის V მუხლში სტრაბონი კვლავ ახსენებს კამბისენეს: „Проход из Иберии в Албанию идет через безводную и непроходимую Камбисене к реке Алазонию“.

მიუხედავად იმისა, რომ სტრაბონი საეგვიპტო ნათლად მსჯელობს, კომენტატორი საჭიროად სთვლის აქაც განმარტოს Камбисене და აღნიშნავს: „О камбисене см. выше XI, 4, 1 е. ი. მკითხველს აგზავნის იმ განმარტებისაკენ, რომელიც ზემოთ იყო მოტანილი. ამრიგად, იბერიიდან ალბანიისაკენ ალაზნის მიმართულებით მიმავალ გზა რომ კამბისენეს გაივლის — სწორედ ეს კამბისენეა კომენტატორის მიერ დიდი არმენიის ოლქად გამოაცხადებული, იბერიისა და კოლხეთის საზღვარზე.

კომენტატორის შეცდომა თავიდანვე აშკარა იყო. სტრაბონის Камбисენე მითითებული XI, IV, 1 და XI, IV, 5 ერთი და იგივე ადგილია.

კომენტატორს უეჭველად უნდა ჩაეხედა ზოგიერთ სახელმწიფოებრივ მანქანებში, მას თუნდაც 1944 წელს, რუსულ ენაზე გამოცემული სომეხი ხალხის ისტორია და იქ დაბეჭდილი რუკები რომ გადაეხილა, მაშინ კამბისენეს, რა თქმა უნდა, დიდი სომხეთის ოლქად არ გამოაცხადებდა. (შდრ. История армянского народа ч. 1, 1944).

ცხადია, მეტ სინათლეს შეიტანდა იმავე საკითხში, აგრეთვე რუსულ ენაზე გამოცემული საქართველოს ისტორია.

ჩვენის აზრით არც სტრაბონი იძლევა ამ შემთხვევაში კამბისენეს სომხურ ოლქად გამოცხადების მტკიცე საფუძველს, სტრაბონის სიტყვები, რომ ალბანიის სამხრეთის საზღვარს ქმნის სომხეთი, რომელსაც ბევრი ველი აქვს, მაგრამ ბევრი მთაც, როგორც მაგ. კამბისენე, სადაც სომხები იბერებსა და ალბანელებს ხვდებიან, არ იძლევა საფუძველს — კამბისენე სომხურ ოლქად ჩავთვალოთ.

კამბისენე აქ დასახელებულია, როგორც მაგალითი, რომლის შესახებ შექმნილია წარმოდგენა უწყლო და უსწორმასწორო ადგილისა, სომხეთის რელიეფის უკეთ წარმოსადგენად.

XI წიგნის 14 თავის მეოთხე პარაგრაფში კვლავ უბრუნდება სტრაბონი ამ ადგილებს. აქ ნათქვამია: Хорзена и Камбисена¹ — самые северные и наиболее покрываемые снегом области Армении, примыкающие к Кавказским горам, Иберии и Колхиде“; (XI, 14 § 4) როგორც ჩანს სტრაბონის ეს ცნობა ქონდა მხედველობაში, კომენტატორს, როცა კაბეჩოვანს იბერია-კოლხეთის საზღვარზე ეძებდა. კომენტატორს აქ კვლავ უცდია ლოკალიზება პუნქტებისა: „Хорзена на границе Иберии и Колхиды в горах..., Камбисена — в тех же местах, что и „Хорзена, но восточнее, граничит с Албанией. Название ее происходит от реки Камбиса (современная Иора) отождествляемой с Алазанием“ (стр. 232).

¹ ხან Камбисене და ხან Камбисена არ უნდა იყოს გეოგრაფიულ სახელებთან უზრადლებიანი დამოკიდებულების ნიშანი.

აქ სავესებით აშკარაა, რომ კომენტატორმა კოლხიდა იორამდე გააფრცვლა და რაც მთავარია უსრულო კომენტარები მოგვცა. მოსალოდნელი იყო, რომ კომენტატორი გაითვალისწინებდა XI, 14, 5 სტრაბონის მიერ გადმოცემულ ცნობას იმის შესახებ, რომ სომხებმა ჩამოაქრეს იბერებს პარიადრის კალთები ხორძენე და გოგარენე (იხ. გვ. 232).

სტრაბონის ეს ცნობა კარგადაა განმარტებული საქ. ისტორიის სახელმძღვანელოში, სადაც ვკითხულობთ სომხეთის სამეფოების შესახებ: „В начале это было небольшие царства, но постепенно они стали расширяться за счет соседних стран. От колхов и иберов северное армянское царство отторгло пять округов.“

Иберия потеряла три больших округа—Нагорную область Париадра, Хорзену и Гогрену“ (История Грузии, ч. I, 1946. 83. 59).

სტრაბონის XI, 14,5 გათვალისწინება და საქ. ისტორიის ახალი სახელმძღვანელო მისცემდა კომენტატორის მასალას, სამართლიანად შეენიშნა ნაკლები სიზუსტე სტრაბონისათვის, როცა უკანასკნელი XI, 14,4—ხორძენეს და კამბისენეს სომხეთის ოლქებად აცხადებს.

მეორე შენიშვნა მოსხური მთების ლოკალიზაციას შეეხება.

კომენტატორი ცდილობს შეუსწოროს პლუტარქოს ცნობა მდ. მტკვრის სათავეების შესახებ. „Река эта—ამბობს პლუტარქოსი მტკვრის შესახებ—берет начало в Иберийских горах“ (Помпей XXX, IV ВДИ, 1947, 4 282). კომენტატორის ეს არ მოსწონს და იძლევა შემდეგ შენიშვნას: „ср. Strabo XI, 32, где указывается правильно на истоки реки Куры в Армении, т. е. в Московских горах“ (გვ. 282. შენიშვნა 11).

როგორც ჩანს, კომენტატორმა პლუტარქოსის შეუსწორა და მტკვრის სათავე იბერიის მთების ნაცვლად სომხეთში გამოაცხადა და რაც მთავარია კარგად ცნობილი მოსხური მთები სომხურ მთებად წარმოადგინა.

სტრაბონის არაფერი შეუნიშნავს იმის თაობაზე, რომ მოსხური მთები—სომხური მთებია; ცხადია, კომენტატორის ეს შენიშვნა გაუგებრობაზეა აღმოცენებული.

სტრაბონის გეოგრაფიის XI, 14 თავში მოცემული სომხეთის აღწერა რომ გაითვალისწინებია, რა თქმა უნდა, მოსხური მთების სომხურ მთებად გამოცხადების საფუძველი არ ექნებოდა. აქ ვკითხულობთ შემდეგს: „Северный предел ее составляют лежащие над Каспийским морем горы Парахоатра, албаны, иберы и Кавказ, обнимающий эти народы и примыкающий к горам Армянским, а также и к Московским и Колхидским до так называемых Тибаренов“ (XI, I ВДИ 1947, 4 გვ. 231).

აქ სავესებით აშკარაა, რომ სტრაბონი მოსხურ მთებს არა თვლის სომხურ მთებად. კომენტატორის განმარტება მით უფრო საკვირველია, რომ მან კარგად იცოდა, რა თქმა უნდა, სტრაბონის ეს ცნობაც,

შეიძლება კიდევ ერთი ადგილის მოტანა სტრაბონის მეშვიდე წიგნიდან ხალხთა გადასახლების შესახებ. სტრაბონი აღნიშნავს:

„Западные иберы переселились в местности лежачие выше Тройны и Колхиды и, по словам Аполлодора отделяемые от Армении Араксом, а на самом деле скорее Киром и Московскими горами“ (стр. 183 ВДИ, 1947, 4).

კომენტატორი აქ შემდეგ განმარტებას იძლევა: Кир-современная Кура; Московские горы—хребет Малого Кавказа в западной его части (ВДИ 1947 4. გვ. 183).

ჯერ ერთი, მოსხური მთების არც ეს ლოკალიზაციაა ამომწურავი დარაც მთავარია, სტრაბონისათვის მოსხური მთები გამოყოფია იბერიისა არმენიისაგან, მაგრამ აქ არა ჩანს, რომ სტრაბონს ეს მთები სომხურად ჩაეთვალოს.

ამრიგად, ხშირად ნახსენები მოსხური მთები, არც ერთხელ არაა სტრაბონთან სომხურ მთებად წარმოდგენილი; კომენტატორი კი საფუძვლის დაუსახელებლად აიგივეს მოსხურსა და სომხურ მთებს, ართულებს მნიშვნელოვან პუნქტების სწორ ლოკალიზაციას.

სტრაბონის სათანადო ადგილის განმარტებისას საჭირო იყო კომენტატორის გაეთვალისწინებია აკად. ს. ჯანაშიას ნაშრომი: „პარიადრი, სკიდიისი, მოსხური მთები“, რომლის ძირითადი დებულებები რუსულ ენაზე გამოქვეყნებული და საქ. ისტორიის რუსული გამოცემის სათანადო ადგილებშიც გამოყენებული.

მესამე შენიშვნა უფრო მცირე ფაქტებს შეიცავს, მაგრამ ჩემის აზრით აღნიშვნის ღირსია მაინც.

კომენტატორი წყაროების განმარტებისას, ყოველთვის არ იჩენს მათდამი კრიტიკულ დამოკიდებულებას. ასე მაგ., თუ ერთგან პლუტარქოსს უსაფუძვლოდ გაუსწორა მან და მოსხური მთები სომხურად აღიარა, მეორე ადგილას თავი შეიკავა სტრაბონის რიგი ზღაპრული ცნობების შენიშვნებისაგან და არაფერი თქვა თუნდაც იმაზე, რომ მდ. ფაზისს სტრაბონი XI, 14,7 სომხეთის ცნობილ მდინარედ აცხადებს (ВДИ 4, 1947, გვ. 233) და საერთოდ ამ მდინარის უცნაურ ლოკალიზაციებს იძლევა (მრავალი ფაზისია, სომხეთშიც, კოლხეთშიც და ა. შ.).

არაა დამაჯერებელი და ზუსტი განმარტება მოცემულ სტრაბონის Гармозика-ს ლოკალიზაციისას, კომენტატორი წერს: „Гармозика (локализируется по этнографическим, археологическим и топонимическим данным к северу от Тбилиси на месте средневековой столицы грузинских царей Мцхета“ (გვ. 218).

აქ არაფერ შუაშია ტოპოგრაფიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების ხსენება, რადგან არც ერთი მათგანი კომენტატორს არ ქონდა და ამას გარდა, არც ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ტოპოგრაფიული მასალით დღემდე არაფერ ცდილა ემტკიცებინა, რომ ჰარმოზიკა შუასაუკუნეების მცხეთის ადგილას ყოფილიყოს. ამას გარდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს გადაკითხვაც არ იყო საჭირო იმის გასაგებად, რომ შუასაუკუნეებში მცხეთა ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქი არ ყოფილა.

ავტორს თუნდაც საქ. ისტორიის სახელმძღვანელო რომ გადაეხედა, ადვილად წაიკითხავდა რომ „До IV века н. э., столицей Восточной Грузии была Микета“.

„В IV и V веках Тбилиси уже был значительным центром Картли. Во второй половине V века грузинский царь делает его вторым стольным городом, а с начала VI века Тбилиси навсегда отнимает первенствующую роль у Микеты (История Грузии, стр. 107).“

არა მგონია ღირდეს შეჩერება იმაზე, რომ შუასაუკუნეებად V საუკუნემდელი ხანის ჩათვლა საისტორიო მეცნიერებაში არაა მიღებული.

სტრაბონის ჰარმოზიკას ამგვარი ლოკალიზაციის მცდარობა სხვა მხრივაც არის ყურადღების ღირსი. საქმე მარტო იმას არ შეეხება, რომ კომენტატორს მცხეთა გამოუცხადებია შუასაუკუნეების სატახტო ქალაქად.

ცნობილია, რომ შუასაუკუნეების მცხეთა ახლანდელი დაბის ადგილზე იყო გაშლილი და მას ეპირა უფრო ფართოდ ზეგანებიც, ე. ი. მცხეთა იყო მტკვრის მარცხენა და არაგვის მარჯვენა ნაპირზე გაშლილი. ჰარმოზიკას ლოკალიზაცია მტკვრის მარცხენა ნაპირზე ორიგინალურია და თანაც წინააღმდეგი აკად. ი. ჯავახიშვილისა და აკად. ს. ჯანაშიას მიერ არა ერთხელ გამოთქმული მოსაზრებისა, რომ მტკვრის ორივე მხარეზე იყო გაშლილი საქართველოს ძველი დედაქალაქი. რას ნიშნავს ჰარმოზიკას ლოკალიზაცია შუასაუკუნეების მცხეთის ადგილას, ე. ი. მტკვრის მარცხენა ნაპირზე? იმას ნიშნავს, რომ კომენტატორი არ ითვალისწინებს დიონ კასი კოკეიანის ცნობებს პომპეუსის ლაშქრობის შესახებ 65 წ. ჩვენს ერამდე; ცნობილია, რომ ლაშქრობის მეტი ნაწილი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მომდინარეობდა. ეს ცნობები იმავ ლატიშევსა აქვს გამოქვეყნებული, რომლის განმარტებასაც ავტორი აკეთებს.


ეს იმას ნიშნავს, რომ კომენტატორს არ ჩაუხედია საქართველოს ისტორიისა და სომეხი ხალხის ისტორიის სახელმძღვანელოშიაც კი.

ეს იმას ნიშნავს, რომ კომენტატორს არ ჩაუხედია საშუალო სკოლებისათვის პროფ. ა. ვ. მიშულინის რედაქციით გამოცემულ, ძველ ქვეყნების ისტორიის ატლასშიც კი, სადაც მიუხედავად მრავალი შეცდომისა, ჰარმოზიკა მაინც არის მითითებული მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; ე. ი. შუა საუკუნეების მცხეთის საზღვრით, მტკვრის მეორე ნაპირზე.

სტრაბონის ჰარმოზიკას განმარტებისას საქმარისი იყო კომენტატორს გადაუწერა ს. ჯანაშიას მიერ მოცემული შემდეგი განსაზღვრა:

„Армазис-цихе—кремль древнегрузинской столицы. Этот кремль (по-гречески—акрополь) города Микеты становится известным греко-римским писателям уже в I в. до н. э. под наименованием Армазике (что является передачей грузинского Армазис-цихе)“ (История Грузии, გვ. 69).

ახლა არ ვაჩერებთ ყურადღებას იმაზე, რომ აკად. ს. ჯანაშიამ წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ ახალ მასალათა საფუძველზე მოგვცა არმაზეციხის სწორი ლოკალიზაცია.



კომენტატორი სტრაბონის იბერიას აიგივებს თანამედროვე საქართველოს კლასიკურ ლოსთან. აქ იმას გარდა, რომ კოლხეთი გამოდის ნამდვილად იბერიის მიერ შეეწროვებული, თითონ იბერიაც შეკვეცილია. ამას ისტორიკოსისათვის მნიშვნელობა აქვს. აქაც და მთელი კომენტარების სიგრძეზე გამოირიცხულია დროის ფაქტორი. საქირო იყო განმარტებისას გათვალისწინება იმისა, რომ სახელმწიფოთა და სამეფოთა ტერიტორია უცვლელი არ ყოფილა. ვანა ეს არ არის მნიშვნელოვანი წყაროს სწორი გაგებისათვის?

სუსტად გრძნობს თავს კომენტატორი მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებთან დამოკიდებულებისას; მცდარია მავისი განმარტება და ხშირად დამახინჯებული.

აღე მაგ., XI, 13,5 სტრაბონი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ვადმოცემით სომხეთი გააფართოვეს არტაშესა და ზარემ მეზობელ სამეფოთა ხარჯზე. კომენტატორი აღნიშნავს: Артаксий—„Основатель армянской династий, один из сподвижников Антиоха Великого, возмущившийся, против него в 188 г. до н. э. и ставший самостоятельным правителем. Укрывшийся у него от преследования римляни Ганибал был строителем древней столицы Армении Артаксаты“ (стр. 232, ВДИ, 41 1947).

არავითარი საქიროება ჰანიზალის ხსენებისა აქ არ იყო; მით უფრო გაუგებარია რა მიზნითა და რა საფუძვლით აცხადებს კომენტატორი ჰანიზალს არტაქსატის მშენებლად, მაშინ როცა სომხეთის უძველესი დედაქალაქის დაარსება და მშენებლობა არის დაკავშირებული არტაშესის სახელთან და ცნობილია, რომ ქალაქმა მისი დამაარსებლისა და აღმშენებლის სახელი მიიღო.

სომეხი ხალხის ისტორიაში (ნაწ. I, გვ. 42—43) ამის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

„Арташес I (189—260 г. г.) сделавшись царем Великой Армении, сразу же приступил к организации Армянского государства и дал толчок ее экономическому, военному и административному строительству. Центр своего государства он перенес в долине Аракса на Араратскую равнину. Это плодородная и богатая равнина по своему экономическому значению стояла выше других местностей Армении. Она была расположена на одном из узлов международных торговых путей. Вот на этой плодородной равнине, на берегу Аракса Арташес построил свою знаменитую столицу, которую по своему имени, назвал Арташат“ (История армянского народа, ч. I, стр. 42—43. Ер. 1944).

შენიშვნათა უკანასკნელ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ზოგჯერ არასაკმარისი უსრულდება პუნქტთა ტრანსკრიფციისას. საინტერესოა წერილში ცხადდება, რომ ტრანსკრიფცია გაუმჯობესებულია და შემოწმებულია. ამ განცხადების შემდეგ სტრაბონის მიერ ნახსენები სევსამარას განმარტება შიკამური—დ გაუგებარია. საერთოდ უნდა შეინიშნოს, რომ ВДИ ფურცელზე გეოგრაფიულ პუნქტთა და ისტორიკოსთა სახელისა და გვარის სწორად დაბეჭდვას ზოგჯერ საკირო უსრულდება არ ექცევა (მაგ. ВДИ 1947 გვ. 34,35 სხვ.).



რა თქმა უნდა, ჩამოთვლილით არ ამოიწურება ვ. ვ. ლატიშევის კრებულის ხელახალი გამოცემის ნაკლოვანებანი.

შეცდომები დაშვებულია არამარტო სტრაზონის გეოგრაფიის კომენტარებისას. პლუტარქოსის პარალელური ბიოგრაფიების გარჩევის დროს დაშვებულ ერთადერთ დამახასიათებელ შეცდომაზე უკვე გვქონდა საუბარი. მრავალი შეცოდებაა დაშვებული ჰეროდოტეს „ისტორიის“ კომენტარებისას, მცდარადაა ლოკალიზებული კოლხეთის ცნობილი ქალაქები; ჟურნალის 1947 წლის მეორე წიგნის 250 გვერდზე მოცემულია ასეთი განმარტება: Эя-Мифическая столица колхиды, иногда отождествляется с позднейшим Археополем, локализуемым в современном Ахалсенаки где сохранилась крепость времен Юстиниана“.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ახალსენაკს ათიოდე წელიწადია სახელი შეეცვალა და ამასთანავე ამ ქალაქში იუსტინიანეს დროინდელი (ესეც ახირებული თარიღია ციხისათვის) არამარტო ციხე არ არის, არამედ ნანგრევიც კი არავის უნახავს.

ავტორს გამორჩა მხედველობიდან, რომ საქმე აქ შეეხება ნაქალაქევს, ბერძენ-რომაელთა არქეოპოლისს—ძველ ქალაქს, რომლის შესანიშნავი ნანგრევები დარჩენილია ლაზიკის გვიანდელ დედაქალაქში—ციხე გოჯში, მდ. ტუხურის პირას; ყოფ. ახალსენაკიდან სულ ცოტა 15 კილომეტრის მანძილზე.

მეორე შემთხვევაში კომენტატორი ამახინჯებს ჰეროდოტეს ცნობას სასპერების შესახებ. კომენტატორის აზრით სასპერები მდ. არაქსის სათავეებში სხედან (იხ. გვ. 265); ნამდვილად კი „სასპერებს ვრცელი ტერიტორია ეკირათ კავკასიონიდან მოყოლებული ტავრის ქედამდე, კოლხეთიდან—იმ მთებამდე, რომელნიც დასავლეთით ზღუდავენ ძველ ადარბადაგანს (ჩრდილოეთ ირანს). ამრიგად ეს ტერიტორია თითქმის მთლიანად შეიცავდა ურარტუს სამეფოს მიწაწყალს“ (საქართველოს ისტორია, 1, 1946, გვ. 55).

თქმა რათ უნდა, რომ ეს ტერიტორია მდ. არაქსის სათავეებს დიდად სცილდება.

ვერ უძღვებს კრიტიკას კომენტატორის განმარტება: „Колхи-предки современных абхазцев—жили в рионской низменности,“ (გვ. 265). ნამდვილად კი კოლხებდა თვედაპირველად იწოდებოდა დასავლეთ საქართველოს ტომთა გაერთიანება, რომელთა შორის ყველაზე ძლიერი ზანების ანუ ლაზების სამთავრო იყო. „ლაზების ანუ ზანების მთავარმა მე-4 საუკუნეში ძალიან გააფართოვა თავისი სამფლობელო. აფშილების, აბაზგების და სხვა წვრილი ტომების მთავრები ეხლა ლაზების მთავრის ვასალებად იქცნენ“. (საქ. ისტორია, 1, 1946 გვ. 99—100).

ამრიგად ისტორიული სინამდვილე არსებითად სხვა სახისაა, ვიდრე შემოთავაზებული კომენტარები.

ჯერჯერობით არავის მოსვლია აზრად აფხაზთა წინაპრების რიონის დაბლობში დასახლება ემტკიცება, (არ იქნება ინტერესს მოკლებული შეინიშნოს, რომ თანამედროვე აფხაზთა ძველი სატომო სახელი—აბაზგი იყო. უკანასკნელის სახის შეცვლა აფხაზად (აფხაზეთად) ქართულ ნიდაგზე მომხდარა VIII საუკუნისათვის).

ორიოდ სიტყვა ახალ დამატებათა შესახებ. ჩვენ უკვე აღნიშნეთ, რომ ვ. ვ. ლატიშევის კრებულს წინ უძღვის აღმოსავლური ტექსტები ურარტულის გამოკლებით. ამ ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებას თან ახლავს არსებითი ნაკლები:

ა) ურარტული ტექსტები თავისი მნიშვნელობით მრავალ აღმოსავლურს და ბერძნულ-რომაულს არ ჩამოუვარდება და ურარტულის თარგმნის ახლანდელი მდგომარეობა იძლევა საფუძველს მათი გამოყენებისათვის ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის უძველესი მონაკვეთის შესწავლისას.

ბ) სრულიად გაუგებარია რიგი ტექსტების გამოტოვება აღმოსავლურიდან (რა თქმა უნდა ურარტულს გარდა). მაგ., კავკასიის სამეფოთა ისტორიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ქსერქსეს 485 წლის წარწერას „დეეების“ შესახებ. წარწერა უკვე რამდენიმეჯერა გამოქვეყნებული. უკანასკნელი წავითხვა ეკუთვნის აკად. ვ. სტრუვეს. ეს წარწერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცხეთის არქეოლოგიურ ძეგლთა სინათლეზე. საქართველოში სახელმწიფო წყობის საკითხის შესწავლისათვის ამ წარწერაში განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ არც კოლხები, არც სასპერები და საერთოდ არც ერთი ქართველი ტომი არაა დასახელებული მრავალრიცხოვან დამორჩილებულ, დაპყრობილ ან ხარკის მიმტან ხალხთა და ქვეყანათა შორის.

ამ ცნობის მნიშვნელობას აძლიერებს პლუტარქისის ჩვენება იმის შესახებ, რომ: „Иберы не покорялись ни мидянам, ни персам, избежали даже и македонского владычества...“ (Помпей-XXX IV).

ჩვენთვის და მეზობელ სახელმწიფოთათვის ქსერქსეს მითითებულ წარწერათა გამოქვეყნება უმჯობესად მნიშვნელოვანი იქნებოდა.

ამ ტექსტისა და სხვათა დაუსაბუთებელი გამოტოვება ჩრდილს აყენებს ამ ფრიად სასარგებლო ინიციატივას, ნაჩქარევად შესრულებული ჩანს კრებულის ეს ახალი ნაწილი.

დასასრულს ერთი შენიშვნა პროფ. ა. ვ. მიშულინის წერილის გამო: „Источники о Скифах и изучение культуры дославянского населения в истории СССР“ (к переизданию Scythica et Caucastica В. В. Латышева ВДИ т. 1947). ესაა სარედაქციო წერილი, სადაც ავტორი იძლევა ზემოაღნიშნულ დაპირებებს და ვ. ვ. ლატიშევის კრებულის მნიშვნელობის შეფასებას.

საბჭოთა ისტორიების მეცნიერების ერთ-ერთი არსებითი მიღწევა ისაა, რომ მან სამართლიანად დააწინაურა სლავური წარმოშობის ხალხთა ისტორიის კვლევა. ამ მხრივ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევები ჩვენი ქვეყნის თარგმნებს სცილდება. წერილობით ძეგლთა და არქეოლოგიურ აღმოჩენათა გამოყენება იძლევა საშუალებას ბევრი აქამდე ბნელით მოცული ნაწილი სლავთა ცხოვრებისა ახლებურად გაიარკვეს. სლავური ტომის ხალხთა ისტორიის საკითხების დაწინაურება კრავად ეტყობა ჟურნალებს Вестник древней истории და Вопросы истории.

პროფ. ა. ვ. მიშულინის წერილი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას სლავთა ისტორიის საკითხებზე, მაგრამ იჩენს მეორე უკიდურესობას, ივიწყებს კავკასიის ხალხებს.

წერილის სათაურშიც კარგად ჩანს, რომ ა. ვ. მიშულინის ვიწროდ ესმის ლატიშევის კრებულის მნიშვნელობა, როცა ის ამ კრებულს მიიჩნევს წყაროდ მხოლოდ სკვითების ისტორიისათვის.



დასასრულ საჭიროა ერთი არსებითი ნაკლიც აღინიშნოს: კონკრეტული ფურცლებზე იბეჭდება კლასიკურ მწერალთა ტექსტების მხოლოდ თარგმანები (ცნობილია, რომ ლათინურმა ორიგინალებიც გამოაქვეყნა პარარელურად), რაც ხელს უშლის მკითხველს შეამოწმოს თარგმანის სიზუსტე და აიძულებს მას დაუჯეროს ყოველთვის მთარგმნელს. ზემოთ მითითებული შენიშვნებიც კარგად ადასტურებს, რომ მთარგმნელი და კომენტატორი შეიძლება შეცდნენ მათთვის უცნობ საკითხთა და ისტორიულ ფაქტთა თარგმანა-კომენტარებისას. ასეთ შემთხვევაში შეუცვლელი სამსახურის გაწევა შეეძლო ორიგინალებისა და თარგმანის პარალელურ გამოქვეყნებას.

ამკარაა, რომ სპეციალისტები, რომელთაც კომენტარების შედგენა აქვთ დავალებული, არა საკმარისად იცნობენ მოკავშირე რესპუბლიკებში შესრულებულ სამუშაოებს. ისინი კვლევა-ძიების საგნად ხშირად ისეთ საკითხებს აქევენ, რომლებმაც დიდი ხანია ამომწურავი გადაწყვეტა მიიღო მოკავშირე რესპუბლიკებში მომუშავე ისტორიკოსთა ნააზრომებში. ამ რიგის საკითხებს წყვეტენ მეტწილად ნაკლები მასალებისა და მცირე წყაროების მოშველიებით, არ იჩენენ წყაროებისადმი ახლებურ დამოკიდებულებას.

ამოკანა ვ. ვ. ლათინურის კრებულის ხელახალი გამოცემისა კვლავ დგას ჩვენს წინაშე და რაც უფრო სწრაფად და უნაკლოდ გაკეთდება ეს საქმე — უკეთესია.

დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკად.
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით



რედაქტორი ა. ა ჯ ა ქ ი ძ ე

ტექნიკური რედაქტორი ვალ. ვაბილიაი



საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო

№ 19

სტ. შიკე, 516. უფ 17230. ტირ. 800
ხელმოწერილია დასაბეჭდ. 19.11.48
ქალ. ზ. 72×110. საბეჭდ ფურ. 15
სააღრიცხვო საგამომცემლო ფ. 18

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა
აკაკი წერეთლის ქუჩა, № 7



ფანი 25 მან.

48-232



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა